საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

თამარ შაიშმელაშვილი

ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა

ფილოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია
ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საპატიო პროფესორი**

თბილისი

2019

სარჩევი

ანოტაცია 4

შესავალი 7

თავი 1. ლევან გოთუას ადრეული პუბლიცისტური მოღვაწეობა

1.1. „მე მშია სამშობლო!“ - ბარათები ვლადიკავკაზიდან და პირველი პუბლიკაცია 13

1.2. „ხდედალეულნი“ - მთამსვლელ ჯაფარიძეებთან ერთად მინდიას სულისკვეთებით 28

1.3. ლევან გოთუა და გურამ თიკანაძე: „ირმის კვალი“ - ხმით ნატირალი 50

II თავი - ლევან გოთუას პუბლიცისტური პარადიგმები

2.1 ანტირელიგიური პოლიტიკის პირისპირ 60

2.2. ლევან გოთუა და „ძეგლთმფარველობის“ იდეა 75

2.3. „სდექ მტკიცედ და ურყევად“ - დაკარგული დამოუკიდებლობის გზის ძიებაში 83

2.4. ლევან გოთუა - ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ დამაარსებელი 88

2.5. გრემქალაქობა, დიდგორი, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე, თბილისის ძეგლები და სხვა 92

2.6. „მწვანე დედა“ და „მწვანე აბჯარი“ 110

2.7. ლევან გოთუას საკრალური სამკუთხედი - წყალი, მთა, გამოქვაბული 116

2.8. წყაროები - სამყაროში გასახედი თვალ-სარკმელი, „ლამისყანის წყარო“, „ოქრონიშის გასაჭირი“ 125

2.9. ლევან გოთუა - ბუნების ნორჩ დამცველთა მეგობარი. წერილები - „ხილთაქებად ნათქვამი“, „ბუნების შავი მეკობრე“.....131

2.10. პორტრეტების გალერეა 138

2.11. ლევან გოთუას პუბლიცისტური ნააზრევის წახნაგები 170

თავი III. პუბლიცისტური სტილი და მხატვრულ-ესთეტიკური კონტექსტი.....191

თავი IV. ეპისტოლარული მემკვიდრეობა - „უბედური თავისუფლების“ რაინდი..... 206

დასკვნა 225

ბიბლიოგრაფია 235

ანოტაცია

სადისერტაციო ნაშრომში „ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“ საკვლევი საკითხები გაანალიზებულია XX საუკუნის დასაწყისის მძაფრი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, რომელმაც მწერლის მოღვაწეობას საგრძნობი კვალი დაამჩნია. საპატიმროებში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და მკაცრი რეჟიმის სატუსაღოებში გატარებული 22-წლიანი პერიოდის პუბლიცისტური და ეპისტოლარული ნააზრევი თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით იწერებოდა.

საკვლევი მასალის სრულყოფილად წარმოსაჩენად და აქამდე არსებული ფრაგმენტულობის პრობლემის დასაძლევად, სამჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული მწერლის პუბლიცისტური მოღვაწეობის ყოველი პერიოდი განხილულია ეპოქის ჭრილში, აქტუალურობის, თემატიკის, ჟანრული თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით. ამ მხრივ, ლევან გოთუას პუბლიცისტიკა კომპლექსურად პირველად არის გაანალიზებული.

მწერლის პუბლიცისტური ნააზრევის კვლევა ეფუძნება ლევან გოთუას შემოქმედების ესთეტიკურ თვალსაზრისს, მხატვრული ფსიქოლოგიზმის წარმოჩენას სამეცნიერო ლიტერატურის ჭრილში. ნაშრომში ძირითადი აქცენტი გადატანილია კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაცვა-აღდგენის საკითხებზე და ისტორიული ძეგლების დიდ მიზანზე - დაპყრობილ ტოტალიტარულ ქვეყანაში ეროვნული ენერგიის გამოღვიძების უმთავრეს ნერვზე, რითაც იგი ეხმიანებოდა გერონტი ქიქოძის „ჩაქუჩიანი მამაკაცის“ იდეას, როგორც „ძველი საქართველოს ნათელი სიმბოლოს“ თანამედროვეობაში გაცოცხლებას.

ნაშრომი ეფუძნება სხვადასხვა პერიოდულ პრესაში გაფანტულ მწერლის პუბლიცისტურ წერილებს, საქართველოს ეროვნულ არქივში მოძიებულ ლევან გოთუას პირადი ფონდის, თამარ და ალექსანდრე გოთუების, ციცო ალხაზიშვილის მასალებს, სოლომონ ხუციშვილის, ჯუმბერ ჯიშკარიანისა და ივანე ჯაფარიძის წერილებს, მთამსვლელი ჯაფარიძეების არქივს. ნინო ქუთათელაძის, ელგუჯა მაღრაძის,

ვლადიმერ ნორაკიძის, ანდრო მირიანაშვილის, ვახტანგ ბერიძის, ბონდო არველაძის, აკაკი ბაქრაძის, ემზარ კვიტაიშვილის, როსტომ ჩხეიძის და სხვათა ნააზრევს.

ნაშრომში გაანალიზებულია ლევან გოთუას ადრეული მოღვაწეობის პერიოდი, როდესაც, როგორც ამბობდა, ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად, კალმითა და წერაყინით ვაჟკაცური მოღვაწეობის მრავალი ფურცელი ჩაწერა მთამსვლელობის მატიანეში:

„ასე იშვა „ხდედალეულნი“, „თეთრი სავალი“, „ვაჟას სამყაროში“, „ხვამლის ციხექვაბული“, „კაცხის სვეტის საიდუმლო“ და სხვა. ამ ნარკვევების კალამი თუ მე მეკუთვნის, წერაყინი და სული უსათუოდ ალიოშასია!“ (გოთუა 1963:4).

ლევან გოთუას მრავალმხრივ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად წინ წამოწეულია მისი პუბლიცისტური ნააზრევის უმთავრესი წახნაგები - ეროვნული მსოფლშეგნებითა და დიდაქტიკური პუბლიცისტური პათოსით გამორჩეული სტატიები და საახალწლო მიმოხილვები, ის უმთავრესი პოსტულატები, რომლებიც აუცილებელია ერის მომავლისათვის. ეს. უწინარესად, ოჯახია, ხოლო კეთილი მომავლის სათავეებთან ახალგაზრდობა იდგა.

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ლევან გოთუას პუბლიცისტური სტილის თავისებურებები, სადაც ტენდენცია, უწინარესად, თემის განსაზღვრასა და ფაქტების შერჩევაში ვლინდება - მისთვის ყველა თემას და პორტრეტების გალერეასაც სწორედ ეროვნული თვალთახედვა განაპირობებს. ავტორის, როგორც პუბლიცისტური წერილების მთავარი გმირის, თანამონაწილეობის ეფექტი პუბლიცისტური ოსტატობის ქვაკუთხედია.

პუბლიცისტურ ოსტატობასთან ერთად, მისი წერილები მდიდარია მხატვრული გამოსახვის ხერხებითა და საშუალებებით.

ლევან გოთუას ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში თხრობის ორი პლანი იშლება - სამშობლოსგან შორს მყოფი მწერლის ნაფიქრ-განცდილის ფონზე მკვეთრად გამოხატული მისი პიროვნული მრწამსი და, მეორე მხრივ, საბჭოთა სატუსაღოებისა და საკონცენტრაციო ბანაკების ჯოჯოხეთური სურათების აღწერა, რეჟიმის მამხილებელი პათოსით.

ნაშრომი შედგება: შესავლის, ოთხი თავის (პარაგრაფებითა და ქვეთავებით) და დასკვნისაგან. I თავი - **„ლევან გოთუას ადრეული პუბლიცისტური მოღვაწეობა“** გადმოსცემს მისი ადრეული მოღვაწეობის პერიპეტიებს, მთამსვლელობის პერიოდს,

რამაც შთაგონება გაუმძაფრა და მგზავრული ნარკვევები შეაქმნევინა; II თავი - **„ლევან გოთუას პუბლიცისტური პარადიგმები“** ლევან გოთუას მრავალმხრივ პუბლიცისტურ მოღვაწეობას მოიცავს, წარმოჩენილია მისი ღვაწლი, როგორც ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ დამაარსებლისა და პირველი რედაქტორისა, ძეგლებზე მზრუნველი პიროვნებისა და სხვ... III თავში მიმოხილულია **პუბლიცისტური სტილის თავისებურებები და მხატვრულ-ესთეტიკური კონტექსტი;** IV თავი - **ეპისტოლარული მემკვიდრეობა - „უბედური თავისუფლების“ რაინდი** მთლიანად ეთმობა სატუსაღოებიდან და გადასახლების ადგილებიდან გამოგზავნილი პირადი წერილების ანალიზს.

ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესწავლა ცხადყოფს, რომ იგი უაღრესად თანამედროვეა აქტუალურობით, სათქმელით, მუდამ სიახლისა და პროგრესის მომხრეა.

Annotation

„Levan Gotua’s Publicist and Epistolary Heritage“ the study issues are analyzed from the view of the political events of the beginning of the XX century, which marked a significant trace of the writer's work, created during the 22- year period ,of his life, spent in prisons, concentration camps of strict regime, were full of the spirit to struggle for freedom.

As the writer has been imprisoned three times for the different periods we studied his heritage in the context of the epoch, and periods according to it’s specifics. This is the first attempt to analyze his publicity as fully as possible.

The work is based on the various letters published periodical press, publishings found through Levan Gotua’s personal foundation, from Georgian National archives. The letters of Tamar and Alexander Gotua, Tsitso Alkhazishvili, Solomon Khutsishvili, Jumber Jishkariani and Ivane Japaridze. Nino Kutateladze, Elguja Magradze, Vladimir Norakidze, Andro Mirianashvili, Vakhtang Beridze, Bondo Arveladze, Akaki Bakradze, Emzar Kvitaishvili, Rostom Chkheidze and others.

The work analyzes Levan Gotua's earliest period of work when, as he said, he wrote along with Aliosha Japaridze, his friend and famous Georgian climber. „That is how the „Khdedaleulni“ , „The white road“ , „In the world of Vaja-pshavela“ , „Khvamli cave“, „The secret of the katskhi column“ were created, even I am the writer the spirit belongs to Aliosha“ (Gotua 1963: 4)

Levan Gotua's multi-faceted public work has brought forward the main points of his publicist insistence - articles and national reviews by nationalist philosophical pathos, the main postulates that are essential for the future of the nation. Primarily a family, and the youth of the country, hope of the better future.

The dissertation work analyzes the peculiarities of Levan Gotua's publicist style, where the trend, first of all, determines the topic and determines the facts - all the themes and portraits gallery for which it is the national viewpoint. The role of the author, as the main character of the publication letters, is the cornerstone of his masterpiece. At the same time his letters are rich in artistic expressions and meads.

In the epistolary heritage of Levan Gotua, the two planes of narrative are deprecated - the personal beliefs expressed strongly on the background of the writer's far-away writers and, on the other hand, the description of hellfire pictures of Soviet carnage and concentration camps.

The work consists of: the introduction, four chapters (paragraphs and subsections) and conclusion. I Chapter – „Levan Gotua's Early Publicistic Work“ conveys his earliest work the period of the mountain; II chapter – „Levan Gotua Publisher's Paradigms“ Levan Gotua is a multi-faceted publicist worker, presented his contributions as the founder and first editor of the magazine „The Friends of the Monument“ and the guard of the Monuments... More Than the Chapter Peculiarities of the Publicist Style and the Artistic-Aesthetic Context.

Chapter IV – Epistolary Heritage - The Knight of „Accidental Freedom“ is entirely devoted to analyzing personal letters sent from places he was exiled time from time.

The study of Levan Gotua’s publicist and epistolary heritage makes it clear that he is modern actual and oriented to progress

შესავალი

ნაშრომი - „ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“ ლევან გოთუას პუბლიცისტური ნააზრევისა და თავად მწერლის სრულყოფილი პორტრეტის წარმოჩენას ემსახურება. ლევან გოთუა არა მხოლოდ დიდი მწერალია, არამედ დიდი პიროვნებაც არის, რომელიც წინასწარ ჭვრეტდა იმას, რისი დანახვაც იმ პერიოდში სხვებს არ შეეძლოთ.

მისი ნააზრევი შესანიშნავი მაგალითია იმისა, როგორ უსწრებს შემოქმედი ეპოქას. მწერლის ხიბლი და ძალაც ეს არის.

დღევანდელი გადასახედიდან უაღრესად საინტერესოა სამჯერ დაპატიმრებული და გადასახლებული ლევან გოთუას შემოქმედების გაცნობა და შესწავლა, მით უფრო, რომ იგი 1920-ანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო. მწერლის სამივე გადასახლება, მთლიანობაში, 22-წლიან პერიოდს მოიცავს და მისი ნაფიქრ-ნააზრევი სამშობლოს სიყვარულისა და თავისუფლების გრძნობით არის აღსავსე.

ლევან გოთუას პუბლიცისტური წერილები გადასახლებიდან გადასახლებამდე პერიოდში იქმნებოდა. მან მთელი საქართველო, მისი მთა და ბარი ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა... ეცნობოდა არქიტექტურულ ძეგლებს, მივიწყებულ კოშკებსა და ქვაბულებს, ტყეებს, მდინარეებს... მთამსვლელი და მოგზაური, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „კალმითა და წერაყინით“ აღბეჭდავდა დაუვიწყარ წუთებს და შაბეჭდილებებს... ამ მოგზაურობაში იქმნებოდა შესანიშნავი ნარკვევები, რეპორტაჟები, სტატიები, კორესპონდენციები, წერილები...

ლევან გოთუა XX საუკუნის 20-ან წლებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე და სიცოცხლის ბოლომდე კალამი არ გაუგდია. ყველამ იცის, როგორ წერდა და ქმნიდა გადასახლებაში, როგორ საზრდოობდა საქართველოს წარსულით, აწმყოთი და მომავლით. ადამიანმა, რომელმაც მდიდარი პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა დატოვა, დღემდე, მასზე საფუძვლიანი მონოგრაფიული გამოკვლევა არ არსებობს.

ლევან გოთუას პირველი ნაწარმოები, პუბლიცისტური თხზულება „ხდედალეულნი“, რომელიც 1940 წელს გამოქვეყნდა, მწვერვალ შავანას მწვერვალზე ასვლას აღწერს. „აღმაფრთოვანა ჩვენი ბუნებისა და მიწა-წყლის მშვენიერებამ. ამან მომამწიფა და გამაბედვინა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა“, - წერდა იგი (ხუციშვილი 1976:10).

პირველ ნარკვევს - „ხდედალეულნი“ მოჰყვა სამგზავრო ნარკვევების ციკლი, რომელმაც თავი მოიყარა 1960 წელს გამოცემულ კრებულში „მგზავრული კრიალოსანი”.

ცნობილმა ჟურნალისტმა და სპელეოლოგმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა 1995 წელს მისივე რედაქტორობით გამოცემულ ერთჯერად გაზეთში „ლევან გოთუა - 90“, შეკრიბა ლევან გოთუასადმი მიძღვნილი სხვადასხვა ავტორის მიერ მომზადებული წერილები, რამაც ახალი შტრიხებით გაამდიდრა მწერლის ბიოგრაფია, შემდეგ კი ეს მოგონებები 2017 წელს გამოცემულ წიგნში „...შურსა და ცილზე ამაღლებული“ შეიტანა.

კრებული აერთიანებს მოგონებებს. ეს არის, ფაქტობრივად, მწერლების, მეგობრების თვალით დანახული ლევან გოთუას თავგადასავალი, სადაც მისი შემოქმედებისა და პიროვნების თავისებურებანი აისახა. ასევე თავმოყრილია საიუბილეო წერილები, რეცენზიები, ლევან გოთუასთან ინტერვიუები, მწერლის პუბლიცისტური ნააზრევი, მისი პირადი წერილები... კრებულში შესულია: ჯუმბერ ჯიშკარიანის, დავით და ემზარ კვიტაიშვილების, ივანე და სიმონ ჯაფარიძეების, თეიმურაზ ღლონტის, ვახტანგ გურგენიძის, ოთარ გიგინეიშვილის, სოლომონ ხუციშვილის, ელგუჯა მაღრაძის, სარგის ცაიშვილის, ვახტანგ ტაბლიაშვილის, ოთარ გიგინეიშვილის, დოდო ჭიჭინაძის, ბონდო არველაძის, ელენე აბაშიძის, ლევან ფრუიძის, ოტია იოსელიანის, გიორგი შათირიშვილის, როსტომ ჩხეიძის, ვახტანგ ბერიძის, სოლომონ გერშოვის, ვლადიმერ ნორაკიძის და სხვათა წერილები...

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობის თავმოყრის პირველი მცდელობა, 1976 წელს, სოლომონ ხუციშვილის მიერ გამოცემული წიგნის შემდეგ.

1976 წელს, მწერლის საიუბილეოდ, მისი 70 წლის აღსანიშნავად, „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა: „ლევან გოთუა. ბიბლიოგრაფიული ნარკვევი. ბიობიბლიოგრაფია“. ბიოგრაფიული ნარკვევის ავტორია სოლომონ ხუციშვილი, რომელიც ლევან გოთუას მიერ საკუთარი ხელით დაწერილ ბიოგრაფიას ეყრდნობა და,

შეძლებისდაგვარად, აჯამებს მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების არსებით ასპექტებს.

ლევან გოთუას შემოქმედების კვლევას დიდი ღვაწლი დასდო ცნობილმა ჟურნალისტმა, მთამსვლელ ჯაფარიძეთა შთამომავალმა ივანე ჯაფარიძემ. იგი პერიოდულად ამზადებდა გადაცემებს ლევან გოთუაზე და პარალელურად იკვლევდა მისი ცხოვრებისა და შემოქმედების საინტერესო ასპექტებს. მთამსვლელ ჯაფარიძეთა ოჯახის არქივი მდიდარია როგორც ფოტოებით, ასევე საინტერესო დოკუმენტური მასალით.

ლევან გოთუას ცხოვრების პერიპეტიები, გადასახლებიდან გამოგზავნილ წერილებზე დაყრდნობით, 1995 წელს წიგნად გამოსცა მისმა და-ძმამ - თამარ და ალექსანდრე გოთუებმა სათაურით „თავგადასავალი ლევან გოთუასი“.

ლევან გოთუას პუბლიცისტიკის შესახებ საინტერესო გამოკვლევის ავტორია ნინო ქუთათელაძე - „წიგნი - „მგზავრული კრიალოსანი“, საგულისხმოა ელგუჯა მაღრაძის წიგნი „სრბოლა ცხოვრებისა“, ვლადიმერ ნორაკიძის გამოკვლევა „ლევან გოთუა: ფსიქოლოგიური პორტრეტი“, ანდრო მირიანაშვილის წიგნი „ლევან გოთუა: ცხოვრება და შემოქმედება“. აკაკი გეწაძის წერილი - „მწერლის მგზავრული დღიურები“... თამარ ლომთაძისა და გიორგი გოგოლაშვილის წერილი „ლევან გოთუას პირადი წერილების ენის საკითხისათვის“, ლამარა ნოზაძის დაკვირვებები ლევან გოთუას ენაზე, წერილი „ენა და მწერალი“ ...

ზემოხსენებული ჩამონათვალის მიუხედავად, ფრაგმენტულადაა წარმოჩენილი მწერლის პუბლიცისტური ნააზრევი. მასალები გაფანტულია სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში, რადიოს ფონდებში, საქართველოს სახელმწიფო ეროვნულ არქივში.

სადისერტაციო ნაშრომი „ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“, კვლევისა და სათანადო ანალიზის საფუძველზე, წარმოადგენს მწერლის ეპისტოლარული და პუბლიცისტური ნააზრევის შეჯამებას, რაც ემსახურება მის შემოქმედებაში გარკვეული ხარვეზის შევსების მცდელობას და მწერლის, როგორც სამშობლოს გულშემატკივარი საზოგადო მოღვაწის, **სრულყოფილი პორტრეტის** შექმნას.

თემის აქტუალურობასაც სწორედ ამ საკითხების შესწავლა-გაანალიზება, ერთად თავმოყრა და მეცნიერულ მიმოქცევაში ჩართვა განაპირობებს.

ჩვენი გადასახედიდან, დღესაც აქტუალური და მნიშვნელოვანია ის საკითხები, რაზეც ლევან გოთუა 50-60 წლის წინათ წერდა. ესაა ბუნების, ხუროთმოძღვრული თუ კულტურის ძეგლების დაცვა და მოვლა-პატრონობა, ოჯახის სიმტკიცის, ახალგაზრდობის ზნეობისა თუ ქართული ენის გადარჩენის პრობლემები…

აქტუალურობა განაპირობა იმ წყობისთვის დამახასიათებელმა მოვლენებმა და მათ წიაღში აღმოცენებულმა კონფლიქტურმა სიტუაციებმა, რომელშიც მოღვაწეობა მოუხდა ლევან გოთუას.

ლევან გოთუას პუბლიკაციებში გამოკვეთილია ეპოქის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა, იგრძნობა დროის მაჯისცემა, თავს იჩენს არაერთი აქტუალური თეორიისა და ტენდენციის კვალი, რაც მის პუბლიცისტურ წერილებს და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას უდავოდ ფასეულს ხდის.

ნაშრომშიც ერთად თავმოყრილი და გაანალიზებულია ლევან გოთუას პუბლიცისტიკა და იმდროინდელი ეპოქის ფონზე წარმოჩენილია მისი პუბლიცისტიკის არსებითი პარადიგმები.

კვლევის ამოცანაა: ლევან გოთუას პუბლიცისტიკის გაცნობა საზოგადოებისთვის, ახალგაზრდობისთვის, მწერლის შემოქმედებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ლევან გოთუას მიაჩნდა, რომ „შეგნებულ ერს თავისი მამული შეგნებულად უყვარს. ყოველი თაობა მუდამ მის დაცვაში, მოვლაში და ყოველმხრივ ძიებაშია. ამ მხრივ საქართველოს ბუნება, წიაღი თუ წარსულის ძეგლები მრავალ საკვირველებათა და თავისებურებათა უშრეტი წყაროა“ (გოთუა 1960:3).

სამშობლო ქვეყნის ნახვა, განცდა და გაცნობა დიდი საზრდოა გონებისა და გრძნობისათვის. თუნდაც მომავალი პუბლიცისტები, ჟურნალისტები, ვინც ეს-ესაა ეუფლება პუბლიცისტურ ოსტატობას, უნდა იცნობდნენ მის შემოქმედებას, ნააზრევს და სათანადოდ აფასებდნენ.

სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს ლევან გოთუას პუბლიცისტური ნააზრევის სრულყოფილ წარმოჩენას, არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით, საკვლევი საკითხის გააზრებას და გაანალიზებას. ამდენად, მეცნიერული კვლევის ობიექტია ყველაფერი, რაც ნაშრომის ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება, უწინარესად კი, ლევან გოთუას პუბლიცისტიკა და ის ეპოქა, რომელშიც მოღვაწეობდა

მწერალი, დაწყებული XX საუკუნის 20-ანი წლებიდან, 70-ანი წლებით დამთავრებული, როცა იგი გარდაიცვალა (1973 წ.).

კვლევის მეთოდები: სადისერტაციო ნაშრომის შესრულების პროცესში გამოვიყენე კვლევის თანამედროვე მეთოდები და მოდელები, ტექსტის გარკვეული მონაკვეთების ნარატოლოგიური (თხრობითი, ისტორიული წყაროები) ანალიზი. ტექსტისა და მკითხველის დამოკიდებულების წარმოსაჩენად ჩავრთე რეცეფციული ესთეტიკის მეთოდოლოგია.

წარმოდგენილი ნაშრომი ლევან გოთუას მრავალმხრივი შემოქმედების კიდევ ერთი განშტოების - **პუბლიცისტიკის მონოგრაფიულად შესწავლისა და მეცნიერული კვლევის პირველი ცდაა.**

მეცნიერული სიახლეა ის, რომ ნაშრომში, ლევან გოთუას შემოქმედების ესთეტიკური საფუძვლების გათვალისწინებით, წარმოდგენილია მწერლის პუბლიკაციების თანამედროვე თვალსაზრისით კვლევა. საკვლევი საკითხის ირგვლივ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში არსებულ ზოგად თეორიულ და მეთოდოლოგიურ შრომებზე დაყრდნობით, ისტორიულ-კულტურული განვითარების თავისებურებების გათვალისწინებით, განხილულია ლევან გოთუას მრავალმხრივი ესთეტიკური შეხედულებები.

მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს დასკვნები, რომლებიც მწერლის გადასახლებებსა და გადასახლების შემდეგ პერიოდში შექმნილი პუბლიკაციების შესწავლა-ანალიზის საფუძველზე გაკეთდა.

შეძლებისდაგვარად, ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი ლევან გოთუას ლიტერატურული აზროვნება. წინაა წამოწეული ყველა ის პრინციპი და დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს მწერლის პუბლიკაციებს. გაანალიზებულია და წარმოჩენილია ლევან გოთუას შემოქმედებითი პორტრეტი, ლიტერატურულ პროცესში მისი მონაწილეობის მასშტაბები, ძიების ჟინი, მრავალფეროვნებისადმი მიდრეკილება.

ძირითადი ამოცანები: ლევან გოთუას წერილების ყველა ღირსების წარმოჩენა და მათი შეფასება თანამედროვე კრიტერიუმების გათვალისწინებით;

ლევან გოთუას პუბლიკაციების მეშვეობით, მისი პუბლიცისტიკის მსოფლმხედველობის მეცნიერულად შესწავლა და იმ ხარვეზების შევსება, რაც ამ საკითხების კვლევასთან იყო დაკავშირებული;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლევან გოთუას, როგორც მასშტაბური პიროვნების, უკომპრომისო პუბლიცისტისა და საინტერესოდ მოაზროვნის სიღრმისეულად ჩვენება.

კვლევის მეთოდები: კვლევა წარმოებდა დიალექტიკური მეთოდების გამოყენებით (ლოგიკური მსჯელობა, არგუმენტაცია, ანალიზი, შედეგი).

პრაქტიკული ღირებულება: ლევან გოთუას შემოქმედების გამდიდრება-სრულყოფა მისი პუბლიცისტიკის მონოგრაფიული კვლევის შედეგების შემოტანით, რაც თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქართული ლიტერატურისა და მწერლობის ისტორიაში, სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისათვის განკუთვნილ მეთოდოლოგიურ ნაშრომებში, სახელმძღვანელოებსა და კრებულებში.

ნაშრომი დიდად წაადგებათ ლიტერატურათმცოდნეებს, ლევან გოთუას შემოქმედების მკვლევრებს, სტუდენტებს, მწერლის შემოქმედების დამფასებელ საზოგადოებას. მათ ახლებურად დაანახვებს ეპოქალური მწერლის შემოქმედებით პორტრეტს.

თავი 1. ადრეული პუბლიცისტური მოღვაწეობა

1. 1. „მე მშია სამშობლო!“ - ბარათები ვლადიკავკაზიდან და პირველი პუბლიკაცია

დაუღლელი მოგზაური და გამოცდილი მთამსვლელი, – ვინც ფეხით მოიარა საქართველოს ყველა ხეობა და უღელტეხილი, უცნობი გამოქვაბულების და ძველი სახიზრების აღმოჩენაში მრავალჯერ შემოაღამ-შემოათენდა... ვისაც „ობოლი საქართველო“ გულით დაჰქონდა და მის ბედ-იღბალს ძლიერ განიცდიდა...

ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის პართენ გოთუას დიდ და მრავალშვილიან ოჯახში ბავშვობიდან შეეჩვია მოგზაურობას, სამშობლოს ყოველი კუთხის და მთა-ველების განსაკუთრებული სიყვარული სწორედ მშობლებმა ჩაუნერგეს...

„...ბავშვობიდან მიყვარდა კლდეებთან ბრძოლა, საფეხურების ჭრა, თავქვეშ ბალიშის მაგიერ ქვის ამოდება და ფიქრი“, – წერდა მომავალი მწერალი (ჯიშკარიანი 2017:12).

გოთუების დიდ ოჯახში ხშირად უყვებოდა უმცროს და-ძმებს ზღაპრებს, ზოგჯერ თავის შეთხზულსაც, ხატავდა, ძერწავდა, ამ შემოქმედებით გარემოში დროდადრო თავისი პიესების მოქმედ პირთა ესკიზებიც იქმნებოდა... მისი ჭაბუკობის პერიოდი ახალი საუკუნის დასაწყისს და მოულოდნელ ცვლილებებს დაემთხვა, 13 წლის იყო, დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება რომ არგუნა ბედმა, მალევე ამ დამოუკიდებლობის სიმწარეც წამოეწია გზაზე... ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი და მისი ახალგაზრდული ფრთის ლიდერი, მონაწილეობდა 1924 აჯანყების მომზადებაში („საქართველო“, ენციკლოპედია).

აჯანყება დამარცხდა, მამა-შვილი პართენ და ლევან გოთუები კი დააპატიმრეს და 7 თვე ციხეში ამყოფეს... თბილისისა და მოსკოვის ციხეების შემდეგ, 1925 წელს, 19 წლის ლევან გოთუა ხელმეორედ დააპატიმრეს და 3 წლით სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში მიუსაჯეს პატიმრობა (გოთუა... 1995:49).

ლევან გოთუას კონტრრევოლუციური მუშაობა ედებოდა ბრალად, რაც გამოიხატებოდა ანტისაბჭოთა აგიტაციაში (არველაძე 2012:247). მას, როგორც საშიშ

პატიმარს, ბანაკში განსაკუთრებული ზედამხედველობა დაუწესეს. აქედან იწყება ლევან გოთუას წამების გზა...

მამამისმა თავის ნაცნობს, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომისიის მდივანს აბელ ენუქიძეს მიმართა. მისი ბრძანებით, 1927 წელს ლევან გოთუას სოლოვეცკის კუნძულებზე სატუსაღოდ გამოყენებულ მონასტერში პატიმრობა გადასახლებით შეუცვალეს, მაგრამ დარჩენილი ვადის განმავლობაში ეკრძალებოდა საზღვრისპირა და ექვს ცენტრალურ ქალაქში ცხოვრება.

ბონდრო არველაძე სწორედ ამ აკრძალვაზე ამახვილებს ყურადღებას, სუკი-ს მასალების გაცნობისას. ლევან გოთუას თანამებრძოლის, პოლიტპატიმარ ვაშაკიძის დახასიათებაში ჩაუწერიათ: ვაშაკიძეს არ დაუკარგავს აქტიურობა პატიმრობის დროს და რჩება თავის ანტისაბჭოთა პოზიციაზე. ამიტომ მისი ცხოვრება არ შეიძლება დიდ და საზღვრისპირა ქალაქებში. აქედან გამომდინარე, იგივეს გამეორება შეიძლება ლევან გოთუაზეც.

„ეტყობა, პატიმრებზე მეთვალყურეობას და „აგენტურულ“ დამუშავებას ჩეკა ბანაკშიც ინტენსიურად აგრძელებდა; ცდილობდა, მათში თავისუფლების სული ჩაეკლა. რაც მთავარია, ეროვნული თვითშეგნება წაეშალა და ჩვრად ექცია. ოჯახში, სამშობლოში დაბრუნებაზე ხომ ლაპარაკიც აღარ იყო. ზუსტად ასე აეკრძალა ლევან გოთუას პატიმრობის ვადის გასვლის შემდეგ ცხოვრება საზღვრისპირა და ექვს ცენტრალურ ქალაქში“ (არველაძე 2012:247).

ამ აკრძალვის გათვალისწინებით, მამასთან მოლაპარაკების შემდეგ და მისი რჩევით, საბოლოო არჩევანი ვლადიკავკაზზე შეჩერდა. 22 წლის ლევან გოთუა ვლადიკავკაზში ჩავიდა და ქართულ სკოლაში დაიწყო მუშაობა.

ოჯახმა ლევანისთვის საცხოვრებლად ვლადიკავკაზი შეარჩია სწორედ იმიტომ, რომ სამშობლოსთან ახლოს იყო. ლევანის მამა, ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე პართენ გოთუა უწინ ვლადიკავკაზში მოღვაწეობდა და იქ დიდი სანაცნობო წრე ჰყავდა. თავადაც ერთ დროს ვლადიკავკაზის საქალაქო სასწავლებელსა და ქალთა გიმნაზიაში ისტორიის, გეოგრაფიის, პედაგოგიკისა და მეთოდიკის მასწავლებლად მუშაობდა. 1899 წლიდან *კი* ვლადიკავკაზის ქართული სკოლისა და ქართული სათვისტომოს ფაქტობრივი ხელმძღვანელი იყო. მისი

თაოსნობით გაფართოვდა სკოლის შენობა, აშენდა თეატრის დარბაზი, შეიქმნა ქართველ მსახიობთა დასი და მომღერალთა გუნდი.

ვლადიკავკაზელი ნაცნობებიდან მღვდელი გიორგი ნათაძე ქართველთა სათვისტომოს ქართულ ეკლესიაში სწირავდა. გიორგი ნათაძემ ლევანი სიმონ ბურდულის სტუმართმოყვარე ოჯახს მიაბარა, რომელსაც მოგვიანებით მწერალი, როგორც სიკეთის ნავსაყუდელს, ისე იგონებდა. მამა გიორგის დაარსებული იყო ქართული კლუბიც, სადაც იქაური ქართველები იკრიბებოდნენ.

სწორედ ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში მუშაობის პერიოდში დაიწყო ლევან გოთუამ სერიოზული ლიტერატურული მოღვაწეობა. ვლადიკავკაზში ყოფნამ საგრძნობლად გარდაქმნა ჩემი ცხოვრება, დავეწაფე მწერლობას, დავწერე რამდენიმე მოთხრობა, ლექსი, პიესა, დრამაო, - წერდა მამას (გოთუა... 1995:93).

თავისუფალი გადასახლებიდან იღებს სათავეს მისი ლიტერატურული მოღვაწეობის ათვლის წერტილი, მთების სიყვარული, ალპინიზმში პირველი ნაბიჯები...

ლევან გოთუას და – თამარ გოთუა იხსენებს: „თავისუფალ გადასახლებაში ყოფნის დროს იალბუზზე ავიდა, შემდეგ გადმოვიდა სვანეთში და დალაშქრა აილამა. ფარულად დადიოდა დარიალის ხეობაში. ამ პერიოდში დაწერა მან პოემები: „ქურდი დარიალში“ და „თითქოს ნაყაჩაღარი“. ოცდაათიანი წლებიდან ხშირად მონაწილეობდა ალპინისტურ ექსპედიციებში. უყვარდა მოგზაურობა, მიუხედავად აკრძალვისა. შემოიარა ქუთაისი, რაჭა-ლეჩხუმი, თბილისშიც კი მოახერხა ჩამოსვლა, დადიოდა მარტო, მოგონილი ოსური გვარით (ცაბოლაშვილი)“... (კობიაშვილი 1996:255).

ლევანს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა, იგი ჯერ ყიზლარის, შემდეგ ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში მასწავლებლობდა. კვირაში ერთხელ კი, დანიშნულ დროს, „ჩეკაში“ ცხადდებოდა, რომ კვლავ არ დაეპატიმრებინათ.

ერთ დღეს მამამ შვილებს გაზეთ „კომუნისტის“ ის ნომერი აჩვენა, სადაც ლევან გოთუას სტატია იყო დაბეჭდილი ვლადიკავკაზის სკოლაზე და ქართული კოლონიის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, იქაურ აღზრდა-განათლებაზე... დეტალურად იყო გარჩეული ეკონომიკური საკითხებიც. წერილს ხელს აწერს ვლადიკავკაზის ქართული სკოლის მასწავლებელი: ლ. გ-ა.

„ხმა კავკავიდან“, - ასე ჰქვია ამ წერილს, რომელიც თავიდანვე ავტორის გულისტკივილით იწყება - თურმე ვლადიკავკაზში რომ ქართული მოსახლეობა ცხოვრობს, საქართველოში ბევრისთვის უცნობი ყოფილა.

„საქართველოში ბევრმა არც კი იცის, არის თუ არა კავკავში ქართული მოსახლეობა. მის საჭირბოროტო საკითხების ცოდნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. საერთოდ, ჩრდილოეთ კავკასიაში ქართველების რაოდენობა აღწევს 6 000 სულს. უმრავლესობას მოხევეები და მთიულები შეადგენენ, რომელნიც უმიწაწყლობას გამოუტყორცნია საქართველოდან. ისინი ეწევიან მებაღეობას და მებოსტნეობას, მუშაობენ დღიურ სამუშაოზე და სხვ. ერთი ნაწილი ეკონომიურად უაღრესად ღარიბი ელემენტია. ზოგნი მისდევენ ხელოსნობას: მექუდეობა, მეუნაგირეობა, ოქრომჭედლობა, მეპურეობა და სხვ“ (ლ. გ-ა. 1927:5).

კორესპონდენცია მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქართული ახალშენის ცხოვრებიდან, რომ თურმე ვლადიკავკაზის ქართველობა, განათლების თვალსაზრისით, მოიკოჭლებს. ავტორი ამის მიზეზს ხსნის.

„შეიძლება ითქვას, რომ 60 პროცენტი ქართველების ხელშია. ქ. კავკავში არის ერთი უბანი (შალდონი), სადაც უმრავლესობას ქართველები შეადგენენ.

ეკონომიური უსახსრობის გამო აქაური ქართველები განათლების მხრივ ჩამორჩენილი არიან. გვაქვს ქართული კულტურული დაწესებულებანი, რომლებიც შეძლებისდაგვარად ეწევიან კულტურულ - განმანათლებელ მუშაობას. გვაქვს პირველი საფეხურის სკოლა, სადაც სწავლა სწარმოებს ქართულ ენაზე. სკოლაში გასულ სამოსწავლო წელში ირიცხებოდა 350 მოწაფე. დიდი ხანია შვიდწლედის გახსნის საკითხი სდგას, მაგრამ ადგილობრივ განათლების განყოფილებას არ მოეპოვება ამისთვის საჭირო თანხები, კარგი იქნებოდა, რომ საქართველოს განათლების კომისარიატი დაგვეხმარებოდეს ამ საქმეში“ (იქვე).

წერილიდან ვიგებთ, რომ სკოლის შენობაში მოთავსებულია ქართული კლუბი და თეატრის დარბაზი, მოწყობილია სამკითხველო და წიგნთსაცავი, მოქმედებს სხვადასხვა წრე. მაგ. დრამატული წრე კვირაში ერთხელ მართავს ფასიან ან უფასო ქართულ წარმოდგენებს, არის ლიტერატურული წრე, ჭადრაკის წრე, ახალგაზრდათა სექცია, „ახლა გაიხსნა ჭრა-კერვის სასწავლებლები, სადაც 40 მოწაფე ქალი უფასოდ სწავლობს ჭრა-კერვას“ (იქვე).

კორესპონდენციიდან ვიგებთ, რომ კავკავის ქართული ახალშენი ჩრდილოეთ კავკასიის ქართველობის კულტურული ცენტრია. ასევე, გვაწვდის ინფორმაციას კლუბზე, რომ ის ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მხოლოდ წარმოდგენებისგან მიღებული ძალიან მცირე თანხით არსებობს.

„ქ. კავკავის ქართული ახალშენი კულტურული ცენტრია მთელი ჩრდილოეთ კავკასიის ქართველ მოსახლეობისათვის, რომელიც ბლომად არის გაფანტული, მაგ. გროზნოში, ნალჩიკში, მოზდოკში და სხვ. იგი კულტურული ცენტრია მთელი ხევისათვის და ნაწილობრივ მთიულებისათვისაც. ხევსა (ყაზბეგის რაიონი) და კავკავს შორის არსებული გეოგრაფიული პირობების გამო დიდი ურთიერთობაა. განსაკუთრებით ზამთარში, როდესაც სამხედრო გზა იხურება და ხევი ირიყება დანარჩენ საქართველოსაგან.

ვგონებ, დროულია, რომ საქართველოს კულტურულმა დაწესებულებებმა და განათლების კომისარიატმა მეტი ყურადღება მიაქციონ კავკავის ქართულ ახალშენს და მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ მის მიმართ“ (ლ. გ-ა. 1927: 5).

კორესპონდენცია „ხმა კავკავიდან“ არა მხოლოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ვლადიკავკაზის ქართულ სათვისტომოზე, არამედ აქ მთავარია თავად ფაქტი, რომლის მიხედვითაც მკითხველი ეცნობა იქაურ პრობლემებს. ავტორის, როგორც პუბლიცისტის, ტენდენცია კი ვლინდება სათაურშივე, ეს არის ხმა კავკავიდან, რომელიც უნდა მისწვდეს ქართულ საზოგადოებას, გამოაფხიზლოს და თვალი და ყური სწორედ იქით მიმართოს, სადაც უნდათ ქართული საქმის კეთება და თანადგომის გარეშე უძნელდებათ მრავალი პრობლემის მოგვარება...

წერილს ხელს აწერს ლ. გ-ა. ინიციალები შემთხვევით არ აწერია ამ კორესპონდენციას, თავისუფალ გადასახლებაში მყოფი ლევან გოთუა სრულად გვარ-სახელს ვერ მოაწერდა, ჩეკაში აღრიცხვაზე აყვანილს ქალაქიდან გასვლის უფლება არ ჰქონდა.

ვინაიდან თავიდან ქართულ სკოლაში ადგილი არ იყო, ლევან გოთუამ ჩეკასთან შეთანხმებით ყიზლარის ქართულ სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი გადავიდა ვლადიკავკაზში.

ორი წლის განმავლობაში ქართულ სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა, წერდა ნარკვევებს, ლექსებს, ნოველებსა და პიესებს. თამაშობდა ჭადრაკს

და ქალაქის ჩემპიონობაც კი მოიპოვა. ქალაქის კლუბში მალე გაითქვა სახელი, ხატავდა, ძერწავდა...

ოჯახში გამოგზავნილი ბართებიდან ჩანს ის ტკივილი, რასაც ლევან გოთუა განიცდიდა თავისუფალ გადასახლებაში. 1927 წლის 20 ოქტომბერს მამას სწერს, რომ უკვე მუშაობს ვლადიკავკაზის ქართულ სკოლაში, ბინაც მისცეს უფასოდ. მალე ჯამაგირს აიღებს, ვალებს გაისტუმრებს და ახალ ტანსაცმელსაც შეიკერავს. მამას იმასაც აცნობებს, რომ ხშირად მართავენ წარმოდგენებს, საღამოებს და რომ სამკითხველომ მიიღო მრავალი ახალი ქართული წიგნი. „საერთოდ, ქართულ კოლონიას კვლავ გამოცოცხლება ეტყობა, მე, რა თქმა უნდა, ვეხმარები მათ, რაც შემიძლია“ (გოთუა... 1995: 83).

წერილიდან ვიგებთ, რომ რეგისტრაციაზე ძველებურად დადის ჩეკაში, ყოველ თვეში ერთხელ დაკითხვაზეც უნდა იაროს. „მათ არ მოსწონთ, მე რომ ქართულ სკოლაში ვარ, მაგრამ არ უშავს რა. ვეცდები, თუ ნებართვა მომცა ადგილობრივმა ხელისუფლებამ, არდადეგებზე დროებით მაინც თბილისში ჩამოვიდე. ყველა ძალიან მომენატრეთ“ (იქვე).

ეს წერილი 20 ოქტომბრით თარიღდება. აგვისტოში გამოგზავნილი წინა კორესპონდენციისგან განსხვავებით, საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართული ახალშენის შესახებ, რომ კოლონიას კვლავ გამოცოცხლება ეტყობაო. არ არის გამორიცხული, „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა ლევან გოთუას წერილმა შედეგი გამოიღო და მამასთან ლევანის გაგზავნილ წერილშიც უკვე იმედის ნაპერწკალი იგრძნობა - „სამკითხველომ ბევრი ახალი ქართული წიგნი მიიღო“... „მე, რა თქმა უნდა, ვეხმარები მათ, რაც შემიძლია“ (გოთუა... 1995:83).

სიმონ ჯანაშიას არქივში დაცულია ლევან გოთუას ხუთი ბარათი, რომლებიც 1927 და 1929 წლებით თარიღდება. ბარათები სწორედ ქართული სკოლის, ქართული ახალშენის საქმიანობისა და, ზოგადად, იქაური ქართული საქმის შესრულების მიზნითაა დაწერილი...

პირველი წერილი 1927 წლის 17 აგვისტოს არის გამოგზავნილი. 22 წლის ლევან გოთუა 27 წლის სიმონ ჯანაშიას გულს გადაუშლის და ვლადიკავკაზში ქართულ საქმეთა თანამდგომად მოიაზრებს. არა მარტო თავისი სახელით, არამედ ქართული სკოლის მასწავლებლების დავალებით წერილს უგზავნის მას, ვითარებას აცნობს, რომ

შვიდწლედი ვერ გახსნა, მაგრამ სკოლის ნაწილობრივი გაფართოება მაინც მოხერხდება, რამდენიმე პარალელური ჯგუფი შეემატებათ.

„...ამის გამო, ჩვენ, იძულებულნი ვართ, მოვნახოთ ახალი მასწავლებლები, აქ, ადგილობრივ, საჭირო კანდიდატებს ჩვენ ვერ გამოვნახავთ, არც საქართველოს განათლების კომისარიატს გვინდა მივმართოთ, რადგან ისინი თუ გამოგზავნიან, არა ისეთებს, როგორც ჩვენ გვინდა. გადავწყვიტეთ, ისევ კერძო ნაცნობობით გამოვნახოთ ჩვენთვის გამოსადეგი მასწავლებელი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი პირობები განსაკუთრებულია და ყველა, თუნდაც კარგი მასწავლებელი ვერ შესძლებს აქ მუშაობას. ჩვენ პირობებში პირველად უნდა იყო საზოგადო მოღვაწე, მხოლოდ შემდეგ მასწავლებელი“ (ჯაფარიძე1995:9).

ლევანი სთხოვს სიმონ ჯანაშიას, გამოუნახოს ერთი ან ორი სტაჟიანი მასწავლებელი, რომელსაც „თან საზოგადოებრივი მუშაობაც უნდა ეხერხებოდეს“...

„აქ კარგი მასწავლებლების გამოგზავნა, სკოლის და საერთოდ კულტურულ-განმანათლებელ საქმის კარგად დაყენება - ეროვნული საქმეა. ეს უნდა ახსოვდეს ყოველ ქართველს“ (იქვე).

ამ წერილის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება ლევან გოთუას მისწრაფება - ვლადიკავკაზში ემსახუროს ქართულ საქმეს. ამავე დროს, ვიგებთ იმასაც, რომ სიმონ ჯანაშია ეხმარება ვლადიკავკაზის ქართულ ახალშენს. სწორედ იგია შუამავალი ლევან გოთუასა და ქართულ საზოგადოებას შორის. მეორე წერილიდან ვიტყობთ, რომ მასწავლებლები უკვე იშოვეს და ლევანი ქართული ლიტერატურის გადაგზავნას ითხოვს. იგი ასევე საბეჭდი შრიფტის შესახებ შეახსენებს მეცნიერს.

„ჩვენ გასულ ზამთარში ვწერდით ელიავას და განათლების კომისარს, რა თქმა უნდა, პასუხი არ მიგვიღია. მწერალთა ჯგუფი როცა იყო კავკავში, მათაც გადავეცით განცხადება, საჭირო ინსტანციებში გადასაცემად. მაგრამ მათი სიტყვანი და დაპირებანი მეტად „პოეტურნი გამოდგნენ“ და მათი საქმისა ჯერ არაფერი არ გვსმენია“ (ჯაფარიძე 1995:3).

„პავლე ინგოროყვას თუ ნახავთ შემთხვევით, მოაგონეთ მას კავკაველების განცხადება“ (იქვე).

პავლე ინგოროყვა იმ დროს გამომცემლობა „ქართულ წიგნს“ ხელმძღვანელობდა. როგორც ჩანს, საბეჭდი შრიფტი გაზეთისა და წიგნების გამოსაცემად სჭირდებოდათ.

6 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში იგი მადლობას უხდის სიმონ ჯანაშიას წიგნების გაგზავნის გამო, მაგრამ საბეჭდ შრიფტზე არაფერია ნათქვამი:

„ბ-ნო სიმონ! ორი დღის წინათ მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების გამოცემანი - 2 წიგნი. სკოლის საბჭომ დამავალა, მომეწერა თქვენთვის გულითადი მადლობა მზრუნველობისათვის. გთხოვთ, მადლობა გადასცეთ საზ-ბის დანარჩენ წევრებსაც. იმედია, ამის შემდეგაც, რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად, მოგვაწოდებთ თქვენ ახალ გამოცემებს და მათ გავაცხოველებთ და დავამყარებთ მუდმივ კავშირს საისტ. და საეტნ. საზ-ბის და კავკავის ქართულ სკოლას შორის“ (იქვე).

1929 წლის 12 მაისს გამოგზავნილ წერილში ლევან გოთუა სიმონ ჯანაშიას ატყობინებს, რომ ძაუგის ოსების ინტელიგენცია დაინტერესებულია პროფესორ გიორგი ახვლედიანის გამოკვლევებით ოსური ენის შესახებო.

„ქ. ძაუგის ოსურის ინტელიგენცია ფრიად დაინტერესებულია პატ. პრ. ახვლედიანის გამოკვლევებით ოსურ ენის შესახებ. მხოლოდ ამ ნარკვევების რუსული (ოსურზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) თარგმანები მათ არ მოეპოვებათ... ამ მიზნით ოსმა მეცნიერმა - ალბოროვმა, რომელმაც პატ. პრ ახვლედიანისგან მიიღო ცალკე ამონაბეჭდები, მიჰმართა მღვდელ გ. ნათაძეს (რომელსაც თქვენ იცნობთ), რათა მას გადაეთარგმნა რუსულად ზემოთ ხსენებული ამონაბეჭდები. გ. ნათაძემ ზოგი თვით გადასთარგმნა, ხოლო მეტი მე გადმომცა გადასათარგმნად, რაც მე შევასრულე. ვთარგმნიდი რუსულად ტექსტს, ხოლო ოსურ მაგალითებს (ქართულ ასოებით დაწერილს) ვწერდი ოსურ (ლათინური აქვთ გამოყენებული) ასოებით“ (ჯაფარიძე1995: 9).

ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ოსები იმ პერიოდში ლათინურ დამწერლობას იყენებდნენ... ასე რომ, ლევან გოთუას იმ პერიოდში მოუხდა თარგმნა, როცა ლათინიზებული ანბანი მოქმედებდა ვლადიკავკაზში.

ვლადიკავკაზში ლევან გოთუას მუშაობის პერიოდს ასე იგონებს იქაური ქართველი ნინო ელერდაშვილი: „1927-29 წლებში სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. კლასში, გაკვეთილებზე, წყნარი, დინჯი საუბრით, გონივრულად შერჩეული მასალით მოსწავლეებს აჯადოებდა. ქართული ლიტერატურა

და საქართველო ლევანმა ბავშვებს იმდენად შეაყვარა, რომ 1990-იან წლებში ბევრი ქართული ოჯახი გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად“ (გოთუა...1995:80).

ნინო ელერდაშვილის თქმით, ლევანი გატაცებული იყო მწერლობით, ხატვით, ბუნების სიყვარულით, ნადირობით და მთამსვლელობით. დარი თუ ავდარი მისთვის არ არსებობდა, ყოველ შაბათ-კვირას, გაკვეთილების შემდეგ, ჩანთამოკიდებული გაუძღვებოდა წინ მოსწავლეებს, მასწავლებლებს და ზოგჯერ ხანდაზმულ მშობლებსაც. ასე შემოიარეს ქალაქის შემოგარენი...

„ლევანს ძალიან უყვარდა ახალგაზრდები და დიდ იმედებს ამყარებდა მათ მომავალზე. ჩვენს ოჯახში ხშირად დადიოდა, გვიკითხავდა თავის პატარ-პატარა მოთხრობებს და ლექსებს, რომლებიც ზოგჯერ მონახაზის სახით ჰქონდა“ (გოთუა...1995: 81).

30-ან წლებში, საბჭოთა რეჟიმის საშინელ პირობებში, სული ეხუთებოდა... რეპრესიების და დაუნდობლობის უმძიმეს ხანაში მთამსვლელობა იყო მისი ერთადერთი თავშესაფარი, სადაც თავისუფლად გრძნობდა თავს. უყვარდა საქართველოს ყველა კუთხე და ვაჟას მინდიასავით გრძნეული და მიუსაფარი, შორეული საკონცენტრაციო ბანაკებმოვლილი, მთებს და ბუნებას ესაუბრებოდა... მალულად, ჩუმად შემოიპარებოდა ხოლმე სამშობლოში და ასევე მალულად ბრუნდებოდა უკან. ხელფეხშებორკილი იყო იქ, სადაც ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრება და გაცემა ელოდა... მხოლოდ ბუნება და მწვერვალები გამხდარიყო მისი ნავსაყუდელი...

საზღვართან სხვანაირად ტკბილი იყო საქართველოს მიწა... სულ სხვანაირი, „უფრო სხივოსანი იყო მზე საქართველოსი“... აქ, ამ ბუნებაში, სევდა იპყრობდა:

„უიმედობა... მარცხის მოლოდინი. ნუთუ ჩვენი ხვედრია კიდევ... და ძველებურად მიგორავს თერგი“ (გოთუა... 1995:100).

„დავდივარ დევნილი და მათუსალა“, მინდა ვიტირეო...

„მოჰკალი ჩემი სიამაყე,

მინდა ვიტირო...

ო, ო, ეს თვალები დასანაყი, მარტო, მტვერია,

აღარ მსურს ვიყო გმირი ნაქები,

ცრემლი მომინდა“ (გოთუა... 1995:105).

ჩეკადან ყველანაირად ავიწროებდნენ. თავისუფალი გადასახლების ვადას, რომელიც 1928 წლის ზაფხულში უთავდებოდა, კიდევ სამი წელი დაუმატეს, მერე კი, როდესაც სარატოვის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა, უარი უთხრეს, ქალაქიდან ქალაქში გადასვლა აკრძალულია, ვადის დამთავრებამდე ვერსად წახვალთო.

ამ პასუხის შემდეგ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა: ჩეკაზე მიჯაჭვული თითქოს გისოსებში იჯდა. ასეთ პირობებში მის სამომავლო ოცნებებს და მისწრაფებებს ახდენა არ ეწერა. „მიუღწევლობით გამოწვეული შინაგანი წუხილი“ ნიჭითა და ენერგიით აღსავსე 22-23 წლის ლევან გოთუას გულის ფიცარს უნგრევდა - რა დავაშავე ამისთანა ცხოვრებაში, რომ ვეღარ დავაღწიე თავი ჩეკასო.

„მე ერთი ვადა უკვე დავამთავრე და მეორეს მამთავრებინებენ, რა ვქნა, როგორ მოვიქცე, როდესაც საყვავეთი ზეიმობს ირგვლივ. ჩემს სამშობლოზე ჯალათები და ყვავ-ყორნები მტრულად დაბორიალობენ და დაძრწიან, არც გაზაფხული და არც მარცხის მძლევი მერცხლები არსად ჩანან, და არც ახლო მომავლის იმედი მაქვს“, - წერდა ლევანი (გოთუა... 1995:100).

ასეთ ვითარებაში სხვა გზა არ რჩებოდა, იმის გარდა, რომ ლიტერატურას ჩაღრმავებოდა და ეწერა... მამაც ამას ურჩევდა. მაგრამ ვლადიკავკაზსა და ბიისკის ოლქში გადასახლების დროს სულ ადრეული ახალგაზრდობის პერიოდში დაწერილი ლექსებისა და მოთხრობების უმრავლესობა განადგურდა „ხშირი ჩხრეკისა და სხვადასხვა მიზეზისა და გარემოებების გამო“ (გოთუა... 1995:81).

საქართველოს ეროვნულ არქივში შემონახულია თავისუფალი გადასახლების პერიოდის რამდენიმე ხელნაწერი, მოთხრობები და ესკიზები, დაწერილი ძაუგსა და ყიზლარში.

ნიშანდობლივია ესკიზი, სადაც გადმოცემულია სამშობლოდან განდევნილი ახალგაზრდა მწერლის შემაძრწუნებელი განცდა.

„ქარი უმთვარო“ 1930 წელს დაიწერა. ხელნაწერს „ყიზლარის ველები, ქართული სოფელი“ აწერია. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ესკიზში მოქმედება უმთვარო, ქარიან ღამეში მიმდინარეობს. აქ არსებითი სიუჟეტი კი არ არის, არამედ გადასახლებაში მყოფი ლევან გოთუას განცდები, რომელსაც სამშობლოში ჩამოსვლა აუკრძალეს. კითხულობ და უმთვარო ქარიანი ღამის საშინელი სურათი იშლება...

„ქარის თითები“ „სარკმლის მინას ჰკაწრავს“... და ამ ღამეს ადამიანი და უპატრონო ძაღლი ერკინებიან.

„რათ გამათრია ამ ქარმა გარეთ... პატრონი ძაღლსაც არ გააგდებდა - მე... თავი გავაგდე ჩემი - თუმც... მე ხომ პატრონი არა მყავს. უპატრონო ვარ... ვერანი. თუ ქარია... უმთვარო ქარი ჩემი პატრონი“ (სუიცა, საქმე №304:2).

მთელი განცდა „საზარელ ქარზეა“ გადატანილი, ესკიზში ორჩახმახიანი თოფიც ჩნდება, რითაც მთავარი პერსონაჟი კლავს ქუჩაში მიგდებულ უპატრონო ძაღლს, რომ ტანჯვისგან გაათავისუფლოს. „მე... მე მოვკალი ძაღლი უპატრონო... მეც მომკლავდეს ასევე ვინმე“ (სუიცა, საქმე №304:7).

დეპრესია და საშინელი მელანქოლია, სასოწარკვეთა სოლოვკების მონასტრიდან დაბრუნებულ ლევან გოთუას გამუდმებით უღრღნის გულს - აქვე, ახლოსაა სამშობლო და მისი ნახვის საშუალებას არ აძლევენ, სწავლის გაგრძელება უნდა და ამასაც უკრძალავენ. თუმცა 25 წლის ლევან გოთუა მაინც ახერხებს ძალების მოკრებას და მთელ ენერგიას ქართული საქმისკენ მიმართავს...

სოლოვკებში კონსტანტინე გამსახურდიაც იყო გადასახლებული. 1926 წლის 13 ნოემბერს იგი სასოწარკვეთილი წერდა ელენე ბაქრაძეს (დარიანს): სიკვდილი სანატრელი გამიხდა, არა მგონია, ქართულ ლიტერატურას დავუბრუნდეო.

„რა დამრჩა მე მონასტრის გადაღმა. მოხუცებული დედა, ერთად ერთი ჩემი საწუხარი და ორი-სამი ძმა, რომელთათვისაც მე ზედმეტი ტვირთი ვარ ცხოვრებაში. მე მათ მხოლოდ მწარე სიტყვით მივმართავდი, სხვა არაფერი. დანარჩენი მირასი და მოგონებებია“ (სიგუა 2003:130-131).

სოლოვკებიდან თავისუფალ გადასახლებაში დაბრუნებული ლევან გოთუაც სასოწარკვეთილია, ოღონდ თავისი წინამორბედისგან განსხვავებით, ვლადიკავკაზში ჩამოსულმა ნავსაყუდელი მწერლობასა და მოგზაურობაში ჰპოვა.

ახლოს, ერთი ხელის გაწვდენაზეა სამშობლო და სამშობლოში არ უშვებენ... სულს უნებური ამონაკვნესი აღმოხდება: „მეც მომკლავდეს ასევე ვინმე“ (სუიცა, საქმე№304:2), მაგრამ ეს მხოლოდ წამიერი სასოწარკვეთაა... სული მაინც კავკასიონის მთებივით ინარჩუნებს სიმტკიცეს.

ესკიზი „მრუმი ტიალი“ 1930 წელს დაიწერა ყიზლარის ველების ქართულ სოფელში. ლევანი ურმით მიდის იმ ქართული სოფლისკენ, სადაც მასწავლებლად უნდა

იმუშაოს. გზადაგზა ყიზლარის ველებია და მის თვალსაც ბუნების სურათები იტაცებს. საყურადღებოა, როგორ აღწერს ლევან გოთუა ყიზლარის ველებსა და მდინარე თერგს, რომელიც აქ მიედინება.

ლევან გოთუას უკვირს, როგორ უსულოდ ქცეულა „ჩალიანებში ამომხრჩვალი“ თერგი და დარიალის ხეობის თერგთან შედარებით გასხვავებულია.

„გიკვირს: ეს თერგია - დარიალანში რომ დაღრიალობს?! ჰნანობ: თერგი - ცხედარია აქ - უსულო... თერგი - ტალახია და ნაჭაობარი... თერგი - ფიქრი თუა უფიქრულში რომ ჩაიფლება, გადაგვარებაა თერგი... ჯიშის დაკარგვაა... იგი: ჯოჯოა უფრო, ტალახებში რომ მიზარმაცებს... რომ იბერება: ფუყედ... უმსგავსოდ... უხალისოდ“ (სუიცა, საქმე №304: 24).

იგი უშუალოდ თერგს ებაასება, პასუხს ელის მისგან, რატომ დაკარგა სიზვიადე და დაუდგრომლობა? სად დაკარგა ქართული გული?...

„თერგო! შენა ხარ ნუთუ?! სად არის შენი სიზვიადე? დაუდგრომლობა? უბადლო აღტკინება?! თერგო, შენა ხარ ნუთუ?! ვიმზერ... შენ ტანში... დამანახე გული -ქართული. მაუბნე მთის სიავკარგე. თერგო! არ გესმის... თერგო, ნუთუ ვეღარ მცნობ მწირ მოხეტიალეს (სუიცა, საქმე №304: 24).

„სდუმხარ?! თერგო! ვეღარა მცნობ?! იქნებ შენ არ ხარ თერგი... ეჭვი შემდის... ეჭვი მეზიდება! იქნებ შენ სხვა ხარ... გამოცვლილი... გაყალბებული?! ფიც-განატეხი... ძმათ-ნაფიცთ შორის - მოღალატე?! სდუმხარ?! ისევ სდუმხარ?!“ (სუიცა, საქმე №304: 24ბ).

ლევან გოთუა ილიასეულად მძაფრად განიცდის თერგს. თუ ილია თერგისა და მყინვარის შედარებით ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითად პრინციპს გამოხატავს, სამშობლომონატრებულ ლევან გოთუასაც ერთი სული აქვს, მქუხარე თერგი იხილოს. ლევან გოთუას, ილიას მსგავსად, ისეთი ქართველობის ხილვა უნდა, რომელიც მთებში მქუხარე თერგივით, ფხიზელი, ენერგიული, შეუპოვარი და ზნეობრივი იქნება... რომელსაც ქართული გული ექნება, ქართული ცისა და მიწის სურნელი დაჰყვება. და რომელსაც თავადაც მწირი მოხეტიალე სულს გადაუშლის. ობოლი და მიუსაფარია უცხო, უსახურ სტეპებში სული!

ესკიზს რეფრენად გასდევს: „ოო, საქართველოვ! რომ იცოდე, როგორ მომშივდი... მომწყურდი რა-რიგ. იცი განა არ... შენ არ შეჰკვანძე ამ გვარ ჩემი ფანდური... რომ: ყოველ დაკვრის ჟამს სისხლი დაედინოს... შენ არ ამიცარ ამ გვარ ენა... რომ: მთის ნიავთან

ვსთქვა საუბარი... ბარის ჩამიჩუმს - მოუსმინო ... დანჩქერის - ანჩხლი - გავიგონო ჭმუნვა... ცისარტყელების ფერებზე: ვსთქვა მომავალი... უღრან ტყეში - შევიფარო ზრახვა ნაჩუმარი... ქალაქის საყვირს რომ მოვსთხოვო ქართული კილო. ო, საქართველოვ! რა რიგ მომშივდი, მომწყურდი რა რიგ!“ (სუიცა, საქმე №304:32ბ).

ლევან გოთუასთვის, თერგის მსგავსად, კავკასიონი მთების უბრალო ჯაჭვი როდია. მისი მწვერვალები და სამყარო ქართულია და მშობლიური. ვლადიკავკაზის სტეპებში, როცა შორს კავკასიონს დალანდავს, ნოსტალგია უფრო მძაფრდება...

„დაისის წირზე აქარგული ტეხილი ხაზი... ოდნავ სამზერი... ქედის წიაღში!! კავკასიონი!! გულმა ტკივილი იგრძნო და ზიდვა კავკასიონი!! სისხლს ალბად, სითბო შეემატა და სიწითლე... კავკასიონი!! ო, საქართველოვ! რა რიგ მომშივდი, მომწყურდი რა რიგ“ (სუიცა, საქმე №304:28).

„გულშიც: სიცივეა და სიმშილი... მე მშია სამშობლო... გუმანიც იქაა... შოორს... ამ მრუმის მიღმა“ (აქვე).

კავკასიონი ლევან გოთუასთვის სამშობლოს სურნელს ატარებს და მონატრების განცდას უქარვებს, იმავდროულად.

ვლადიმერ ნორაკიძე იხსენებს: როცა ერთ-ერთი ფსიქოლოგიური საუბრის დროს, მწერალს სთხოვეს, სწრაფად, მოუფიქრებლად გადმოეცა პირველი წარმოსახვა, რომელიც მას გაუჩნდებოდა ქაღალდზე დახედვისას, ლევან გოთუამ უპასუხა:

,,მე ვხედავ კავკასიის ქედს, ჩამოსულ ფირნის ველებს, საძოვრებს. უფრო ქვემოთ კი კლდეებია, ერთ ადგილას ჯაჭვი ჰკიდია გამოქვაბულის თავზე... ქარი როცა დაუბერავს, ჯაჭვი გაიჟღარუნებს, ქვემოთ, ფერდობზე ჩანჩქერია, მისი შხეფები ძლივს სწვდებიან ძირს. როცა ქარი დაუბერავს, ამ შხეფების ნაკადს გააფრიალებს, როგორც ღრმა მხცოვანის წვერს და მე მესმის ჩურჩული‘‘ (ნორაკიძე1976: 36).

ვლადიმერ ნორაკიძის განმარტებით, მწერლის ეს ხედვა იმას მიანიშნებდა, რომ იგი ღრმად, ინტიმურად განიცდიდა ბუნებას და მასთან დიდ სიახლოვეს გრძნობდა. ასე რომ, ლევან გოთუა არა მხოლოდ ბუნების საიდუმლოების განმცდელი ადამიანია, არამედ მისი პიროვნული ხასიათის ნიშნებიც იხატება.

აკაკი ბაქრაძის ანალიზით კი, ამ ფსიქოლოგიური საუბრის დროს ლევან გოთუა ილიას ,,განდეგილისა‘‘ და ,,აჩრდილის‘‘ სურათებს ხედავს. ,,მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა‘‘... ფსიქოანალიტიკოსები ამბობენ თურმე – ასეთი

ექსპერიმენტები იმით არისო საინტერესო, რომ ავლენს პიროვნების ყველაზე ინტიმურ, ხშირად ფარულ, არაცნობიერ მისწრაფებებს“ (ბაქრაძე 1981:5).

იქნებ სწორედ ეს არაცნობიერი მისწრაფებები ადრეული ჭაბუკობიდანვე სჭვალავდა ლევან გოთუას პიროვნებას, როცა სამშობლოსგან მოშორებულს, ვლადიკავკაზში, სამშობლოს სახება მოანატრეს. გაუნელებელ ნოსტალგიას ღრმა სულიერი ჭრილობაც ემატება - თავისუფალ გადასახლებაში ყოფნის ვადას სამ-სამი წლით უხანგრძლივებენ! ლევან გოთუას ფანდურს ყოველი დაკვრის ჟამს სისხლი დასდის, სამშობლოს წყურვილს მოუცავს მთელი მისი არსება...

„თითქოს ნელი წამებით სიკვდილი მაქვს მისჯილი და მე ამ წამების ხანგრძლივ გზას სამ-სამწლიანი სიჩქარით გავდივარ კიდეც“ (გოთუა... 1995:105).

ვერ აიტანა რეჟიმის უსამართლობა, დიდი უიმედობით შეპყრობილმა, რამდენიმე მეგობართან ერთად გაქცევა სცადა იმ საშინელი წყობისგან, „რომელიც დღითიდღე უსპობდა სიცოცხლეს, ხელყოფდა მის პიროვნებას, ხასიათის სიმტკიცეს“ (გოთუა 1995: 105), მაგრამ ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა - ჭოროხის გადაცურვისას, საზღვარზე, გამცემის „წყალობით“, შეიპყრეს და ისევ გადასახლებაში უკრეს თავი... წინ ნარიმისა და ბიისკის ყინულეთი ელოდა... მეორე გადასახლებაში უიმედობამ ერთიანად შეიპყრო, სევდის ურემი მიგორავს და მიგორავსო... - წერდა.

„მუმლი მზეს!

მუმლი მზეს!

მუმლი მზეს!

ესევა, ესევა, ესევა“ (გოთუა 1995:138).

„...მარტო ვარ,

მარტო ვარ,

მარტო ვარ,

მიშველე! მიშველე! მიშველე!“ (გოთუა 1995:139).

ასეთ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ლექსში „გზა-წიწამური“ ილია ჭავჭავაძეს ეძებს, სად ხარ, მშობელო, მითხარი რამეო... „ჩემი გზაც ისევ წიწამურია... და მიმიღია ტანჯვა ესოდენ“ (გოთუა 1995:153).

სიტყვა „მშობელს“ შემთხვევით როდი ხმარობს ლევან გოთუა. აქედანაც ნათლად ჩანს, რომ იგი თერგდალეულების და, უწინარესად კი, ილია ჭავჭავაძის თანამოაზრე და

მისი გზის გამგრძელებელია. მწუხარებასთან და ბედის კივილთან მარტო დარჩენილმა იცის, რომ ეს ტანჯვა-წამებაც ისევ რაინდული ცხოვრებით უნდა გადალახოს. ამიტომაც აქვს მის სტრიქონებს სარგის თმოგველის ძალა და რაინდობა.

„და გადახვალ ამაყად, როგორც სარგის თმოგველი...

.....

ამ ობოლ სიმღერებით ვინმეს აზრით აავსებ,

ვინმე გულზე ატეხილ წყაროს დაეწაფება.

ცხოვრება რაინდული წილად აიქანდაკე

და წამებას აიტან რაღაც თავდავიწყებით“ (გოთუა 1995:141).

მაშინ, როდესაც შორს დარჩენილ და მისთვის დაპყრობილ სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების 10 წლისთავს ზეიმობენ და მაღალიდეურ პოეტურ სტრიქონებს წერენ მავანნი, პროლეტარული მწერლობის მეხოტბენი რევოლუციას, დამკვრელურ ბრიგადებს და ბელადს ასხამენ ხოტბას, საბჭოთა მწერლობის შემოქმედებით მეთოდად კი 1934 წლიდან თავსმოხვეული სოციალისტური რეალიზმი იკიდებს ფეხს, ლევან გოთუა ჩრდილოეთის დაბურულ ცას შეჰყურებს - „სულიერად გამოკეტილი“ (გოთუა 1995:142) და უნებურად დასცდება: „სუნთქვა… სუნთქვა - აღარ არის - აღარა“ (გოთუა 1995:139).

ასეთი მძაფრი განცდებით იწყებოდა ლევან გოთუას მწერლობაში შემოსვლა... თუმცა ილია ჭავჭავაძისა და ნიკო ნიკოლაძის თანამედროვის, ცნობილი ჟურნალისტისა და მწერლის - პართენ გოთუას შვილს საფუძველი მყარი და ეროვნული ჰქონდა. მწერლის ძმისშვილი მაია გოთუა იგონებს:

„არმაზში ილიასეული „ენა, მამული, სარწმუნოება“ ცხოვრების წესად იყო ქცეული. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ბაბუაჩვენი, პართენ გოთუა, იყო თვით ილიას, აკაკის, მეცენატ დავით სარაჯიშვილისა და მრავალი სხვა წარჩინებული მამულიშვილის თანამდგომი და თანამოაზრე.

მის შესახებ იოსებ იმედაშვილი წერდა: „როგორც პიროვნება, ადამიანი - მოქალაქე, პართენ გოთუა ყოველი ჩაგრულის გულშემატკივარია, უსამართლოდ დევნილის მოსარჩლე, სამშობლო ქვეყნის ფხიზელი და ერთგული დარაჯი. იგი არ ეკუთვნის იმ ინტელიგენტთა ჯგუფს, რომელთა სიტყვა და საქმე ერთი მეორეს ეწინააღმდეგება, ამ

მხრით იგი საყოველთაოდ ცნობილია: რასაც სწერს, საქმითაც მას ემსახურება და ამიტომაც, მას ყოველთვის ანგარიშს უწევენ“ (გოთუა: 2017).

ასეთი გარემო ასაზრდოებდა ბავშვობიდან ლევან გოთუას. იგი იყო მე-19 საუკუნის ეროვნული იდეალებისთვის მებრძოლ ქართველ პუბლიცისტთა - ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ვალერიან გუნიას და სხვათა ტრადიციებისა და გზის გამგრძელებელი. ეს კარგად იკვეთება ადრეული მოღვაწეობის პერიოდშივე.

1.2. „ხდედალეულნი“ - მთამსვლელ ჯაფარიძეებთან ერთად მინდიას სულისკვეთებით

1936 წელს, გადასახლების ვადის დამთავრების შემდეგ, ლევან გოთუა ბიისკიდან სამშობლოში დაბრუნდა... ამ წელსვე საქართველოს ალპური კლუბი დაფუძნდა, სადაც ალპინისტებთან ერთად მწერლობის და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებიც ერთიანდებოდნენ. ლევან გოთუამ მიაშურა კლუბს.

ისტორიკოსი და მთამსვლელი ოთარ გიგინეიშვილი იხსენებს: „გამოჩნდა ბრგე ვაჟკაცი, და როდესაც შევხედე, პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო: როგორ გაუძლებს მას კლდის ერთი ციცქნა საყრდენები და ნაპრალების არასაიმედო თოვლის ხიდები-მეთქი. მაგრამ გაუძლეს. ლევანი დადიოდა, და კარგადაც დადიოდა. ჩვენმა დიდმა მთამსვლელმა ალიოშა ჯაფარიძემ შეამჩნია ის, თავის ჯგუფში ჩარიცხა და მასთან ერთად გაიარა პირველი დიდი ტრავერსი – მაჩხაფარიდან ზესხომდე, „თეთრი უცნობი“, „კოტე მარჯანიშვილი“, „საბა-სულხანი“ (გიგინეიშვილი 1995:6).

ლევან გოთუა სხვებსაც ურჩევდა, „ქვეითად მოევლოთ საქართველოს მთა-ბარი, ეს „მიჯაჭვული ამირანის“ მხარე (გოთუა 1960:210).

სწორედ მოგზაურობის სიყვარულმა დააკავშირა მთამსვლელი ჯაფარიძეების ოჯახთან. ცნობილი ალპინისტის, ქართული ალპინისტური სკოლის შემქმნელის ალიოშა ჯაფარიძის თოკის მეწყვილეც არაერთხელ ყოფილა კავკასიონზე... თავად მწერალიც კარგი სპორტსმენი იყო და შემდეგ მთამსვლელთა ექსპედიციებსაც ხელმძღვანელობდა.

1937 წლიდან ერთდება ლევან გოთუასა და ლეგენდარული ალიოშა ჯაფარიძის გზები, და ალიოშა ჯაფარიძე ლევან გოთუას „ოცნების დიდი მოზიარე“ ხდება.

როგორც იხსენებს, ალიოშა ჯაფარიძე პირველად, 1937 წელს, მყინვარწვერის თოვლიან კალთაზე, „იაგორას ნიშთან“ ნახა. მანამდე კი: ერთი გზაგაუკითხავი, მარტოხელა მოხეტიალე მოგზაური ვიყავიო (ჯაფარიძე, არქივი, აუდიოჩანაწერი).

მან მარტო დალაშქრა მყინვარწვერი, შემდეგ კი ალიოშა ჯაფარიძემ თავის ჯგუფში ჩარიცხა. მომდევნო მწვერვალი იყო შავანა, სადაც ნამდვილი მთამსვლელობა, ყველა წესითა და სიძნელეებით ნახა და აღწერა. ასე დაიწყო ალიოშასთან მისი დამეგობრება.

„ჩვენ, არა მარტო თოკი და ძნელსავალი გვაახლოვებდა. განა მარტო მწვერვალებისა და ბუნების სიყვარული. ჩვენში მთამსვლელობა მარტო მთაზე მსვლელობა არასოდეს არა ყოფილა, იგი ჩვენი ეროვნული ყოფით, ისტორიითა და გეოგრაფიით ნაკარნახევი ვაჟკაცური მოღვაწეობა იყო და არის!“ (იქვე).

ხოლო როდესაც ალიოშა ჯაფარიძის მეშვეობით მის ცხოვრებაშიც მომრავლდა მწვერვალები, გადასავლები, მიუვალი გამოქვაბულები, ეს დაუვიწყარი გზები და დღეები კალმითა და წერაყინით აღბეჭდა ნარკვევებში.

„ასე იშვა „ხდედალეულნი“, „თეთრი სავალი“, „ვაჟას სამყაროში“, „ხვამლის ციხექვაბული“, „კაცხის სვეტის საიდუმლო“ და სხვა. ამ ნარკვევების კალამი თუ მე მეკუთვნის, წერაყინი და სული უსათუოდ ალიოშასია!“ (გოთუა 1963:4).

ლევან გოთუამ ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად, როგორც თავად ამბობდა, ვაჟკაცური მოღვაწეობის მრავალი ფურცელი ჩაწერა მთამსვლელობის მატიანეში. ღრმად სწამდა, რომ „ამირანისა და მინდიას ქვეყანაში ბუნების წვდომა მუდამ იყო ადამიანის სულისკვეთება“ (გოთუა... 1995:183).

იგი ქართველი მთამსვლელის სულიერ სამყაროს ჩასწვდა, მისი აზრით, პირველასვლა იგივე იყო, რაც პირველი ლექსი, პირველი სიყვარული, ანდა პირველი ბრძოლა. მწვერვალზე პირველ ასვლაში ამირანისეულ შურისგებასაც ხედავდა (გოთუა 1950:207).

ქართული მითოლოგიის გმირის ბედი მისი სულის განუყოფელ ნაწილად იქცა და თავის პიროვნულ ბედსაც გადაეჯაჭვა. დამონებული იყო ქვეყანა და თავადაც თავისი გმირივით, როგორც მიჯაჭვული ამირანი, ისე იბრძოდა თავისუფლებისთვის: „სულ ვებრძოდი ქვას, ამირანი ჯაჭვს, უკეთილობას... გულის წადილზე ვამბობდი უარს, ველოდი. სულ ველოდი... ვყიოდი, ვიბრძოდი, რაც შემეძლო“ (გურგენიძე 1990: 2).

1936 წელს მეორე გადასახლებიდან დაბრუნებული ლევან გოთუა, ხედავდა რა, როგორ იწირებოდა ქართული ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, საშველი კი არ ჩანდა, ხეტიალსა და მოგზაურობაში იქარვებდა სულის ხვაშიადს. დამონებულ ქვეყანაში მთიდან დანახული სამშობლო უფრო ლამაზი და იმედიანი ჩანდა. „ხდედალეულნი“ იყო ლევან გოთუას პირველი წიგნი მთამსვლელობაზე. ლევან გოთუა მწერლობაში სწორედ მთამსვლელობიდან მოვიდა, პირველი სამოგზაურო ნარკვევიც ალიოშა ჯაფარიძეს მიუძღვნა.

ამ პერიოდში ლევან გოთუა წალკაში ცხოვრობდა. 12-წლიანი გადასახლებიდან დაბრუნებულს თბილისში ჩაწერაზე უარი უთხრეს. მეგობრებმა წალკაში გამოუნახეს ადგილი ეკონომისტად. სწორედ წალკიდან გაუგზავნა მან, 1937 წლის 1 ოქტომბერს, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს წერილი და „ხდედალეულნის“ დაბეჭდვა მოითხოვა.

წერილში რედაქტორს საქმის ვითარებას ამცნობს: „დავამუშავე ცალკე რვეულად - ყაზბეგის რაიონის უძნელეს მწვერვალზე - შავანაზე ასვლა. ვფიქრობ, ეს ასვლა არაა საზოგადოებრივ ინტერესს მოკლებული.

ჩვენი პრესა გახდა მხოლოდ ამ ჟანრისა, საინფორმაციო ცნობარისა და ვერ ეხმაურება ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. მთასვლის საქმის და თემის პოპულარიზაციის მიზნით განვიზრახე ეს დღიური. გიგზავნით რვეულს 28 გვერდზე, თუ თავის თემით და მოცულობით თქვენთვის შესაფერი იქნება, გთხოვთ, დაბეჭდოთ „კომუნისტის“ უახლოეს ნომრებში. ახლა მთასვლის სეზონის მიწურულია და მიღწევების ერთგვარ დაჯამებას ალბად სხვა გაზეთების კვალად „კომუნისტიც“ გამოეხმაურება“ (სუიცა, საქმე №285:1).

ფანქრით მინაწერი: „რა თქმა უნდა, არავის არ მოუცია პასუხი. ხელნაწერიც უკვალოდ გაქრა“ (იქვე).

ეს ფაქტი გასაკვირი არაა. საქართველოში დაპატიმრებები და დახვრეტები უკვე დაწყებულია და რეპრესიები ყველაზე მძაფრი ფორმით სწორედ 1937 წელს მიმდინარეობდა, რომელიც შიშისა და ტერორის პერიოდად ხასიათდება.

ეს იყო უმძიმესი წლები საქართველოსთვისაც. 1937-1938 წლებში ორნახევარმილიონიან საქართველოში 29 051 ადამიანი გახდა რეპრესიების მსხვერპლი.

მათ შორის – 14372 დახვრიტეს, 14 679 – გადაასახლეს. საქართველოში ამ პროცესს პირადად ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა (ქადაგიძე: 2018).

ტერორი შეეხო ყველას: მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, უბრალო ადამიანებს - განადგურებული ინტელიგენცია, გაურკვევლობა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრება და დასმენის შიში...

პროფესორ სოსო სიგუას თქმით, „1937 წლის 3 მარტს ცეკას პლენუმზე სტალინმა სახელმწიფო ტერორი გამოაცხადა – განსხვავებული აზრის პირებთან კამათი დასრულდა. მათი ლიკვიდაცია უნდა მომხდარიყო. ამავე წლის 15 მარტს ბერიამ იგივე გაიმეორა და ქართული გვარ-სახელებით დააკონკრეტა, თავს დაესხა ტროცკისტებს, „ცისფერყანწელებს“, აკადემიური ჯგუფის წევრებს... სხვებთან ერთად მწვავედ გააკრიტიკა კონსტანტინე გამსახურდიაც, როგორც ფაშისტური ელფერის მებრძოლი ნაციონალისტი“ (სალაღაია: 2010).

ასეთ ვითარებაში, ერთი წლის შემდეგ, 1938 წელს დართეს ლევან გოთუას ნება, თბილისში მუდმივად ჩაწერილიყო. რაიონიდან თბილისში ჩამოსული დედაქალაქში ადგილს ვეღარ პოულობდა, დაშინებულ და სულჩამქრალ სივრცეში რაიმე პოლიტიკური ბრძოლის დაწყებასაც აზრი არ ჰქონდა...

„ჩეკას „მიჯაჭვებას“ კავკასიონს მივეჯაჭვები, - ირონიით ამბობდა, - ჩემი ოცნება მაინც დიდებული კავკასიონის მწვერვალების დალაშქვრაა, მარტო იქ, ყინულოვან სამყაროში, ვგრძნობ სრულ თავისუფლებას და ყოველმხრივ სილაღეს“ (გოთუა 1960:181).

მთა გახდა მისი თავშესაფარი და თავისუფლება. „ორპირი სატევარი - ტკივილი და დაამება“ (გოთუა 1960:103).

ეს ტკივილი და დაამება სულის სიმშვიდეს მაინც აძლევდა და ნაყოფიერი მუშაობის პირობებს შორეულ მოგზაურობაში ჰპოვებდა... ამიტომ იყო, რომ ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად ჯერ მყინვარწვერს და შემდეგ, ხდეს ხეობაში, შავანას მწვერვალს დალაშქრავს. აქ ეზიარება ხდეს წყალს... „ჰაერში ხდეს დაშლილი ცვარის სიამე... ჩქერის ზათქი აყრუებს სიტყვას. დანაყილი წყლის ნაფრქვევი სითეთრე თვალს სჭრის.... და მოსმით დავეწაფე ხდეს ქაფს... შევსვი ხარბად და უცნაური სიზვიადე ვიგრძენი.

- ძმებო, ძმებო, მეც ხომ თქვენთან ერთად ამის შემდგომ ხდე-დალეული ვარ! მისი დაუდგრომლობით შენაპყარი! და მის ხეობაში თითქოს ახალნაირად ნაშობი“! (გოთუა 1940:8).

„ახალნაირი შობა“... ამ სიტყვებს შემთხვევით არ ამბობს, იგი მთებს მიელტვის დარდების განსაქარვებლად და იქნებ „ფიქრთ გასართველადაც“... გადასახლებებისა და ციმბირის შორეული საკონცენტრაციო ბანაკებმოვლილისთვის ასეთი გასვლა ბუნებაში და დროებითი ამოსუნთქვა, იმ ჯოჯოხეთიდან დაბრუნების შემდეგ, მართლაც მეორედ შობას ჰგავდა...

დავეთანხმები ივანე ჯაფარიძეს, რომ საქართველოს მთა-ბარში სიარული და მწვერვალებისაკენ ლტოლვა პროტესტი იყო არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მხოლოდ მთებში გრძნობდა სულიერ აღმაფრენას და პირველყოფილ მშვენიერებას...

„მთაში დაღუპულნი ხომ აღარ ბერდებიან“... როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავდნენ, მის პიროვნებაში ბედნიერად იყო შერწყმული მწერალი და მოგზაური, მთამსვლელი და მკვლევარი... ეს რომ ნამდვილად ასე იყო, მისი ერთი ჩანაწერიც მოწმობს: „1938 წელს ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფთან ერთად კავკასიონის მწვერვალებზე ვილაშქრეთ... ფასის მთის ძირში ვიყავი. უკვე მწერლობაში ვიდექ... დაფანტული ხილვები ერთდებოდნენ. სახეს იღებდნენ. სამყაროს უკვე მწერლის თვალით ვუჭვრეტდი“ (სუიცა, საქმე №342:8).

ლევან გოთუას პიროვნებაში მთა და მწერლობა ბუნებრივად რომ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, რევაზ მიშველაძის ეს პატარა პაროდიაც მოწმობს:

„არ დაგავიწყდე კაც-ერთი,

ვარ ამღებ- მრავალ მწვერვალის;

კაზმ-მწერლობაში მთას მსვლელი,

მთამსვლელობაში მწერალი“ (მიშველაძე 1965:4).

მართლაც, მთამსვლელობიდან დაწყებული „სამყაროს მწერლის თვალით“ ჭვრეტა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. სწორედ ასე დაიბადა ნარკვევი „ხდედალეულნი“.

ლევან გოთუა საინტერესოდ, ლირიკული წიაღსვლებით აცოცხლებს ხდეს ხეობისკენ მიმავალ მთამსვლელთა ათკაციანი ექსპედიციის ნაბიჯებს. აქ ძირითადად ავტორისეული განცდები და ფიქრებია. შორს შავანაა, „ქურუხი ფაფარით“,

მთამსვლელები კი გაბმით მიდიან, „მათ მყარ ბიჯებში დაძლეული მწვერვალების რიხი იმჩნევა“ (გოთუა 1940: 6).

მწერალი აღფრთოვანებულია ალიოშათი, მისი შეუვალობით, ვაჟკაცობით. „ქვასთან მიწოლილ, ნიდაყვებზე დაყრდნობილ“ მთამსვლელს, რომელიც ჭოგრიტით ზვერავს შავანას, სრული სისადავე და უბრალოება გამოარჩევს. „ამ სახეში ხასიათს ვერ ამოიცნობ... ვნებათა ღელვას და ნებას ვერ წაიკითხავ... იქნებ სწორედ ესაა ნების მწვერვალი“ (გოთუა 1940:9).

ლევან გოთუას მოსწონს, რომ ალიოშა ჯაფარიძეს უცნაური და სანდო ალღო აქვს და რომ არანაირი შიში და დაღლა არ ეტყობა: „ჩემ გვერდით ალიოშა წევს (ორნი ვართ კარავში). იგი ისეთივე ჩვეულებრივია, როგორც ყოველთვის. მას დაღლასაც ვერ შეატყობ“ (გოთუა 1940:28).

ერთ მხარესაა ჩუმი რისხვა უდრეკი შავანასი, რომელსაც მრავალი მთამსვლელი ამაოდ ერკინებოდა, მეორე მხარეს კი - ალიოშა ჯაფარიძე და მისი ექსპედიციაა, რომელიც მწვერვალისკენ მიემართება. მწერალი ეპითეტ-მეტაფორებს არ იშურებს მის დასახასიათებლად და წინდაწინვე განაწყობს მკითხველს, რომ შავანას ამჯერად მოდრეკა ელის: „ვუმზერ და მიკვირს: ამ მხრებზეა შეწყობილი მრავალ ბუნბერაზ მწვერვალების ძლევა. ამ მუხლმა და ხერხემალმა გადახნა თითქმის მთელი კავკასიონის ხერხემალი. მან არაერთხელ დააჩოქა ხევის პატარძალი - მყინვარი და ამაყი მინგი-თაუ (იალბუზი). მან დაჰკვერა თავის წიხლით უშბა: შეუდარი და მრისხანე“ (გოთუა 1940:9).

ნაბიჯ-ნაბიჯ, განსაცდელ-ფათერაკიანად იხატება ექსპედიციის ასვლა მწვერვალზე და ალიოშა ჯაფარიძის დიდი როლი ამ ასვლაში, რომელიც, წინმიმავალი, სხვა წევრებს სიმამაცით ძალას ჰმატებდა.

მწერალი მთამსვლელთა მოგზაურობის ეპიზოდების მოზაიკას ქმნის. შავანადან მეორე მწვერვალის, მყინვარწვერის სიმშვენიერე ილანდება: მართალია, ცოტა ადრე მარტომ დალაშქრა ის, მაგრამ შავანადან დანახული მყინვარწვერი მაინც სულ სხვაა. იქვე ახლოს მეორე მწვერვალია - ჯიმარა. სხვა საფიქრალს აღძრავს ლევან გოთუასებურად აღქმული მთები - მყინვარწვერი თეთრ ქურქშია გამოწყობილი, მზე კი სხივგაკრულია. „არის თქმულება: მყინვარწვერი ბეთლემში ჩადენილ ცოდვის ნიშნად დაიდგა... რა ლამაზი ცოდვაა!.. რა ზვიადი!.. რა ბუმბერაზი!.. თვალს ვაყოლებ... იქვე

გასწვრივ - ოდრიკალად თეთრ ფაფარის ნაწილი რომ ჩანს, იგია ჯიმარა! ავი მწვერვალი“ (გოთუა 1940:22).

„ხდედალეულს“ მოჰყვა ნარკვევები - „თეთრი სავალი“, „ვაჟას სამყაროში“... „თეთრი სავალიც“ და „ვაჟას სამყაროშიც“ დღიურის ფორმით არის დაწერილი. ლევან გოთუამ აიხდინა ოცნება და, კოტე ჯავრიშვილთან, და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეებთან ერთად, პირველამსვლელის უფლებით კავკასიონის შეუსწავლელი მწვერვალები დალაშქრა.

პირველივე სტრიქონებიდან თანამონაწილეობის ეფექტი დიდია, რადგან დღიურის ფორმა უკვე გულისხმობს ავტორის დასწრებას, ქვესათაური „ფეხმოყინული მთამსვლელის დღიურიდან“ ავტორის - პუბლიცისტის აქტიურ როლზე მეტყველებს. ამავდროულად, ქვესათაური აინტრიგებს მკითხველს, რომ წინ საინტერესო თავგადასავალი ელის. თანაც, აქ, მთავარ ქედზე ხომ მთამსვლელებსაც არ გაუვლიათ.

...და აი, ექსპედიცია რიონის ნაპირს მიუყვება. ისინი თოვლის კორიანტელში ჯიბის „ვეფხისტყაოსნის“ კითხვაში ათენ-აღამებენ... დაღლა, შიმშილი, ყინვა, ქარი, თოვლის ხიფათიანი სავალი... „დაღლა ხერხემალს კუზივით აზის, შიმშილსაც ვგრძნობთ, მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ შოკოლადის ნატეხი ვჭამეთ. წყურვილიც გვახლავს. ცხენისწყლის სათავის შემდგომ ხომ არსად გვისვამს. რომ შევდგებით, ცივა, ცივა, ქარი გველივით სრიალებს და საყელოს ეძებს. მწყურია... მეტად მწყურია. პეშვით თოვლს ავიღებ... დავმუჭავ და ვწუწნი“ (გოთუა 1960:167).

ყინვა და თოვლია ყველგან... გამოსავალი ერთია - მოძრაობა. საინტერესო დეტალი - თურმე ლევან გოთუამ პირველად აქ იცეკვა: „მე დავლურს ვუვლი, ჩემ სიცოცხლეში ერთადერთი შემთხვევაა, როცა ვიცეკვე. ალიოშა და ალექსანდრა მეჯიბრებიან. ვერც კოტემ გასძლო. ყინულის სოროდან ამოძვრა, ჩვენს სამაიას შემოუერთდა. ვიყინებით... თუ მალე არ გათენდა... ვიყინებით“ (გოთუა 1960:167).

ასეთ პირობებში ალიოშა ჯაფარიძე სიმხნევეს და გამბედაობას ჰმატებს მათ. „მძივებივით თოკზე აცმულნი“ კლდეს ებრძვიან, მაგრამ იცის, რომ დაბრკოლებებსაც იოლად გადალახავენ. „ჯაფარიძიანთ და-ძმას რა დაჰღლის!“ (გოთუა 1960:183). ბინდბუდში მწვერვალზე მდგარი ალიოშას ჩრდილი კი რაღაც უცნაურ ბუმბერაზს მოჰგავს.

ლევან გოთუა ასე „ხატავს“ ალექსანდრა ჯაფარიძეს: „ზურგზე ჩანთა ჰკიდია მძიმე. უშლის. სძლიოს უნდა. ყინვარს ტყუპად დაჰკრავს ტერფებს... წრიაპებს ჩასჭიდებს ყინულს და წამოდგება. ალექსანდრა უკვე გაღმაა. კოტეს შველის თოკის გამაგრებას. არც სიჩქარე... არც შეკრთომა... არც დაღლა, თითქოს რუსთაველის გამზირი ოპერასთან გადასერა“ (გოთუა 1960:190).

ყოველი მოძრაობა, ყოველი დღე განცდებით სავსე და საინტერესოა... მძივებივით თოკზე აცმულნი კლდეს ებრძვიან... თოვლი და ქარბუქი, უცნობი, უსახელო, ჯერ ტერფდაუდგმელი მწვერვალები... კოტეს ჯავრიშვილს „დავთარში“ შეაქვს „მონათლული“ მწვერვალების სახელები – „მარჯანიშვილის ქიმი“, „საბა-სულხანი“, „ნინოშვილის ქიმი“, „ზესხო“...

ირგვლივ მხოლოდ ნაპრალებია... და ყინულის სასახლე. ისინი „გაყინული“ მყუდროების მგზავრები არიან. „ყინულის ლოლუები ეშვებივით ჩამოსულან... უზარმაზარი თეთრი ურჩხულის ხახაში ვართ... ახლა შეჰკუმშავს ყბებს... გადაგვღეჭავს და მოგვინელებს“ (გოთუა 1960:194).

სწორედ აქ, ბეზინგისა და მიჟირგის კედელზე, მოეყინებათ ფეხები ლევან გოთუას და ალიოშა ჯაფარიძეს. „გავიყინეთ, გვაჟრჟოლებს და ძალზე დაღლილები ვართ. დღეს ჩვიდმეტი საათია, თოკზე ვკიდივართ. მეტად მძიმე დღე შეგვხვდა“ (გოთუა 1960:193).

„ვიძრობ ფეხზე. თასმები ვეღარ გავხსენ - ავბალთე დანით. ფეხსაცმელს მოსაქნელად ჩაქუჩი დავკარ. შეშასავით ხმა გამოიღო... არც არაფერი მიგრძვნია. ვფიქრობ და ვიცი, რომ არც მე მაქვს კარგად ფეხების საქმე. წრიაპები რომ შევიბით, მერმე კარგად ვეღარ ვამოძრავებდი თითებს. ალიოშამ მოსწია. ძლივს წამგლიჯა... ფეხსაცმელები. ორთავე ფეხის თითები ხესავითაა და მუქ-ლურჯი გაჰკრავს“ (გოთუა 1960:193).

ალიოშასაც სტკივა მოყინული ნათითრები, მხოლოდ ალექსანდრაა დაუზიანებლად გადარჩენილი.

ლევან გოთუა ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს იმოწმებს: „და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“ („ქართული პოეზია“ 2010:36). ამით ხაზს უსვამს ფასის მთიდან წურუნგალამდე კავკასიონის ქედზე და-ძმა ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებთან ერთად ტრავერსის მნიშვნელობას - ჩვენ პირველი

მერცხლები ვართ და მალე ჩვენს ნავალს მთამსვლელები, მწერლები და მკვლევრები გამოუყვებიანო.

1943 წელს ალიოშა ჯაფარიძის 11-კაციანმა ექსპედიციამ, ხევსურეთში, 4200 მეტრის მწვერვალი – „კიდეგანის მაღალი“ დალაშქრა. ექსპედიციის მონაწილე დენიზა გოზალიშვილი იხსენებს, რომ არხოტისთავის თოვლიანი გადასასვლელი უღელტეხილი წვიმისგან აბობოქრებული, ძნელად გასავლელი გახდა. „ალიოშამ თოკის გაჭიმვა ბრძანა. თოკის მეორე ბოლო ლევანს ეჭირა (დღემდე სათუთად ვინახავ ალიოშას მიერ გადაღებულ ამ სურათს). ლევანმა ზურგჩანთიდან ტყავის თხელი წაღები ამოიღო და ჩაიცვა. შემდეგ გავიგე – ზესხოს ხეობის მწვერვალების პირველასვლისას თურმე ფეხის თითები მოჰყინვოდა“ (გოზალიშვილი 1995:7).

„კიდეგანის მაღალის“ დალაშქვრის შემდეგ, იქვე იმავე სიმაღლის უცნობი მწვერვალი შენიშნეს, იქაც ავიდნენ და პირველამსვლელთა უფლებით მას „ვაჟა-ფშაველა“ უწოდეს. ეს ლაშქრობა ლევან გოთუამ აღწერა ნარკვევში „ვაჟას სამყაროში“.

„მივეძალეთ უკანასკნელ კლდეს. ეს უკვე მწვერვალია. ალექსანდრე ჯაფარიძე უკვე წვერზეა. ხელს მიქნევს სიამის ნიშნად. ჩანს, აქ არავინ ყოფილა. ჩანს, ჩვენი ნატერფალი აქ პირველია“ (გოთუა 1960:207).

ექსპედიციის მიერ პირიქითა ხევსურეთში, არხოტში, კიდეგანის ქედის მწვერვალების და ერთი უსახელოს დალაშქვრას, რომელსაც ვაჟა-ფშაველას სახელი უწოდეს, საკავშირო პრესაც გამოეხმაურა. ლევან გოთუამ თურმე ხევსურეთის ყველაზე მიუვალ ადგილებში ადგილობრივ სახალხო მთქმელებთან ერთად რამდენიმე ლიტერატურული საღამო გამართა. აი რას წერდა გაზეთი „Красный спорт“: „Особенно следует отметить работу, проведенную участником экспедиции писателем- альпинистом Л. Готуа, который самых отдаленных, труднодоступных районах Хевсуретии провел несколько творческих литературных вечеров с местными народными поэтами - сказителями “ (Джапаридзе 1943:4).

ნაწყვეტი ცხადყოფს, რომ ექსპედიციების დროს ლევან გოთუა მხოლოდ ბუნების სიმშვენიერით კი არ ტკბებოდა, არამედ ადგილობრივ მოსახლეობასაც ხვდებოდა, მათთან შეხვედრებით საზრდოობდა... განსაკუთრებით ძვირფასი და ფიქრებამშლელი იყო მისთვის ვაჟას-ფშაველას სახელობის მწვერვალზე ფეხის დადგმა... ყოველი სტრიქონი მწერლის ფიქრით დამუხტულა, ვაჟას სამყაროს და პერსონაჟებს

დასტრიალებს თავს... „და გაშლილა ვაჟას სამყარო - ვაჟას მწვერვალის სიმაღლიდან უეცარი ბედითა და ხილვით ნანახი“ (გოთუა 1960: 208).

ამ სამყაროშია „ბახტრიონ-გალავანიც“ და ლევან გოთუა ვაჟას მწვერვალიდან ყველა ქართველისთვის ნანატრ ოცნებას გაახმიანებს:

„ეღირსებაო ლუხუმსა

ლაშარის გორზე შადგომა!“ (იქვე).

და კიდევ ერთი - მწვერვალზე უცებ ჩამოწოლილი ნისლი ირგვლივ ყველაფერს რომ დაბურავს, ნისლზე ვაჟას მწვერვალის ჩრდილი და ცისარტყელას შარავანდედი დაიხატება.

„ცისარტყელა დაჩრდილული ნისლის ქარგაზე! - ეს იშვიათი სანახაობა მე პირველად ვნახე“ (იქვე).

მწვერვალზე მადლიერებისა და იმედის ნიშანი გამოისახა. მთაზე მინდიას განცდით ასულ მთამსვლელებს ბუნებამაც მინდიასებური პასუხი შეაგება. ამ ექსპედიციის მონაწილე, ისტორიკოსი და ალპინისტი ოთარ გიგინეიშვილი იტყვის:

„ლევან გოთუამ დაწერა „ვაჟას სამყაროში“. მას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს „მთამსვლელის სული ესთეტიკურ სახეებში“. ნაწარმოები, სადაც ერთმანეთს შეერწყა მთამსვლელი და ბუნება, მთამსვლელი და მთები. ვაჟას მინდიამ წაშალა საზღვარი ადამიანსა და ბუნებას შორის. ლევან გოთუასთან ყველა მთამსვლელი მინდია იყო“. (გიგინეიშვილი 1995:6).

ხვამლის ექსპედიციის მონაწილე, გეოლოგი ელენე აბაშიძე ყველგან ლევანის ოპტიმიზმს, კეთილშობილებასა და სათნოებას უსვამს ხაზს, რომელიც მუდამ აღმაფრენით ცხოვრობდა. „ვერ ვიხსნებ თუნდაც ერთ წუთს, მას რომ ოპტიმიზმი დაშრეტოდა. ცხოვრებაში ლირიკულია. წვრილმანებში დამთმობია, მაგრამ თავისი პრინციპების დაცვაში შეუვალი და შეუპოვარი“ (აბაშიძე1995:7).

დიდი კაცთმოყვარე სიყვარულით და ბავშვური გაოცებით აკვირდებოდა ყველაფერს – ადამიანს, მცენარეს, კლდეს, ღრეს. ძალიან საინტერესოა ურთიერთობაში და თავისი პოეტური სამყაროდან არასოდეს გამოდის. „შენც ამ სამყაროში შეჰყავხარ. ცხოვრებაში გადატანილი მრავალი უსამართლობის მიუხედავად, ადამიანზე მაინც მაღალი წარმოდგენისაა. კეთილშობილებისა და სათნოების განსახიერებაა“ (იქვე).

საქართველოს ისტორიითა და გეოგრაფიით გატაცებულმა ლევან გოთუამ ვახუშტი ბატონიშვილის გზით სიარულში ბევრი რამ აღმოაჩინა. სოლომონ ხუციშვილის თქმით, ლევან გოთუა ფეხს არსად დგამდა, ვახუშტი ბატონიშვილის წიგნის წაუღებლად. „იგი იყო ყველაზე საიმედო საგზური და მეგზური. ვახუშტით - ამოწმებდა და აგნებდა მიზანს. არაერთგან გადაუხდია მადლობა ამ მართლაც მადლიანი სწავლულისათვის, რომლის წიგნითაც მიაგნო ადამიანისა და დროის თვალიდან მიფარებულ ციხე-კოშკებს თუ გამოქვაბულებს“ (ხუციშვილი 1976: 9).

1944 წელს, ალიოშა ჯაფარიძესთან, მწერალ აკაკი ბელიაშვილთან და არქიტექტორ ვახტანგ ცინცაძესთან ერთად, ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში, ისტორიული კაცხის მიუვალ სვეტზე ავიდა (მათთან ერთად იყო მწერალი აკაკი ბელიაშვილი, რომელმაც წინა დღით ფეხი იღრძო და სვეტზე ვეღარ მოახერხა ასვლა). ამ ლაშქრობას ლევან გოთუამ შესანიშნავი ნარკვევი – „კაცხის სვეტის საიდუმლო“ უძღვნა. ვინ იცის, რამდენი საუკუნე კაცხის სვეტის თავზე ადამიანს ფეხი არ დაედგა, ახლა კი... დაირღვა ათასწლოვანი მყუდროება. აქ შეეხო ლევან გოთუა უკანასკნელი მესვეტის ძვლებს, შეაგროვა და აკლდამაში შეაწყო. შუშის ქილაში წერილი ჩადო, რომელშიც ჩაწერა ამსვლელთა ვინაობა, მიზანი და ასვლის თარიღი. უკანდაშვებისას, ლევან გოთუა ალიოშას მესვეტეს ადარებს: „იდგა იგი სვეტის თავზე: მტკიცე და მშვიდი. ალბათ ასე თუ გადმოდგებოდა ოდესმე იგიც მესვეტეც“ (გოთუა 1960:101).

წლების შემდეგ, ლევან გოთუა, როგორც გაზეთ „ნორჩი ლენინელთან“ არსებული სწავლულთა დარბაზის პრეზიდიუმის წევრი, ბუნების ნორჩი ქომაგებისთვის განკუთვნილ საგაზეთო წერილში სიხარულით იტყვის, რომ გაახარა ჭიათურელთა წერილმა, რომლებიც კაცხის სვეტზე ასულან.

„ჩვენ ვფიქრობდით, რომ როგორც ჩვენამდე გავიდა, ახლაც ათასი წელი მაინც გაივლიდა, ვიდრე ვინმე მისწვდებოდა სვეტის თავს, დაახლოებით ასევე ვწერდი ჩემს „კაცხის სვეტის საიდუმლოში“. მაგრამ 1955 წელს, უკვე 14 წლის შემდეგ, ჭიათურელ მთამსვლელთა ჯგუფმა გოდერძი სამხარაძის ხელმძღვანელობით, ჩამოიტანა ჩვენი წერილი, ხოლო 1962 წელს პიონერების დიდი ჯგუფიც ასულა „ქვეყნის საკვირველების“ თავზე. დიახ, კაცხის სვეტს თავისი ახალი ისტორია გაუჩნდა... და ამ ისტორიას თქვენა სწერთ, ბუნებისა და კულტურის ახალო მოლაშქრეებო!“ (გოთუა 1967:3).

ლევან გოთუა, როგორც სიძველეებისა და ქვაბ-სახიზრების დიდი მოამაგე, ფიქრობდა, რომ ყოველ ქვაბსა თუ მღვიმეში ასვლით, ახალი ისტორია იქმნებოდა, რასაც დაუღალავი მოღვაწეობით თავადაც ქმნიდა. კაცხის სვეტზე ასვლის შემდეგ ვახუშტის წიგნმა კიდევ ერთი გასაშიფრი კითხვის ნიშანი აღმოაჩენინა: „რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არის ხომლის კლდე ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არის ქვაბი გამოკვეთილი, მტრისაგან შეუვალი, მეფეთა საგანძურთ სადები“ (გოთუა 1960: 47).

ხვამლი დავით აღმაშენებლის დროიდან მიაჩნდათ საქართველოს მთავარ განძსაცავად, როგორც საიმედო, მიუდგომელი და დაცული ადგილი.

ივანე ჯაფარიძის თქმით, 1935 წლიდან მოყოლებული, ქართველი ალპინისტები საქართველოს ხელისუფლებას სთხოვდნენ ხვამლის შემსწავლელი ექსპედიციის მოწყობას, მაგრამ ეს იდეა მხოლოდ 1939 წელს განხორციელდა - ხვამლისა და ორხვის გამოქვაბულების გამოსაკვლევად გაიგზავნა ექსპედიცია ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით.

ალიოშა ჯაფარიძე ჩატარებული მუშაობის შესახებ 1939 წლის 15 დეკემბერს წარდგენილ ანგარიშში აღნიშნავდა: „არც ერთი ქვეყანა ალბათ ისე მდიდარი არ არის ისტორიული გამოქვაბულებით, როგორც საქართველო, მაგრამ ეს სიმდიდრე ჩვენში ჯერ ოდნავადაც არაა ხელშეხებული და დღემდე მხოლოდ ნიავ-ქართა სათარეშოდაა მიტოვებული... აუცილებელია, 1940 წლის ზაფხულში ჩატარდეს ხვამლის გამოქვაბულში გათხრები, რაც საბოლოოდ გამოარკვევს მის მრავალსაუკუნოვან საიდუმლოებას“ (ჯაფარიძე, არქივი).

ასეც მოხდა: ლევან გოთუა უმალ უახლოეს მეგობარს – ალიოშა ჯაფარიძეს შეეხმიანა, რომელიც 1939 წელს უკვე იმყოფებოდა ხვამლის ციხე-ქვაბულში და ახალ ექსპედიციას ამზადებდა, რომელშიც, ლევან გოთუა ერთ-ერთი საყრდენი ფიგურა იყო.

1945 წლის ივნისის მიწურულს ექსპედიცია ხვამლზე ავიდა.

ლევან გოთუას, ბავშვობიდან დაწყებული ინტერესით, ხვამლის შესახებ არსებული ლეგენდა-თქმულებები, ვახუშტისა თუ სხვა ავტორთა მასალების საფუძველზე, უკვე სათანადოდ შესწავლილი ჰქონდა.

ექსპედიციაში იმყოფებოდნენ: და-ძმა ჯაფარიძეები, არქეოლოგი გიორგი ლომთათიძე, მხატვარი ვერა ბელეცკაია, გეოგრაფი ელენე აბაშიძე, პალეონტოლოგი

ნიკოლოზ ბურჩაკ-აბრამოვიჩი, მთამსვლელები: ალექსანდრე ნემსიწვერიძე, გოგი ჯაფარიძე, ვალია ნასონოვა და სიმონ შხვაცაბაია. მათ ყოველმხრივ გამოიკვლიეს ხვამლის ციხე-ქვაბული, ძირითად ქვაბულში არქეოლოგიური გათხრებიც ჩაატარეს, მაგრამ „მეფეთა საგანძურთ სადებს“ ვერსად მიაკვლიეს. „მტრებს, მძარცველებს, დროს – ყველას ბეჯითად უმუშავიაო“, – წერდა ლევან გოთუა (გოთუა...1960:74).

მწერალი მას უკარება ციხე-ქვაბულს უწოდებს, რომელიც „შორეული წარსულის მწვავე საიდუმლოს ინახავს“ (გოთუა 1960:47).

პირველად მეოცე საუკუნის გრძნობა აქ დავკარგეო, წერს ლევან გოთუა. „აქ ყველაფერი ღრმა თავისებურებით გამოირჩევა, თითქოს ყველაფერი ახლაც შემოქმედებითს მოძრაობაშია“ (გოთუა 1960:51).

ნარკვევში „მთამსვლელობის დიდ ოსტატად და მთავარ მეხვამლედ“ მოიხსენიებს ალექსანდრე ჯაფარიძეს, ხოლო „მთამსვლელობის ოსტატად და მეტეოროლოგად“ – ალექსანდრა ჯაფარიძეს. თავად ლევან გოთუას კი „ხვამლის კომენდანტობა“ უბოძა ალიოშა ჯაფარიძემ. მისი თვალი მხოლოდ კი არ აკონტროლებს სამფლობელოს, არამედ სხვა თვალითაც უმზერს ყოველ მოძრაობას. ამიტომ არ ნათლავს ლევან გოთუა ხვამლზე ასვლას ჩვეულებრივად, არამედ „ბიბლიურ ასვლად“ მიიჩნევს.

„ნიშანს ვაძლევთ ზევით და იწყება „ბიბლიური ამაღლების“ მთასვლური გარემოება. „მიწისა და კლდის კაცებმა“ ასე სათითაოდ იწყეს ამაღლება ცხოვრებისა თუ „ზეცის კიბეზე“ (გოთუა 1960: 60).

დიდი განცდით ხატავს თოკსა და კიბეს, კლდესა და სიმაღლეს, სიმაღლის თავში მყოფ ალიოშა ჯაფარიძეს: „და ყველას, უჩუმრად, ალექსანდრეს იმედი აქვს. იგია კიბის თავში! თოკის თავში! სიცოცხლის თავში!“ (იქვე).

აქვე ალიოშა ჯაფარიძის დას – ალექსანდრა ჯაფარიძესაც ახასიათებს: „ალექსანდრაც თოკს შეეჭიდა და, როგორც ყოველთვის, დაკვირვებით და ტანმსუბუქად მაღლა წავიდა. ალექსანდრა და ალექსანდრე ჯაფარიძენი და-ძმანი არიან, სეხნია და-ძმა! ისინი სრულებით არ ჰგვანან ურთიერთს. ამავე დროს ამ „სეხნიობაში“ მათი ნათლიის მიერ რაღაც ღრმა აზრი და შინაგანი მსგავსება არის მიგნებული და აღბეჭდილი.

ვგონებ, თოკის კიბე არც შერხეულა, ისე მშვიდად და დინჯად „ამაღლდა“ ალექსანდრა. ასევე დინჯი და მშვიდად ამაღლებული ხასიათი აქვს“ (გოთუა 1960: 62).

დიდი განცდით ადის თავადაც ხვამლის „ბიბლიურ კიბეზე“. ნიშანდობლივია მისი სიტყვები, როცა ალიოშა ჯაფარიძეს მიუახლოვდება:

„– ჰა, როგორ არის საქმე? - ვიცან ალიოშას ხმა. – რაც მძიმე ცოდვები მქონდა, მგონია, ყველა მოვინანიე! აბა, ახლა თოკდათოკ მოვალ“ (გოთუა 1960:63).

ეს ასვლა ლევან გოთუასთვის ცოდვის მონანიების, სულიერი განწმენდისა და ამაღლების ზეაღსვლაა. ისინი, თითქოს, წყდებიან დროს და სხვა დროთა მდინარებაში გადადიან. უსაზღვროა ლევან გოთუას ფანტაზია: „კორიანტელი მათ მახლობლად სხივს როცა ააბორჯებს, ალექსანდრე ჯაფარიძე და გიორგი ლომთათიძე უეცრივ გამოიტვიფრებიან, როგორც შორეული წარსულის ლანდები. მე მაშინ ისინი ხვამლის ციხე-ქვაბულის უკანასკნელ მებრძოლებს მაგონებენ. ისინი სდარაჯობენ საქართველოს განძს, დროს კი მათ მიღმა ჩაუვლია და უკუნეთში წასულა დაუბრუნებლივ“ (გოთუა 1960: 74).

მწერალი მწვერვალების შეუდარებელ ვაჟკაცად მოიხსენიებს უფსკრულის თავზე წამომჯდარ ალექსანდრეს, რომელიც ჰაერში სრულიად დამშვიდებით ნებიერად აქანავებს ფეხებს. თუ კაცხში იგი მესვეტეს ჰგავდა, აქ, ლევან გოთუას ფანტაზიით, ალიოშა ხვამლის ციხის მაშენებელს ჰგავს.

„უეცრივ იგი ისეთი უზარმაზარი მეჩვენა, რომ სრულიად დაჰფარა ხვამლის კლდე. მე მხოლოდ მას ვხედავ, მას კლდეებისა და მწვერვალების შეუდარებელ ვაჟკაცს! ასეთი დამრჩა იგი მეხსიერებაშიც. ხვამლის ციხის მაშენებლებიც ალბათ ასეთები იყვნენ!“ (გოთუა 1960:76).

ხვამლის სამყაროში ლევან გოთუასთვის დროის სამანი წაშლილია. იქ ქვაბულის დროა... მაგრამ ამჟამად ციხე გაპარტახებული და უპატრონოა. ნამუსრევის კვალია ყველგან. „მერცხალთ ბუდეებიც ციხესავით უპატრონოა! მერცხალი გაფრენილა ხვამლიდან, ციხე ღამურებისათვის თუ დაშთენილა“ (გოთუა 1960:73).

მოშლილი ბუდე ახალ საფიქრალს უმატებს მწერალს. „ამ წყაროში ადამიანის სისხლთან ერთად მერცხლის სისხლიც თუ ურევია... ნუთუ პატიოსნად დაღვრილი სისხლიც უსახელო და წარმავალია?“ - კითხულობს მწერალი. ეს ეპიზოდი გურამ

რჩეულიშვილის „უსახელო უფლისციხელს“ მაგონებს - უსახელო ხვამლის მცველებიც უჩინრად გარდასულან ისტორიიდან...

ხვამლიდან ექსპედიციის წევრებმა წამოიღეს ნივთები მუზეუმისთვის: ძველი თიხის ჭურჭლის ნატეხები, დუღაბისა და საღებავის ნიმუშები, ძველქართული აგურები... ლევან გოთუა მომავალ თაობას მიმართავს: „ახალგაზრდებო! გაბედეთ, დაუბრუნეთ საქართველოს თავისი ძველი ისტორია, დრო მიდის და მიიხარჯება, ბევრი რამ იშლება და იკარგება. იჩქარეთ!“ (იქვე).

ძვირფასი იყო ლევან გოთუასთვის საქართველოს ისტორია, მისი ყოველი ფურცელი, ქვა თუ წარწერა! სამწუხაროდ, ალიოშა ჯაფარიძის ექსპედიციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს უგულებელყოფს თანამედროვე ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი. მათი მტკიცებით, თითქოს ზემოთ აღწერილი ექსპედიციების მონაწილეები სტალინის დავალებით შევიდნენ ხვამლის ციხე-ქვაბულში.

მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრის, ივანე ჯაფარიძის თქმით, ეს არის საშინელი ცილისწამება და სრული სიცრუე: „ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად ხვამლში იმყოფებოდა ლევან გოთუაც, რომელიც მთელი ცხოვრება ბოლშევიკებს ებრძოდა და ბოლშევიკებმა ციხე-საპატიმროებსა და გადასახლებებში 22 წელი გაატარებინეს... და ამ დროს ასეთ ადამიანს სტალინელობა დააბრალო, ეს არა მხოლოდ ლევან გოთუას პიროვნებისადმი ჩრდილის მიყენებაა, არამედ, იმ ისტორიის გაყალბების მცდელობაც, რომელიც ალიოშას და ლევანის სახელს უკავშირდება“ (ჯაფარიძე 2008:6).

ხვამლის ექსპედიციიდან სამი თვეც არ იყო გასული, რომ 1945 წელს, უშბა-შხელდის ტრავერსის დროს, უშბის მწვერვალიდან დაშვებისას ღამის სათევად კარავში შეფარებული მთელი ჯგუფი: ალიოშა ჯაფარიძე, ქელეშბი ონიანი და ნიკოლოზ მუხინი არნახული სიძლიერის ზვავმა უშბის ნაპრალებში დამარხა. მთამსვლელთა მებაირახტრის - ალიოშა ჯაფარიძის დასახმარებლად პირველივე დაძახილზე ლევან გოთუა მყისვე იქ გაჩნდა. „მებაირახტრის“ მეტაფორით იგი ხაზს უსვამს, თუ რა დიდი პიროვნება იყო საფრთხეში.

„ყინულზე ვამჩნევ ალიოშას ამოკვეთილ საფეხურებს, მაგრამ თვით კი აღარსადა ჩანს. თვითმფრინავი კი უვლის და უვლის... აი ჩასაგდები სურსათ-წამლების ამანათი მზადა მაქვს. მათ ხომ სულ ცოტა ორი კვირა მაინც არაფერი უჭამიათ!“ (გოთუა 1963:4).

მაგრამ უკანასკნელი იმედიც იწურება, მობინადრენი აღარსად ჩანან. ყინვარების ვეება ქაოსში დარჩა ალიოშას და მისი „სიკვდილის ძმების“ თეთრი სამარე, - წერს ლევან გოთუა (იქვე).

ამაო იყო ალექსანდრას თავგანწირული მცდელობა, ძმის ცხედრის პოვნისა. მხოლოდ 12 წლის შემდეგ, როგორც ლევან გოთუამ ბრძანა „უშბამ პირველად დააბრუნა თავისი მსხვერპლი“. ალიოშა ორივე ფეხზე მოკვეთილი თითებით იცნეს.

ალიოშა ჯაფარიძის ნეშტის პოვნას 12 წლის მერე ლევან გოთუა წერილი-ჩანახატით - „მართალი ლეგენდა“ გამოეხმაურა. მის პოვნას მწერალი სასწაულად ნათლავს: „კავკასიონი ოდითგანვე ლეგენდებში გადასული მთაგრეხილია. უშბა კი ერთ-ერთი ულამაზესი მწვერვალთაგანია მსოფლიოში. ამასთან, მრისხანეა იგი, მრავალი მთამსვლელი უმსხვერპლია, უკვალოდ ჩაუყლაპავს, აღარც ერთი არ დაუბრუნებია უკან. ალექსანდრე ჯაფარიძე აქაც პირველი აღმოჩნდა. მან, თავისი დაღუპვის თითქმის თორმეტი წლისთავზე, მაინც გამოარღვია უშბის ყინულეთი და ისევ ჩამოვიდა ჩვენს დედაქალაქში“ (გოთუა 1957:4).

ლევან გოთუა ალიოშა ჯაფარიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ვაჟკაცურსა და თავდადებულს უწოდებს, ხოლო მის მეორედ მოსვლას - ლეგენდარულს. მის ასვლას უშბაზე ვეფხისა და მოყმის ბალადას ამსგავსებს. ლევან გოთუას წარმოსახვაში ისევ ამირანის სახება ილანდება.

„მაინც, ალიოშა ჯაფარიძის სიცოცხლე საოცარი წვისა და სილამაზისა იყო. ვაჟკაცური და მრისხანე იყო მისი რკენა უშბასთან, ვეფხისა და მოყმის ბალადას ჰგავდა, მაგრამ სულ საოცარი იყო მისი მეორედ მოსვლა! ამირანისეული ცეცხლისა და ბედის მოზიარემ თითქოს ჯაჭვი დასწყვიტა, მწვერვალებსა და სიკვდილს გადმოაბიჯა“ (გოთუა 1957:4).

მწერალი ალიოშა ჯაფარიძის ახალ ლეგენდას ძველი ლეგენდის თავისებურ განმეორებად მიიჩნევს.

„მისი ცხოვრების თარიღები კავკასიონის მწვერვალებზეა გადათვლილი, გადაწერილი! და თუ პირველყოფილმა საქართველომ ამირანის დიდი ლეგენდა შექმნა, ჯერ თვალნახული თქმულება, ალიოშა ჯაფარიძის შესახებ იმავე სიცოცხლით, იმავ ჯაჭვში და იმავ კავკასიონზე იგზნო და გამოიჭედა. ამ მხრივ ახალი თქმულება ძველი

ლეგენდის თავისებურ, უახლეს და ცოცხალ ვარიანტად გვევლინება!“ (გოთუა... 1995:334).

ჯაჭვების დაწყვეტასა და მეორედ მოსვლაში ქართული მთამსვლელობის ხასიათიც და მიზანსწრაფვაცაა გაცხადებული: გამუდმებული ძიება, კვლევა, მიუღწევლის მიღწევის სურვილი.

ალექსანდრე ჯაფარიძის პორტრეტი ზოგადსაკაცობრიო პრობლემის ჭრილშია გამოძერწილი. ის იმ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც თავს სწირავენ, მაგრამ „ადამიანის მებრძოლი სულისა და ცოდნის ნაღვერდალი მაინც წინ მიაქვთ. მათ გარეშე კაცობრიობა თავის პირველყოფილი სადგომის ზღურბლსაც ვერ გასცდებოდა. ბუნების მონა დარჩებოდა!“ (გოთუა1957:4).

კავკასიონს კი კიდევ შეემატა ახალი მართალი ლეგენდა - ერთმა მოყმემ როგორ სძლია „სამთა - უშბას, ყინვას და სიკვდილს!“ (იქვე).

ლევან გოთუას, გადასახლებაში, მძაფრი განცდებისა და ემოციების მოძალებისას, სწორედ მთები და „თოკის მეწყვილე“ წარმოუდგება თვალწინ... ალიოშასაგან განსხვავებით, მან ვერ მოიხადა ვალი. ამიტომ შურს მეგობრის ბედის, რომელიც ახლა მშობლიურ მიწაში განისვენებს:

„წერილს როცა ვწერ, თავი საქართველოში მგონია. მერმე, რომ მომაგონდება შვიდიათას კილომეტრზე გაკიდებული მანძილი, შევაჩერებ წერას და გულისხმად გადავიქცევი. გული მიგრძნობდა, ამიტომ ვიყავი ასე „დახარბებული“ ქართულ კუთხეებს, ქართულ არე-მარეს, ხევებს, ქართულ მწვერვალებს და ქართველ ხალხს. არაერთგზის შემშურვებია ჩემი ალიოშას ბედი, რომელსაც უშბის უბეში ვალმოხდილს სძინავს... მე ვერც ვალი მოვიხადე, ხოლო ძილისა კი სრულიადაც არა ვიცი რა“, – აღნიშნავს მწერალი (გოთუა... 1995:314).

იქ, გადასახლებაში, გაუსაძლის პირობებში წერაც კი უჭირს, ზეპირად, ფრაგმენტულად გადმოსცემს აზრებს, რითაც ზიანდება და „კოჭლობს ფაქტების ისტორიული მხარე, აგრეთვე მხატვრული დონეც. მაგრამ თუ ვინმე ამ სტრიქონებს წაიკითხავს, იცოდეს, რომ თუ მოვიკოჭლე, ეს იმიტომ, რომ ხელ-ფეხზე იმდენი მავთული მეხვია, მთელ დედამიწას შემოერტყმოდა“ (გოთუა... 1995: 314).

როდესაც 1948 წელს ალიოშას და - ალექსანდრა ჯაფარიძე ბეთლემის გამოქვაბულში შევიდა, აღფრთოვანებულმა ლევან გოთუამ გადასახლებიდან ასეთი

წერილი გამოგზავნა სამშობლოში: „რა შესანიშნავი თემაა გარდა სხვა ყველაფრისა: ქალმა დაამხო ძველი განდეგილი ბერი და ისევ ქალმავე აღმოაჩინა იგი – ალბათ თვისი ძლიერების ხელმეორედ დასადასტურებლად! ეჰ, იქნებ ოდესმე დავწერო, ჯერ კი ხელები შემოკლებული და სული შეხუთული მაქვს“ (გოთუა... 1995:289).

მთამსვლელი ჯაფარიძეები მისი შთაგონების წყაროდ ქცეულან... უფროს ძმას – სიმონს, რომელიც თეთნულდზე დაიღუპა, თეთნულდის ლეგენდად მოიხსენიებს, ალიოშასთან კი „მთამსვლურმა თოკმა და გულთბილი მეგობრობის გზამ სამუდამოდ“ დააკავშირა.

„ორი ძმა – სიმონი და ალექსანდრე! ასეთი დიდი მსხვერპლი მოითხოვა კავკასიონმა, რომ ამ დიდი გვარის წინაშე თავი დაეხარა. ხოლო საქართველოს მთამსვლელობის დედამთავარს – ალექსანდრა ჯაფარიძეს ჭეშმარიტად შეუძლია თქვას, რომ კავკასიონის მწვერვალები მისი ღვიძლი ძმები არიან“ (ჯაფარიძე, არქივი).

ალექსანდრა ჯაფარიძის მიერ მყინვარწვერის კალთებზე ბეთლემის ლეგენდარული გამოქვაბულის აღმოჩენიდან მხოლოდ 7 წლის შემდეგ დაბრუნდა ლევან გოთუა მონატრებულ სამშობლოში. 1955 წელს დასრულდა მისი 22-წლიანი ტანჯვა-წამების გზა საპატიმროებსა და გადასახლებებში.

1957 წელს, ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებით, ლევან გოთუა სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა ქართველ მწერალთა ოცკაციან ჯგუფს, მიიწვია ბეთლემის გამოქვაბულის აღმომჩენი, ლეგენდარული მთამსვლელი ქალი ალექსანდრა ჯაფარიძე და „ილიას გზით“ წაიყვანა ახალგაზრდები.

ილიას „განდეგილის“ გმირთა სამყაროში – ბეთლემის გამოქვაბულში შესვლა და მყინვარწვერის დალაშქვრა, ლაშქრობის მონაწილე მწერლებისათვის შთაგონების წყაროდ იქცა და მათ ხსოვნაში წარუშლელ მოგონებად დარჩა, ხოლო გურამ თიკანაძემ ფოტოსურათებზე აღბეჭდა დაუვიწყარი მოგზაურობა. ბეთლემის ექსპედიციის მონაწილე მწერალმა ედიშერ ყიფიანმა გულით აღწერა გზა „მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე“...

ალექსანდრა, რომელიც ძმის დაღუპვას ჯერ ისევ გლოვობდა, ასე იხსენებს ამ მოგზაურობას: „ალიოშას დასაფლავების შემდეგ, თბილისში რომ დავრჩენილიყავი, უთუოდ გლოვას გადავყვებოდი, ლევანის დაჟინებულმა თხოვნამ ნამდვილად გადამარჩინა, მდგომარეობიდან გამომიყვანა და სიცოცხლის რწმენა დამიბრუნა.

ლაშქრობაში, როგორც პატარა ბავშვს ისე მეპყრობოდა და მივლიდა, ნამდვილი ძმობა გამიწია და რა ბედნიერებაა, რომ ასეთი ღვთისნიერი, უანგარო ადამიანები არსებობენო, იტყოდა ხოლმე ხშირად“ (ჯაფარიძე 2004:4-5).

ხოლო ლევანს ედიშერ ყიფიანი ასე მოიხსენიებს: „...ლევან გოთუა მთასავით კაცია, მთებშიც არ იჩქმალება მისი გოლიათობა. მთაზე მცოცავი მთაა“ (ყიფიანი 1957:160).

ლევან გოთუამ და ალექსანდრა ჯაფარიძემ პირველი ქვა მიიტანეს და საფუძველი ჩაუყარეს ილიას ნიშს. ნიშთან წარწერაც გაჩნდა: „მგზავრო, ერთი ქვა შენც შემატე ილია ჭავჭავაძის ნიშს!“

ამ მოგზაურობას ლევან გოთუამ მიუძღვნა ნარკვევი „კავკასიონის „ილიადა“, სადაც მსვლელობის მონაწილეები ილიას კალმისა და საქმის მემკვიდრეებად გამოაცხადა (გოთუა 1960:217).

ლევან გოთუას დახასიათებით, ილია ჭავჭავაძე „დიდი ივერიელი“ და „დიდი წიწამურელი“ იყო, ის პიროვნება, ვინც არ იცოდა დიდი და მცირე სამშობლოს სამსახურში: პატარა ეროვნულ საქმესაც ისეთივე მონდომებით აკეთებდა, როგორც დიდსა და მნიშვნელოვანს.

მსვლელობის მონაწილე მწერლებმა თითქოს „ილიას დაკარგული სათვალეები იპოვეს“ და ისე მოიარეს მის სახელთან დაკავშირებული ადგილები - წიწამური, საგურამო, ბაზალეთის ტბა, მყინვარწვერი, ბეთლემი... ამ მსვლელობის მონაწილეები იყვნენ: ედიშერ ყიფიანი, რევაზ ინანიშვილი, აკაკი გეწაძე, გიორგი ქავთარაძე, ალეკო სანადირაძე, ზურაბ ლორთქიფანიძე, შოთა არაბული, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ნოდარ შამანაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ემელიანე ქურდიანი, ზაქარია შერაზადიშვილი, გურამ თიკანაძე, ოთარ კუპრავა, ვადიმ მიხაილოვი, ჯემალ ლოლუა, ლევან სუჯაშვილი, გივი ყალაბეგიშვილი, მოსე ქარჩავა...

„სიყვარულით გავცქეროდით ჩვენს მშობლიურ ბუნებას, გზებს, მთა-ბარს და, ვით ილიას ვეება წიგნებს, ისე ვფურცლავდით, ვეწაფებოდით და მისი სახელით წინ ვიდოდით. ჩვენს ახალ ლექსებში, მოთხრობებში თუ ნარკვევებში ილიას ნატერფალის გაცოცხლებას, განვრცობას და ახლებურად განცდას ვცდილობდით“ (გოთუა 1960:211).

თავად ლევან გოთუამ მსვლელობის მონაწილეებს ახლად დაწერილი ნოველა „წიწამურის მიწას“ წაუკითხა... ხსენებული ნარკვევიც - „კავკასიონის „ილიადა“

მოგზაურობის ჩანაწერებისა და ნარკვევების კრებულ „მგზავრული კრიალოსანში“ შევიდა. ზოგიერთი ნარკვევი თოკის მეწყვილეს, ალიოშა ჯაფარიძეს მიუძღვნა და ასე დაახასიათა – „მთამსვლელობის შეუდარებელი ოსტატი, მწვერვალების ვაჟკაცი და მიუვალი გამოქვაბულების მესაიდუმლე“ (გოთუა 1960: 45).

ყოველ ახალ წიგნს ლევან გოთუა ალექსანდრა ჯაფარიძეს წარწერით უძღვნიდა ხოლმე - ქართული მთამსვლელობის „მანდილს და ალამს“. მან ასევე წერილი უძღვნა ლეგენდარულ მთამსვლელ ქალს და „მრავალთაგან ერთადერთი“ უწოდა. ლევან გოთუა ალექსანდრა ჯაფარიძის სიმშვიდეს უსვამდა განსაკუთრებულ ხაზს, რომელიც ლაშქრობისწინა ცხარე კამათის პირობებშიც კი ყოველთვის მშვიდად და გულისხმიერად გამოიყურებოდა. მაგრამ როცა იგი წყნარი ხმით იწყებდა საუბარს, ყველა უნებურად ჩუმდებოდა და ყურადღებით უსმენდა.

„...მწვერვალის შტურმის წინ ზუსტად და საქმიანად იძლეოდა უკანასკნელ განკარგულებებს, თავისი მშვიდი გამომეტყველებით ყურადღებას აქცევდა რა ყველა წვრილმანს, უნებურად მუხტავდა სიმშვიდით ახალბედა ალპინისტებს, რომლებიც პირველ მწვერვალზე მღელვარებით მიდიან და გამოცდილ ინსტრუქტორებსაც, რომლებიც მოუსვენრად გამოიყურებოდნენ. იგი უზარმაზარ ზურგჩანთამოკიდებული ვნახე აილამას რთულ ყინვარდნილზე, როგორ ეკიდა თოკით უძირო ნაპრალის თავზე და იქაც ისეთივე წყნარი და თავშეკავებული იყო, როგორც ყოველთვის“ (ჯაფარიძე 2013:31).

1970 წლის 24 ოქტომბერს, ჭიათურაში ალიოშა ჯაფარიძის დაბადების 70 და კაცხის სვეტზე ასვლის 25 წლისთავი უნდა აღნიშნულიყო. ორგანიზატორების დიდი სურვილი იყო, ზეიმში მონაწილეობა მიეღო კაცხის სვეტზე პირველამსვლელს, ხალხისთვის საყვარელ მწერალ ლევან გოთუას და „შუამდგომლობა“ ალექსანდრა ჯაფარიძეს სთხოვეს: „ბატონი ლევანი, ამ დროს, არმაზში ცხოვრობდა და თავაუღებლად მუშაობდა ახალ რომანზე. ბევრი აღარ გვიფიქრია და ჯაფარიძეთა ოჯახის სამი თაობის წარმომადგენელი - ალექსანდრა ჯაფარიძე, ტარიელ საყვარელიძე და ამ სტრიქონების ავტორი, არმაზში გავემგზავრეთ.

ალექსანდრამ, ჭიათურის საზოგადოების სურვილი რომ გადასცა და თავის მხრივაც დააპირა თხოვნა, ლევანმა ხელი მოჰხვია და შეაჩერა - „ამას თქმა რაღად უნდა, აქ რა გამაჩერებს, როცა კაცხში ჩემი ალიოშა მეპატიჟებაო“ (ჯაფარიძე 2005: 2).

ასე ლამაზად დარჩნენ ლევან გოთუას ცხოვრებაში მთამსვლელი ჯაფარიძეები. თავად მწერალი წერდა: „არიან ადამიანები, რომელთა არსებობას ცხოვრებიდან მათი წასვლის შემდგომაც უშუალოდ გრძნობ, როგორც ცხოვრების შეუწყვეტელ ნაწილს, მთაში ხომ ალიოშას სულ ცოცხლივ განვიცდი“ (ჯიშკარიანი 2017:113).

და-ძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად კავკასიონზე ერთობლივი ასვლებისას, უსახელო მწვერვალებს ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სახელები ერქმეოდა: „ილია“, „აკაკი“, „ვაჟა“, „სულხან-საბა ორბელიანი“, „ნინოშვილი“, „მარჯანიშვილი“... მოგვიანებით კი, 1974 წელს, თბილისის უნივერსიტეტის 32-ე ალპინიადის მონაწილეებმა ხდეს ხეობის უსახელო მწვერვალს „ლევან გოთუას“ სახელი მიანიჭეს.

მთა ლევან გოთუას ფანტაზიისა და შთაგონების უშრეტი წყარო იყო და ჯაფარიძეები მისი შემადგენელი ნაწილი. ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრების“ მატიანის დაფანტული ფურცლების კვალდაკვალ მიდიოდა, მეორე მხრივ, მთელი ტანით ზეაღმართული უკითხავდა მოლაშქრეებს ნაწარმოებებს. და იქნებ, სწორედ, მთამსვლელობაში ჩამოყალიბებულმა მტკიცე ხასიათმა და შეუპოვრობის განცდამ გადაარჩინა საკონცენტრაციო ბანაკებისა და გადასახლებების მკაცრი რეჟიმის პირობებში?

ვაჟაზე უზომოდ შეყვარებულმა ლევან გოთუამ კარგად უწყოდა, მთანი მაღალნი დიდ საიდუმლოს იტევენ და ისინი არა მხოლოდ ზნეობრივი სრულყოფისაკენ სწრაფვის ზოგადი გამოხატულება იყო, არამედ - „მის გმირთა გოლიათური ზნეობრივი ძალის შესატყვისი ცნებაც“ (ივანიაძე).

ლევან გოთუასთვის უზნეოდ დარჩენილ ადამიანს არაფერი უანგარო არ ამოძრავებს: „იგი ხან ზეცაში აფრინდება, შემთხვევის ფრთებზე... უფრო ხშირად კი ქვესკნელში მოადენს ზღართანს! ხოლო არაფერი არ არის ადამიანისათვის სულიერ ქვესკნელზე უფრო მდაბალი და სახიფათო!“ (ჯიშკარიანი 2017: 290).

„გოლიათური ზნეობრივი ძალის შესატყვისი მთები“ კი... სულიერებისა და განწმენდის დიდი კიბე იყო მისთვის... ამ მხრივ, იგი ვაჟა-ფშაველას ეხმიანება, მის პუბლიცისტიკაში ვაჟასეული ამირანის სახებაც კრთება.

ვაჟა-ფშაველა ამირანის სიმბოლოში თავისუფლებადაკარგულ სამშობლოს მოიაზრებდა და თავადაც ჰგავდა ამირანს... ლევან გოთუაც, უწინარესად, პიროვნული

ბედით იყო ამირანთან გადაჯაჭვული. მთელი ცხოვრება საკონცენტრაციო ბანაკებისა და ციხეების მავთულხლართებს ებრძოდა. იქნებ ამიტომ ელტვოდა მთებს და მთაზე ყოველი ასვლა ამ პატიმრობის კომპენსაციაც და შინაგანი თავისუფლების გამოხატულებაც იყო? ამირანისეული შურისგების ნატამალსაც ყოველ მთამსვლელში ამიტომაც ხედავდა? იმავდროულად, მიჯაჭვული გმირის ხვედრში დამონებული სამშობლოს ბედს აცნაურებდა.

ამ ქვეთავს დენიზა გოზალიშვილის ერთი მოგონებით დავასრულებ: მწვერვალ „ვაჟა-ფშაველას“ აღმოჩენის შემდეგ, ექსპედიცია უჩვეულო მოვლენას შეესწრო: „იმ დღეს ჩვენ ბუნების უჩვეულო მოვლენის მოწმე გავხდით, რომელიც არც მანამ, არც შემდეგ, არც ერთ ჩვენგანს არ უხილავს... ის იყო მწვერვალზე ბარათის დასატოვებლად მოვემზადეთ, რომ გარემო ნისლმა დაფარა. უცებ, ჩვენს უკან, ცაზე, მწვერვალი და მასზე მდგომი ლევანის უზარმაზარი ფიგურა აისახა, ფაფანაკიანი თავით. ყოველივე ამას კი შარავანდედად ცისარტყელას რკალი შემოევლო! ამ სურათს რამდენიმე წამი მონუსხულები მივჩერებოდით!“ - წერს დენიზა გოზალიშვილი (გოზალიშვილი1995:7).

იქნებ შემთხვევითი არც იყო ეს ხილვა და ვაჟას სამყარომ მოგვცა ნიშანი მისი გამორჩეულობისა?!..

1.3. ლევან გოთუა და გურამ თიკანაძე: „ირმის კვალი“ - ხმით ნატირალი

თოვლიან-ყინულოვანი ფერდობები და თვალწარმტაცი მწვერვალები იყო ლევან გოთუას და გურამ თიკანაძის დამაკავშირებელი სამყარო. ლევან გოთუა 27 წლით უფროსი იყო გურამ თიკანაძეზე, მაგრამ მათი მეგობრობისთვის ასაკს ხელი არ შეუშლია, პირიქით, გადასახლებებში გამობრძმედილი და თავისუფლების იდეით სამშობლოში დაბრუნებული „გმირთა ვარამის“ ავტორი გურამისთვის ვაჟკაცობის, მეგობრობისა და ურთიერთგატანის მაგალითი და გულის მესაიდუმლე გახდა.

მთამსვლელ ჯაფარიძეთა შთამომავალი ივანე ჯაფარიძე ამბობს, რომ ლევან გოთუა და გურამ თიკანაძე მთამ დაამეგობრა.

1936 წლიდან მოყოლებული საქართველოს ალპურ კლუბში, რომელსაც 1945 წელს დამაარსებლის - ალიოშა ჯაფარიძის სახელი მიენიჭა, არა მხოლოდ ალპინისტები, არამედ ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც იკრიბებოდნენ, მათ მთასთან დიდი სიყვარული აკავშირებდათ.

კლუბში ხშირად იკრიბებოდნენ სტუდენტი ახალგაზრდები, რომლებიც ნიკო კეცხოველს – უნივერსიტეტის რექტორს და საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს – უდიდეს პატივს სცემდნენ და ხშირად მისი რჩევით მიდიოდნენ მთაში. ლევან გოთუა მე-20 საუკუნის 40-იან წლებში ალპური კლუბის სწავლული მდივანი იყო და კარგად ესმოდა მთის მოყვარული ახალგაზრდების გულისთქმა.

ლევან გოთუამ, უნიჭიერესი ფოტოხელოვანი და მთამსვლელი გურამ თიკანაძე გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, ჟურნალ „დროშის“ რედაქციაში გაიცნო, სადაც გურამი, როგორც მახვილი ხედვისა და აზროვნების ფოტოჟურნალისტი, ლევანის ახლო მეგობარმა კოტე ჯავრიშვილმა მიიყვანა. კლუბშიც არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს. სწორედ ეს შეხვედრები გახდა მათი დამეგობრების საწინდარი.

გურამს საოცრად იზიდავდა დაბრძენებულ, მრავალჭირგამოვლილ და მრავლის მნახველ ლევან გოთუასთან ურთიერთობა, რომელსაც ხშირად აკითხავდა არმაზში თეთრი „ვოლგით“ და მთელ დღეებს ერთად ატარებდნენ. უანგარო, საოცარი სიყვარული ჰქონდათ ერთმანეთისა...

ივანე ჯაფარიძის აზრით, ლევან გოთუა უახლოეს, ძველ და ნაცად მეგობრებთან – სერგო ზაქარიაძესთან, კოტე ჯავრიშვილთან, ატე ნემსიწვერიძესთან (ალიოშა ჯაფარიძე უკვე აღარ იყო ცოცხალი) ერთად, ასაკში დიდი სხვაობის მიუხედავად, გურამ თიკანაძესაც მათი რანგის მეგობრად მიიჩნევდა.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ლევან გოთუამ ახალგაზრდებზე გადაიტანა აქცენტი. მისი მეუღლის, ქალბატონ ციცო ალხაზიშვილის თქმით, ლევანი თავის თავს უთაობო ადამიანს უწოდებდა – მისი თაობის ხალხი აღარ იყო, მათი უმრავლესობა რეპრესიებმა შეიწირეს...

საბჭოთა რეჟიმს ლევან გოთუას ოჯახის წევრებიც ემსხვერპლნენ. 20-ან წლებში ვლადიკავკაზში გადასახლებულ ლევანს ძმის დასაფლავებაზე ჩასვლის უფლება არ მისცეს, მამას კი ტრამვაი დაეჯახა, თუმცა, ოჯახის ვარაუდით, მას ავარია მოუწყეს...

ახალგაზრდებზე აქცენტის გადატანა იქნებ არც იყო შემთხვევითი. ლევან გოთუა ახალ თაობაზე ამყარებდა იმედებს და, როგორც ამბობდა: „თაობიდან თაობაში საერთო ღვაწლის გამრავლება ყველასათვის ისევე სავალდებულოა, როგორც სამშობლოს სადარაჯოზე ყოფნა“ (გოთუა 1999:24).

საერთო ღვაწლიც გურამ თიკანაძის მსგავს გამორჩეულ, ვაჟკაცურ, ნიჭიერ და ზნეობრივად სუფთა ახალგაზრდებს უნდა გადაეცათ თაობიდან თაობაში!

ლევან გოთუამ გაცნობისთანავე დაიახლოვა გურამ თიკანაძე...

ოტია იოსელიანი იხსენებს, როცა არ უნდა მივიდე რედაქციაში, იქ მუდამ არიან: ედიშერ ყიფიანი, კოტე ჯავრიშვილი და გურამ თიკანაძეო... მწერალი გურამს ვერცხლისწყლის მერცხალს უწოდებს, რომელიც შემოფრინდება, ცინცხალ ფოტოებზე აღბეჭდილ მთის, ბარის, მწვერვალის, ცის, ერის, ბერის, უახლესი ამბებით დააპურებს რედაქციას და მიფრინავსო.

„გურამი საოცრებაა! იგი როცა მიდის, არც მერე ტოვებს იქაურობას. მარტო ფოტოებს კი არა, რაღაცნაირ ხილულ ნათელს ტოვებს და უმისოდ მაინც არ რჩები“... (იოსელიანი 1995:10).

იქნებ სწორედ ამ ხილულმა ნათელმა დაატყვევა ლევან გოთუა?

გურამ თიკანაძეს თანამედროვენი ულამაზეს, წარმოსადეგ ვაჟკაცად ახასიათებდნენ. მწერალ მარგო თომაძეს მიაჩნდა, რომ ვისაც ძალის, სილამაზისა და სიმამაცის ნახვა სურდა, მას მთებში სწორედ გურამ თიკანაძე უნდა ენახა.

გურამ თიკანაძე 1954 წელს ალპინიზმის ინსტრუქტორი გახდა და რამდენიმე რთული ასვლა განახორციელა კავკასიონისა და პამირის მწვერვალებზე. ხიფათიანი მთები გახდა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მისი სიყვარულიც და ბედისწერაც.

მთამსვლელი და ჟურნალისტი კოტე ჯავრიშვილი თავის მოგონებებში ხაზს უსვამს, რომ გურამი მთამსვლელი იყო, 40-მდე მწვერვალი დალაშქრა, მოიარა ხევსურეთის, ხევის, ყარაჩაისა და სვანეთის მწვერვალები, იმყოფებოდა ცადაზიდულ პამირზე, დალაშქრა მყინვარწვერისა და ჭაუხების, ფასის მთისა და ცალგმილის, უშბისა და შხელდის, და ბოლოს, თეთნულდისა და შხარას კლდოვანი და ყინულოვანი მწვერვალები... „არა მარტო მოიარა, ფოტოფირზე ასახა მთები და მთებთან შერკინებული ადამიანები“ (ჯავრიშვილი 1965:65).

თავად გურამის დევიზი სიახლე, სიფხიზლე და მოძრაობა იყო: „მუდამ სიახლე, სიფხიზლე, მოძრაობა. ჩვენ მთასთან და ყინულთან მეტ საერთოს ვნახულობთ, ვიდრე ბართან და ზღვასთან“ (ფოფხაძე 1987:5).

ციცო ალხაზიშვილი – ლევან გოთუას მეუღლე: „ლევანი გამწარებული იყო გურამის დაღუპვით, ძალიან განიცდიდა... გაოგნებული იჯდა დიდი ხნის

განმავლობაში და ცრემლები ჩამოსდიოდა. მეც იმდენად განვიცადე, რომ დასაფლავებაზე ვერ წავედი. ლევანმა კი მიუსაჯა თავს და მაინც დაესწრო ამ დასაფლავებას. თითქოს გამოემშვიდობა ამ წერილით...

ახლაც მახსოვს ყველაფერი, ის სიტყვები, როგორ ამკობდა გურამს, – ვაჟკაცი, ბრგე, ნამდვილი ქართველი, ჭკვიანი ფოტოხელოვანი... ყველაფერს საოცარი თვალით აკვირდებოდა გურამი. ფოტოგადაღებების დროს მართლა საოცრებას ახდენდა... ერთხელ, მგონი, ცოცხალი თევზიც კი გადაიღო... ლევანის სურათებს შორის გურამის გადაღებულ უამრავ ფოტოს შეხვდებით. ასეთი იყო მათი ხანმოკლე ურთიერთობა“...

გურამ თიკანაძის ხსოვნას ივანე ჯაფარიძემ მრავალი წერილი თუ რადიოგადაცემა მიუძღვნა და უნიკალური პიროვნული თვისებების გამო მას „სიკეთის მთესველი მზეჭაბუკი“ უწოდა, ასეთი დარჩა ყველას ხსოვნაში, ვისაც იგი ერთხელ მაინც უნახავს...

ლევან გოთუას პირად საქმეში ერთი საქაღალდე გურამ თიკანაძეზეა, სადაც თავმოყრილია - ნარკვევი „ირმის კვალი“ და დოკუმენტები გურამ თიკანაძეზე კრებულის გამოცემის შესახებ. მხატვრული ნარკვევების კრებული შხარას მწვერვალზე დაღუპულ გურამ თიკანაძეზე 1965 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა. ლევან გოთუას დიდი გულმოდგინებით უმუშავია ამ კრებულზე, შეუგროვებია მასალები.

აქვეა მანქანაზე დაბეჭდილი სამადლობელი წერილი, რომელსაც გურამ თიკანაძის ფერადი ფოტოსურათი ახლავს. ხელოვანის ოჯახი მადლობას უხდის ლევან გოთუას წიგნის შექმნაში დიდი ღვაწლისთვის. აი, ეს წერილი:

„ღრმად პატივცემულო, ავტორო! თუ ჩვენს დაღუპულ პირმშოს ესმოდა ბუნების სუნთქვა, იყო უსაზღვროდ თავდაუზოგავი ბუნების სტიქიის წინაშე და ამიტომაც შთანთქა მთებმა მისი სიცოცხლე, ის პაწია წიგნი, რომლის შექმნაში თქვენი განუზომელი ღვაწლი ურევია, ჭეშმარიტად ცდილობს, მოჰკლას გურამის შავბნელი სიკვდილი, რისთვისაც ამ მცირე ბარათით გიგზავნით ჩვენი უბედური ოჯახი დიდ მადლიერებას. ხელს აწერენ: ტატიანა, ვასილი, რუსუდანი, ია თიკანაძეები (სუიცა,საქმე №201: 26).

წიგნში შევიდა ლევან გოთუას ორი ნარკვევი: „ირმის კვალი“ და „წერილები ქობთავის ქვაბებიდან“.

ნარკვევში „წერილები ქობთავის ქვაბებიდან“ დიდი მწერლური ოსტატობით აღწერილია 1957 წლის 29 მაისის ექსპედიციის მოგზაურობა. „ჩვენ ქობთავის

ქვაბულების საიდუმლოს მაძიებელნი ვართ“, - ამბობს მწერალი დასაწყისში (გოთუა 1960:104).

შეუღწევ ქვაბულებთან გურამ თიკანაძე გაიელვებს. აი, როგორ აღწერს ლევან გოთუა ამ სურათს: „ვეებერთელა პიტალოზე ჩამოშლილა ასმეტრიანი თოკი, ზედ საყურესავით ჰკიდია კაცი და სულ თავისუფლად ქვევით ეშვება, თითქოს მოფრინავს, ხანდახან ფეხებს შეახებს, ემიჯნება შვეულ კლდეს... ხშირ-ხშირად ლითონის რეჩხი გაისმის... ეს ქვები ეცემიან მის მუზარადს“ (გოთუა 1960:110).

მწერალი გურამს „ძე-ადამიანს“ უწოდებს: „...ასე დაკიდებული ძე-ადამიანი ხომ ვერ დარჩება!

- მალე! სუნთქვას მიშლის! - იძახის დაკიდებული და ზამბარამოშლილი საათის ქანქარასავით ნელა ქანაობს“ (იქვე).

მწერალი ჰაერში „საყურესავით დაკიდებული“ „ძე-ადამიანის“ წარუშლელ სურათს ხატავს. ეს ლევან გოთუას სიტყვათქმნადობის ერთ-ერთი ნიმუშია, როგორც „ადამიან-ქართველი“ და სხვა. სიტყვა „ძე“ უნებურად ძე ღვთისას ასოციაციას აღძრავს, მაგრამ მეორე სიტყვა „ადამიანი“ გვეუბნება, რომ ეს ჰაერში ჩამოკიდებული კაცი უბრალო ადამიანი კი არ არის, ღვთის ხატს მიმსგავსებული სრულქმნილი ადამიანია...

ეს გურამ თიკანაძის დასახასიათებლად გამოყენებული ერთ-ერთი საინტერესო სახეა, სხვა სახე-სიმბოლოებით არის დატვირთული გურამ თიკანაძისადმი გამოსამშვიდობებელი პუბლიცისტური წერილი. ლევან გოთუას ამ ნარკვევისთვის „ირმის კვალი“ დაურქმევია, რომელსაც მეორენაირად ლევან გოთუას ხმით ნატირალიც შეიძლება ეწოდოს...

„...იმ საბედისწერო დღეს, ლევან გოთუა არმაზში ყოფილა... გურამის დაღუპვის ამბავი რომ ამცნეს, მტკვარზე ჩასულა, ბარგიყარიასთან, სადაც გურამთან დაკავშირებული მოგონებები უფრო მძაფრი იყო... იქ ყოველ მტკაველ მიწას ხომ გურამის ნატერფალი აჩნდა... ვინ იცის, ამ ადგილას რამდენჯერ გადაუცურავთ მტკვარი მხარდამხარ“ (ჯიშკარიანი 2017:55).

ნარკვევი „ირმის კვალი“, დიდი განცდით, გურამის გარდაცვალებისთანავე, ცხელ გულზე დაიწერა.

ირმის კვალი, ვფიქრობ, სიმბოლურად ვარსკვლავების ულამაზეს „ირმის ნახტომთან“ ასოცირდება... მწერალმა გვითხრა, რომ გურამმაც ასეთი ლამაზი კვალი

დატოვა. ამავდროულად, ირემი, ალეგორიულად, ღვთის მაძიებელი სულია, რომელიც წყაროსკენ მიილტვის... არმაზში, იმ ადგილას, სადაც მტკვარი მოედინება, ირმები ჩამოდიოდნენ წყლის დასალევად. მეგობრებს ხშირად უვლიათ მათ ნაკვალევზე...

ნარკვევში თხრობის ორი პლანია გადმოცემული... პირველი გმირის პორტრეტისა და სახის შექმნას ემსახურება, მეორე თავად ავტორის შინაგანი მონოლოგი-გასაუბრებაა გმირთან, რომელიც ცოცხალი აღარ არის. გარესამყაროს ემოციური აღქმა და ავტორის სულიერი რეაქცია თხრობას შთამბეჭდავსა და მიმზიდველს ხდის.

ჩვენ თვალწინ გაიელვებს ორი მეგობრის მიერ ერთად გატარებული მთელი ცხოვრება, ფიქრი ლამაზ დღეებზე და წარმავლობის სევდაზე... ავტორი ელაპარაკება გარდაცვლილ გურამ თიკანაძეს და ამით უშუალობის, ინტიმის განცდა შემოაქვს.

ნარკვევი იწყება იმ ამბის გაცოცხლებით, რომელიც უწინ ჩვეულებრივი იყო ავტორისთვის.

„იმ დღესაც არმაზში, სადაც მე ვცხოვრობ, მოუმთავრებელ ხელნაწერში გულდაგულ ვიყავი ჩაფლული. ჯერ უსამოსო სიტყვებისა და თვალაუცრელი სახეების აბლაბუდა ირგვლივ მეხვია... უეცრად ჩვენს ეზოში მანქანა შემოგრიალდა... შენც ასე ულოდნელად იცოდი შემოქროლება, ჩემო გურამ... ამჯერად შენ აღარ აღმოჩნდი... და ვაი, რომ საზარელი ამბავი შენ გეხებოდა“ (გოთუა1968:205).

ეს უვერტურაა, შემზადებაა სიუჟეტის გასაშლელად... მხატვრულ-პუბლიცისტური დამაჯერებლობა პირველ პირში თხრობით და გარემოს გასულიერებით მიიღწევა.

მეგობრის სიკვდილის გაგების შემდეგ ვეება კლდის ჩრდილი ღოჯად ამდგარა და მორევზე გლოვის ძაძად ჩანს, ხოლო მდინარის მოძრავ სხეულს „აღმა ტალღა ურჩხულის ქერეჭივით“ აყრია.

„იმ დღესაც ქარი იყო, შენ რომ ჩემთან თურმე უკანასკნელად ამოიარე. მაგრამ მაშინ ზენა ქროდა, ჭავლი ჭავლს რბილად ეწეოდა და თავგადავლით წყალს მიჰყვებოდა, როგორც ჩახლართული ჟამი წუთისოფლისა“ (იქვე).

„ჩახლართული ჟამი წუთისოფლისა“ თითქოს გაფრთხილება-გზავნილია, რომელიც მრავალ განსაცდელს უმზადებს ადამიანს. ლევან გოთუას მოულოდნელად შემოაქვს გმირის ცხოვრებიდან ფრაგმენტები, რომლებიც ავტორისეული ლირიკული და სევდიანი განცდებით, ფილოსოფიური წიაღსვლებითაა გამდიდრებული.

„...წყალი გულის კოვზთან რომ ამომადგა, მაშინღა ვიგრძენი და ფიქრსაც მაშინ მოვუპოვე თავგზა – თითქოს შენ ახლა გაღმა მეგულებოდი! მდინარისა და არა ცხოვრების გაღმა!“ (გოთუა 1968:206).

წერილს შიგადაშიგ რეფრენივით გასდევს სიბრძნით გაჯერებული გამონათქვამები. სიუჟეტი ავტორის შინაგან ცხოვრებასაც ხატავს... ასე, ოსტატურად იძერწება გურამ თიკანაძის პორტრეტი...

„ – აქ გულიანად დუღს წყალი! აი ასეთი დუღილიანი ცხოვრება მწამს და მიყვარს! – ესეც შენი სიტყვებია. დიახ, შენ დუღილის ახალგაზრდა იყავი და მე მუდამ ლექსამოუთქვამ მგოსნად მესახებოდი. აქ ახლაც დუღს მტკვრის მორევი... შენ კი სადღა ხარ? სად დადუღდი ასე უდროოდ?“ (იქვე).

პოეტური მეტაფორა და მწერლის რიტორიკული შეძახილი: „აქ ახლაც დუღს მტკვრის მორევი... შენ კი სადღა ხარ? სად დადუღდი ასე უდროოდ?“- თხრობას შთამბეჭდავს ხდის.

ლევან გოთუა იხსენებს იმ წუთებს, როცა გურამი დიდ მორევში გადაეშვა და არ ეპუებოდა ტალღებს, სწორედ მაშინ დაებადა აზრი, ოდესმე დაეწერა ბალადა „ჩქერი და მოყმე“.

ლევანი გურამის პორტრეტს ცურვის პროცესში, დინამიკაში ხატავს, რომლის აღფრთოვანებულ მზერაში იყო ცაც, მდინარეც, მზეც... წყალი „კეთილნატიფ სახეზე“ მარგალიტებად ჩამოსდიოდა, მკლავებქვეშ კი ჩქერი უდუღდა.

„მე მხიბლავდა შენი ილათიანი ცურვა – ერთდროულად არწივისა და ორაგულის თავმომწონე სილაღე და ტანმოქნილობა!“ (გოთუა 1968:207).

ლევანი „შემძიმებული სუნთქვის ძლევით“ მიჰყვებოდა მორევში მცურავ გურამს, რომელიც როგორც დედის უბეში, ისე ჰყოფდა თავს წყალში...

ამ ეპიზოდებში, გმირის გარეგნულ მომხიბლაობასთან ერთად, ხასიათის მთავარი თვისებაა ილუსტრირებული და მისი ფორმირებაც ჩანს. გურამის ლაღი, ცამზიანი სული იხატება...

შემთხვევით არ უნდა ადარებდეს მწერალი წყალს დედის უბეს... წყალი ხომ განახლების სიმბოლოა და მის უბეში შეფარებული შვილის ბედიც ამ სიმბოლიკით თუ აიხსნება... გურამი აღარ არის ცოცხალი, მაგრამ მარადიულობას ნაზიარებია.

ლევან გოთუა განუმეორებელი სახის შესაქმნელად იხსენებს „მზისა და სილის აბჯარში“ გახვეულ ერთად გატარებულ ბედნიერ დღეებს... „თბილ, საოცნებო სილაში“ ფიქრებით რამდენჯერ უმოგზაურიათ საგურამოში, ილიასეული კაკლის ძირში მტევნებიანი ვაზის გვირგვინებიც დაუწნავთ ბაზალეთსა და ბეთლემში მისატანად... ხან ქობთავის კლდეებში ბორიალობდნენ...

მთების მომხიბლავ სამყაროში, კლდის ნაპრალში პალოზე გამობმულ თოკზე საყურესავით უშიშრად ჩამოკიდებულა ფოტოაპარატით ჩასაფრებული გურამი და მზად არის, მზიან-ყინულოვან სამყაროში ფირზე აღბეჭდოს წამის ულამაზესი გაელვებანი... ლევან გოთუა გურამს „თვალით მწერალს“ უწოდებს, რომელიც ფოტოებით „პაწაწინა და მკაფიო ნოველებს“ ქმნიდა.

ყველა საშუალება, მხატვრული ხერხი წერილში კონკრეტულ მიზანს ემსახურება – „ვაჟკაცურად მოხდენილი და ლამაზი“ გურამი, „სიძნელეთა მორკინალი და მოქმედების კაცია“ (იქვე).

გომარეთის ციცაბოზეც მან შეარხია ძველი ქვაბსახიზრის შეუვალობა. თითქმის ყოველთვის წინმავალი იყო. უძნელეს საქმეს თავს იდებდა.

...ოცდაორ მწერალ-მოგზაურთა თვალწინ გადააცოცდა ბეთლემის ფრიალოს ვეება ლოდებს და განდეგილის ისტორიულ ჯაჭვს ხელი შეახო, უკვდავება ააჩხრიალეო, – ეუბნება ლევანი გურამს.

მყინვარწვერის უნაგირასთან, მძვინვარე ქარბუქშიც პირველი მიდიოდა. მის ძალასა და შემართებას ყოველი მიმყოლი წელზე შებმული თოკის მარყუჟში გრძნობდა და გათოშილებს მისი ძალა ემატებოდათ:

„მხნეობა ხომ შიშზე არა ნაკლებ გადამდებია! გახსოვს, მაშინ, აქ – მტკვარს ვუმზერდით და ტბა გვაგონდებოდა? ჩვენ ხომ ერთად გვიცურავია ბაზალეთის სევდიან ტბაშიც!“ (გოთუა1968:211).

სულისშემძვრელი ფიქრების აშლის ჟამია... მწერალი შთამბეჭდავად გადმოსცემს გულისნადებს, თავის ნაამბობს აძლევს ისეთ ფორმასაც, რომ მკითხველშიც აღძრას მსგავსი ემოციური გრძნობა და უფრო ადვილად მოახდინოს მათზე ზემოქმედება.

ბაზალეთის სევდიან ტბაში ცურაობა... – აქ ლევან გოთუა სიტყვა „სევდიანს“ შემთხვევით არ უსვამს ხაზს. ბაზალეთის ტბაში ცურვა უბრალო ცურვა არ არის... ამ

ადგილს უკავშირდება ყოველი ქართველის „ჩუმი ნატვრა“: „იქნებ აკვანში ის ყრმა წევს“ (ჭავჭავაძე 1987:154).

ისევ კოტე ჯავრიშვილის სიტყვები მახსენდება, თითქოს სამი თვალით უმზერდა იგი ქვეყანას, მაგრამ სამივე მიპყრობილი იყო ერთისაკენ. ეს ერთი მისი სამშობლო და ხალხი იყო...

ასევე სამშობლოსკენ იყო მიპყრობილი ლევან გოთუას თვალიც. ამიტომაც იყო, რომ მათი შეხვედრა-საუბრები, ძირითადად, სამშობლოს ბედ-იღბალს და მთებს უკავშირდებოდა... კითხულობ ლევან გოთუას წერილს და გრძნობ, გურამის პიროვნება ღრმად ნაფიქრ-გააზრებული, შეცნობილია, ავტორის, როგორც მოქმედების მონაწილის უფლებამოსილება დიდია. გმირში გარდასახული მწერალი თავად გვთავაზობს საკუთარ ნაფიქრალსა და ნააზრევს...

ლევან გოთუას თხრობა შთაგონებულია გმირით, გურამ თიკანაძის საოცარი პორტრეტის შექმნას, სტრიქონ-სტრიქონ რეფრენივით გასდევს მწერლის გასაოცარი სიტყვათქმანი... იგი ისეთ ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებშიც ყველაზე ნათლად წარმოჩინდება გურამის ხასიათი და მისი მოღვაწეობის არსი.

ჯუმბერ ჯიშკარიანის თქმით, ლევან გოთუა გურამის უმთავრეს ღირსებად მაინც მეგობრობის ნიჭს თვლიდა, რადგან კარგად უწყოდა უღალატო მეგობრობის ყადრი:

„..შენი ყველაზე უფრო დიდი და კეთილი ნიჭი იყო უნარი და გრძნობა მეგობრობისა. შენ სამოყვასოდ იყავ გაჩენილი, ამიტომ გყავდა ბევრი მეგობარი და ძმა საკუთრივ უძმოს... იშვიათად შემხვედრია ცხოვრებაში ასეთი სამოყვასო მომხიბლაობა!“ (გოთუა 1968: 209).

მწერალი უმცროსი მეგობრის ნიჭსა და სამომავლოდ იმედიან მოღვაწეობაზე ამახვილებს ყურადღებას: ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მრავალმხრივ საიმედო მოღვაწისგან ბევრს მოელოდნენ – „შენ კი გაზაფხულის ცისარტყელასავით გადაიარე“ (გოთუა 1968:212).

თუ ცისარტყელა იმედის, დაპირების სიმბოლოდ მოიაზრება, გაზაფხულის ცისარტყელა, ვფიქრობ, გაორმაგებულ იმედად უნდა მივიჩნიოთ.

და ისევ ირმის კვალი, რაზეც უმთავრესი აქცენტი კეთდება და რომელიც წერილი-ჩანახატის სიუჟეტს კომპოზიციურად ამთლიანებს. წარმოსახვით ცოცხლდება ხსოვნა,

როგორ დგას გურამი „დევის ლოყებად შემდგარ სილის გორაკზე... ამ მზის, ამ მიწა-წყლის, ამ ბუნების „კეთილნარუქი შვილი“.

– ირმის კვალი ნახე? – მომაძახე და მიმიჩვენე. – აქ ჩამოდიან წყალზე!

მეც მოვატანე გაღმა ნაპირს, მაშინ ვინიშნე, ჩემო გურამ, სილაზე შენი კვალიც ირმისას ჰგავდა!...

...ახლა კი მარტოკამ, სულშემძიმებულად, გადავცურე მტკვრის მორევიც, ჩქერიც, მყუდრო უბეც... და აქ ყველაზე უფრო მწარედ ვიგრძენი, რომ შენც მოკლე ცხოვრებაში ირმის კვალი დასტოვე და გაგვეცალე“ (გოთუა 1968:209).

აქ წარსული და აწმყოა შეპირისპირებული, რითაც მკითხველზე თხრობის ზემოქმედება ბევრად ძლიერდება. აქცენტი ირმის კვალზეა გადატანილი, რომელიც ჩვეულებრივი კვალი არ არის... მითოლოგიიდან ცნობილია, რომ ცის ან მზის ღვთაება რჩეულ ადამიანს უბოძებს ჯვარს ან მზის გამოსახულებას.

ნაწილიანი შეიძლება იყოს ცხოველიც – ირემი, ჯიხვი, ვეფხვი... ნაწილიან ცხოველს ტყვია არ ეკარება. ირემს და ჯიხვს რქებზე სანთლები ენთებათ... წერილში გურამის დახასიათებისას რამდენჯერმე ხაზგასმულია – ცა, მდინარე, მზე... იქნებ არაშემთხვევით და, მართლაც, მზის გამოსახულება ჰქონდა ნაბოძები? აკი ამბობდა ოტია იოსელიანი, რომ იგი „ხილულ ნათელს“ ტოვებდა? (იოსელიანი 1995:10). იქნებ იმიტომაც უწოდა „ძე-ადამიანი“ ლევან გოთუამ კლდეზე ჩამოკიდებულ გურამ თიკანაძეს, რომ მისი ხატება ზებუნებრივ სახილველს ჰგავდა?

„წყალში გაცრილად მიღიმოდი, მერმე შენი ღიმილი მტკვარს მიჰქონდა, პირისახიდან კი ვერა და ვერ გაშორებდა. ჩვენ ორივე მზეში ვიყავით... მზეში და მტკვარში!“ (გოთუა 1968:208).

მთელი ნარკვევი, მისი სულისკვეთება თითქოს ერთ სათქმელს გამოხატავს – ადამიანი, რომელიც ირმის კვალს ტოვებს, მართლაც, ღვთის რჩეულია. მითუფრო, თუ ეს კვალი მზეში და წყალში აირეკლება... „უმზეოდ არ არსებობს სიცოცხლე, არც ბედნიერება არსებობს უმზეოდ, არც წყალი და არც მოსავალი. მზით იწყება სიცოცხლე“ (სირაძე: 1982:23).

მზისა და წყლის ერთიანობას ამ ნაწყვეტშიც ვხვდებით: „აქ დასაწყურვებლად დღისითაც კი ჩამოდიოდნენ ნაკრძალის ირმები. წყალში დანახულ მზეს ეწაფებოდნენ. მნათობიც ირმის რქიანი ჩანდა“ (გოთუა 1968:201).

„მზე წყალში“ და „ირმის რქიანი მნათობი“ - საინტერესო სახეებია. ირმის რქა სიცოცხლის ხის სიმბოლოდაც მიიჩნევა. ასე რომ, მწერალი მაინც სიცოცხლის მხარეზეა...

II თავი - ლევან გოთუას პუბლიცისტური პარადიგმები

2.1 ანტირელიგიური პოლიტიკის პირისპირ

ლევან გოთუას პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში ძეგლთა დაცვის პრობლემა არსებითი მნიშვნელობისაა. შეიძლება ითქვას, რომ 1955 წლის აგვისტოში მესამე, ათწლიანი გადასახლებიდან დაბრუნებულმა მწერალმა პუბლიცისტური წერილების უმრავლესობა სწორედ ისტორიული ძეგლების გადარჩენას მიუძღვნა.

იგი მთელი არსებით ჩაება იმ პერიოდში საქართველოში ძეგლების დაცვის ფართოდ გაშლილ კამპანიაში. ბევრს მოგზაურობდა და შეგნებულ მოგზაურობას უკვე შემოქმედებად მიიჩნევდა.

ეს შემოქმედება მისთვის რომანის წერაზე არანაკლები იყო. ლევან გოთუა უამრავ საჭირბოროტო პრობლემას ხედავდა და არ შეეძლო თვალის დახუჭვა. აკი, აცხადებდა ინტერვიუში: „ხშირად ვწერ პუბლიცისტურ წერილებსა და ნარკვევებს. ცხოვრებაში ხომ მრავალი თემაა, უამრავი უთქმელ-სათქმელი, მრავალი საჭირბოროტო საკითხი და თუ თვალი და კალამი გიჭრის, ვალდებული ხარ, დაინახო და დაწერო - გულახდილად, გულწრფელად, მომავლის იმედით“ (ვაშაძე 1972:3).

მათ შორის ისტორიული და კულტურის ძეგლების დაცვა ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად მიაჩნდა. მას იმდენად გათავისებული ჰქონდა მშობლიური მიწა-წყალი, რომ საქართველოს ბუნებას „მწვანე დედას“ ეძახდა, ხოლო „ჩუქურთმიანი დედა“ - კულტურისა და ისტორიის ძეგლები იყო.

ვორკუტის მესამე გადასახლებიდან დაბრუნებული ლევან გოთუა დიდი შემართებითა და ენთუზიაზმით შეუდგა ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე ზრუნვას... ჯერ კრებულად არ არის გამოსული მისი ნარკვევები და რეპორტაჟები, რომელსაც „მგზავრულ კრიალოსანს“ დაარქმევს. ერთ წელიწადში კი მშობლიური ქვეყნის სიყვარულის კრიალოსნად ასხმული ნარკვევები მზის სინათლეს იხილავს. სწორედ ამ წიგნის წინათქმაში დაწერს ლევან გოთუა: „ადამიანი, რომელიც არ იცნობს თავის მშობლიურ მიწა-წყალს, არც არის ღირსი ამ მიწა-წყლისა!“ (გოთუა 1960:3).

მწერლის აზრით, ყოველი ქართველი, შესაძლოა, გაუცნობიერებლადაც კი, ერთ ძეგლს მაინც დაატარებს გულში. ამით იგი ყურადღებას ამახვილებს წარსულის,

კონკრეტულად კი ისტორიული ძეგლების გათავისებაზე, ქართულ ბუნებასთან განუყრელობაზე.

„ყოველ ქართველს თითო ძეგლი მაინც უზის გულში ხატად. ზოგმა იცის ეს, ზოგმა არ იცის... ძეგლი კი მაინც უზის, ბალღობიდან თან გამოყოლილ სიზმრად, სოფლის გალავანში შეტაძრულად, წყაროსთან ჩუქურთმიან აბჯარში მჯდარად ან კლდეზე არწივად აფრენილად და „შეკედლებულად“, - წერდა იგი (გოთუა 1969: №19, 19-24).

მისი რწმენით, ვისაც წარსულის ძეგლი უყვარს, ის აწმყოშიც უფრო შემოქმედია და მომავალშიც უფრო იმედიანი. ამიტომაც ბევრს მოგზაურობდა, სწორედ მიუვალ ქვაბებში უნდა ვეძებოთ „ქართლის ცხოვრების“ დაფანტული ფურცლები, მამა-პაპათა სისხლით დაპკურებული ხატ-სალოცავები და საბრძოლო დროშებიო... წერდა იგი და ეძებდა, იკვლევდა... მშობლიური მიწის ხილვას დანატრებული ლევან გოთუასთვის, ეს მოგზაურობა, მივიწყებული კოშკებისა და გამოქვაბულების ძებნა შვებას აძლევდა, გადასახლება-პატიმრობის წლებს ავიწყებდა...

და აი, ერთხელაც, 1957 წლის 23 ივნისს, სწორედ ასეთი მოგზაურობისას, მან „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი ავტორის, ლეონტი მროველის მე-11 საუკუნის წარწერიანი მოჩუქურთმებული ქვა-ჯვარი იპოვა, რომლითაც დადგინდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღი. ლევან გოთუასთან ერთად იმყოფებოდნენ: ცნობილი ალპინისტი ალექსანდრე ნემსიწვერაძე, საქართველოში სპელეისტიკის (გამოქვაბულთმცოდნეობის) ფუძემდებელი, გივი გაფრინდაშვილი, ექიმი გურამ ხეცურიანი, მძღოლი ილო ჯარიაშვილი.

ამ მოგზაურობას ლევან გოთუამ უძღვნა ნარკვევი „საოცარი მოგზაურობა მეთერთმეტე საუკუნეში“. იგი ნარკვევში გვამცნობს, რომ 1943 წლის ზაფხულში ქარელის რაიონის სოფელ ქვემო ხვედურეთში მოხვდა, სოფელ თრეხვთან, გორაკზე ძველთაძველ ჩამონგრეულ საყდარს წააწყდა. ირგვლივ „კლდეზე მიწყობილად ამოკვეთილი მიუვალი ქვაბები - ასომთავრულით დაწერილ სტრიქონს ჰგავდა“ (გოთუა 1960: 115).

ამ ქვაბებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინესო, - წერს მწერალი. ისინი „კლდეზე წერაქვით დაწერილ „ქართლის ცხოვრებად“ მესახებოდნენ და იყო მათ დუმილში, მათ დავიწყებაში რაღაც დიდმნიშვნელოვანი და მწვავეზე მწვავედ

მიმზიდველი. მაშინვე გადავწყვიტე ჯგუფის შერჩევა და ამ ქვაბების გამოკვლევა“ (იქვე).

მაგრამ, - იქვე დასძენს მწერალი, - სამამულო ომის პერიოდი იყო და ამისთვის მაშინ არავის ეცალაო. მხოლოდ 14 წლის შემდეგ მიაღწია საწადელს. სიძველეთა კომიტეტის სახელით სოფელ თრეხვის გამოქვაბულების აღსაწერად ჯგუფთან ერთად გაემგზავრა. „და აი, თოთხმეტი წლის შემდგომ, თითქოს ჩემსავ ნატერფალს მივადექი და რკალი შევკარ“ (იქვე).

ეს რომ უბრალო რკალის შეკვრა არ არის, ამაში, უწინარესად, ნარკვევის სათაურიდან ვრწმუნდებით, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში მოგზაურობას გვპირდება.

შემდეგ, თხრობის მსვლელობისას, ეს განცდა მატულობს - როდესაც ატე ნემსიწვერაძე ქვაბებში ჩასვლას ითავებს და მალევე აცნობებს მათ, რომ იპოვა ქვა-ჯვარი ასომთავრული წარწერით. ამ ქვა-ჯვარს იგი თოკზე მიბმული ჩანთით უშვებს, რომელსაც ლევან გოთუა ჩანთა - „ჯვარის მტვირთველს“ უწოდებს, ხოლო თოკს მთელი „ქართლის ცხოვრება“ ჰკიდიაო.

„ზევიდან კიდევ ერთხელ ჩამოეკიდა „საუკუნეების ჩანთა - ჯვარის მტვირთველი“ (გოთუა 1960: 119).

სამჯერ ჩამოეკიდა ეს ჩანთა და ცხრაასი წლის წინანდელი ქვა-ჯვარის სამივე ნაწილმა ერთად მოიყარა თავი. შემდეგ ქვა გაცოცხლდა, ამეტყველდა და ქორონიკონიც გაშიფრეს -1066 წელი.

ხატოვნად აღწერილია ჯვრის პოვნის ნიუანსები, ატე ნემსიწვერაძის ქვაბულებში ჩასვლა, რომელიც ხან ირემივით გადმომდგარა კლდეზე, ხან ქვაბთა ბაქანზე „ნემსიწვერობს“, ხან საოცარი სიმსუბუქით ფეხს გაჰკრავს კლდეს, თითქოს „ქვაბულების მთას ფეხბურთს ეთამაშება“ (გოთუა 1960: 117), ხანაც კლდისა და ქვაბების ანაბარა დგას ცისა და საუკუნეთა წინაშე (გოთუა 1960:118).

ნარკვევის დასასრულიც, ფიქრიანი და პოეტურია, დახუნძლული უხვი ეპითეტ-შედარება-მეტაფორებით:

„ამ ღამეში პურის ყანები მიწაზე დაცემულ ღრუბლებს ჰგვანან... და, ჰა, შორით ბნელში ახალშუქით მოხატული რუისი. ცა კი თრეხვის გამოქვაბულსა ჰგავს... და ამ

ბინდში რუისის მფარველმა ქვა-ჯვარმა ერთხელ კიდევ ჩაუარა ახალ „ქართლის ცხოვრებას“. ასე შეიკრა თითქმის ცხრაასი წლის კვალი“ (გოთუა 1960: 121).

მწერლის წარმოსახვა უფრო შორს მიდის, ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ ამ ქვა-ჯვარს და თრეხვის ქვაბებს, თითქოს ლეონტი მროველის ლანდიც ცოცხლდება - იქნებ ამ ქვაბ-სახიზარში იჯდა „მხცოვანი მემატიანე - ლეონტი მროველი, თავის გაწამებულ სამშობლოს გადაჰყურებდა და „ქართლის ცხოვრებას“ სწერდა და სწერდა“ (იქვე).

ასე შეკრა და გაამთლიანა ლევან გოთუამ ამ ნარკვევით წარსული, აწმყო და მომავალი.

ლეონტი მროველის სამყოფში წარწერიანი ქვა-ჯვარის აღმოჩენის გამო კულტურის სამინისტრომ ლევან გოთუას სახელზე საპატიო სიგელი გასცა.

„თრეხვის ქვაბებში XI საუკუნის წარწერიანი ქვის ფილის აღმოჩენისთვის, რაც მნიშვნელოვანი განძია საქართველოს ქვაბთა შესწავლის საქმეში და რომლის შედეგად დადგენილია ისტორიკოს ლეონტი მროველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღი“. (სუიცა, საქმე №499:1ა).

მსგავსი სიგელების გარდა ლევან გოთუას, სიცოცხლეში, სერიოზული სამთავრობო ჯილდო არ მიუღია, თუნდაც სიკვდილის შემდეგ... მაგრამ მათზე დახარბებული არც არასოდეს ყოფილა. მისთვის ძეგლებთან სიახლოვე, როგორც ცოცხალ წინაპრებთან მისვლა, ყველა ჯილდოს აღემატებოდა... ისტორიული ძეგლები თავდაცვით აბჯრად წარმოესახა, რომელმაც მიწა-წყალი დაიცვა და შემოინახა. ახლა ჩვენი ჯერი დადგა, თავად უნდა ვუპატრონოთო, - წერდა.

„ეს ისტორიული საქართველოს კულტურულ-მეცნიერული და საბრძოლო-თავდაცვითი აბჯარია! იგი ქართველი ხალხის უშრეტი ენერგიისა და უნარის, ფართო შუბლისა და შემოქმედი მარჯვენის მაჩვენებელია. ამ ნაერთმა აბჯარმა დღემდე შეინახა და დაიცვა ჩვენი სამშობლო. ახლა დროა, ჩვენ დავიცვათ ეს კულტურულ-ისტორიული ძეგლები“ (გოთუა 1959:3).

ლევან გოთუას მიერ ისტორიულ ძეგლებზე ზრუნვას დიდი მიზანი ჰქონდა, რომ ახალგაზრდობას ისტორიული სიმტკიცე შეეგრძნო და უფრო მყარად დამდგარიყო ფეხზე.

„მახსოვს ამ ათიოდე წლის წინათ ერთად მოვინახულეთ ფიტარეთის შესანიშნავი ტაძარი, - მე-13 საუკუნის ძეგლი. ფიქრმორეულმა და კეთილად მომღიმარმა მწერალმა

თქვა მაშინ: - რაა, რომ მარტო ჩვენ შევცქერით ამ ძეგლს, ამ ფრესკებს... მინდა, ამას მთელი საქართველო ხედავდეს, რომ თავისი ისტორიული სიმტკიცე იგრძნოს და ირწმუნოსო“ (კალანდაძე 1973:3).

მართალია, კოსმოსის ერას უამრავი ახალი მიღწევა ჰქონდა, ლევან გოთუასაც საერთო წინსვლის დროს, ახლის გრძნობა უმთავრესად მიაჩნდა, მაგრამ იქვე არ ავიწყდებოდა, რომ თუ ნიადაგს კარგავ, პერსპექტივაც ხელიდან გეცლება. „...ვინც ანგრევს, ბღალავს ან ვერ აფასებს კულტურის ძეგლებს - ის კოსმოსში ვერასოდეს გაფრინდება!“ (გოთუა 1962:4).

უახლესი ხანა დიდ და თავისებურ ეპოქად მიაჩნდა, ადამიანის ცოდნა არნახული მასშტაბით ფართოვდება. „თანამგზავრები წინ - კოსმოსში, დროში, მომავალში მიჰქრიან... მათ უკუფენითი ძალაც აქვთ... ჩვენი წარსული და მისი ნაშთები... ხომ ჩვენი მუდმივი თანამგზავრები არიან“ (სუიცა, საქმე №381:26).

ლევან გოთუა ცხოვრების პროგრესში, ყოველ დიდ წინსვლაში დიდ წარსულსაც მოიაზრებს. „ერის წარსული ხომ მისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სიმწიფის ატესტატია“ (იქვე).

მწერალი კოსმოსის ეპოქაში კოსმოსის თაობას ერთ-ერთ ამოცანად უსახავს ძეგლებთან ახლოს მისვლას და უფრო მეტ ზრუნვას ახალი შეგნებით და ძალით. ახალი შეგნება ძეგლების სათანადო დაცვა-შესწავლას გულისხმობდა.

ამდენად, ძეგლთა დაცვის პრობლემამ ლევან გოთუას პუბლიცისტიკაში უმთავრესი ადგილი დაიკავა და მათი დაცვა სამშობლოს დაცვას გაუთანაბრდა: „ძეგლის მოვლა-პატრონობა ყველას ვალია, ეს სამშობლოს დაცვას უდრის“ (სუიცა, საქმე №220:119ბ).

მწერალმა ძეგლების დაცვა სამშობლოს დაცვას გაუთანაბრა და ამით საბჭოთა პერიოდში იმ ანტირელიგიურ პოლიტიკას დაუპირისპირდა, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებში საბჭოთა საქართველოში მიმდინარეობდა. სერგო ვარდოსანიძის დახასიათებით, „კომუნიზმის გაშლილი მშენებლობა“ იყო გამოცხადებული. კომუნისტურ ჟურნალ-გაზეთებში ანტირელიგიურ თემებზე იწერებოდა სტატიები. უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო კურსი იყო ათეიზმი. გაძნელებული იყო ადმინისტრაციული წესით დახურული ეკლესიების ამოქმედება (ვარდოსანიძე 2017).

საბჭოთა კავშირის მასშტაბით ანტირელიგიური დევნის გამო, ქართული ეკლესიის პერსპექტივაც საეჭვოდ ჩანდა. ანანია ჯაფარიძის აზრით, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, განსაკუთრებით ნ. ხრუშჩოვის დროს, როდესაც რუსულ ეკლესიას დაუხურეს ზოგიერთი სემინარია-აკადემია, არც ქართულ ეკლესიას დაადგა კარგი დღე (ჯაფარიძე: 2014).

მანამდე, 1957-58 წლებში, რუსიფიკაცია საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიწყო. სამიზნე საქართველოს ისტორია გახდა. ეს მოვლენები აღწერილია ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“. „მოსკოვმა დასვა საკითხი ნაციონალურ რესპუბლიკათა სკოლებში ეროვნული ისტორიის ცალკე საგნად სწავლების გაუქმებისათვის. ეროვნული ისტორია უნდა ესწავლებინათ სსრკ-ს ისტორიასთან ერთად“ (კერესელიძე: 2015).

საქართველოს ისტორია რუსეთის ისტორიის შემადგენელი ნაწილი ხდებოდა და დიპლომში აღარ ჩაიწერებოდა ცალკე საგნად... ასეთ ვითარებაში ლევან გოთუას სიტყვები, რომ ძეგლების დაცვა სამშობლოს დაცვას უდრიდა, თამამი განაცხადი იყო... იდეოლოგიური მარწუხების ქვეშ მოქცეულ საქართველოში, მართლაც, დროული აღმოჩნდა „კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის“ დაფუძნება...

ლევან გოთუა ამ ორგანიზაციის შექმნას 1958 წლის 26 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ვრცელი წერილით: „ქვით და ჩუქურთმით დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად“ გამოეხმაურა, რომელსაც ხელს აწერს 7 ადამიანი: საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი დავით ჩხიკვიშვილი; საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: პროფ. საქ. სსრ მეცნ. აკად. ვიცე-პრეზიდენტი, პროფ. ანგია ბოჭორიშვილი; საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურული სამმართველოს უფროსი ბეჟან ლორთქიფანიძე; საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, პროფესორი შალვა ამირანაშვილი; საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი გიორგი ჩუბინაშვილი; საქ. სსრ კულტურის სამინისტროს კულტურის ძეგლების დაცვისა და რესტავრაციის საქმეთა სამმართველოს უფროსი კოტე სოხაძე; მწერალი ლევან გოთუა (ჩხიკვიშვილი... 1958:3).

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტებიდან ვიგებთ, რომ ეს სტატია ლევან გოთუას დაწერილია და იქიდან ზოგიერთი ადგილი ამოუღიათ, ერთი სიტყვით, გამოშიგნულად დაუბეჭდავს რედაქციას. „ჩემი დაწერილი, მაგრამ რედაქციის მიერ ფრიად გამოშიგნული“, - მიუწერია ლევან გოთუას ლურჯი მელნით. იქვე განთავსებულია მანქანაზე ნაბეჭდი სტატიის ვრცელი ვერსია (სუიცა, საქმე №313:20).

პირველივე სტრიქონებიდან ვიგებთ, რომ საქართველოში არსდება „კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივი ორგანიზაცია“ და რომ ასეთი ხასიათის საზოგადოების საჭიროება დიდი ხანია მომწიფდა.

ლევან გოთუა ამ საზოგადოების დაარსების აუცილებლობას პუბლიცისტური დამაჯერებლობით გადმოსცემს. წერილი თავიდანვე გვამცნობს, რომ ხელოვნების ძეგლთა მნიშვნელობითა და სიმრავლით საქართველო ბუნებრივ მუზეუმს წარმოადგენს და რომ საქართველოს მიწა-წყალზე აღრიცხულია და სახელმწიფო დაცვის ობიექტად გამოცხადებულია 5000-მდე მხატვრული, ისტორიული, არქიტექტურული და კულტურის სხვა ძეგლი.

პრობლემის საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჯერ სათაურშია ხაზგასმული, შემდეგ კი დასაწყისში. ქვით და ჩუქურთმით დაწერილი „ქართლის ცხოვრება“ უკვე მრავლისდამტევი სიტყვებია, ხოლო როდესაც ასეთი „ქართლის ცხოვრების“ დაცვაა საჭირო, სათაური ორმაგად აქტუალური ხდება. ქვა და ჩუქურთმა გასულიერებულია, მწერალი ოსტატურად იყენებს მხატვრული გამოსახვის ხერხს - გაპიროვნებას და ცოცხლად, გრძნობიერად წარმოაჩენს სურათს.

მაგრამ საარქივო მასალების გაცნობის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ ზემოთ ხსენებული „გამოშიგვნის“ გამოისობით, წერილიდან ამოღებულია მთლიანი აბზაცები, ის კონკრეტული ფაქტები, როდესაც ლევან გოთუა აკრიტიკებს ძეგლების შემბღალავთ. „იაფი უკვდავების მაძიებელ ბარბაროსებს“ უწოდებს მათ, ვინც ტაძრების კედლებზე „ავტოგრაფებს“ ტოვებს. დავიფაროთ ჩვენი კულტურის ძეგლები უმსგავსო მჯღაბნელთა სამარცხვინო მოძალებისგან!“ – წერს ლევან გოთუა (სუიცა, საქმე №313:3).

მწერალი ხმას იმაღლებს იმათ წინააღმდეგ, ვინც უდიერად ექცევა ტაძრებს. ეს ფაქტებიც ამოღებულია სტატიიდან.

სოფელ მეტეხის ძეგლი არქიტექტურული თვალსაზრისით უნიკალურია, მაგრამ იგი, მრავალი მოთხოვნის მიუხედავად, კოლმეურნეობას ბეღლად გადაუქცევიათ,

ეზო-გალავანი კი - სიმინდის კალოდ და დაზიანებული მანქანების დახურულ ადგილად. ციციაანთ საბრძოლო კოშკში (ძამას ხეობა) საბძელი გაუმართავთ, ენისლის ბოლოში - აღდგომის ტაძარი - საწყობადაა ქცეული. ასევე უნიკალურ ძეგლ კუმურდოშიც საწყობია და არა მუზეუმი... არის უფრო ცუდი ფაქტებიც, - განაგრძობს მწერალი, - ძველ ნაქალაქევ - ურბნისში, სადაც მეტად ნაყოფიერი გათხრები წარმოებს, ძველთაძველი უნიკალური კედელი ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარის განკარგულებით დაუშლიათ და „მამაპაპური“ მასალით ბოსელი აუშენებიათ. „რა დავარქვათ ამ საქციელს?“ - კითხულობს ლევან გოთუა (იქვე).

ბუნებრივია, ასეთ კრიტიკულ ფაქტებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „კომუნისტი“ არ დაბეჭდავდა. კოლმეურნეობის ბეღელი, საბძელი თუ საწყობი მისი კრიტიკის ობიექტად არ იქცეოდა. არც ის მძაფრი კრიტიკა იქნებოდა მისაღები, როცა კოლმეურნეობის თავმჯდომრის განკარგულებით იშლება ძეგლის უნიკალური კედელი და იქ ბოსელი შენდება... ამიტომ, რასაკვირველია, „კომუნისტი“ ასეთ მამხილებელ ფაქტებს გარს აუვლიდა.

მაშინდელ ვითარებას მშვენივრად აღწერს ნუგზარ ბარდაველიძე: „მართლმადიდებლური ეკლესიიდან მხოლოდ ოთხი ათეული მოქმედებდა (ისიც არასისტემატურად) და ხუთი მოხუცი მღვდელმთავარი ჰყავდა, მათ შორის, ერთი რუსი. თბილისში მოქმედი 11 ეკლესიიდან მუდმივი მრევლის ნახევარი რუსი ეროვნებისა იყო და, შესაბამისად, მსახურებაც რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. მღვდელმსახურთა ნაწილიც რუსი ეროვნებისა იყო და მათთვის ქართული ეკლესია რაღაც ფორმალურ სტრუქტურას წარმოადგენდა“ (ბარდაველიძე 2006:72–84).

ასე რომ, როგორც ნუგზარ ბარდაველიძე ხსნებულ სტატიაში აღნიშნავს, უმღვდელოდ დარჩენილ ტაძრებს ხელისუფლებისგან დახურვა ემუქრებოდა. ყოფილ ტაძრებს თეატრებად, მხატვრების სახელოსნოებად, ან კოლმეურნეობების საწყობებად გადააკეთებდნენ, ან შეიძლება კომკავშირული დისკოთეკებიც მოეწყოთ...

ასეთ ვითარებაში, რა გასაკვირია, რომ გაზეთ „კომუნისტს“ გამოეშიგნა ლევან გოთუას მამხილებელი წერილი. თუმცა, სათქმელი მაინც არ კარგავს სიმწვავეს. საყურადღებოა, რომ სტატია დაბეჭდილია რუბრიკით „წერილი რედაქციას“ და საჭირბოროტო საკითხია წინ წამოწეული, - ისტორიული ძეგლების დაცვა-აღდგენის საჭიროება, რაც ყოველი მოქალაქის საპატიო მოვალეობად უნდა იქცეს. ასე რომ,

ავტორის ტენდენცია მჟღავნდება ჯერ რუბრიკაში, შემდეგ სათაურში, დაბოლოს, თავად წერილში, რომელიც გულისტკივილით და ძეგლებზე ზრუნვის პათოსითაა გამსჭვალული.

თუმცა ძეგლების დაცვა-აღდგენის მიღმა დიდი მისია იმალებოდა - „საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების“ დაარსებას ეროვნული მეხსიერება უნდა გამოეღვიძებინა.

შესანიშნავად გადმოსცემს ამ ვითარებას მაია ასანიძე: „არის პერიოდები, როდესაც განსაკუთრებული ძალით იკვეთება თაობათა პასუხისმგებლობა სამშობლოს ისტორიული ბედისადმი. შემთხვევითი არ ყოფილა ის, რომ სწორედ საქართველოში, პირველად სსრ კავშირში შეიქმნა არასახელმწიფო, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელმაც მიზნად საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა დაისახა. ეს მოხდა 1959 წელს. იმ დროს ეს პირად გამბედაობას მოითხოვდა. წარსულის ტოტალური უარყოფის სუსხიან წლებში აუცილებელი იყო ეროვნული მეხსიერების გაღვიძება. ეს მიზანი ამოძრავებდათ ქართული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, რომლებმაც დააარსეს ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება“ (ასანიძე 2000:3).

მაია ასანიძე იმასაც დასძენს, საინიციატივო ჯგუფის წევრები: ბეჟან ლორთქიფანიძე, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, ლევან გოთუა, დავით ჩხიკვიშვილი, კონსტანტინე სოხაძე, ანგია ბოჭორიშვილი როგორ შევიდნენ საქართველოს სსრ მაშინდელ ცეკას პირველ მდივანთან, ვასილ მჟავანაძესთან, და დაითანხმეს, მხარი დაეჭირა საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის“ (ასანიძე 2000:3).

და აი, 1959 წელს პირველად საბჭოთა კავშირში დაარსდა ნებაყოფლობითი ორგანიზაცია - ,,საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება‘‘. მის მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამოვლენა, დაცვა, აღდგენა-გამაგრება და შესწავლა. ლევან გოთუა საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებლად და პრეზიდიუმის წევრად მოიაზრებოდა და სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოების ხელმძღვანელთა შორის იყო.

ლევან გოთუას, როგორც პრეზიდიუმის წევრს, ევალებოდა საზოგადოების მუშაობის ხელმძღვანელობა ძეგლების პოპულარიზაციის დარგში და ამ მიზნით რესპუბლიკის შემოქმედ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (სუიცა, საქმე №500: 20).

მას ევალებოდა კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ წერილების მომზადება პრესისთვის, რადიო და ტელეგადაცემათა მოწყობა. იგი ქართული კულტურის ძეგლებისადმი მიძღვნილი საღამოების გამართვა (მწერალთა კავშირსა და ხელოვნების მუშაკთა სახლში). პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით, პრეზიდიუმის სხვა წევრებთან ერთად, ლექციების ჩატარება.

1962-65 წელს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული თემატიკის მიხედვით ჩატარებულა 2000-ზე მეტი ლექცია (კეცხოველი 1965: 62).

ლექციებს კითხულობდნენ: შალვა ამირანაშვილი, გიორგი ჩიტაია, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, შოთა ლომსაძე, ლონგინოზ სუმბაძე, ლევან რჩეულიშვილი... და რა თქმა უნდა, ლევან გოთუა.

1962 წელს „ნაკადულმა“ გამოსცა ლევან გოთუას ნარკვევი ბროშურის სახით „ჩვენი ჩუქურთმიანი თანამგზავრები“, ასევე ლევან გოთუას სცენარის მიხედვით 1962 წელს ეკრანზე გამოვიდა ფერადი კინონარკვევი „სვეტიცხოველი“. ფილმმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა (სუიცა, საქმე №500:58).

მაშინ, როდესაც პარტიის ცენტრალური კომიტეტი სსრკ-ს სხვა რესპუბლიკებში მსგავს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მძლავრი იდეოლოგიურ ზეავლენის ქვეშ აქცევდა, ისინი მოითხოვდნენ ლენინის ძეგლების აღრიცხვას, შრომისა და საბრძოლო ადგილების დაცვას, საქართველოში ათასობით ადამიანს მიეცა საშუალება, „დაენახა და გაეთვითცნობიერებინა საქართველოს სიძველეთა მნიშვნელობა, ამასთან ერთად, მათი გადარჩენისთვის მიმართული საქმიანობის თანაზიარი გამხდარიყო“ (ასანიძე 2000:3).

ლევან გოთუა კულტურის თითოეული ძეგლის ბედს მტკივნეულად განიცდიდა, ძეგლთა დაცვის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში იმ გზებს ეძიებდა, თუ როგორ უფრო მოსახერხებელი იქნებოდა პრობლემების მოგვარება.

კულტურის ძეგლთა დაცვა ყოველი მოქალაქის არა მარტო მოვალეობად, არამედ „მისი შეგნებულობის ერთ-ერთ ძირითად საზომად და მაჩვენებლად“ მიაჩნდა. მართალია, კულტურის სამინისტრო და სათანადო სამეცნიერო დაწესებულებანი „ფრიად ზრუნავენ“ ამ ძეგლების მოსავლელად და შესასწავლად, მაგრამ ამ ვეება

სამუშაოს დროს ხალხი უნდა ამოუდგეს მათ გვერდში - შეუდარებლად მეტი საშუალება და სახსარი არსებობს, რაც წინა თაობებმა ვერ დაიცვეს და აღადგინეს, რაც „ეროვნულ ოცნებად დარჩათ - ჩვენ უნდა შევძლოთ“ (გოთუა 1959:3).

1962 წელს, საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყრილობას ლევან გოთუა გამოეხმაურა სტატიით - „ჩვენი მუდმივი, უძველესი თანამგზავრები“. ნარკვევში დაყენებულია მნიშვნელოვანი საკითხები, შეჯამებულია სამი წლის მუშაობა და გაკრიტიკებულია როგორც „ძეგლთა დაცვის საზოგადოება“, ასევე მისი წევრები და პრეზიდიუმი. სამი წლის მუშაობა მწერალს სასიქადულოდ არ მიაჩნია. პრობლემები პრობლემებად რჩება.

„მრავალთა წევრობა მხოლოდ სამკერდე ნიშნის ტარებითა და საწევროს გადახდით განისაზღვრებოდა. ვერც საზოგადოების პრეზიდიუმის მუშაობა იდგა მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენ ჯეროვნად ვერ ვუთავეთ ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივ მისწრაფებას და მიუხედავად სასიკეთო აღმავალი ტალღისა, არსებითად საორგანიზაციო პერიოდს ვერ გავცდით. ჯერ უშუალოდ ვერ მივედით ძეგლებთან. ჩვენი მოღვაწეობა პლატონური სურვილების გამოთქმით უფრო განისაზღვრებოდა, ვიდრე აქტიური საქმიანობითა და ძეგლების ფაქტიური დაცვით“ (გოთუა 1962:3).

ლევან გოთუას ამჯერადაც აღაშფოთებს ძეგლებისადმი დამოკიდებულების „უტილიტარულ-ალმაცერული ფორმა“, რომელიც საშიშად მიაჩნია - მრავალი შესანიშნავი ძეგლი ისევ გამოყენებული იყო საწყობად, სათავსოდ, ფარეხად. იგი სამარცხვინოდ მიიჩნევდა, რომ „არაერთი ასეული მნიშვნელოვანი ძეგლი“ აღრიცხულიც კი არ იყო, არამცთუ მოვლილი და დაცული.

„მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლი“ უმეცართა ხელთაა და „ახლაც განიცდის გამუდმებულ ნგრევას ან „შესაფერისად“ - გადაკეთებას! მე არასოდეს არ ვყოფილვარ პრასის, ნიახურისა ან ბოლოკის წინააღმდეგი, მაგრამ სრულ გაუგებრობად მიმაჩნია, რომ ასეთი შესანიშნავი ნაშთები, როგორც დიდებული სამშვილდე ან გრემის ცნობილი ნაქალაქარია, საბოსტნეებად ქცეულან!“ (გოთუა 1962:3).

მარნეულში ქოლაგირის ციხე-სიმაგრე ქათმების ფერმად არის ქცეული, ციციაანთ საბრძოლო კოშკი საბძლად გადაუკეთებიათ. თელავის ერეკლესეული სასახლის ერთ ნაწილში კი „ადგილობრივი ბაცაცებისა და გამფლანგველების საპატიმრო არის

მოთავსებული, მაშინ როდესაც იმავე სასახლეში მოთავსებული მუზეუმი განიცდის საოცარ ვიწროობას! გონიოს ციხეში აქამდე საბჭოთა მეურნეობის ბენზინისა და მაზუთის საწყობებია“ (გოთუა 1962:15).

ამ ფაქტების გამოქვეყნებიდან 5 წლის შემდეგ მწერალი გაოცებულია, რომ ბევრგან ისევ კულტურის ძეგლებს საწყობებად იყენებენ. იგი, როგორც გაზეთ „ნორჩი ლენინელთან“ არსებული „სწავლულთა დარბაზის“ წევრი, კულტურის ძეგლებისა და ბუნების ნორჩი მეგობრებისადმი მიმართულ ღია წერილში ამბობს: „გამოირკვა, რომ თუმცა ეს აკრძალულია, კიდევ ბევრგან კულტურის ძეგლებს საწყობებად, ლიმონათის ქარხნებად, ყველის დამამზადებელ სათავსოდ, საბძლებად იყენებენ.

რა დიდ საყვედურად ჟღერს ჩვენი ნორჩი მეგობრების წერილიდან ამონაწერი: „კულბითისა და დისევის ეკლესიებიც შეაკეთეს, მაგრამ რა გამოვიდა, იმიტომ კი არ შეაკეთეს, რომ კულტურის ძეგლებად დარჩენილიყო, არამედ იმიტომ, რომ საწყობებად გამოეყენებინათ“ (გოთუა 1967:3).

მწერალი უერთდება კულტურის ძეგლების ნორჩი მეგობრების აზრს - ერთხელ და სამუდამოდ ისე აიგოს საწყობები, რომ კულტურის ძეგლები არ გამოიყენონ მათთვის: „ჩვენც უკვე არანორჩნი ვუერთდებით ნორჩთა ამ გულისწყრომას - ნუთუ ჩვენში ასე ჭირს უბრალო საწყობის აგება, რომ თუ მამაპაპური კულტურის ძეგლები არ გამოვიყენეთ ამისათვის, ისე ვერ მოგვიბია თავი?“ (გოთუა 1967:3).

ლევან გოთუა შეუწყნარებელი იყო ფრესკების შემლახველთა მიმართაც. ფრესკების (როგორც თავად უწოდებდა - კედელხატულების; **ხაზი ჩემია - თ.შ.)** მჯღაბნელებს „მჯღაბნელ ურდოდ“ მოიხსენიებს, რომელთა შემოსევის კვალი ყველა კულტურის ძეგლზეა. ხოლო მყინვარწვერის ბეთლემიდან უძველესი კარის და მისი ჯაჭვის გამტაცებელთ „ძეგლის ხულიგნებს“ უწოდებს. „შინაური მოთარეშეები“ ბღალავენ ძეგლებს, მათი ხელი ურევია რკონის ათასწლოვანი ცაცხვი-სამრეკლოს დაწვაში, ხოლო ნიკორწმინდის კარიბჭის ბარელიეფს, მარტვილის ტაძრის ჩუქურთმებს და ერთაწმინდის შემკულ სარკმლებს კი ახლაც ეტყობა მათი („მოთარეშეების“ - **ხაზი ჩემია - თ.შ.)** შაშხანის ნატყვიარებიო...

მწერალი კითხულობს: ნეტავ რით განსხვავდებიან ისინი „იმ მტერთა ურდოებისგან, რომლებიც შუბებით თვალებს თხრიდნენ ქართული ხელოვნების ნიმუშებს. ანადგურებდნენ „გიაურთა“ ძეგლებს!“ (გოთუა 1962:15).

ლევან გოთუა ძეგლთა დაცვის საკითხებზე გამოქვეყნებულ წერილებში არა მხოლოდ გამოთქვამს შეხედულებებს, ასაბუთებს საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას, სახავს იმ გზებსაც, თუ როგორ უფრო უკეთესი იქნება პრობლემის მოგვარება.

იგი კულტურის ძეგლთა დაცვის ახალ საზოგადოებას მიზნად უსახავს, ხელი შეუწყოს ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვას, აღრიცხვა-გამოვლინებას, აღწერა-შესწავლას, მოვლა-რესტავრაციას. ეს იოლი საქმე არ იყო, რადგან ძეგლთა სიმრავლითა და მრავალფეროვნებით საქართველო ბუნებრივ მუზეუმს წარმოადგენდა. თავადაც, როგორც ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, ხშირად ჩადიოდა ამა თუ იმ ძეგლის მოსანახულებლად და გულისხმიერებას არ აკლებდა.

ცნობილი ჟურნალისტისა და მეცნიერის ივანე ჯაფარიძის არქივში ინახება კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მაშინდელი დირექტორის, მწერალ გიორგი ხორგუაშვილის აუდიოჩანაწერი, სადაც იგი ლევან გოთუას იხსენებს, როგორც ისტორიულ ძეგლებზე მზრუნველ და მოამაგე პიროვნებას, რომლის სიტყვას, როგორც ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა:

,,ბატონი ლევანი ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი იყო და მის სიტყვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. როცა დადგებოდა ამა თუ იმ ძალიან მნიშვნელოვანი ძეგლის საკითხი, რომელიც ინგრეოდა და დროზე შველა იყო საჭირო, ბატონ ლევანს მე თავად დავუკავშირდებოდი ხოლმე, რომ ჩამობრძანებულიყო და საკუთარი თვალით ენახა ყველაფერი. დაუზარლად მოდიოდა ჩვენთან.

მახსოვს, ძალიან გაუჭირდა რკონის სამონასტრო ანსამბლს. წვიმა ჩამოდიოდა და მისი მოხატულობა, ფრესკები ირეცხებოდა. მაშინ, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ყურადღების მიქცევას ვინ ჩიოდა, ათეისტური პროპაგანდის პირობებში რელიგიაზე კონტროლი იყო დაწესებული... ჩუმად ადიოდნენ ხოლმე მოსალოცად... რკონის მცველი ბეკურა ჯანიაშვილი, რომელიც ახლო-მახლო სოფლებში ძეგლებს ყველგან პატრონობდა. ჩამოვიდოდა ხოლმე და გულისტკივილით მეტყოდა: შვილო, გოგი, როცა წვიმს, ძვლები მადნებაო.

წავედი და ეს ვუთხარი ბატონ ლევანს, მაშინვე ჩამოვიდა და მარტო რკონი კი არა, ახლო-მახლო არსებული ძეგლებიც მოინახულა... ასე რომ, მისი მუდამ მადლობელი

ვიყავი ძეგლებისადმი განსაკუთრებული ყურადღების გამო“... - აღნიშნავს გიორგი ხორგუაშვილი (ჯაფარიძე, არქივი).

გიორგი ხორგუაშვილი მოგვიანებით საგაზეთო წერილში გაიხსენებს, როგორ ჩავიდა ლევან გოთუა ქართლში ძეგლთა დაცვის მესვეურებთან - ირაკლი ზაქარიაშვილთან და ოთარ სანებლიძესთან ერთად. 60 წელს გადაცილებულ კალმოსანს ჭაბუკური სიხალისე და ძალა მოსდევდა, უმალ ავიდა ქვემო ჭალის ციხე-კოშკების მაღლა სართულებზე. „...ციხის წვეროკინეზე მოექცა და მოიმედე მკურნალივით ჩამოსცქირა ნანგრევებს. თავადაც ინიშნავდა, ჩვენც გვაწერინებდა, რა უნდა გაკეთებულიყო“ (ხორგუაშვილი1978:4).

სხვილოს ციხის საუძვლიანი დათვალიერების შემდეგ „სხვა ძეგლებიც დაგვითვალიერა ცხელი თვალ-გულითა და კეთილი შედეგიც მოჰყვა. რკონის მონასტრის შეკეთების საკითხი რომ შეაგდეს სასწორზე, სამთავისის, ქვათახევის, მეტეხის, ერთაწმინდის ტაძრებისაც, - უთუოდ ბატონი ლევანის მძიმე სიტყვამაც ჩამოსძლია სასწორი საკეთილო მხარეს“ (ხორგუაშვილი1978:4).

საინტერესოა ეროვნულ არქივში დაცული ერთი დოკუმენტი. ეს არის ლევან გოთუას სახელზე სოსო ხუციშვილის მიერ გაგზავნილი წერილი გორიდან. იგი აცნობებს მწერალს - ჩავედი თუ არა გორში, იმ დღესვე მოვძებნე იკორთის ტაძრის ყოფილი მღვდელი ვლადიმერ უნაფქოშვილი და მოველაპარაკე, შალვას, ბიძინას და ელიზბარის საფლავების ლოკალიზაციის შესახებო (სუიცა, საქმე №467: 1ა).

ცნობილია, რომ იკორთის ტაძარში არიან დაკრძალულნი კახეთის აჯანყების (1659) ხელმძღვანელები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები.

სოსო ხუციშვილი წერილში დაფის დადგმის საკითხზეც მსჯელობს - სტალინირში (ცხინვალი - **ხაზი ჩემია - თ.შ.)** სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება წინასწარ სათანადო მოწერილობით უნდა ვინახულოთ, რომელსაც საბჭო მიმართვას გაუგზავნის, იკორთის საბჭოს ეკლესიის გაღებისა და ჩვენი დაშვების შესახებო... „შემდეგ შეიძლება დაიწყოს თადარიგი დაფის დამზადებისა და სხვა მასალის მომარაგებისთვის (აგური, ცემენტი, დაფის სამაგრი კავები) და სამუშაოს წარმოება“ (იქვე).

წერილი დაწერილია 1959 წლის 9 დეკემბერს. კონკრეტულად ამ სამარხების თაობაზე სხვას ვერაფერს მივაკვლიე, მაგრამ ლევან გოთუას ნარკვევში „ჩვენი

ჩუქურთმიანი თანამგზავრები“, რომელიც უკვე ორი წლის შემდეგ, 1962 წელს გამოიცა, აღნიშნულია, რომ კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოს მიერ მუშაობა წარმოებს იკორთაში, ანუ იკორთაც მწერლის მზრუნველობის არეალში ყოფილა მოქცეული (გოთუა 1962: 24).

ეს ასეც იქნებოდა, ლევან გოთუა ხომ უპირველესი ქომაგი იყო ძველი ქართული ხელოვნებისა. „იგი მონაწილეობდა ყველა რთული საკითხის განხილვაში. მონაწილეობდა ექსპედიციებსა და სამეცნიერო სესიებში, რომლებიც იმართებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში - დავით-გარეჯის უდაბნოსა და მარტვილში, სამხრეთ ოსეთსა და მლეთაში, აჭარასა და შორაპნის ძველ ციხეზე... ლევანი იყო თავდადებული პროპაგანდისტი ძეგლთა დაცვის საქმისა“ („ძეგლის მეგობარი“ 1973:84).

ამავდროულად, კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაცვა-აღდგენას დიდი მიზანი ჰქონდა - დაპყრობილ ტოტალიტარულ ქვეყანაში ეროვნული ენერგიის უმთავრესი ნერვი უნდა გამოეღვიძებინა. ასე ეხმიანებოდა ლევან გოთუა გერონტი ქიქოძის „ჩაქუჩიანი მამაკაცის“ იდეას, როგორც „ძველი საქართველოს ნათელი სიმბოლოს“ თანამედროვეობაში გაცოცხლებას:

,,დღეს ძველ საქართველოს შესახებ მეტისმეტად ცალმხრივი წარმოდგენა გვაქვს. გვგონია, რომ ჩვენი წინაპრები გამუდმებით სისხლს ღვრიდნენ ურწმუნოებთან ბრძოლაში ან კიდევ ფეხთმოკეცილნი დავითნსა და ვეფხისტყაოსანს კითხულობდნენ. ჩვენს ფანტაზიაში ნათლად ვხედავთ იმ ძველ საქართველოს, რომელიც იბრძოდა და ოცნებობდა, მაგრამ ხშირად ვეღარ ვამჩნევთ იმას, რომელიც აზროვნებდა და მოქმედებდა. ეს კი ძლიერ დიდი უმრავლესობაა. კულტურული შემოქმედების ნიჭი ჩვენს ძველებს დიდად ჰქონდათ განვითარებული. ამით აიხსნება, რომ მათ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უთვალავი ძეგლებით მოჰფინეს მთელი საქართველო‘‘ (ქიქოძე 1919:117-118).

2.2. ლევან გოთუა და „ძეგლთმფარველობის“ იდეა

ლევან გოთუასთვის თითოეული ძეგლი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ტაძარი, მხოლოდ ქვაბ-ქალაქი, მხოლოდ ციხე, ანდა სასახლე! მას ძეგლები „ქართლის ცხოვრების“ ცოცხალ მონაწილეებად, ცოცხალ წინაპრებად მიაჩნდა და რომ „მრავალმხრივ ნიშანდობლივი და გმირულია მათი ღვაწლი!“ უწინ ძეგლების

აგება ქართველობისთვის ბრძოლასაც ნიშნავდა, მაგრამ ახალ ხანაში ტაძრებმა, ციხეებმა, ძველმა სასახლეებმა ახალ ხანაში ახალი მეცნიერულ-ესთეტიკური ღირებულება მოიპოვესო.

სათაყვანოდ ქცეული ყოველი ძეგლი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების დიდი ზეიმია.

აი, როგორ ახასიათებდა მათ: „გელათი - მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრობითა და მოზაიკით! ქართული ხუროთმოძღვრების ტოლი ძმები - მთავარსარდლები - სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები! ქვაში ამოყვანილი ჩუქურთმიანი პატარძლები: სავანე, სამთავისი, ფიტარეთი, იკორთა, იკვი... მთლიანად ჩუქურთმის აბჯარში ჩამჯდარი ნიკორწმინდა, ხვამლის ქვაბ-ციხე - სამეფოს საგანძური... ვარძიის ქვაბქალაქის მთელი სამყარო, დმანისი, ანანური, გრემის დიდი ნაერთი... სხვა ათასი, არანაკლები თავისი მნიშვნელობით, ოსტატობით, სახელოვნებით!“ (გოთუა 1962:8).

ლევან გოთუა ბაგრატის ტაძრის სრულად აღდგენის საკითხს „საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების“ შექმნისთანავე აყენებდა, ტაძრის აღდგენას მხოლოდ ვიწრო არქიტექტურული პრობლემის ჭრილში არ განიხილავდა, მას ძველი და ახალი ისტორიის დამაკავშირებელ დიდ სიმბოლოდ მოიაზრებდა.

„დროა დაისვას საკითხი საქართველოს მეორე კულტურულ და ინდუსტრიულ ცენტრში - ქუთაისში მტრის მიერ დანგრეულ ბაგრატის დიდებული ტაძრის პირველადი სახით სრული აღდგენის შესახებ. იქ ნაწარმოებმა ხანგრძლივმა მუშაობამ ჩვენი ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნებათმცოდნეების მონაპოვარმა დაადასტურა ამის სათანადო შესაძლებლობა. ბაგრატის აღდგენილი ტაძარ-მუზეუმი შესანიშნავი ძეგლი იქნებოდა ძველ და ახალ საქართველოს კულტურულ მონაპოვართა შორის“ (გოთუა 1959:3).

ამ სტატიიდან 5 წლის შემდეგ, ძეგლთა დაცვის საზოგადოების მუშაობის შეჯამებისას, ლევან გოთუა სიხარულით აღნიშნავს, რომ უკვე დაწყებულია ტაძრის „ყოვლად ქართული სხეულის აღდგენა“, რაც „ბრწყინვალე მეცნიერულ-აღდგენითი მიღწევაა და, ჩემი აზრით, მას ამჟამად საბჭოთა კავშირში თანატოლი არ გააჩნიაო!.. (გოთუა1965:2).

მწერლის თქმით, აღდგენილი ბაგრატი უძველეს დედაქალაქს - ქუთაისს გვირგვინს დაადგამს და მომხრეა, რომ ბაგრატის ტაძარი თავდაპირველი სახით სრულად აღდგეს. იგი „ნანგრევების რომანტიკის“ მიმდევართა საყურადღებოდ დასძენს, რომ „საქართველოში რომანტიკულ ნანგრევებს ნეტა რა გამოლევს! მაგრამ თავის პატივისმცემელ ერს ყოველთვის გააჩნია ისეთი ძეგლები, რომელთა აღუდგენლობა ისევე დაუშვებელია, როგორც ერის მთლიანობის გაბზარვა!“ (გოთუა1959:3).

არქიტექტორმა ვახტანგ ცინცაძემ 50 წელი შეალია ბაგრატის ტაძრის აღდგენით-საკონსერვაციო საქმეს. 1950-იან წლებში მის მიერ ჩატარებული გასამაგრებელი სამუშაოების დროს აღდგა სვეტები, კარიბჭე და სხვა ტაძრის სიმყარისთვის აუცილებელი დეტალები. მაშინაც ბჭობდნენ, ნანგრევები დარჩენილიყო თუ სრული სახით აღდგენილიყო ბაგრატი... ფაქტია, რომ მაშინ ნანგრევებს მისცეს უპირატესობა. მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში ბაგრატის ტაძრის აღდგენის საკითხზე მსჯელობა განახლდა, ბაგრატის ტაძრის გამთლიანებაზე საუბარი, პატრიარქის თხოვნით, 90-იან წლებში დაიწყო, 2009 წელს კი მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ითავა მისი სრული სახით აღდგენა.

თუ ლევან გოთუა ტაძარს ძველი და ახალი ისტორიის დამაკავშირებელ დიდ სიმბოლოდ მოიაზრებდა, მიხეილ სააკაშვილმა აღდგენილ ბაგრატის ტაძარს საქართველოს ერთიანობის სიმბოლო უწოდა (ბაგაური 2012).

ლევან გოთუას განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ბაგრატთან ერთად მოქცეულია დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, რომელსაც ჩვენს იერუსალიმად მოიხსენიებს და დავით-გარეჯის შემსწავლელი და დამცველი მუდმივი კომისიის შექმნას მოითხოვს.

„აქამდე ვერ ვითავეთ დავით-გარეჯის მოვლა-პატრონობა. აქ - თბილისიდან სულ სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე ჩვენ ჩვენი იერუსალიმი გაგვაჩნია! და ჩვენ ამის მეტი რომ არა გვქონდეს რა, ჩვენს ისტორიას მარტო გარეჯის ქვაბ-ქალაქნი შეაჯერებდნენ!“ (გოთუა 1959:3)

დავით-გარეჯის პრობლემა ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომებზეც რომ აქტუალურია, ეს 1959 წლის საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულების

მიმდინარეობის ოქმიდანაც ჩანს, სადაც აღნიშნულია, რომ უნდა მომზადდეს მოხსენება „დავით გარეჯის ძეგლების მდგომარეობისა და დაცვის შესახებ“, რადგან ძეგლის მახლობლად მოწყობილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიგონი აზიანებს ისტორიულ კომპლექსს. „უნდა აღინიშნოს, რომ დავით-გარეჯის კომპლექსი ზიანდება საარტილერიო სროლების დროს, ძეგლის მახლობლად მოწყობილია ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიგონი“ (სუიცა, საქმე № 500:16).

ამ საკითხზე ლევან გოთუა ყურადღებას ამახვილებდა ხუთი წლის შემდეგაც და ხაზს უსვამდა, რომ დიდი ხანია, დროა, „ჩამოყალიბდეს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში დავით გარეჯის შემსწავლელი და დამცველი მუდმივი კომისია, ექსპედიცია, ფილიალი“ (გოთუა 1965:2).

ლევან გოთუას მოთხოვნიდან 2 წლის შემდეგ ირკვევა, რომ მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები დავით-გარეჯში (კანდელაკი 1967:5). ასევე, განსაზღვრულია გზის გაყვანა დავით-გარეჯში. წყალთა მეურნეობის სამინისტრომ წყალსადენი მიიყვანა დავით-გარეჯის „ლავრას“ კომპლექსთან. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი დავით-გარეჯის კომპლექსის გასამაგრებლადო (იქვე).

ლევან გოთუა ყურადღებას ამახვილებდა თარიღებზე - „ჩვენ თითქმის ყოველთვის „გვყვანან“ საპატიო ძეგლები-იუბილარები, რომელთა სახალხოდ აღნიშვნა ფრიად შეუწყობდა ხელს ძეგლების მოვლა-მფარველობის იდეასა და პრაქტიკას“ (გოთუა 1964:22).

სწორედ ამ კონტექსტში გამოყოფდა კუმურდოსა და დავით-გარეჯს. 1964 წელს ზეიმით აღინიშნა კუმურდოს აშენების 1000 წლისთავი. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება ფოტოები, რომლებიც ასახავს მწერალ ლევან გოთუასთან შეხვედრას კუმურდოს ტაძრის 1000 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე. შეხვედრას სტუმრები, მკითხველები ესწრებოდნენ.

ლევან გოთუასთვის უწინარესი იყო ასევე საქართველოს მთიანეთის ისტორიული ძეგლების აღდგენის საკითხი. „შველას ითხოვს მთელი სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის კოშკები! უნდა ვუშველოთ დაცარიელებულ შატილს!“ (გოთუა 1962:26).

მწერალი სვანეთის კოშკების ნგრევა-განადგურების შესაჩერებლად სასწრაფო ზომების მიღებას მოითხოვს და სვანური კოშკების დაცვის სპეციალური კომისიის

შექმნას მოითხოვს, რომელმაც უნდა გამონახოს სახსრები და სხვა საშუალებები კოშკების ბუნებრივი და ხელოვნური ნგრევის შესაჩერებლად.

ნარკვევი 1962 წელსაა დაწერილი, საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების III რესპუბლიკურ ყრილობაზე, რომელიც 1965 წლის 29 ივნისს რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა, საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის, აკად. ნიკო კეცხოველის საანგარიშო მოხსენებიდან ვიგებთ, რომ ძეგლთა დაცვის საზოგადოება სარესტავრაციო საქმიანობასაც შესდგომია და ზემო სვანეთში ჩაუტარებია კიდეც ეს საქმიანობა (კეცხოველი 1965:65).

1962-65 წლებში ზემო სვანეთში შეკეთდა სამხედრო, საფორტიფიკაციო და საკულტო ნაგებობანი: იფრარის, ლატალის, მთავარანგელოზის, კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია კალის მიდამოებში. ჩვაბიანში ქალდანების ერთ-ერთი საინტერესო საცხოვრებელი კომპლექსი კოშკითურთ და სხვა.

ლევან გოთუა სვანეთს განსაკუთრებულად გამოყოფს, რადგან მის შესანიშნავ ძეგლებში დაცულია ოქრომჭედლობის იშვიათი ნიმუშები, უძვირფასესი ხატები, საქართველოს არცერთ სხვა კუთხეში ასეთი რამ აღარ არის მუზეუმების გარეშე და თავად ხალხი იცავს საიმედოდ ეროვნული ოქროს ფონდის მნიშვნელოვან ნაწილსო.

ამიტომ ამ ადამიანებს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ბუნებრივად დამსახურებულ წევრებად მიიჩნევს. საზოგადოების მიზანიც სწორედ ესაა, გაიღვიძოს შეგნებამ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა იცავდეს, უშუალოდ მონაწილეობდეს კულტურის ძეგლების აღდგენის პროცესში.

ვინაიდან მთელი ხალხისა და ფართო საზოგადოებრივი საწყისების გარეშე არ მოხერხდებოდა ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობა, იმ ადამიანებს, ვინც კულტურის ძეგლს იცავს, „კეთილმომავლისა და მშვიდობიანობის მებრძოლებად“ მოიხსენიებს. ყოველი ძეგლი მამულის ნაწილია და მათი დაცვაც მშვიდობიანი ბრძოლით უნდა მოხერხდესო. უწინარესად, სიყვარულით, გონივრულად, მეცნიერული სიზუსტით და ახალი შეგნებით უნდა დავეხმაროთ ძეგლებს, დაწესებულებებსა და კეთილ მოღვაწეებს, რომლებიც უვლიან ამ ძეგლებსო (გოთუა 1962: 46).

ლევან გოთუას თქმით, დიდ არქიტექტურული ძეგლებს დროული შველა სჭირდებათ, რისთვისაც მთელი საზოგადოების ძალისხმევაა აუცილებელი.

„ძეგლები ვერ მოვლენ ჩვენთან - ჩვენ უნდა მივიდეთ მათთან, დროული შველა-დახმარება მივუტანოთ! ჩვენ ხომ ახლა ერთად უნდა დავიცვათ, სულ ცოტა ორიათასი წლის ჟამისა და უფრო მეტი ომის გადამტანი უამრავი ძეგლი! ჩვენთვის ყველა ომი სამამულოა, ყოველი ძეგლი მამულის ნაწილი!“ (გოთუა 1962: 43).

ბროშურაში „ჩვენი ჩუქურთმიანი თანამგზავრები“, რომელშიც იგი ქართული ხუროთმოძღვრების დაცვისა და შენარჩუნების საკითხებს აყენებს, არკვევს პრობლემის მიზეზებს, საფუძვლიანი ანალიზით წარმოაჩენს სტატიის თემას და ცალკეულ საკითხებზე აქცენტირებით მათი გადაწყვეტის გზებსა და საშუალებებსაც ეძებს.

საზოგადოების წევრებად უნდა გაერთიანდნენ და კულტურის ძეგლების აღდგენა - რესტავრაციაში პირადად უნდა მონაწილეობდნენ მხცოვანი აკადემიკოსებიც და მოსწავლე-ახალგაზრდობაც; საზოგადოებამ ამ საქმისთვის უნდა გამონახოს საკუთარი სახსრები საწევრო გადასახადებიდან, საჯარო ლექციებიდან, მასობრივი ექსკურსიებიდან, ძეგლის სურათების გამოცემიდან, და ეს თანხები მოახმაროს ძეგლთა დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, საზოგადო ინსპექციის შექმნას და რესტავრაციას.

სტატიაში დასახელებულნი არიან ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც ისტორიული ძეგლების აღდგენა-მოვლისთვის აქტიურად საქმიანობენ. მწერალი საჯაროდ აქებს კონკრეტულ სკოლებს, გვარებს, ორგანიზაციებს... ვისაც წვლილი შეაქვს საერო საქმეში.

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძეგლების უშუალო მომვლელებსა და მცველებს. ზოგ მცველს „ხევისბერს“ უწოდებს, რადგან ხეობის გასწვრივ აღრიცხული და აღურიცხავი ძეგლების მეთვალყურეა. ლევან გოთუა მცველების რაოდენობის გაზრდას მოითხოვს, თანაც მათ დასახლებას ადგილზევე, რომ შორეულ სოფლებში არ იმყოფებოდნენ და ძეგლი თვალთახედვის არეალში ჰქონდეთ. მწერალი საზოგადოებრივი მცველ-ზედამხედველის არჩევის შემოღების წინადადებით შემოდის.

ლევან გოთუა ძეგლებზე საზოგადოებრივი მფარველების და აქტიური მოამაგეების გაპიროვნებას და საზოგადოებრივი კონტროლიორების ფართო ქსელის შექმნას მოითხოვს. ასევე, აუცილებლად მიაჩნია, ყოველწლიურად გამოცხადდეს კონკურსი ძეგლების მცველებზე, საჯაროდ გამოვლინდეს, ვინ უკეთ უვლის და პატრონობს ძეგლს, მათი სახელი ყველამ უნდა იცოდესო. მწერალი მცველებს დიდ

პასუხიმგებლობას აკისრებს და მათთვის მასობრივი სესია-შეკრებების გამართვის წინადადებასაც აყენებს, რომ ძეგლთა დაცვა-მოვლის სემინარებზე ცოდნა-გამოცდილება აიმაღლონ. „მას ხშირად უფრო დიდი საუნჯე აბარია, ვიდრე, ვთქვათ, უმაღლესდამთავრებულ ისტორიკოსს, თუნდაც მუზეუმის დირექტორს“ (გოთუა 1962:35).

მწერალი სტატიაში პრობლემის გადაწყვეტის მისეულ ხედვას აყალიბებს, გადაუდებელ ამოცანებს სახავს. ეტყობა, რომ საფუძვლიანად უფიქრია და განუცდია საკითხი. ძეგლების სრული აღრიცხვის, რუკისა და კარტოთეკის შედგენის, აღწერა-პასპორტიზაციის ამოცანა ერთ-ერთმა კვლევითმა ინსტიტუტმა უნდა ითავოს, ყველა დანარჩენი კი მივეხმარებითო.

ლევან გოთუა აღდგენა-რესტავრაციას დიდ ხელოვნებად მიიჩნევს. ის პრინციპულად განსხვავდება ახლად შენებისგან. ეს არ არის თავისუფალი შემოქმედება, მაგრამ არც უბრალო მიმბაძველობაა. „საჭიროა მეცნიერული სიზუსტე და ხელოვანის მიხვედრის შერწყმა“ (გოთუა 1962:37). ცუდი ან არასწორი რესტავრაცია ძეგლის ხელყოფას უდრის და არა მის დაცვასო.

„რაც შეიძლება მეტი საზოგადოებრივი ყურადღება რესტავრატორებს, ყოველმხრივი ხელისშეწყობა! მაგრამ კონტროლიც უნდა გავამახვილოთ... ბოლოს და ბოლოს ძველი ძეგლის ბედს მისი დროული და კარგი რესტავრაცია წყვეტს!“ (გოთუა 1962:38).

სტატიაში პრობლემის ისტორიულ კონტექსტში განხილვა და მოვლენის განვითარების ისტორია სათანადო არგუმენტაციითაა წარმოჩენილი, ხოლო სათქმელი - კონკრეტული მაგალითებით და სტატისტიკით გამყარებული. ფაქტები და არგუმენტაცია მთავარი თემის გაანალიზებას ემსახურება. საკითხი მოიცავს ისტორიას, აწმყოს და სამომავლო პერსპექტივებს.

ლევან გოთუას აზრით, აუცილებელია მჭიდრო და შეთანხმებული თანამშრომლობა ყველასი, იქნებიან ესენი არქიტექტორები, მწერლები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, კომპოზიტორები, ძეგლის მცველები, სარესტავრაციო ორგანიზაციები... ხშირად უნდა განხორციელდეს საერთო კომპლექსური ექსპედიციები, ხოლო გამოცდილების გასაზიარებლად საერთო კრებები და ძეგლთა დაცვის მეცნიერული სესიები მოეწყოს...

მნიშვნელოვანია დროებითი და მუდმივი გამოფენების გამართვა, ბუკლეტების, მეგზურების, ფოტოსურათების, ალბომების, წიგნების აღწერილობების, პლაკატების მასობრივი გამოშვება. ყოველ ღირსშესანიშნავ ძეგლს უნდა ჰქონდეს გზის მაჩვენებელი, მცირე სტენდები, მოკლე მიმოხილვა, ლიტერატურის სია.

მწერალს შემოაქვს ახალი კომპოზიტი, სიტყვა „ძეგლმთფარველობა“. ძეგლთმფარველობის იდეისა და პრაქტიკის მასობრივად დასანერგად ყველა თანამედროვე საშუალების - კინოს, ტელევიზიის, რადიოს, ლექციების მასობრივი ექსკურსიების გამოყენებას მოითხოვს. იმ ორგანიზაციებისგან, რომელთაც ეს ევალებათ, პირდაპირ მოითხოვს, რომ მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლებს ჰქონდეთ კეთილმოწყობილი გზა, შუქი, სასმელი წყალი.

ბროშურა „ჩვენი ჩუქურთმიანი თანამგზავრები“ უკვე გამოცემული იყო, როდესაც გრემის ნაქალაქარში ახალი გზის დაპროექტება დაიწყეს, რომელიც ტაძარს საფრთხეს უქადდა.

„ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ მაშინვე გაგზავნა კომისია, რომელმაც პროექტის ავტორებთან და მომავალ მშენებლებთან ერთად ადგილზე გამოიკვლია ვითარება. ჩვენ მივაკვლიეთ სრულ გაგებას, რადგან ყველას ახალი გზის გაყვანაც და ახალი ძეგლების დაცვა-გადარჩენაც გვასულდგმულებდა. ახლა მუშავდება ყველასთვის მისაღები გზის ვარიანტი“, - ამბობდა მწერალი 1963 წლის 6 მარტის რადიომიმართვაში (სუიცა, საქმე №313: 22).

იგი ყველას - ადგილობრივ მოსახლეობას, კოლმეურნეებს, მასწავლებლებს, მოწაფეებს, მოგზაურებს, მონადირეებს, გეოლოგებს, მშენებლებს... მოუწოდებს, რედაქციებსა და ძეგლთა დაცვის რაიონულ ორგანიზაციებს, მიაწოდონ ინფორმაცია მონახულებული ძეგლის მდგომარეობაზე. ყოველი ახლად აღმოჩენილი ნაშთის თუ ნივთის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობონ ძეგლთა დაცვის საზოგადოებას, საკუთარი სურვილები, წინადადებები გააცნონ.

მას აუცილებლად მიაჩნია სახელმწიფო დახმარების გაზრდა ძეგლთა დაცვაზე, ამავდროულად, ძეგლთა დაცვის საზოგადოების წინაშე აყენებს ამოცანას, საწევრო გადასახადებისგან, საჯარო ლექციებისგან, ძეგლების სურათების გამოცემებისგან შესული თანხებით გამოინახოს სახსრები, რათა ეს თანხები ძეგლთა რესტავრაციისთვის გამოიყენონ.

„კულტურის არცერთი ჩვენამდე მოღწეული ძეგლი აღარ უნდა დაინგრეს, აღარ უნდა განადგურდეს, აღარ უნდა შეიბღალოს!“ (გოთუა 1962:45).

ლევან გოთუას ერთ დიდ ამოცანად მიაჩნდა კულტურული ძეგლების პოპულარიზაცია და უფრო კულტურულად მოწყობა. მწერალი აუცილებლობად მიიჩნევდა მუზეუმისა და კულტურის ძეგლის შერწყმას, ძეგლებთან მუზეუმ-გამოფენების მოწყობას. ეს ფორმა ხელს შეუწყობდა როგორც ძეგლის პოპულარიზაციას, ასევე ძეგლთა დაცვის თვალსაზრისითაც სასურველ შედეგს გამოიღებდა - ძეგლსაც უბრუნდებოდა თანადროული საზოგადოებრივი ფუნქცია და მხატვრულ-ესთეტიკურადაც ქვეყნის ისტორიასთან, მხარესთან, თანამედროვეობასთან კავშირში აღიქმებოდა.

ამ მხრივ კარგად გააზრებულად მიიჩნევდა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ერეკლესეულ სასახლეში, გამოფენებს ვარძიაში, ბიჭვინთის ტაძარში, სვეტიცხოვლის გალავანში, ღია მუზეუმს არმაზის ნეკროპოლში. საზოგადოების ძალებით გაიმართება გამოფენა მეტეხში, სახალხო მუზეუმი - გრემის მთავარანგელოზში, განზრახულია დიდი გამოფენის მოწყობა გელათში, სასურველია მცირე გამოფენის გაფართოება შიო-მღვიმეშიო.

ლევან გოთუა ფიქრობდა, რომ ასეთი ძეგლ-მუზეუმი ექსპოზიციით დადებით როლს შეასრულებდა ძეგლის ისტორიაში და მრავალი მნახველიც ეყოლებოდა. საერთოდაც, ლევან გოთუას აზრი იყო, რომ საქართველო, კულტურულ-ისტორიული ძეგლებით, ნაკრძალად გამოცხადებულიყო: ,,დროულია, რომ საქართველო, კულტურულ-ისტორიული ძეგლების თვალსაზრისით, მთლიანად ნაკრძალად გამოცხადდეს, ყველა დაცვითი ზომებისა და დამატებით ღონისძიებათა დაკანონებით“ (გოთუა 1959:3).

მწერალს საფუძვლიანად შეუსწავლია საქართველოს ისტორიული ძეგლების მდგომარეობა და მათი პრობლემები. გული სწყდება, რომ თუ საქართველო ძეგლების სიმრავლით დიდი ერების რკალში ხვდება, მათი მოვლა-პატრონობით კი მათ ბევრად ჩამორჩება - ძეგლების აღდგენის საერთო დონე განუხრელად ქვევით იწევდა. შესაკეთებელ ძეგლთა სიმრავლე ბევრად უფრო მეტი იყო. თუმცა საამისო ძალა და სახსრები არსებობდა. „მარტო ის ფაქტი რას ნიშნავს, რომ საქართველოს

კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრთა რიცხვმა 1969 წლის 1 იანვრისათვის, გადააჭარბა 500 000 წევრს“ (გოთუა1969:17).

საზოგადოების არსებობის პირველი ათი წლის განმავლობაში ნახევარი მილიონი მეგობარი ჰყავს საქართველოს ძეგლებსო!.. „ჩვენი ამოცანაა, - წერდა ლევან გოთუა, - საქართველოში ყველა გახდეს ჩვენი საზოგადოების მოქმედი წევრი, ძეგლების შეგნებული მფარველი და მოამაგე“ (იქვე).

ლევან გოთუა ამაყობდა, რომ 1969 წლისთვის შეკეთდა: სვეტიცხოველი, გელათი, წრომი, გეგუთი, ბაგრატი, წალენჯიხა, წილკანი, ანანური, უბისა და სხვა... მაგრამ შესაკეთებელი ძეგლები უფრო მეტი იყო და ამის მიზეზად სახელოსნოთა სიმცირეს ასახელებდა (გოთუა 1969:17).

„შეიძლება ბევრმა არც იცოდეს, აღარც ახსოვდეს, რომ საზოგადოების მიერ გამოყოფილი თანხებით შესწავლილ იქნა და რესტავრაცია ჩაუტარდა: ქვათახევს, გუდარეხს, საფარას, მირიანის საყდარს, სამშვილდის სიონს, თბილისის უმთავრეს ეკლესიებს: ანჩისხატს, სიონს, ბეთლემს, დიდუბეს, ჯვრისმამას და სხვა 20-მდე ძეგლს. დღეს უმეტეს მათგანში განახლდა საეკლესიო მსახურება. დაგვეთანხმებით, ეს მნიშვნელოვანი წვლილია ერის სულიერი ცხოვრების აღორძინებაში“ (ასანიძე 2000:5).

2.3. „სდექ მტკიცედ და ურყევად“ - დაკარგული დამოუკიდებლობის გზის ძიებაში

ლევან გოთუა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც 1959-1961 წლებში ნიკო კეცხოველთან და გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად მოითხოვდა სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობას საინგილოში, ისტორიულ ჰერეთში. მაგრამ სამივე მოთხოვნა ქაღალდზე დარჩა. 1959 წელს საქართველოდან გაგზავნილ კულტურის სამინისტროს წერილზე აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ოფიციალური პასუხი არ მოუწერია (სუიცა, საქმე №500:15), ხოლო 1961 წლის პრეზიდიუმის მიერ გამოტანილ დადგენილებათა შესრულების შესახებ ცნობაში აღნიშნულია: „სამეცნიერო ექსპედიცია საინგილოში ჩვენზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ მოეწყო. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის ეთნოგრაფთა ჯგუფი მეორე დღესვე უკან დაბრუნდა, რადგან ადგილობრივმა ორგანოებმა არ შეუქმნეს საჭირო პირობები მუშაობისთვის“ (სუიცა, №500:56).

ასე რომ, ვერ მოხერხდა საინგილოში 10-კაციანი ექსპედიციის გამგზავრება ლევან გოთუას ხელმძღვანელობით. იგი ექსპედიციის ხელმძღვანელის მოადგილე უნდა ყოფილიყო.

ერთ-ერთ ხელნაწერ დოკუმენტში, რომელსაც აწერია: „ისევ პირისპირ - IV ყრილობა“, ქვეპუნქტში - „რა გავახსენოთ“, ჩამონათვალში პირდაპირ უთითებს მწერალი: „საინგილოს ყველა ძეგლი“ (სუიცა, საქმე №381:109).

ლევან გოთუას მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ძეგლების პრობლემა კი არ აწუხებდა, მთელი გულისყური მის ფარგლებს გარეთ დარჩენილი ისტორიული ძეგლებისკენაც ჰქონდა მიპყრობილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა იმ დიდი ბარიერის გადალახვა, რომელიც აზერბაიჯან-საქართველოს შორის იყო აღმართული.

მისთვის უძვირფასესი იყო უცხოეთის სიძველენი, ამის კიდევ ერთი დასტურია კინორეცენზია - „დაუვიწყარი მოგზაურობა „ქართულ პალესტინაში“. ფილმის რეჟისორი გურამ პატარაია და საქართველოს ტელეხელოვანთა ჯგუფი 1966 წელს ჩავიდა პალესტინაში და ფირზე აღბეჭდა ქართველთა ნაკვალევი.

ფილმის საფუძვლიანი გაანალიზებით ავტორთა ჩანაფიქრი მკითხველამდე ენის ხატოვანებითა და პუბლიცისტური ოსტატობით მოაქვს.

დასაწყისში მწერალი ბოდიშს უხდის მკითხველს სათაურისთვის, რადგან ეს ნამდვილი მოგზაურობა როდია, არამედ „...ისტორიულ რეალიებზე დამყარებული, მეცნიერული კონსულტაციით კარგად შერჩეული, მაღალი შემოქმედებითი თვალით დანახული „ქართული პალესტინაა“ (გოთუა 1969:21).

მწერალი დადასტურებითი ნაწილაკით „დიახ“ განაგრძობს თხრობას, რითაც თითქოს მაყურებელსაც ესაუბრება, თხრობის თანამონაწილედ აქცევს და, ამავე დროს, ფილმსაც მიმოიხილავს, გამოყოფს იმ არსებით ნიშანს, რითაც შემოქმედებითმა ჯგუფმა ფილმი ყველასთვის მისაღებად აქცია - „პლასტიურად მეტყველი სახე“ (იქვე).

„დიახ, ისტორიას აქვს არა მარტო თავისი რეალური არსი და ნაშთი, სულიერი და ლიტერატურული გაგრძელება, არამედ ძნელად დასანახი, პლასტიურად მეტყველი სახე. ნანგრევების გადაღება ადვილია, ძნელია მისი შემოქმედურად შევსება, ძირითად ნიშნის პოვნა და ყველასათვის მისაწვდომად ამეტყველება. სწორედ ეს პლასტიური სახე ზედმიწევნით მოუპოვა თავის

„უძნელეს მასალას“ შემოქმედმა სამეულმა, მწერალმა ილია რურუამ, რეჟისორმა გურამ პატარაიამ და ოპერატორმა გივი მელქაძემ. შემდგომ კი მთელმა გადამღებმა ჯგუფმა“ (გოთუა 1969:21).

მწერალი პალესტინის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომ ის უხსოვარი დროიდან მრავალმხრივ „საკვანძო ჟამთასაბრუნავი“ იყო.

„...მარტო ისიც კმარა, რომ სამი მსოფლიო სარწმუნოების აკვანია! აქედან არიან მოსეც, ქრისტეც და მაჰმადიც! აურაცხელმა დამპყრობლებმაცა და კეთილმა მაშენებლებმაც დასტოვეს აქ თავისი შესაფერისი კვალი. ჩვენ, ფილმის ჯადოქრულ ძალით, ქართველთა სახელოვან ნაკვალევს გავყევით“ (გოთუა 1969:21).

ტელეხელოვანთა ჯგუფს თავდადებით უღვაწია, მოუვლია იერუსალიმის ქართველთ-ჯვარი, ერიქონი, ბეთლემი, საბა-წმინდა, კატამონი, მალხა... ერთი ფილმი როგორ ამოსწურავს ამ დიდ თემას, მაგრამ მრავალი ახალი მნიშვნელოვანი მასალისთვის მიუკვლევია. სათქმელიც მხატვრულად, განსხვავებულად, საინტერესო დეტალებით მოუტანია.

ლევან გოთუა არსებითზე ამახვილებს ყურადღებას, რატომ არის ეს ადგილი მნიშვნელოვანი და რით გაამდიდრებს მაყურებლის სულიერ სამყაროს. მისი აზრით, იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის სიმბოლური გასაღები სამია, როგორც მრავალი ციხე-ტაძარი ჩვენში ერთად იყო - წიგნის, სარწმუნოების, თავდაცვის კერა.

„ზღურბლის მიღმა, ჯერაც ჟღერს და ჰღაღადებს ასომთავრულში შეაბჯრული ქართული სიტყვა - „სდექ მტკიცედ და ურყევად!“ სწორედ ეს გახლავთ სურათის ძირითადი კილოც და იგი, წარმოშობის შემდეგ, ქვეშეცნეულად გასდევს მთელ თხრობას“ (გოთუა 1969:18).

ლევან გოთუა ძეგლებისა და ბუნების ჰარმონიას ოსტატურად გადმოგვცემს, მხატვრული სრულყოფის მისაღწევად კი ეპითეტ-შედარებებს უხვად იყენებს. იგი ფილმის საუკეთესო შემფასებელია - სურათის შემქმნელთ, შეგნებულ ისტორიზმთან ერთად, არ ჰღალატობთ თანამედროვეობის გრძნობაც. ყველაფერი თანამედროვე ქართველის თვალით არის დანახული. ობიექტივის მიღმა თანამედროვე ქართველის გული ფეთქავს. ამიტომ არის ეს სურათი ასე გულშიჩამწვდომი, დიდი ზემოქმედების მომხდენი, კეთილი გრძნობების აღმძვრელიო...

მწერალი ფილმის გადამღებ ჯგუფს დიდ წინაპრებს ადარებს, უწინ გაშლილი დროშით რომ შედიოდნენ იერუსალიმში.

„ქართველები ოდესღაც გაშლილ დროშით შედიოდნენ იერუსალიმში. ახლა იმ მედროშეების შთამომავლებმა ამ „ქართულ პალესტინის“ გაშლილი ფილმი - სურათი ჩამოგვიტანეს“ (გოთუა 1969:24).

ფილმი მიღწევაა ჩვენი ეროვნული კინო და ტელეხელოვნებისა და იგი არ უნდა დაგვრჩეს სახელოვნად აღუნიშნავიო, - ასკვნის ლევან გოთუა.

ამდენად, ხსენებული რეცენზია გვეხმარება, გავიგოთ ფილმის ავტორების ჩანაფიქრი, ჩავწვდეთ მის ღირსებებს, შემეცნებით და ზნეობრივ მნიშვნელობას, მის დიდ როლს მომავალი თაობებისთვის. იგი თავისებურ ხიდს სდებს ავტორს, ფილმის შემქმნელებსა და მკითხველებს შორის. ეხმარება ფილმის მაყურებელსაც და მკითხველსაც, ერთიანად გაიაზრონ ყველა კომპონენტი ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდის თვალსაზრისით.

ყოველი სიტყვა ეროვნული გრძნობით, დიდი ღირსებითაა დამუხტული. მწერალს გადავყავართ სხვა სამყაროში, ფილმის კვალდაკვალ გვამოგზაურებს ქართულ პალესტინაში, მიგვაახლებს ჩვენს დიდ საუნჯეს და გვეუბნება, რომ გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ, გამოვიკვლიოთ... ირგვლივ მრავალი ქარტეხილია, მაგრამ ამ ქარიშხლებში მტკიცედ და ურყევად უნდა ვიდგეთ და იერუსალიმში შესული მედროშეების სიამაყით ვიაროთ წინ.

„სდექ მტკიცედ და ურყევად!“ - ეს სიტყვები, შეიძლება ითქვას, რომ მწერლის დევიზი იყო გადასახლების ეკლიან გზაზე სიარულისას. იქიდან დაბრუნებულმაც იგივე მრწამსით განაგრძო მოღვაწეობა. წუთითაც არ მიუყურადებია საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრისთვის.

ლევან გოთუასთვის ისტორიულ-კულტურული საქმიანობის აღორძინებამ შეიძინა სწორედ ეს დატვირთვა. მისი ინიციატივა იყო ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის დაარსება. მწერალმა ეს საკითხი ძეგლთა დაცვის საზოგადოების წინაშეც დააყენა. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ისპობოდა ქართველთა საცხოვრებელი დარბაზი, მაჩუბი, დუროიანი სახლი, ძველი ოდა... მათი ავეჯი, სავარძლები, საკარცხულები, აკვნები, სადღვებლები და სხვა (გოთუა 1962:41).

საყურადღებოა ლევან ფრუიძის მოგონება, სადაც იგი წერს, თუ რა დიდ მისიას ატარებდა ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის დაარსება.

„ლევანისა და მისი თანამებრძოლის ლექსო ივანიშვილისთვის მუზეუმი, უპირველეს ყოვლისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის კერა იყო. არსებული რეჟიმის პირობებში კარგად გააზრებული კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობა დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ ერთადერთ რეალურ გზად რჩებოდა. ამიტომ ლევან გოთუას დრო არ ენანებოდა ღია ცის ქვეშ მუზეუმის ხორცშესასხმელად, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მშენებელიც თავად გახლდათ“ (ფრუიძე 1995: 10).

ასევე, ამბობდა, რომ ყველა ტრადიციულ ოჯახს და ყველა ისტორიულ ძეგლს თუ მოვუვლით და შევინარჩუნებთ, ქვეყანას უკვდავება გარანტირებული ექნებაო. თავს არ ზოგავდა, რომ ახალგაზრდებისთვის მშობლიური მიწა-წყალი, ისტორიული ძეგლები და ადგილები შეეყვარებინა.

ჩემთან ინახება მწერალ დოდო ხიმშიაშვილის ჩანაწერი, სადაც იგი საუბრობს, როგორ დაჰყავდა ლევან გოთუას ის და მისი თანატოლები ისტორიული ადგილების მოსანახულებლად ნარიყალაზე, მცხეთაში, ახალგორში, ქუთაისში, დმანისში... ახალგაზრდებს საქართველოს ისტორიაზე უყვებოდა, მათ ყოველი გოჯი მიწის სიყვარულს განუმტკიცებდა. თუმცა, ასევე დოდო ხიმშიაშვილის მონათხრობიდან ვიცი, რომ ლევან გოთუას ახალგაზრდებთან სიახლოვეს და ისტორიულ ადგილებში გასვლებს უკრძალავდნენ და დაპატიმრებით ემუქრებოდნენ... ეს იყო 40-ანი წლები, როცა ლევან გოთუა მეორე გადასახლებიდან დაბრუნდა და გამუდმებით უთვალთვალებდნენ. იგი მაინც არ უშინდებოდა სიძნელეებს და წუთს არ უშვებდა ხელიდან, რომ ახალგაზრდებისთვის ისტორიული ძეგლები და წარსული შეეყვარებინა...

მწერალი ახალგაზრდებზე დიდ იმედს ამყარებდა და, მთელ ერთან ერთად, სწორედ მათ მოიაზრებდა ძეგლების უპირველეს დამცველებად. წინაპრების აშენებული ციხე-ტაძრები და სასახლეები ქვაზე დაწერილ დედა-ენად მიაჩნდა, მათ სიყვარულს დედა-ენასთან ერთად უნდა სწავლობდეს ახალგაზრდობაო. ის, რომ ლევან გოთუა ახალგაზრდებზე დიდად ზრუნავდა და მათ ეროვნულ ფასეულობებს აყვარებდა, ეს

ბარათიც მოწმობს - კრიტიკოსი და მწერალი, იპოლიტე ვართაგავა ლევან გოთუას მიმართავს თხოვნით, 1941 წელს ომში დაღუპული შვილის ობლებს, ტარიელსა და ავთანდილს, რომლებიც უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და ისტორიის ფაკულტეტის მეოთხეკურსელები არიან, ყურადღება მიაქციოს. იმის გარდა, რომ ისინი ხშირად აქვეყნებდნენ წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ხატავდნენ ისტორიულ ძეგლებს და გამოფენებს აწყობდნენ.

„საერთოდ, გთხოვთ, როგორც სულიერი მამა, ახლოს გაეცნოთ ამ ორ ჩემს შვილიშვილს, რჩევა-დარიგება მისცეთ, უხელმძღვანელოთ, განსაკუთრებით ავთანდილს, რომელიც საქართველოს ისტორიით და მისი ძვირფასი ნაშთებით არსებითად არის დაინტერესებული, როგორც მომავალი ისტორიკოსი“ (სუიცა, საქმე №413:6).

ლევან გოთუა რომ გულისხმიერად მოჰკიდებია მეგობრის თხოვნას, წერილზე მის მიერ ლურჯად მიწერილი ავთანდილ ვართაგავას ტელეფონის ნომერიც მოწმობს.

2.4. ლევან გოთუა - ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ დამაარსებელი

„ძეგლთა მეგობრობას“ თვისებური გატაცება, მე ვიტყოდი, ფანატიზმი და ხანდახან იქნებ შეუპოვრობაც სჭირდება... და ვგონებ, არც არსებობს, ამაზე უფრო ჰუმანური ფანატიზმი!“ პირველ ყოვლისა, ხალხის უანგარო ენთუზიაზმი უნდა იცავდეს ძეგლებს! ეს უნდა იქცეს საყოველთაო საქმედ და თუ ჩვენში წარმოიშვა ხალხური მშენებლობანი, რატომ არ უნდა წარმოიშვას ძველებურ დიდნაშენების ხალხური დაცვა?! ჩვენ უნდა მივაგნოთ კულტურის ძეგლების დაცვის ახალ მასობრივ ფორმებს“,- აღნიშნავდა მწერალი (გოთუა 1962:28).

ასეთი გატაცებით, ფანატიზმითა და შეუპოვრობით შეუდგა ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ გამოცემას ლევან გოთუა. 1964 წელს გამოვიდა ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ პირველი ნომერი, რომელიც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოამბეს წარმოადგენდა. ლევან გოთუა იყო ჟურნალის დამაარსებელი, სახელის შემრქმევი და პირველი რედაქტორი.

როგორც ჟურნალის მაშინდელი თანამშრომელი ნორა თიგიშვილი იხსენებს, პირველ ნომერს ჟურნალის სტატუსი ჰქონდა, ამიტომ „გამოსვლისთანავე ატყდა რუსეთიდან ერთი ამბავი. დიდი ზეწოლა იყო, ჟურნალის გაუქმება უნდოდათ. ბატონმა

ლევანმა თქვა, ამისთვის მე ვიბრძოლებო. ნამდვილი პატრიოტები იყვნენ მაშინ... ბატონი ლევანი ბევრს იბრძოდა, მნიშვნელობა არ აქვს, ნუ დავარქმევთ ჟურნალს, ოღონდ არ შეგვიწყვიტონ გამოცემაო. მეორე ნომრიდან გამოცემას კრებული დაარქვეს, ყველაფერი ისევე რჩებოდა, როგორც დაგეგმილი და გათვალისწინებული იყო. ლევან გოთუამ მიაღწია იმას, რომ ჟურნალი ისევ გამოვიდოდა, ოღონდ კრებული ერქმეოდა“...

ნორა თიგიშვილის თქმით, კრებულის ნომრებს სხვადასხვა რედაქტორი ჰყავდა, მაგრამ ლევან გოთუას ყველა ნომრის სარედაქციო საქმიანობაში დიდი წვლილი შეჰქონდა, მასალებზე ბევრს მუშაობდა, გარეკანის გაფორმებაზეც კი იგი ფიქრობდა.

ვახტანგ ბერიძე მოგვიანებით მოგონებებში დაწერს: „...ლევან გოთუა, ეს დევივით კაცი, გარეგნულად საკმაოდ მოუხეშავი, მაგრამ გულთბილი და კაცთმოყვარე, ყოველ საქმეში ენთუზიასტი, ჭაბუკივით დაუღლელი, სიყვარულით, შემიძლია ვთქვა, აღფრთოვანებითაც ეკიდებოდა ქართული ძეგლების დაცვის საქმეს. ეს თავის სასიცოცხლო საქმედ მიაჩნდა.

რამდენს მოგზაურობდა, რამდენს დადიოდა ტყესა და ღრეში, როგორ განიცდიდა ყოველი ძეგლის ბედ-იღბალს, თითქოს ძეგლი ცოცხალი არსება ყოფილიყო. რა თავგამოდებით უწევდა პროპაგანდას ძეგლებსაც, მათ დაცვასაც. მის ამგვარ მოღვაწეობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ლევანი, როგორც მწერალი, ძალიან პოპულარული იყო. ლევანის წინადადებით დაერქვა ამ კრებულს „ძეგლის მეგობარი“. ის იყო პირველი კრებულის რედაქტორი, ასე რომ, სწორედ მან მიანიჭა თავიდანვე მას ის გარეგნული სახე, რომელიც მან დღემდე შეინარჩუნა. მანვე ჩაუყარა საფუძველი „გრემქალაქობას“, რომელიც ბევრი სხვა მსგავსი დღეობის თუ დღესასწაულის ნიმუშად იქცა“ (ჯიშკარიანი 2017:262).

ჟურნალის პირველივე ნომერში გამოქვეყნდა ლევან გოთუას წერილი-გამოხმაურება „ძეგლთა სამყაროში“. მწერალი „ძეგლის მეგობარს“ ათასწლოვანი ძეგლების ცხოვრების პირველ ახალ მერცხალს უწოდებს. მწერალს ძეგლები „ქართლის ცხოვრების“ დიდ მოწმეებად, სულიერი და ფიზიკური თავდაცვის მონაწილეებად, ხანდაზმულ ჯარისკაცებად მიაჩნია, რომლებიც „...მარად რჩებიან ეროვნულ მწყობრში, უკეთუ მათი შემქმნელი ერი, მათ იცავს და კარგად მფარველობს!“ (გოთუა 1964:22).

წერილი, როგორც პუბლიცისტიკის ჟანრი, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან პრობლემას აყენებს, ძეგლების დაცვა-მფარველობასთან ერთად „ძეგლის დღის“ ტრადიციის დამკვიდრებას ისახავს მიზნად.

პირველივე წინადადებიდან მკითხველთან შეხმიანება ემოციურ განწყობას აძლიერებს. თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, ავტორი რამდენჯერმე უსვამს ხაზს, რომ ესენი „ჩვენი ძეგლებია“ და მკითხველსაც თხრობის თანამონაწილედ აქცევს.

ახალდაარსებულ ჟურნალს იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, „ამიერით ამ სამყაროსაც ეყოლება თავისი ბეჭდვითი სიტყვის ალამდარი“ (გოთუა 1964:22).

გამოცემის საჭიროება მით უფრო აუცილებელია, რადგან ახალ ხანაში ძეგლებმა ახალი შინაარსი და მორალურ-საზოგადოებრივი ფუნქცია შეიძინეს. ისინი ჩვენი სულიერი ყოფის განუყოფელი ნაწილები არიან - „უფრო მაღალი, სრულყოფილი ხარისხი და საფეხურია. ეს კულტურულად და იდეურად გაზრდილი თაობის სულიერი ივერიუმია!“- წერს მწერალი (იქვე).

იგი ხალხის გენიის მიერ შექმნილ უპირველეს სამშობლოდ სწორედ ძეგლებს მიიჩნევს და შემდეგ – მიწა-წყალს.

„საკუთრივ ხალხის გენიის მიერ შექმნილი სამშობლო, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს არის და მერმე მისი ისტორიულად შემომტკიცებული და დაცული მიწა-წყალი. ჩვენი გარე-ბუნებისა და ისტორიის განუყრელობის დამყარება იყო ჩვენი წინაპრების უდიდესი დამსახურება. ამიტომ არის, რომ, ჩვენთან, ბუნებაში გასვლა, თითქმის ყოველთვის ისტორიაში გასვლასაც ნიშნავს!“ (გოთუა 1964:23).

ლევან გოთუა ამ საქმეს ვიწრო თვალთახედვით არ განიხილავს, არამედ - კაცობრიობასთან კავშირში. „აქ ღირსეულად ჩანს ჩვენი ერის კულტურული როლი და წვლილი კაცობრიობის ერთიან, სულიერ სადოვლათოში“ (იქვე).

მისი აზრით, მეოცე საუკუნე ახალი იდეების საუკუნეა და ძველი კულტურის ძეგლების „დრომოჭმულობა“ ისევე წარმოუდგენელია, როგორც კაცობრიობის ზნეობრივი მეხსიერების მოსპობა.

ლევან გოთუა სტატიიდან მკითხველს უშუალოდ ესაუბრება და თხრობის თანამონაწილედ აქცევს, რომ ძეგლების დაცვა-მფარველობა მათთვის შეგნებულ მოთხოვნილებად იქცეს. წერილის მიზანიც ესაა, ხალხი და განსაკუთრებით

ახალგაზრდობა ახალი შეგნებითა და სულისკვეთებით კეთილმფარველად შემობრუნდნენ ძეგლებისაკენ. აქვე თავადვე ასკვნის: „და განა დიდად სანუგეშო ფაქტი არ არის ჩვენი ხალხის თვითშეგნების საოცარი ზრდა ამ თვალსაზრისითაც?!“ (იქვე).

ლევან გოთუასთვის ძეგლის მეგობრობა ხალხის მეგობრობას ნიშნავს და ფართო საზოგადოებრივი სარბიელია. იგი ღირსშესანიშნავ თარიღებზეც ამახვილებს ყურადღებას, „ჩვენ ყოველთვის „გვყვანან“ საპატიო ძეგლები-იუბილარები“, რომელთა სახალხოდ აღნიშვნა ფრიად შეუწყობდა ხელს ძეგლების მოვლა-მფარველობის იდეასა და პრაქტიკასო.

დიდია წერილის ზემოქმედებითი მნიშვნელობა, იგი რაზმავს ხალხსაც და ხელისუფლებასაც, რომ აღინიშნოს როგორც ძეგლ-იუბილარების თარიღები, ასევე საზოგადოების პრეზიდიუმმა ითავოს „ძეგლის დღის“ ტრადიციის დანერგვა.

წერილი-გამოხმაურება საზოგადოებრიობაზე აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ლევან გოთუას დამაჯერებელი თხრობით და ოსტატური პუბლიცისტური სიმახვილით.

ჟურნალში გამოქვეყნებული წერილი-მოწოდება - „ძეგლის ყველა მეგობარს“ ლევან გოთუას ხელნაწერია. მკითხველისადმი უშუალო მიმართვის ფორმის ზემოქმედების ძალას მისი ლამაზი ხელნაწერი ზრდის. ლევან გოთუა ქვეყნის შიგნით თუ მიღმა, ქართული კულტურის უძველეს კერებში გაფანტული წერილობითი ძეგლების - ხელნაწერების შემოკრება-გადარჩენის მოწოდებით გამოდის. წერილი მთავრდება ლოგიკური მიმართვით და ეს საქმე საზოგადოებრივ მნიშვნელობამდეა აყვანილი.

„გულმოდგინედ ვეძიოთ, ხმა ვაწვდინოთ ყველას, შევაგონოთ, გამოვავლინოთ და შევკრიბოთ ხალხში გაფანტული ხელნაწერები, სხვა წერილობითი ძეგლები, თუნდ ფრაგმენტები“ („ძეგლის მეგობარი“ 1967:4).

ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ საზოგადოებრივ საწყისებზე წელიწადში 4-ჯერ გამოდიოდა. თუ პირველი ნომრის ტირაჟი 300 ცალი იყო, მეორე ნომრის ტირაჟმა უკვე 1500-ს მიაღწია, თუმცა ტირაჟის სიმცირის გამო მისი გავრცელება ძნელდებოდა და ფართო საზოგადოებრიობამდე სათანადო რაოდენობით ვერ აღწევდა. ჟურნალმა თავისი როლი მაინც შეასრულა იმდროინდელი სულიერი აღორძინების საქმეში. 1964-1970 წლებში კრებულ „ძეგლის მეგობრის“ 20 ნომერი გამოიცა.

2.5. გრემქალაქობა, დიდგორი, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე, თბილისის ძეგლები და სხვა...

ლევან გოთუას ანტიკური საქართველოც არანაკლებ აინტერესებდა.

„ჩვენ, ცნობილი ძეგლების გარდა მოგვეპოვება მრავალი ჯერაც შეუსწავლელი გაუთხრელი და აღმოუჩენი უძველესი ძეგლი. ახალგაზრდები მოვალენი არიან, „აღმოაჩინონ ანტიკური საქართველო“ (ვაშაძე1972:3).

ანტიკური ცხოვრების „ფურცლების იდუმალებათა გახსნა“, მათი გამომზევება-შესწავლა უდიდეს ამოცანად მიაჩნდა. მწერალი ფიქრობდა, რომ ადრეული და შუა საუკუნეების დიდებული ძეგლებით გატაცების გამო უყურადღებოდ დაგვრჩა თითქმის მთელი ჩვენი ანტიკური ხანაო...

იგი საგანგებოდ ეხმიანება ციხე-ქალაქ შორაპნის დიდ ზეიმს, „შორაპნის ციხე-ქალაქის 2250 წლისთავის შესრულების საზეიმო ჯარობას“ (გოთუა 1969:20).

შორაპანი პირველი ანტიკური ძეგლია, რომელსაც თარიღი აღენიშნა, კიდევ უამრავი ძეგლი ელის თავის მიმხედველს, შემსწავლელსა და აღმნიშვნელს. ამ მისიას სწორედ თავის თაობას აკისრებდა (იქვე).

„ჩვენ თაობას უნდა ახსოვდეს, რომ ანტიკურ საქართველოს დიდი კარის შეღებაც ჩვენი საპატიო და გადაუდები ამოცანაა“ (გოთუა1969:21).

პატარა წერილ-ჩანახატში „ორი ძეგლის სხვადასხვა ბედი“ ლევან გოთუას ივრის ახალ წყალსაცავსა და წალკის დიდ წყალსაცავს ახსენებს, რომელთა აშენებითაც ძეგლები საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. ივრის წყალსაცავიდან თიანეთის სიონი და დიდი აკლდამა (VIII-X სს.) წყალსაცავის ფსკერზე რომ არ აღმოჩენილიყვნენ, დედაქალაქში გადმოიტანეს და ხალხური ხუროთმოძღვრების და ყოფის მუზეუმის არეზე ააგეს. მაგრამ, ამ ძეგლებისგან განსხვავებით, წალკის წყალსაცავი ისე აშენდა, რომ ბაზილიკა იქ დარჩა და წყალმა დაფარა. „უკუღმართ ბედიან ბაზილიკის სახელი ვისღა ახსოვს. თევზები ჰპატრონობენ ჩამოშლილ ფრესკებსა და ლიბოებს... წყლის დონის ყოველ დაკლებისას ძველთა ძველი ძეგლი უტყვ საყვედურად გამოჩნდება, თავის შემოქმედის შთამომავლებს გადაპხედავს.... წყალუხვობისას კი კვლავ ჩაიფარება და არის ასე“, - წერს გულისტკივილით მწერალი (გოთუა 1969:18.)

ლევან გოთუას ცნება „იორის პრინციპი“ შემოაქვს, რითაც გადარჩნენ ძეგლები, მაგრამ არის მეორე მხარეცო, - წერს იგი, ანუ ძეგლებთან დამოკიდებულების ეს მეორე მხარე ბაზალეთია, როცა ჩვენივე ღალატითა და გულგრილობით ძეგლები ნადგურდება.

„ამ ძეგლის ბედი მარტო საუკუნეთა სიღრმით არ განისაზღვრა! ჩანს ძეგლებსაც ჰქონიათ თავისი ბედისწერა და მათ დაცვაში, იორის პრინციპთან ერთად, ჩვენ ჩვენი ბაზალეთიც გვაქვს!“ (გოთუა1969: 18).

ამ სტრიქონებიდან კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მწერალი ძეგლების აღდგენის საკითხს ზედაპირულად კი არ უყურებდა, არამედ ძეგლების გადასარჩენად მიმართულ მოძრაობას ეროვნული მეობისთვის გამიზნულ მშვიდობიან ბრძოლად მიიჩნევდა.

1958-62 წლებში „გმირთა ვარამის“ ოთხივე წიგნის გამოსვლამ ლევან გოთუა ყველაზე პოპულარულ მწერლად აქცია. გრემის მთავარანგელოზის სამრეკლოზე წერდა „გმირთა ვარამის“ ბოლო ფურცლებს... სწორედ მაშინ მისცეს მას გრემელის ზედწოდება. გიორგი ლეონიძე მას ყველგან გრემელად მოიხსენიებდა. მის სახელს უკავშირდება 1966 წელს ყვარლის რაიონში გრემქალაქის დაარსების 500 წლისთავის დღესასწაული, რომელიც ტრადიციულ სახალხო დღესასწაულად იქცა. „ლევანისვე თაოსნობით მოეწყო მუზეუმი გრემის კოშკში და, ამგვარად, ძველი, მიტოვებული ნაშთი კულტურის ცოცხალ კერად იქცა“ („ძეგლის მეგობარი“ 1973:81).

„გავიხსენოთ, იმ დროს ჩვენთვის ჩვეული თბილისობაც არ არსებობდა. საეკლესიო დღესასწაულები აკრძალული იყო იმ მიზეზით, რომ წნეხისთვის როგორმე თავი აერიდებინა ხალხს. ამიტომ „გრემის ქალაქობის“ აღნიშვნა 28 აგვისტოდან, მარიამობის დღეს დაიწყო. საერთო დღესასწაულის ფარქვეშ მლოცველებს რელიგიური დღესასწაულის ჩატარების საშუალება მიეცათ. მადლიერმა ხალხმა ლევანს „ლევან გრემელი“ შეარქვა“, - იგონებს გიორგი გოთუა (გოთუა 2015:5).

გრემქალაქის დაარსების 500 წლისთავთან დაკავშირებით ციხე-ქალაქის შემოგარენში 15 ათასი ადამიანი მივიდა. ერთმანეთს ცვლიდა ხალხური სანახაობა - ბერიკაობა, ყეენობა, თეატრალიზებული ნომრები, სპორტული შეჯიბრებები. გრემ-ქალაქმა, როგორც მწერალი წერდა, ახალი სიცოცხლე შეიძინა.

„გრემ-ქალაქის ახალი სიცოცხლე“, - ასე ჰქვია ლევან გოთუას ნარკვევს, რომელსაც წამძღვარებული აქვს ვახუშტის სიტყვები: „გრემი, რომელი ქნეს ქალაქად ქრისტესსა შემდეგ 1456 წელს“ (გოთუა 1968: 214).

ლევან გოთუა გრემქალაქობის შთაბეჭდილებებს გადმოსცემს, დიდ მოზაიკურ პანორამას ქმნის, სადაც პეიზაჟი, პორტრეტები, დიალოგები, ლირიკული გადახვევები ემსახურება ძირითად თემას - დახატოს პირველი გრემქალაქობის სიკეთე.

პირველივე წინადადებას: „ყველაფერი გაცხადებულ ოცნებასავით მოულოდნელი იყო“ მკითხველი ლამაზ და ეგზოტიკურ სამყაროში შეჰყავს, ისეთში, როგორიც განცხადებული ოცნებაა. ეს სურათი კონკრეტდება მომდევნო წინადადებებში - „ხალხით ამაღლებული გალავანი, კარიბჭის ბურჯებზე გადმომდგარი შეაბჯრული შუბოსნები, სამრეკლოს სახურავზე გასული ახალგაზრდობა, საოცრად შეფერადებული და შემოძრავებული ზღვა ხალხისა“ (გოთუა 1968:214).

მწერალი იქვე დასძენს, რომ ეს ხედი სხვა ჯავარით იყო შემკული და ახალი სულით შთაბერილი. იმდენად ძლიერია ემოციური მუხტი, რომ ავტორი მკითხველს მიმართავს, დალაგებულ თხრობას ნუ მომთხოვთო - „აქ ყველაფერი პირდაპირ გულში მიკაკუნებდა“ (იქვე).

ეს განცდა ლევან გოთუას რომ ასე მძლავრად დაეუფლებოდა, გასაკვირი არც იყო, „გმირთა ვარამის“ ავტორმა ხომ რომანის ბოლო თავები სწორედ გრემში დაწერა, სამრეკლოზე ცხოვრობდა და ქმნიდა... ამიტომ მისთვის გრემქალაქობა ორმაგად ემოციური მუხტით იყო შთაბერილი - წარსულის ბრძოლების გამარჯვებებით და აწმყოს ახალი სულით. გრემის ისტორიულ ცხოვრებაში ახალი ფურცელი გადაიშალა.

„ეს ჩვეულებრივი, თუნდაც კარგად მოფიქრებული ღონისძიება კი არ იყო, არამედ ბრძნული შემოქმედებითი განჭვრეტა! დანგრეული ისტორიული ქალაქისათვის, დიდებული ტაძრისათვის, ნაბრძოლი კოშკისათვის - ახალი თანამედროვე, მოქალაქეობრივი ფუნქციის მიგნება-მოპოვება! ძველკეთილი და ახალსაჭირო ტრადიციის შერწყმა-დადგენა“ - წერს ავტორი (გოთუა 1968:214).

ასეთი ემოციით იგი თხრობის თანამონაწილედ აქცევს მკითხველს, რომელიც უკვე სულმოუთქმელად ელოდება, რას მოუყვება „გმირთა ვარამის“ ავტორი. თხრობა, მართლაც, ემოციის გამო დაულაგებელია, ავტორის ფიქრებს მოულოდნელად ენაცვლება გრემქალაქობის სურათები... დიალოგები უცნობ ადამიანებთან...

შთამბეჭდავია ავტორის განცდა, როდესაც საკუთარ სიტყვით გამოსვლას აღწერს. „ხალხს რომ გადავხედე, ამიჭრელდა თვალი, მრავალი ათასი კაცი და ჩრდილი მზეზე იდგა... ნანგრევს, უნგრევსა და ახალ ნაგებს აერთიანებდა... დალაგებული სიტყვა დამავიწყდა, წარსული და აწმყო ამერია... ამდენი ხალხი ლაშქრად რომ ჰყოლოდა ალექსანდრე კახთ მეფეს ან ჯანდიერს, შაჰ-აბასი ვერას დააკლებდა ვერც გრემსა და ვერც საერთოდ კახეთს“ (გოთუა 1968:216).

მწერალი პარალელს ავლებს იმ დღეებთან, როდესაც „გმირთა ვარამს“ წერდა და სამრეკლოზე მრავალი ღამე გაუთევია. მაშინ ოცნებით „გამომთვარული ნანგრევები თითქოს დგებოდნენ“ და ქუჩებში ძველგრემელები გამოდიოდნენ, ქალაქი ცოცხლდებოდა... „ახლა კი დღისით და მზისით... სწორედ მზეში ბანაობდა თითქოს ისევ აღმდგარი გრემი!“ (იქვე).

ლევან გოთუა თავისი გამოსვლიდან პატარა ნაწყვეტების ჩართვით პუბლიცისტურ თხრობას ემოციურობას ჰმატებს. ნაომარი გრემის წარსულის გახსენება მკითხველზე ზემოქმედებას აძლიერებს: „გრემ-ქალაქელებო! ისეთი ყიჟინა დავკრათ, რომ ყოველი ჯურისა და დროის შაჰ-აბასებს საფლავშიაც ზარი მიეცეს... გრემი ცოცხლობს და თავისი 500 წლისთავს ზეიმობს!“ (იქვე).

ლევან გოთუამ ახალ გახსნილ მუზეუმს „გმირთა ვარამი“ უსახსოვრა. ამ ფაქტს ასე აღწერს თავად მწერალი. „კიდევ ერთხელ შეგუგუნდნენ და ტაში შეატალღეს „გრემელებმა“, როდესაც დღეს აქ გახსნილ ძეგლ-მუზეუმს ჩემი „გმირთა ვარამი“ ვუნობათე. წიგნი ახლა ზარივით რეკდა“ (იქვე).

ჩვენ თვალწინ ერთმანეთს ენაცვლება თეატრალური წარმოდგენები, ლექსის კითხვა, სპორტული შეჯიბრებების სურათები...

მწერალი ბედნიერად დააბიჯებს ხალხში და რატომღაც მოხუცებთან ჩერდება: ესალმება მათ, ულოცავს გრემქალაქობას, შემდეგ მათ სახეებში თავის პერსონაჟებს - ოქრო-პაპას, ფილოს, ხოსიტას ამოიცნობს... მოხუცებს უკვირთ, რომ უცნობი ადამიანი მათ შეცდომით ეძახის სახელებს... სანამ რამეს ეტყვიან, თავად მწერალი შეერევა ხალხს... ზაზა კახნიაურს აედევნება... ქოხსალამურასაც მოჰკრავს თვალს და ხალიანებსაც...

მწერალი ბოდიშს უხდის ყველას, ვისაც გაესაუბრა და მისი წიგნების გმირები და გრემობაზე მოსული ხალხი აურია ერთმანეთში. ბოლოს და ბოლოს, ვგონებ არც ისე შორს ვარ სინამდვილისგანო, - წერს იგი.

გადასახლებიდან დაბრუნებულმა ლევან გოთუამ ფეხით მოიარა მონატრებული საქართველო, იგი ხშირად სტუმრობდა გრემს, გრემის მთავარანგელოზის სამრეკლოზე და ელიოსიძეების კერიაზე იქმნებოდა მისი ნაწარმოებები. ელიოსიძეების ოჯახი კულტურის პატარა კერა იყო. აქ ლევან გოთუას წერილებს, ფოტოებს, ავტოგრაფებს სათუთად უფრთხილდებდნენ. არსებობს ლევან გოთუასა და ბაბე ელიოსიძის მიმოწერა, ვისაც გრემის ადგილის დედას უწოდებს ლევან გოთუა.

არქივში ინახება ელიოსიძეების ოჯახის - ბაბე, თიკო და თამარ ელიოსიძეების ბარათი, ისინი მწერალს რთველში ეპატიჟებიან. სტრიქონებიდან მასპინძელთა დიდი სიყვარული იგრძნობა მწერლისადმი, რომ იგი ამ ოჯახის ძალიან ახლობელი ადამიანია და მას დაობლებული სახლი ელოდება.

„თვალები დაგვაწყდა (გზაზედ ყურებით) თქვენს მოლოდინში და ნუთუ ახლაც არ ჩამობრძანდებით? ლელაც უთუოდ წამოიყვანეთ. ამინდი მშვენიერი დადგა, ისეთი, როგორც თქვენ გიყვართ, ოქროს შემოდგომაა. თქვენ აქამდის კახეთის პატრიოტი ბრძანდებოდით, ახლაც არ გვიღალატოთ და გაგვახარეთ თქვენი ჩამოსვლით. ჩვენი დაობლებული სახლი გაახმაურეთ და გაამხიარულეთ თქვენებურად!“ - ბარათი დათარიღებულია 1968 წლის 21 სექტემბრით (სუიცა, საქმე№412:4).

საინტერესოა ლევან გოთუას ბარათი, რომელიც სწორედ ელიოსიძეების ოჯახის არქივმა შემოინახა და რომელსაც ადრესატამდე არ მიუღწევია. ლევან გოთუა შუამდგომლობს ბაბე ელიოსიძეს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მუშაკთან ირაკლი ზაქარიაშვილთან.

„პატივცემულო, ირაკლი! ქ-ნი ბაბე ელიოსიძე გახლავთ გრემის „ადგილის დედა“. გთხოვთ, გააფორმოთ ჩვენი საზოგადოების წევრად მისი დებითა და ძმისშვილებით. დაწვრილებით თავად გეტყვით.

ეს ოჯახია ნამდვილი მცველი გრემის ნანგრევ-უნგრევისა და წიგნაკი მათ ხელშია, მათ შემართებას ძალას შემატებს. თქვენი იმედი მაქვს. პატივისცემით, ლევან გოთუა“ (ჯიშკარიანი 2017:328).

უცნობია, რატომ არ გაიგზავნა ეს წერილი, ალბათ თავად ოჯახის წევრების თავმდაბლობის გამო.

ასე ზრუნავდა ლევან გოთუა იმ ადამიანებზე, ვინც ეროვნულ საქმეს ემსახურებოდა.

ლევან ფრუიძის გახსენებით, მისი რეკომენდაციით მრავალი ახალგაზრდა გახდა ზემოხსენებული ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი. რაჭიდან, სოფელ კაჩაეთიდან ერთი მოკრძალებული ჭაბუკი - თამაზ გორდიაშვილი ჩამოიყვანა მუზეუმში სამუშაოდ. იგი შესანიშნავი რესტავრატორი და ხის დამუშავების ოსტატი დადგა. „ასეთი ნიჭიერი ოსტატები მეცნიერ-მუშაკებზე არანაკლებ საჭირონი იყვნენ“ (ფრუიძე 1995:6).

გრემქალაქობას მწერალი ახალი, შეგნებული კეთილმოქალაქეობის შედეგს უწოდებდა, რომელიც ძეგლთა მეგობრობასაც ნიშნავდა, პატრიოტულ და ესთეტიკურ აღზრდასაც და კულტურულ ზეიმსაც... იგი დღესასწაულის დიდ ზნეობრივ მნიშვნელობასაც უსვამდა ხაზს და საქართველოს ყველა კუთხეს მოუწოდებდა, მიებაძათ გრემელებისთვის, რათა სხვა ღირსეული თარიღები და ძეგლები აემეტყველებინათ.

„კარგი მოვლენაა ძეგლთან დაკავშირებული სახალხო დღეობების შემოღება: გრემქალაქისა, შოთაობა - იყალთოში და ასპინძაში, თარიღების დადგენა და აღნიშვნა, შორაპან - 2250... ასეთ თარიღებს დღეს ელიან - ქუთაისი-უქიმერიონი, ციხე-გოჯი, უფლისციხე, უჯარმა... ნარიყალა“ (სუიცა, საქმე №381:109).

შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს 1966 წელს ლევან გოთუა გამოეხმაურა სტატიით - „ვეფხის ტყავი და სვეტიცხოვლის სამყარო“. მწერალი ამ დიდ მოვლენას სვეტიცხოვლის სამყაროს ქვაკუთხედიდან აღიქვამს. მისი აზრით, ჯერ სვეტიცხოველი იყო და მერე „ვეფხისტყაოსანი“. სულიერ ფასეულობათა თვალსაზრისით საქართველოს წიგნებისა და ძეგლების ქვეყნად მიიჩნევს. ომი და განუწყვეტელი თავდაცვითი ბრძოლა, კალოს ლეწვისა და მწიგნობრობის მსგავს ჩვევაში გადაიზარდა. „ასე ჩამოყალიბდა ფრიად თავისებური, გულადი და პურადი, ფიცხელი და თავისთავად სვეტიცხოვლის სამყარო“. (გოთუა 1968 :107).

ლევან გოთუას განსახილველად გამოაქვს უმნიშვნელოვანესი საკითხი - შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილე და მისი როლი ერის ისტორიაში.

„ერის ისტორიაში დიდი წიგნის გაჩენა დიდი თავდაცვითი ბრძოლის მოგებას უდრის. უფრო მეტიც... მერმე იგი მუდამ გამარჯვების საწინდრად და იმედად რჩება“. (იქვე).

ამ თემის ირგვლივ იქმნება ანალიზ-არგუმენტაციის ჯაჭვი. არგუმენტაციის სისტემა სტატიის ამ უმთავრესი საკითხის არსს ხსნის.

მწერლის აზრით, შოთა რუსთაველი სვეტიცხოვლის სამყაროს სულიერი არსის, ყოფისა და მისწრაფებების ყველაზე უფრო ზედმიწევნით, სრულად და ხატოვნად გამომხატველია, საქმეს სიტყვიერი ქსოვილით გადმოსცემს... და იგი არის ქართველობის იდეური, ზნეობრივი და ესთეტიკური საზომი, ქართული ენის უპირველესი წიგნი.

მწერლის მიზანი მკითხველის უბრალო დაინტერესება როდია, თემაში მკითხველის „შესაყვანად“ იგი ცდილობს, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი ამბების აღწერას, ისტორიიდან მოიხმობს ფაქტებს და არგუმენტად უწინარესად ქვის წიგნებს იმოწმებს. შოთას წიგნამდე იყო ქვის მრავალი „ვეფხისტყაოსანი“: უფლისციხე, გარეჯი, შიომღვიმე, ვარძია, ვანის ქვაბები, მღვიმევი და სხვა.

„ქვის კრიმანჭულად“ ნათლავს ქართულ ჩუქურთმას, ქვის მაჯამებია სვანური, ხევსურული, თუშური კოშკოვანი სოფლები. რუსთაველის რენესანსამდე იყო დიდებული ძეგლები - ბოლნისი, მცხეთის ჯვარი, ოშკი, ბანა, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, სვეტიცხოველი, გელათი... მძლავრი ხუროთმოძღვრული აღმავლობა წინ უსწრებდა ლიტერატურულ რენესანსს.

აქვე იგი ხატავს ქართული სულიერი აღმავლობის სურათს და მზის სიმბოლიკა შემოაქვს. ლევან გოთუას მუდამ აინტერესებდა ერის საკრალური ისტორიული ცხოვრება. ქართველისთვის ხომ მზის ესთეტიკა არა მხოლოდ მითოლოგიურ-რელიგიურ და ფილოსოფიურ დატვირთვას იძენს, არამედ ღვთისა და სამშობლოს სიყვარულთან წილნაყარი მზის შვილის ოპტიმიზმს.

„თავიდანვე ოპტიმისტური მსოფლშეგრძნება, მზის შვილთათვის ნიშანდობლივი, მდიდარი, მე ვიტყოდი, ჭარბი სულიერი და ესთეტიკური ლტოლვები, მინდიასეული სიბრძნე და სრულიად ხალხური ზეპირსიტყვაობა... მრავალხმიანი სიმღერა-გალობა,

საოცარი, აგრეთვე სრულიად ხალხური პლასტიურობა (ცეკვა, ჯომარდი). ინდივიდუალური ხასიათმკაფიობა და დახვეწილობა“ (გოთუა 1968:109).

ამ საფუძველმა წარმოშვა საკუთარი დამწერლობა და ხუროთმოძღვრება, ჭედური ხელოვნება და ფრესკული მხატვრობა. ყოველივე ამის პირმშო და გვირგვინი კი „ვეფხისტყაოსანია“.

„1966 წელი, განსაკუთრებით, შოთას დიდებული საზომით შემობრძანდა საქართველოში... სვეტიცხოვლის მერიდიანი წელს მთელ დედამიწას შემოევლება შოთა რუსთაველის სახელითა და შემოქმედებით“ (გოთუა 1968:110).

მწერალი მიმოიხილავს „ვეფხისტყაოსნის“ საქვეყნო აღიარების ფაქტებს, რომელიც თარგმნილია თითქმის ყველა კულტურულ ენაზე და ასკვნის: „ჩვენთვის არა მარტო ლიტერატურული მწვერვალია, არამედ სულიერი ჯავშანიც. იგი არამარტო მწიგნობრული ძეგლია უპირველესი, არამედ - აბჯარი ქართველობისა“ (გოთუა 1968:111).

ამიტომაც 800 წლის იუბილე, ლევან გოთუას აზრით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან სახელი შოთა საქართველოში გამაერთიანებლად აღიქმება. „ენობრივი გონებრივი და ზნეობრივი ჭვირნიშნების ხატოვანი კონაა“ (იქვე).

ლევან გოთუა შოთა რუსთაველს ამირანისა და მინდიას სულიერ შვილიშვილად მიიჩნევს, ბედისწერასთან შეგნებული შებრძოლებით, სიკეთისა და „ჭირსა შიგან გამაგრების“ რწმენის სიძლიერით.

მწერალი შოთას წიგნს ქართული ენის საგანძურს უწოდებს და დიდებული მეტაფორით გამოხატავს მის მნიშვნელობას მომავალი თაობებისთვის - საუკუნეობრივი ოქროს ლიანდაგის დაგება, არა მხოლოდ მხატვრული ხერხია, არამედ მრავალი საფიქრალის დამტევი.

„ვეფხისტყაოსანმა“ ყველაფერი სასიცოცხლო ქართული ენობრივი საგანძურისა შეისრუტა, შემოქმედურად გადაამუშავა და საუკუნეობრივ ოქროს ლიანდაგად დაუგო ქართველ ერს. გეზი და ბიძგი მისცა ქართული ენის არნახულ განვითარებას“ (გოთუა 1968:114).

დღესაც შოთას კალამია ჩვენი სულისკვეთების წარმმართველიო, - აღნიშნავს მწერალი და მომავალ თაობებს ურჩევს, ყოველმხრივ ეცადოს, შოთას და თამარის ხანის

მსგავსად, მისი ხანაც ოქროს ხანად აქციოს, „თავისი წვლილი შეიტანოს მშობლიურ საუნჯეში“ (იქვე).

შოთა რუსთაველი იმდენად ახლობელია, რომ უკვე არა მხოლოდ საქართველოშია ყველას სახლში, არამედ - საზღვარგარეთაც. მისი წიგნი ყველა ოჯახშია. საინტერესოა ლევან გოთუასებური შოთას სახლიკაცობა, ნიშანდობლივია ისიც, რომ მწერალს ამჯერადაც სიტყადქმნადობის ახალი ნიმუში შემოაქვს და შოთა რუსთაველის სახელს უკავშირებს ყოველ განცდას „**კეთილქართველობის იდეისას**“:

„იგი ისეა ჩვენ შორის, როგორც ცოცხალი და ყოველთვის გასაკვირველად თანამედროვე შემოქმედი - მის სახელთან არის შესხეულებული ჩვენი ყოველი განცდა კეთილქართველობის იდეისა. ჰოდა, ყოველ ჩვენგანს სწადს და სწამს შოთა თავის სახლიკაცად, უახლოეს მესაიდუმლედ და ძმადნაფიცად“ (გოთუა 1968:115).

სტატიის ბოლოს მწერალი ისევ ავლებს პარალელს „ვეფხისტყაოსანსა“ და სვეტიცხოველს შორის. ამჯერად „ვეფხისტყაოსანი“ მშობლიური დამწერლობით „ნაშენი“ სვეტიცხოველია. ხოლო მისი ავტორი მზის, მიწისა და კალმის კაცი (იქვე).

„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი მზის, მიწისა და კალმის კაცით! მისი დაბადების თარიღი ჩვენი ერის კულტურის დიდი დღესასწაულია!“ (გოთუა 1968:116).

„მზე“ ამ ნაწყვეტში კიდევ ერთხელ ხმიანდება, „ვეფისტყაოსნის“ ავტორი მზის კაცია, უხსოვარი წიაღის ფესვებით და უბერებელი ოპტიმიზმით.

ბოლოს მწერალი მიმართავს ქართველ ერს, სვეტიცხოვლისა და შოთას ირგვლივ მოაზრებულ სამყაროს: „მარად შემოქმედო ერო, შენ კიდევ გააჩენ შოთას და იქნებ ეს სწორედ რუსთველის წელიწადს მოხდეს“ (გოთუა 1968:115).

სტატია სამი ნაწილისგან შედგება - დასაწყისის, არგუმენტებისგან და დასკვნისგან, ძირითადი პრობლემა, რომლის ირგვლივაც მსჯელობს ავტორი, არგუმენტირების სისტემით და დასკვნებით მყარდება. სწორედ დასასრულია სტატიის კულმინაცია (Ким 2011). ლევან გოთუა რიტორიკული შეხმიანებით მოულოდნელობის ეფექტს მიმართავს და სიუჟეტიც ორგანულად იკვრება. ავტორი ფაქტების ფიქსაციით არ შემოიფარგლება, არამედ პრობლემასთან კონტექსტში ხდება იდეის განფენა, სტრუქტურული ქსოვილის მთლიანობას კი მნიშვნელოვნად განაპირობებს პუბლიცისტური ოსტატობა

უპრიანი იქნება, ლევან გოთუას სტატია - „ვეფხის ტყავი და სვეტიცხოვლის სამყარო“ სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდეს. მასში ხაზგასმულია არა მხოლოდ

დიდი თარიღის მნიშვნელობა ყოველი ქართველისთვის, არამედ გაანალიზებულია „ვეფხისტყაოსნის“ და რუსთაველური რენესანსის წინმსწრები მძლავრი ხუროთმოძღვრული აღმავლობის განსაკუთრებულობა. სტატიაში გადმოცემულია შოთა რუსთაველის პოემის სასიცოცხლო მნიშვნელობა ქართული სულიერი სამყაროს თავისთავადობასა და უნიკალურობასთან ერთად.

1965 წლის ივლისიდან 1966 წლის სექტემბრამდე, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ძეგლების მოვლა-პატრონობის და მათი შესწავლა-პროპაგანდისათვის გაწეულ სამუშაოთა რესპუბლიკური დათვალიერება გაიმართა, დიდი და მრავალფეროვანი სამუშაო ჩატარდა - დაიწერა ნარკვევები, კეთილმოეწყო ძეგლების ტერიტორია, ძეგლების სარემონტო და დამცავ ღონისძიებებს მოჰყვა ექსკურსიები და მოხსენებები... ლევან გოთუა იყო კულტურის ძეგლების დათვალიერების საქალაქო კომისიის წევრი.

ლევან გოთუა იწონებს რუსთაველის სახლ-მუზეუმის დაარსების იდეას, რომელიც ეტყობა, იმ პერიოდში საკმაოდ აქტუალური იყო: „მოწონებულ იქნას რუსთაველის სახელობის 800 წლისთავისთვის განსაზღვრული რუსთაველის სახლ-მუზეუმის დაარსება, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ერთ-ერთი ისტორიული სახლის შერჩევა (სუიცა, საქმე №381:147ბ).

რუსთაველის მუზეუმის გარდა, დიდგორის ბრძოლის ამბები და სახალხო დღესასწაულ დიდგორობის დაწესება განსაკუთრებით ძვირფასი იყო მწერლისთვის. 1971 წლის 4 აგვისტოს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ლევან გოთუას წერილი „ჩვენი ისტორიის დიდგორი“. 1971 წლის მაისის დამლევს დიდგორის მოსახილველად იმყოფებოდნენ - გეოგრაფი და მთამსვლელი ტარიელ ხიზანიშვილი, სპელეოლოგი და ჟურნალისტი ჯუმბერ ჯიშკარიანი, „გაზ-68“-ის მძღოლი ვასო ცხვადაძე და ლევან გოთუა, რომელიც საკუთარ თავს მოიხსენიებს, როგორც „ჩვენი წინაპრების მიჩრდილული ბილიკების ძველ მაძიებელს“ (გოთუა 1971:4).

ლევან გოთუა დიდგორს საქართველოს ძველი ძლევამოსილების სახედ და სიმბოლოდ წარმოსახავს: „დიდგორი მართლაც ჩვენი ისტორიის დიდი გორია! აქ შემობრუნდა ჩვენი ერის ბედი ოქროს ხანის აღმავლობისაკენ. აქ გადაწყდა დედა-ტფილისის საბოლოო განთავისუფლების საქმე. ამიერით - გზა დიდგორული, ქართველობის ახალი სულისკვეთების მამოძრავებელ ძალად იქცა“ (გოთუა 1971:4).

მწერალი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით აღადგენს 1121 წლის ბრძოლის სურათს. ასახელებს იმ ძველ გზებსა და გზაჯვარედინებს, რომელზეც დიდგორის ქედი მდებარეობს. სათოვლიას და ნაბაღრების თავზე იგი გამოყოფს მთას, რომელსაც ახლაც დავითის მთას ეძახიან. „ეს სახელი დამოწმებულია ზუსტ რუკებზე და ხალხშიც (სოფელ სათოვლიაში შალვა ზარიძის მიერ)“ (იქვე).

მწერალი ტარიელ ხიზანიშვილის ნაამბობს გადმოსცემს, როგორ დაუმარხავთ ამ ბორცვზე გამარჯვების შემდეგ დავითის თანამებრძოლნი. შემდეგ ლაშქარმა მუჭა-მუჭა მიაყარა მიწა.

„ვფიქრობ, პირველი მუჭი მიწისა, თვით გამარჯვების სულისჩამდგმელის - დავით აღმაშენებლისა იყო! ალბათ მაშინ მისი სახელისა და საქმეთა სადიდებლად დიდგორის ერთ-ერთ მთას, გამარჯვების უშუალო მოწმეს ერმა მიაკუთვნა დავითის სახელი“ (იქვე).

ამ მთაზე ასული მწერალი აუღელვებლად ვერ დაწერს: „ერის ისტორიაში არის ბრძოლა, რომელიც ყოვლად აუცილებელ ქვაკუთხედად დგას შემდგომი არსებობისა და განვითარების ჭიდილში“ (იქვე).

ლევან გოთუა გადმოჰყურებს დიდგორის თხემებს, კალთებს, ხეობებს და ასოციაციურად წარსული ცოცხლდება. ლირიკული წიაღსვლა სხვა განცდით მუხტავს სათქმელს, თითქოს წარსული და თანამედროვეობა ერთიანდება: „...ჯერაც რამდენ უთქმელ საიდუმლოს ჰფარავენ ისინი... რამდენ თავდადებულ გმირობასა და საწუთისოფლო უანგარობას?!.. და თითქოს ყრუდ გუგუნებდა ნაბრძოლი მიწა, აჩხრიალებდა გამოჟანგულ ხმლებსა და აბჯრებს... ჭიხვინებდნენ დაძვალული ცხენები... აჩეხილი და დაღუპული მეომრები კიდევ ერთხელ განიცდიდნენ დიდგორულ დავლურსა და ყიჟინას, თავშემოვლებული გამარჯვების ყიჟინას! (გოთუა 1971:4).

მოხდენილი და მრავლისთქმელია მეტაფორები, რომლითაც მწერალი შეფარულად ამბობს სათქმელს:

„...ჩუმად ვიდოდნენ მხოლოდ ნისლები... ღრუბლები... დრონი... მწვანე მწვერვალებს ედებოდნენ და არც ედებოდნენ“ (იქვე).

მწერალი, დიდგორის ბრძოლის 850 წლისთავზე, დიდგორის სამახსოვრო ობელისკის აღმართვის წინადადებით გამოდის.

„მადლიერ შთამომავალთა ყოველ თაობას მუდამ მოჰქონდა თავისი სახსოვარი დიდგორს... ზოგს - სულის სასოება, დალოცვა და საკლავი, ზოგს - ლომი და ზარი, ზოგს - ჩაჩქანი და ქვასვეტი... ვფიქრობ, ჩვენმა თაობამაც ღირსეულად უნდა აღნიშნოს ეს სახელოვანი თარიღი. ხოლო დიდგორზე - 850 წლისთავზე - აღვმართოთ სახსოვარი ობელისკი“... - წერდა ლევან გოთუა (იქვე).

მართლაც, მოგვიანებით სახალხო დღესასწაული აღდგა და 1991 წელს დიდგორის მემორიალი გაიხსნა.

ლევან გოთუა ბევრს ზრუნავდა თბილისის კულტურის ძეგლებზე და მათ დასაცავად თავს არ ზოგავდა. იყო თბილისის კეთილმოწყობის საკონსულტაციო საბჭოს წევრი, 1963-69 წლებში თბილისის საქალაქო საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუდმივი კომისიის დეპუტატი (სუიცა, საქმე №501:44).

დედაქალაქის იუბილესთვის მზადებას მწერალი სტატიით „ჩვენი მოვალეობა“ ეხმაურება. სტატიას დაბეჭდილია რუბრიკის ქვეშ: „თბილისის 1500 წლისთავისთვის“. შესავალშივე ხაზგასმულია: „ჩვენი მოვალეობაა, კიდევ ერთხელ მოვიგონოთ მისი გმირული წარსული“ (გოთუა 1958:3).

ამ პატარა წერილს თავიდან ბოლომდე ლევან გოთუასებური ეროვნული და საქმიანი სულისკვეთება გასდევს. მას არ ავიწყდება დედაქალაქის „სახელოვანი ჭირისუფლების საფლავები“. არ მოსწონს, რომ სვეტიცხოველში გორგასლის საფლავს მრავალგზის დამსხვრეული უწარწერო ქვა ადევს. მწერალს მოაქვს „ქართლის ცხოვრებიდან“ წარწერის ტექსტი და გამოდის თაოსნობით, ამის მიხედვით აღდგეს საფლავის ქვა, ან დამსხვრეული ქვა გამოიცვალოს.

ლევან გოთუას ასევე მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ერეკლე მეორის საფლავს, რომელსაც გადაკრული აქვს „მცდართარიღიანი და უმსგავსოდ შესრულებული სპილენძის ფილა“, ქართულწარწერიანი ქვა დაედოს. ასეთივე ფილა ჰქონია გადაკრული ერეკლეს შვილის - გიორგის საფლავსაც. დროა, ეს შეუფერებელი ფილები მოვაშოროთ ამ საფლავებს და მათი პირვანდელი სახე აღვადგინოთო.

ამ წერილსაც პირის ნაცვალსახელი „ჩვენ“ გასდევს ბოლომდე. სათაური „ჩვენი მოვალეობა“ პირდაპირ გამოხატავს ტენდენციას, რომ ის საკითხი, რაზეც პუბლიცისტური აქცენტია გადატანილი, არსებითია და ყველას საფიქრალ-საზრუნავი უნდა იყოს.

მოქანდაკე თემურ ჭყონიას თქმით, ქვა, რომელიც 200 წელიწადი სვეტიცხოველში ერეკლე მეფის საფლავს ედგა, ლევან გოთუას ინიციატივით შეიცვალა ქართული ქვით. ლევან გოთუამ ძალიან დიდი შრომა გასწია ამ საქმეზეო (ჯაფარიძე 2015).

ორთაჭალაშიც, 300 არაგველის ძეგლთან, მისი ინიციატივით აღიმართა მაჩაბლის კედელი. ლევანი ხშირად მოდიოდა და ნახულობდა...

„კარგი იქნება, ობელისკის პირდაპირ, ბაღის პირზე მოხდეს რეკონსტრუქცია, თან გამაგრდეს და მოწესრიგდეს ტფილისის უძველესი XIII საუკუნის კედლისა და ბურჯების მდგომარეობა. ძველ ძეგლებს მხატვრულად შეერწყას ახალი კედელი, ზედ გამოხატული ბარელიეფებით თუ გორელიეფებით, ტფილისის მოქალაქეთა და მსახიობის ბრძოლას კრწანისის ველზე“ (სუიცა, საქმე №381: 155ა).

ლევან გოთუა ზრუნავდა თბილისის კულტურის ძეგლების მდგომარეობაზე, ძეგლთა გადარჩენასა და უკეთ დაცვაზე. თბილისის 1500 წლისთავთან დაკავშირებით პირვანდელი სახით აღდგა ანჩისხატი და მეტეხი, ლურჯი მონასტერი და როსტომისეული აბანო (გოთუა 1962:24).

არქივში ლევან გოთუას ხელით დაწერილი უამრავი ფურცელია, რომელიც თბილისის კულტურის ძეგლების დაცვის მდგომარეობას ასახავს. მაგალითად, ერთგან ჩაუწერია: კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმთან შეიქმნას თბილისის ძეგლების მეთვალყურე მუდმივი კომისია 3 კაცის შემადგენლობით, რომელთაც დაევალებათ ქალაქის ძეგლების სისტემატური შემოწმება და წინადადებების წამოყენება (სუიცა: საქმე №381: 141).

ლევან გოთუა მოითხოვდა ძეგლთა გადარჩენისა და უკეთ დაცვის მიზნით - მომხდარიყო „ძეგლების თანდათან დაცლა - გათავისუფლება კერძო მცხოვრებლებისგან, არაშესაფერისი დაწესებულებებისგან და წარმოებებისგან (საწყობები, სათავსოები და ა.შ)“ (სუიცა: საქმე №381:146).

იგი აყენებდა წინადადებას, სადაც მოსახერხებელი იქნებოდა, მოთავსებულიყო კულტურული დაწესებულებანი, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და სხვა (იქვე).

მართლაც, მისი დიდი ძალისხმევით უამრავი ეკლესია გათავისუფლდა საწყობებისგან და სათავსოებისგან. კეთილმოეწყო მათი ტერიტორიები...

აი, ლევან გოთუას ხელით ჩანაწერები - „ღონისძიებანი“ უკომენტაროდ:

„ეთხოვოს კულტურის სამინისტროს, 1964 წლიდან აღარ გაუგრძელოს ხელშეკრულება და გაანთავისუფლოს შემდეგი ძეგლები: 1. დარიას სასახლის კარის ეკლესია (უსინათლ. საზ-ბის საგალანტერიო საამქრო); 2. ფორაქიშვილის დარბაზი (ტელასის საწყობი); 3. გიორგი XIII (სვიმონასეული) კარის ეკლესია (შავთელის №21) უსინათლ.საზ-ბის საამქრო) (სუიცა, საქმე №381:141). 4. ჯვრის მამა (რიჟინაშვილის ქ 8) უსინათლ.საზ.ბა“ (სუიცა, საქმე №381:142).

„ეთხოვოს კულტურის სამინისტროს, გადაჰხედოს ყველა ხელშეკრულებას იმ თვალსაზრისით, რომ აღკვეთოს დაზიანება, შეაკეთებინოს მოიჯარადრეებს დაზიანებანი, მოახსნევინოს მინაშენები, დანაშაულებრივ შემთხვევაში გაათავისუფლებინოს ძეგლი... ხოლო ახლად გაქირავებისას უპირატესობა მისცეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს“ (სუიცა, საქმე №381:142).

„ეთხოვოს კულტურის სამინისტროს, მეტეხის ძეგლი გადაეცეს იჯარით ტფილისის სახ. ისტ. ეთნოგრაფიულ მუზეუმს (ფილიალად), მისი უკეთ დაცვისა და გამოყენების მიზნით“ (იქვე).

„ეთხოვოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ა) როსტომისეულ აბანოში გაიყვანოს ელეტროშუქი, ძეგლის ტექნიკური პირობების დაცვით;

ბ) ძეგლის სამხრეთით მცირე გაზონის მოწყობა და სისუფთავის დაცვის მოწესრიგება“ (იქვე).

„გასუფთავდეს და მოწესრიგდეს ვერის ხიდის (XVII ს-სი) მისადგომი, გადაიყაროს სამშენებლო ნაგავი“ (სუიცა, საქმე №381:143).

„გასახლდეს ანჩისხატის მინაშენიდან ერთი ოჯახი, რის შესახებაც უკვე არის აღმასკომის დადგენილება“ (სუიცა, საქმე №381:143).

„დასმულ იქნას საკითხი თბილისის კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაშე ფორაქიშვილის დარბაზის ზედა სართულიდან მობინადრეთა გასახლების შესახებ“ (იქვე).

სხვა ხელნაწერში ლევან გოთუას ცალ-ცალკე დაუჯგუფებია დადებითი და უარყოფითი ფაქტები. უარყოფითი ფაქტების სიაშია მეტეხი, სადაც „გახსნილია ვენდისპანსერი“ (სუიცა, საქმე№381: 151ა).

ასევე მეტეხში „დგამენ ვახტანგ გორგასლის ძეგლს. ამასთან დაკავშირებით საფრთხეს უქმნიან მეტეხის დიდებულ ტაძარს“ (სუიცა: საქმე №381:146).

დადებითი ფაქტები - ლევან გოთუა იწონებს, რომ ლურჯ მონასტერში იხსნება ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი. „საჭიროა ხელის შეწყობა - აქვე არის ხის უგეგმო შენობა, რომელშიც ცხოვრობს მოხუცი ქალი“ (სუიცა, საქმე №381:151).

„მეტეხში ეწყობა მუდმივი ფოტოგამოფენა“ (იქვე).

„სიონის სამრეკლოში მოწყობილი ხელნაწერების მუზეუმი“ (იქვე).

მწერალი ხმას იმაღლებს იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომელთაც მეტეხის ეზო, სადაც მუდმივმოქმედი გამოფენა უნდა მოეწყოს და ვახტანგ გორგასლის ძეგლი დაიდგას, „უბნის ვიგინდარებს საპარპაშოდ და საყომარბაზოდ გადაუქცევიათ... განა მილიციას არ ეხება კულტურის ძეგლებისა და მათი სამყოფელის დაცვა?!“ (გოთუა 1962:17).

1963-65 წლებში ლევან გოთუა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი იყო. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ოტია იოსელიანის წერილი - „ლევან გოთუა დეპუტატი“?!

ოტია იოსელიანს ერთხელ უტაქტოდ უსაყვედურია ლევან გოთუასთვის - „ბატონო ლევან, თქვენი დეპუტატობა ვინ ოხერმა მოიგონაო?“

ლევან გოთუას პასუხს ასე აღწერს ოტია იოსელიანი: „რა დამავიწყებს მის უაღრესად მეგობრულ, დამაჯერებელ, მოსიყვარულე (რაღაცის ამკვიატებელ, ჯიუტ ყმაწვილს რომ დამოძღვრავენ), მამაშვილურ ახსნას, რომ: ის საქალაქო საბჭოს დეპუტატია და არა უმაღლესი ან საკავშირო. რომ აქ ზოგჯერ ხდება ქალაქისა და ქვეყნის ბედზე სჯა-ბაასი. ხდება ისიც, რომ მართლა რაღაცის გაკეთებასაც ფიქრობენ და იქ ჩემისთანა კაცს შეუძლია სასიკეთო მარცვლის ჩაგდებაო. ვერ ვიტყვი, ჩემ რჩევაზე დადიოდნენ, მაგრამ ისე უნდა შეაპარო და შეაგულიანო, ეს თითქოს მას უნდოდა ეთქვა, გუნებაში ედო ან უკეთესი - ვითომ ადრე ეთქვას კიდეც და მერე გულზე გადავარდნოდეს“ (იოსელიანი 1995:10).

ამის შემდეგ ოტია იოსელიანი სთხოვს „გმირთა ვარამის“ ავტორს, დააკონკრეტოს, მაინც რას გულისხმობს, რისი გაკეთებაც დიპლომატიურად შესაძლებელია.

„სხვას რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მიწა-წყალს, ადგილ-მამულს, უბანს, ქუჩას ქართული სახელი ხომ უნდა ერქვას?“ - ასე შეუბრუნებს კითხვას ლევან გოთუა და მერე ჩამოუთვლის ამ ქართულ სახელებს: ნავთლუღი, სამგორი, სოღანლუღი, ფონიჭალა, არმაზი... „ასე და ამისთანები რამდენი რამაა“ (იქვე).

ამ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს, როგორი თავგადადებული იყო მწერალი, ქართულ მიწა-წყალს ქართული ტოპონიმები დარქმეოდა.

საინტერესო მოგონება გამოაქვეყნა ენათმეცნიერმა, მწერალმა და მთარგმნელმა, ქართული ტოპონიმიის თავდაუზოგავმა მკვლევარმა და ქომაგმა უშანგ სახლთხუციშვილმა.

იგი იხსენებს, როგორ ესტუმრა მათ მწერალი უნივერსიტეტში, ტოპონიმიკის ლაბორატორიაში. ძალიან აღელვებული იყო. აღელვების მიზეზი კი ერთი ტოპონიმი გახლდათ. დიდ მწერალს უნდოდა „ალექსეევკის“ (რომელიც თანდათან იკიდებდა ფეხს საუბარში და პრესის ფურცლებზეც) შეცვლა ტოპონიმ „ჩადივარით“.

მწერლის ნაამბობს უშანგ სახლთხუციშვილი იხსენებს: „მოსკოვიდან მოვფრინავდი, თვითმფრინავში ცოტა ჩამეძინა და ძილ-ბურანში გამცილებლის ხმა ჩამესმა: მოქალაქე მგზავრებო, შეიკარით ქამრები, ჩვენ ვუახლოვდებით აეროპორტ „ალექსეევკას“. დაფეთებული წამოვხტი, მეგონა, რეისი შემეშალა და სულ სხვა ქალაქში მივფრინავდი. ამ დროს გამცილებელი ქალიშვილიც გამოჩნდა. მაშინვე ვკითხე: - ჩვენ ხომ თბილისში მივფრინავთ, თქვენ სხვა აეროპორტი გამოაცხადეთ-მეთქი. წარბი არ შეუხრია, ისე მომიგო: - მოსკოვშიც რომ მივფრინავთ, ვნუკოვოს ვაცხადებთ და არა მოსკოვს. ბოღმისაგან კინაღამ დავიხრჩე. წუხილი ახლაც არ გამომნელებია... თქვენთან ამიტომ მოვედი, გამიშიფროთ ტოპონიმი „ჩადივარი“. ამ დაწყევლილ ალექსეევკას „ჩადივარი“ მინდა დავარქვაო“ (სახლთხუციშვილი 2015:261).

უშანგ სახლთხუციშვილმა, რომელიც იკვლევდა იმ მხარეს, მწერალს განუმარტა, რომ ტოპონიმი „ჩადივარი“ მთლად დავიწყებული არ არის; იგი ერქვა იმ ადგილს, სადაც სოფელი ახალი სამგორია გაშენებული. ამიტომ უპრიანი იქნება „ჩადივარი“ აღდგეს და ეწოდოს აღნიშნულ სოფელს. ალექსეევკის ნაცვლად კი „ქარისები“ ან „ქარისი“ დაერქვას ამ ადგილს, რადგან არაოფიციალურად აქეთა მხრის მოსახლეობა მაინც „ქარისებს“ უწოდებსო.

ლევან გოთუას ძალიან მოსწონებია შეთავაზებული სახელწოდება და უთქვამს, რომ ამ საკითხს უეჭველად დასვამდა მთავრობის წინაშე. თუმცა გაურკვეველია, რა ბედი ეწია მის სურვილს, რადგან დიდი მწერალი ამ შეხვედრის შემდეგ მალევე გარდაიცვალაო, - დასძენს უშანგ სახლთხუციშვილი.

ლევან გოთუა გიორგი ჩანგაშვილთან ერთად მოითხოვდა, რუსთავთან მდებარე იაღლუჯას მთას ქართული სახელი „ამართულა“ დარქმოდა. „ამართულა იაღლუჯას ნაცვლად“, - ასე ერქვა წერილსაც, რომელიც 1972 წლის 22 იანვრის გაზეთ „სოციალისტურ რუსთავში“ გამოქვეყნდა (ჩანგაშვილი... 1972:3). ავტორები გამოეხმაურნენ ამავე გაზეთის 1971 წლის 20 ნოემბრის გაზეთში მოთავსებულ ა. ბურდულის წერილს: „იაღლუჯა არაქართული სიტყვაა“. მაგრამ ამ წერილებში გამოთქმული აზრი ხელისუფალთ რომ არ გაითვალისწინეს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღესაც რუსთავში იმ მთას იაღლუჯას მთად მოიხსენიებენ.

ლევან გოთუას გული შესტკიოდა არა მხოლოდ ისტორიულ ძეგლებზე, ნანგრევზე თუ წარსულის ნაშთზე, თითოეულ ტოპონიმზე, თითოეულ სიტყვაზე და ენანებოდა მისი დაკარგვა. ამას მოწმობს „ქიზიყური ლექსიკონი“, რომლის შედგენაც დაუწყია, მაგრამ იგი ვერ დაუსრულებია, თუმცა მწერლის ხელნაწერი საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ინახება (სუიცა, საქმე 378).

მწერალი ქართული ენის დამახინჯებასთან ბრძოლასაც და იშვიათი სიტყვების შეგროვებასაც კულტურის ძეგლთა დაცვად მოიაზრებდა, მოუწოდებდა მოსწავლეებს, ძველი ქართული სიტყვები ჩაეწერათ მოხუცებისგან.

„ქართული ენის დამახინჯებასთან ბრძოლაცა და იშვიათი სიტყვების შეგროვებაც კულტურის ძეგლთა დაცვას ნიშნავს!.. თითო ხეს რომ დარგავთ, თითო ძეგლს მიხედავთ, თითო-თითო ჩაკარგული კეთილქართული სიტყვაც ჩაიწერეთ მოხუცებისგან, შეამოწმეთ საბა-სულხანისა და სხვა ლექსიკონებში და თუ „გამორჩენილი“ ან „მივიწყებული“ აღმოჩნდა, ახსნა დაურთეთ და აღნუსხეთ, გვაცნობეთ“ (გოთუა1967:3).

ღირსეულ, შეგნებულ ახალგაზრდობას ქვეყნის იმედად მიიჩნევდა. „ქვეყანა მაშინ არის ბედნიერი და წინმავალი, როცა ღირსეული, შეგნებული ახალგაზრდობა ჰყავს! თქვენი იმედი აქვს ჩვენს ბუნებას, ჩვენს ძეგლებს და უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ხალხს“ (იქვე).

თავადაც ხომ დაჰფოფინებდა თითოეულ სიტყვას და ახალ-ახალ ლექსიკურ ერთეულებს ქმნიდა.

ასე რომ, საქართველოზე ფანატიკურად შეყვარებული მწერლისთვის, რომელსაც ერისა და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა არასოდეს გაჰნელებია,

კულტურული ძეგლები და საქართველოს სიძველენი ფასდაუდებელი განძი იყო, რომელსაც სათანადო პატრონობა სჭირდებოდა და ცდილობდა, ეს უანგარობა და სიყვარული სხვებისთვისაც გადაედო.

1973 წლის 4 იანვარს, ლევან გოთუას გამოსვენების წინ, მწერალთა სახლში ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის სახელით სიტყვა წაიკითხა ვახტანგ ბერიძემ.

„ლევანის წერილები, მისი წიგნი „ჩვენი ჩუქურთმიანი თანამგზავრები“ , მისი „ვეფხის წიგნი და „სვეტიცხოვლის სამყარო“ არანაკლები გზნებით არის დაწერილი, ვიდრე მისი მოთხრობები და რომანები. ამ ნაწერებსაც უამრავი მკითხველი ჰყავდა, რადგან მათს ავტორს მთელი საქართველო იცნობდა და მის გულწრფელ სიტყვას ყველა ნდობით ეკიდებოდა.

ლევან გოთუას გარდაცვალება არა მარტო ქართული მწერლობისთვის არის დიდი დანაკლისი, არამედ მთელი ქართული კულტურისთვის. ეს მძიმე დანაკლისია „მცხეთის ჯვრისა და სვეტიცხოვლის სამყაროსთვისაც“ („ძეგლის მეგობარი“ 1973:84).

რევაზ ჯაფარიძე წერდა - ლევან გოთუას ხელით გაკეთებული საქმე ჩვენს მთებზე გადმომდგარ უძველეს ციხე-კოშკებსა და მონასტრებს გვაგონებს, რომლებმაც საუკუნეებს უნდა გაუძლონო.

დღევანდელი გადასახედიდანაც, მისი ღვაწლი წარსულის ლიბომაგარი ციხე-ტაძარივით მოჩანს, ჩუქურთმები კი ახალ-ახალ საფიქრალს აღძრავს...

2.6. „მწვანე დედა“ და „მწვანე აბჯარი“

ლევან გოთუა ამბობდა: „მე ბუნების დიდი მოტრფიალე ვარ. ჩვენი ერის გაძლება და უკვდავება ხომ ჩვენი ბუნებრივი სამყოფელის მადლი და წილია. მით უფრო მწერლისთვის - სულიერი სამყაროს ძირითადი ცისარტყელათაგანია. ამიტომ დავუთმე ტყეს დიდი ადგილი ჩემს ნაწერებში... მე ვფიქრობ, ყველა ადამიანს გულით დააქვს თავისი საყვარელი ტყის სახე“ (ვაშაძე 1972:3).

მასაც ასე გულით დაჰქონდა მშობლიური სანახები და ტყეები და მათთან უშუალო ურთიერთობისას ბუნების დიდი თანაზიარი გახდა. ერთხელაც აღმოაჩინა, რომ ტყე უბრალოდ ხეთა სიხშირე არ იყო, როგორც ერი არ არის მხოლოდ კაცთა

სიმრავლე. მეტიცაა და თვითმყოფადიც, სამყაროს ნიშანს ატარებს (ჩერქეზიშვილი 2013:6).

ერისა და ბუნების ბედს აკავშირებდა ერთმანეთთან და ორივეს სამყაროს ნიშნით აღიქვამდა. აქ არ შეიძლება გრიგოლ რობაქიძე არ გაგვახსენდეს: „ყოველ არსებას თავისი ენა აქვს. ადამიანს – ადამიანისა; მინდიას ყველასი ესმის, ის სამყაროს ენით მეტყველებს. ის მისანია – და მსოფლიო ყოფის დაფარულ საიდუმლოებებს წვდება“ (რობაქიძე:2009).

სწორედ მინდიას გულთამხილავობით ჭვრეტდა ბუნებას და მის ყოველ მოვლენას. განუწყვეტელმა დაპატიმრება-გადასახლებებმა ისე მოწყვიტა ბუნებას, რომ მისთვის ასჯერ მეტად გასულიერებული და ახლობელი გახდა.

აკი წერდა რევაზ ინანიშვილი: უძლიერეს კაცს ლევან გოთუას ცრემლები მოსდიოდა, კარგ წყაროს რომ ნახავდა. ეს გასაგები იყო, რადგან ცხოვრების დიდი ნაწილი ციხეში ჰქონდა გატარებულიო (ინანიშვილი 2011:433).

ციხიდან ყოველ გამოსვლაზე, დამზაფვრელ გარემოში, როცა ყველგან გამცემი და ჩამშვები იყო ჩასაფრებული, სწორედ ბუნება ხდებოდა მისი თავშესაფარი და შთაგონების გამომწვევიც. მწერლობაშიც ბუნებიდან მოვიდა. „აღმაფრთოვანა ჩვენი ბუნებისა და მიწა-წყლის მშვენიერებამ. ამან მომამწიფა და გამაბედვინა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა“ („ლევან გოთუა“ 1976:10).

გააბედვინა და შემდეგ მთელი ცხოვრება მშობლიური მიწა-წყლის შეცნობას მიუძღვნა. ბუნებას, ტყეს ლევან გოთუა „მწვანე დედას“ ეძახდა, „ჩუქურთმიანი დედა“ კი ისტორიული ძეგლები იყო. ძეგლების მსგავსად, ბუნების დიდ მისიაზეც ამახვილებდა ყურადღებას (გოთუა 1959:3).

ლევან გოთუასთვის ტყე მხოლოდ ხეების გამრავლებას არ ნიშნავდა, არამედ უკეთილშობილეს ბიოლოგიურ სამყაროსაც, მიწა-წყლის საფარველსაც, ერის მწვანე აბჯარსაც (გოთუა 1970:2).

ეტყობა ისტორიულმა გარემომ და გამუდმებულმა თავდაცვითმა ბრძოლებმა, ბოლოს კი ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიამ, რომლის მწარე შედეგებიც საკუთარ თავზე იწვნია, ლევან გოთუას სხვა თვალთახედვა ჩამოუყალიბა - ირგვლივ გოჯი მიწაც კი გასაფრთხილებელი გახდა. იგი ბევრს ფიქრობდა წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე და რწმუნდებოდა, რომ საქართველო მარტო მთის კი არა, ტყის ქვეყანაც იყო, ქართველობის ყოფის თითქმის ყოველი დარგის ანაბანა ტყიდან იწყებოდა,

იქნებოდა ეს - საცხოვრისი, დედაბოძი, ურმის თვალი, გუთნის ფრთა თუ კევრი... ტყე იყო აბჯარიც და ფარიც. გამოქცეული მინდიაც ტყემ შეიფარა, ილია ჭავჭავაძისთვისაც მამულის აყვავების ნატვრა „ტყემ მოისხა ფოთოლით“ იწყებოდა.

ტყეს, იგივე ტევრს მწერალი სიტყვა „სატევარს“ ადარებდა. „ტევრი სატევარსა ჰგავს სიტყვის კილოში!“ (გოთუა 1970:2), ამიტომ ტევრს, რომელიც „ქართლის ცხოვრებაში“ თავდაცვის „საიმედო კეთილ მონაწილედ მოიხსენიებოდა, ქართველი ერის მუდმივ სამხედრო მოკავშირედ წარმოსახავდა. იგი ქართველ ერს ხეობათა მცხოვრებს უწოდებდა: ხეობა, ხევი, ხე-ტყიანობას გულისხმობს, „უკან დახევა“ - ხევში შეფარებას, ტყეში შესვლას ნიშნავს. მსგავსი ბუნებისაა ჩახერგვაც.

მწერალს დავით აღმაშენებლის მაგალითი მოაქვს, რომელსაც მტრები „ტყეთა მეფეს“ უწოდებდნენ, რადგან საქართველოს ტყეები შველოდნენ. ამის მაგალითად დიდგორისა და არჯევნის ტყეების დასახელებაც საკმარისად მიაჩნდა: დავით აღმაშენებელმა ამ ხეობებსა და ტყეებში მოიპოვა უმაგალითო გამარჯვება, ჩვენი ერის „ოქროს ხანა“ სწორედ აქედან დაიწყოო.

„...ტყე არაერთგზის აბჯრად დადგა!“ ამიტომ მისი მოსპობა მრავალრიცხოვანი მტრების უწინარესი საწადელი იყო.

პომპეუსმა იბერთა და კოლხთა წინაღმდეგობის გასატეხად გააკაფვინა მტკვრის და არა მხოლოდ მტკვრის ჭალები. „ვერხვებსა და მუხებზე ისხდნენ თავგანწირული მოისარნი და „მებრძოლ“ ხეებთან ერთად იცავდნენ სამშობლოს. ასევე კაფავდნენ ქართულ „ბუნებრივ ფარსა და აბჯარს“ არაბები, მონღოლები, სპარსნი, თურქნი... „ხალხთა და ხეთა ცოდვა ერთად აწევთ მურვან-ყრუებს, თემურ-ლენგებსა და შაჰ-აბასებს... ტყის და ბაღნარის აჩეხვა დამპყრობელთა ძირითად საბრძოლო ხერხად იქცა საქართველოში“ (გოთუა 1970:2).

მაგრამ, - გულახდილია მწერალი,- ჩვენ, მაინცდამაინც ვერასოდეს ვუვლიდით ჩვენს „გეოგრაფიულ ბედნიერებას“... „იგი უფრო გვივლიდა, გვფარავდა, გვკვებავდა, შვებით გვალხენდა, გვანებივრებდა, გვხიბლავდა კიდევაც“ (გოთუა 1972:3).

სტატიაში არგუმენტირებულად არის დასაბუთებული, თუ რატომაა ბუნება „ჩვენი ერის მფარველი კალთა და „გეოგრაფიული ბედნიერება“. რომ არ გვქონოდა ეს „გეოგრაფიული სასწაული“, ალბათ ბაბილონის, ასურეთის, ხეთების, ურარტუს და სხვა

თანადროული ტომების ბედს გავიზიარებდით, ხოლო, უკეთეს შემთხვევაში, ებრაელთა და სომეხთა მსოფლიოში განთესვის ბედი არ აგვცდებოდაო.

მწერალი ასკვნის: „დიახ, ჩვენი ისტორია და გეოგრაფია სრულიად განუყრელია“ (იქვე).

ლევან გოთუა საქართველოს სამი „მარადობის“ ქვეყნად აცხადებს: მარადმწვანის (სუბტროპიკული მცენარეული), მარად თეთრის (თოვლიანი მწვერვალები), მარად ლაჟვარდის (ზღვა). ერის გამძლეობა და უკვდავება სამი „მარადობის“ ქვეყნის თანამგზავრია. ტყე სულიერი და ფიზიკური არსებობის უმთავრესი ფორპოსტია.

„ჩვენი ერის გამძლეობა და უკვდავება, ჩვენი ბუნებრივი სამყოფელის მადლი და წილია“ (გოთუა 1972: 3), მაგრამ თანამედროვე ეპოქის ადამიანი ამ შეგონებას აღარ ითვალისწინებს, თუ ქართული ბუნება ედემია, სადაც გადარჩა ქართველი ადამი, ახლა პირიქით ხდება - მან აღმართა ხელი ტყეებზე: „დიახ, ქართველი ადამი დარჩა და გადარჩა თავის სამოთხეში, მაგრამ ახლა, ვგონებ, თავად მიჰყო ხელი ამ სამოთხის გაჩანაგებას“ (იქვე).

ამ აზრის დასასაბუთებლად ლევან გოთუა კონკრეტულ ფაქტებს მოიხმობს: გაიჩეხა ასხის მთის საარაკო ტყე, გაჩანაგდა კლდეკართან მთიანეთი, ასევე - აბუხალოს ტყე, მოისპო რუსთავის ახოვანი ტყე, ტაბაწყურთან, რომელსაც ვახუშტი „ნაძვიანსა და ტყიანს“ უწოდებდა, ქუდის ჩამოსაკიდი ხეც აღარ დარჩა.

„აჯამეთს, ამ ქვეყნის საოცრებას - სულ ეკვეცება და აკლდება სიგრძე-სიგანე. ჭიათურისა და საჩხრის თავზე გაქაჩლდა გულდაგული ტყე. სურამის ქედზე სახელოვანი ტყე გზებით ჩაითასმა და ჩაღარიბდა... ბიჭვინთის რელიქტურ წიწვნარსაც არ ადგას საშველი. ყველგან ახლის შეხება - ძველი ტყის განადგურებას ნიშნავს. ჩვენი ურხევი ბზიარები რა დღეშია? რა მოუვიდათ ჩვენს თელის კორომებს? აღარას ვამბობ ბორჯომის, ბაკურიანისა და კახისის ტბის ტევრების შესახებ“ (გოთუა 1972:3).

სავალალოა მწერლის პროგნოზი - საჭიროა გონზე მოსვლა, თუ არადა, სულ მალე იგივე მოხდება ცივგომბორზე, თიანეთში, სვანეთსა და აფხაზეთში. მითუფრო, რომ აღარც ძველი ხეები - ხევისბერები არიან, რომელთა მწვანე აბჯარში ერი გადარჩა: „სადღა არიან ვარჯოვანი, დაფოთლილი, დაწიწვული ხევისბერები, მუხები, ბოყვები, ურთხელები, ძელქვები, ნეკერჩხლები... რა ელჭექებმა და ღვარცოფებმა ჩამოხეთქეს, ჩამოიტანეს?“ (გოთუა 1970:2).

ლევან გოთუა ტყის მოსპობის მიზეზებად ზოგან ისტორიულ ბედუკუღმართობას, ზოგან კი - უგუნურობასა და ხელმრუდობას ასახელებს. ზოგჯერ ტყის გაკაფვის მიზეზი გზის მშენებლობა და „ახალ ტექნიკით აღჭურვილი უგუნური „მოყვარეც“ გახდა (გოთუა 1970:2).

მაგრამ როცა გარდაუვალია სიახლე, მუდამ სიახლისა და პროგრესის მომხრეა. ალაზნის ჭალებში განადგურებულ სამუხე ტევრს როგორღაც შეელეოდა, თუ მის ადგილას მინგეჩაურჰესი და წყალსაცავი აიგებოდა. იგი აცხადებდა: „დიდი სინამდვილის თავაწეული მხარმიმცემი ვარ!“ (გოთუა 1960:37), მაგრამ სინანულს მაინც ვერ მოიშორებდა განადგურებული მუხის ტევრის და მისი დევ-ხეების გამო, რომელიც ალაზანთან მუდამ „მიუკარებ, დახშულ კედელივით იდგა... აქა-იქ კიდევ დგანან დევ-მუხები“ (გოთუა 1960:33).

მგავსი განცდითაა გადმოცემული ელდარის ფიჭვის - წიწვოვანთა დიდი ოჯახის თითო-ოროლა წარმომადგენლის გაიშვიათება - „თავით ფეხამდე მუქ მწვანე ნაბდებში შებურულნი, უკვე გარდასულ ძველ იბერიელ მწყემს-დარაჯებად მესახებიან და ნუთუ მათაც ასეთივე ბედი მოელით?!“ (გოთუა 1960:30).

ვინც ტყეს ჩეხავს, შინაური კრაზანები არიან, ხოლო მრავალმა ტყეებისადმი „ტყიური“ დამოკიდებულება ვერ მოიშალა. ლევან გოთუასთვის ხე მწვანე ტაძარიცაა. დიდია მწერლის გულისტკივილი რკონის მონასტერთან ვეებერთელა დამწვარი ცაცხვის ნახვისას.

„აქ ოდესმე ვეებერთელა ცაცხვი იდგა... ჭაბუკობისას ვყოფილვარ და კარგად მახსოვს... ომახიანს, დაძარღვულ სხეულს ექვსი კაცი ვერ აწვდენდა ხელს... ახლა ეს დევ-ხე დამწვარია... ერთი მხარე და ერთი ტოტიღა შერჩენია რკონის მშვენებას. ვაგლახ, რა უგუნურმა ხელმა დაწვა ეს დიდებული „მწვანე ტაძარი?“ (გოთუა1960:36-38).

ლევან გოთუას აზრით, ყოველ ტყეს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ტყის გამოხშირვა ხშირად სპობს მას და ლაფნიჭამია ჩნდება, ნიადაგის გამოფიტვა იწყება. ხშირად გზის გაყვანაც ანადგურებს მას. ნატყევარ ადგილებზე და ფერდობებზე „ჩამოღორღილი ხრიოკები“ ჩნდება, მეწყერებისა და ღვარცოფების სათარეშოდ ხდება. თითქმის აღარც ერთი ცნობილი ტევრი XX საუკუნეში შეუბღალავი აღარ დარჩა. „ჩვენს ეროვნულ სინდისზეა ნაძვის ლაფნიჭამიას ვერდაძლევა და მასთან დაკავშირებით დაშვებული შეცდომები“ (გოთუა1970:2).

ტყე მხოლოდ სახელმწიფოებრივი დაცვის იმედად არ უნდა დარჩეს. „საჭიროა ერთობლივი შეგნებული, საზოგადოებრივი მზრუნველობის გამახვილება“ (გოთუა1972:4).

დიდ მამულიშვილურ გადაწყვეტილებად აფასებს მთავრობის ინიციატივას 50 მილიონი ხის დარგვის თაობაზე, ტყეების გაზაფხულად ნათლავს, მაგრამ ისე კი არ უნდა ხდებოდეს, რომ ერთი ხელით ახალი ნერგები ირგვებოდეს, მეორეთი კი იკაფებოდეს ხეები და კორომები...

„ტყის ვერ დაცვით, ვერ მოვლით, დაუშვებელი გაჩეხვით, ვერ აღდგენით ჩვენ შთამომავლობას უდაბნოს ვუმზადებთ! ეს ყოველ ხერხზე და ცულისპირზე უნდა გვეწეროს“ (გოთუა1972:3).

ლევან გოთუა ხე-ტყის გაშენებას ერის გამრავლებას უკავშირებს. მისი აზრით, საქართველოში შვილების მომრავლება და ხე-ტყის გაშენება თითქმის ერთნაირად საჭიროა. ამავდროულად, ხე-ტყე მკურნალია, მშობლიური მიწის ღვიძლი და ფილტვია. რაც შეიძლება მეტი ხე უნდა დაირგოს, თითქოს შვილებს ვამრავლებთ და ვეალერსებითო, - წერდა.

უყვარდა სანერგეებში მისვლა, ნერგები ბავშვებს აგონებდნენ: „არის საერთო! ეს ნეკის სისხონი - მომავლის ლაშქარია!“ (გოთუა1972:3).

მწერალი ფიქრობდა, რომ საქართველოს ბუნება და მიწა-წყალი მრავალ საოცრებათა უშრეტ წყაროს მალავდა, მაგრამ მათი გამოვლენა შეგნებულ სიყვარულს შეეძლო. მამული კი შეგნებულად მხოლოდ შეგნებულ ერს უყვარს. მის დაცვასა და მოვლას მომავალ თაობებს აკისრებდა.

როგორც ნინო ქუთათელაძე აღნიშნავს, მშობლიური მიწის შეცნობა ასე სწამდა მწერალს: „ყოველ ლოდს ხელი უნდა შეახო, ყოველი მწვერვალი ტერფით უნდა მოსინჯო, ყოველი წყაროდან ერთი პეშვი წყალი მაინც უნდა დალიო, რაღაც უნდა გაიგო თითოეული მათგანისგან და შეიძლება, უბრალო წყაროს წყალიც უკვდავების წყაროდ გექცეს“ (ქუთათელაძე 2005: 42).

მართლაც, ისეთი დიდი სიყვარულით და განცდითაა დაწერილი ლევან გოთუას მგზავრული ნარკვევები, რომ თითქოს ხელით ეხები ლოდებს, აბიჯებ მწვერვალთა ქარაფებს და წყაროს გემოსაც კი გრძნობ...

„მგზავრული“, ანუ სამოგზაურო ნარკვევები ის ნაწარმოებებია, რომლებიც მოგზაურობის დროს დიდი დაკვირვებით და სიყვარულით შეიქმნა. ლევან გოთუასთვის ბუნების წიაღში ყოფნა, მოგზაურობა და შემოქმედებითი შრომა ერთმანეთისგან განუყოფელი იყო. კრებული „მგზავრული კრიალოსანი“, სოლომონ ხუციშვილის თქმით, „მთლიანად იმ ქვეყნის აღწერაა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი გვინახავს“ (ხუციშვილი 1976:12).

ლევან გოთუას ფსიქოლოგიურ პორტრეტზე საუბრისას მართებულად შენიშნავს ვლადიმერ ნორაკიძე, როცა ამბობს, რომ მას ყმაწვილობიდან იტაცებდა მოგზაურობა, საქართველოს დიდებული სიძველეებისა და წარმტაცი ბუნების ხილვა, „მაგრამ ეს არასოდეს გადაზრდილა სრული განკერძოების, ეგოცენტრული ინდივიდუალიზმის გამომხატველი ხასიათის თვისებად. პირიქით, ბუნების სიყვარული, მთასა და ბარში მოგზაურობის დაუცხრომელი მიდრეკილება, მთამსვლელობის აზარტი, სიძველეების დათვალიერებით გამოწვეული აღტაცება მჭიდროდ შეერწყა საზოგადოებრივი იდეალებისადმი მის მისწრაფებას, გაამდიდრა მისი ფანტაზია, შემოქმედების ძალა და იქცა შემოქმედების მასაზრდოებელ წყაროდ. მისთვის ყველაზე დიდი ნეტარებაა ბუნების წიაღში ყოფნა, შემოქმედებითი შრომა და მოგზაურობა“ (ნორაკიძე1976: 35).

როდესაც ლევან გოთუას სამოგზაურო ნარკვევებს კითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ბუნება არა მხოლოდ მისი მეგობარია, არამედ „შინაგანი თავისუფლების ნავსაყუდელიც“ (ნორაკიძე 1976:36).

ბუნებაში გასვლა შთაბეჭდილებების დაგროვებასთან ერთად ბიძგს აძლევდა, შეექმნა მხატვრული ნაწარმოებები, დიდი ტილოები. ეს რომ ნამდვილად ასე იყო, ამაზე ლევანის კიდევ ერთი ჩანაწერი მოწმობს, სადაც იგი ხსნის, როგორ იპოვა რომანის გმირი - მითრიდატე პონტოელი ერთ-ერთი მოგზაურობისას...

„ჩემთვის მოგზაურობა და წერა - შემოქმედების ორი მხარეა... და აი ჩემი ბოლო წლების მოგზაურობის დროს, ციხე-გოჯის ძველთა-ძველ ნანგრევთა შორის, ჩვენი ანტიკური სამყაროს გმირთა გმირის ჩრდილი გავლანდე... იყო ვეება ტანისა, მეტყველი თვალ-სახისა და უთვალავი ჭრილობების ამარა! ამის შემდეგ იგი ყველგან განუშორებლად მელანდებოდა... მალე ძველი ნანგრევებიდან ხელნაწერშიც გადმომისახლდა და ჩემს ფიქრებს დაეუფლა. ასე შევეყარე მითრიდატე პონტოელს მისი უკანასკნელი ჭრილობიდან ორი ათასზე მეტი წლის შემდეგ!“ (ჯიშკარიანი 2017:9).

აი, ასეთ შთაგონებას აძლევდა ხშირად ბუნება. საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისით კი ბუნების წიაღმა მნიშვნელოვანი პუბლიცისტური ნარკვევები, სტატიები, წერილები შეაქმნევინა... თითქოსდა, ბუნება მწერალს დიდ ძალას ჰმატებდა, რომ გაეაზრებინა ერის წარსული და მომავალი ეწინასწარმეტყველებინა...

სწორედ თხზულებათა ასეთი კრებულია „მგზავრული კრიალოსანი“, რომლის მთავარი გმირიც თავად ავტორია - მწერალი, მოგზაური, მთამსვლელი, მკვლევარი... და რაც მთავარია, ბუნების დიდი ქომაგი. გამუდმებული თვალთვალის პირობებში „ველად გაჭრა“ მისთვის შვებაც იყო, ცოტა ხნით მაინც განრიდებოდა ავბედითი აჩრდილით ჩამობურულ ქალაქს და საკუთარ თავს ჩაღრმავებოდა.

„ეს ნაწარმოები გახლავთ ძიება და არა მარტო სიძველისა, არამედ საკუთარი თავისაც“, - წერს ნინო ქუთათელაძე „მგზავრულ კრიალოსანზე“ (ქუთათელაძე 2005:42). საკუთარი თავის ძიება კი ბუნებაზე უკეთ სად შეიძლებოდა, გაუგონარი დაუნდობლობისა და რეპრესიების ხანაში?

2.7. ლევან გოთუას საკრალური სამკუთხედი - წყალი, მთა, გამოქვაბული

„მგზავრული კრიალოსანი“ სამ ნაწილად იყოფა: „გაუვალ ჭალებში“, „მიუვალ გამოქვაბულებში“, „აუვალ მწვერვალებზე“.

პირველ ნაწილში აღწერილია მწერლის მიერ ნავით მოგზაურობის სურათები მტკვარსა და ალაზანზე. მეორე ნაწილი გადმოსცემს გამოქვაბულების, იგივე ქვაბ-ქალაქების მონახულებით აღძრულ განცდებს, მესამე კი - მთაზე ასვლის პერიპეტიებს და მწვერვალების დაპყრობის ჟინს. საინტერესოა, რომ წყალი, გამოქვაბული და მთა - ეს სამი ცნება საკრალურად ერთიანდება „მგზავრულ კრიალოსანში“.

წყალიც, გამოქვაბულიც და მთაც, ამავდროულად, ბიბლიური სიმბოლოებია. სიმბოლო ქრისტიანობაში ხომ ცოცხალია, ის არის არა მხოლოდ რაიმე ნიშანი, რაიმეს გასახსენებლად, არამედ მადლმოსილი ნიშანია, რომელსაც კიდევ სხვა იდუმალი დატვირთვა აქვს... წყალი თუ განახლების სიმბოლოდ ითვლება, გამოქვაბულში მაცხოვარი იშვა, ხოლო მთა სულიერი განწმენდისა და ამაღლების სახე-სიმბოლოდაა მიჩნეული.

„მგზავრული კრიალოსანი“ სწორედ ასეთ საკრალურ სამკუთხედს ქმნის. 1940 წლის ოქტომბერში ლევან გოთუამ მსუბუქი ნავით იმოგზაურა ალაზანზე მტკვრის შესართავამდე. „მგზავრული კრიალოსნის“ პირველი თავი - მოგზაურობა „გაუვალ ჭალებში“ სწორედ 1940 წელს დაიწერა. ეს ის პერიოდია, როდესაც მას გამუდმებით უთვალთვალებდნენ და რამდენიმე წლით ადრე თბილისში ცხოვრების ნებასაც კი არ აძლევდნენ...

თხრობა კახეთის მრავალჭირვარამის მომსწრე დედამდინარის ირგვლივ მიმდინარეობს. მწერალი ალაზნის ჭალების სიმშვენიერეს ხატავს, ამავდროულად, ბუნებას საკუთრად, მისეულად მიიჩნევს. განუწყვეტელმა დაპატიმრება-გადასახლების წლების შემდეგ თითქოს ბუნებამ მას სხვა სარკმელი გაუღო, მთელი არსებით აგრძნობინა სამყაროს სუნთქვა და სილამაზე. „ჩემია ყველაფერი - ტყე, მზე, ალაზანი, დრო... ის გამოუცნობი ლტოლვაც, რომელმაც მე აქ მომიყვანა. ბუნება და სიცოცხლის სიყვარული განმაცდევინა“ (გოთუა 1960:19).

ალაზნის ნაპირებზე, საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით, იგი გალაღებულია და თავის თავს მეოცე საუკუნის მეოცნებე მოგზაურს უწოდებს. ალაზნის სილამაზეს კი ასე გადმოსცემს: „ამ ტევრებში თვით ალაზანი ჩაწყვეტილ, ჩაბურდულ ვერცხლის ყაითანივით მოჩანს... და მისი დაუჯერებელი სილამაზე - სინამდვილეშიც კი დაგაეჭვებს!.. იქნებ მხოლოდ დახატულია ან დასიცხული თვალით დანახული მოჩვენება?.. იყო და არა იყო რა - ჯერ ალაზანი იყო, მან გააჩინა მცენარე, ძუძუ აწოვა, გაალაღა, გაათამამა... ახლა ტყემ შემოსა ალაზანი. მწვანე კაბა ჩააცვა, ჩიხტი-კოპი და კალთა ათასფრად მოუსევადა. თვით მშობელი გულისპირში ლაჟვარდისა და ვერცხლის სამკაულად ჩაიზარნიშა“ (გოთუა 1960:15).

და მართლაც დასანანია, როცა ასეთ სილამაზეში თოფი უნდა გავარდეს და ნანადირევი დაიკლას სავახშმოდ. თუმცა ამაზე პასუხს თავად ავტორი სცემს: „არა სიხარბით - სიყვარულით ვკლავთ! ვკლავთ და ვნანობთ... ეს ნიანგის ცრემლები არაა - გატყიურებული მეოცნებეს ცრემლებია“ (გოთუა 1960:19).

სანადიროდ გამოსული „მეოცე საუკუნის მოგზაური“ - ლევან გოთუა თოფით ჩასაფრებულა... იცის, რომ ეს ცუდია, როცა ირგვლივ ყველა სულიერსა და უსულოს თავისი ხმა აქვს, ყველა „ჰმეტყველებს, მხოლოდ მე, ძე ხორციელი, ადამიან-კაცი გავნაბულვარ“ (გოთუა 1960:21). ამ წვიმიან ღამეში უცებ მოუნდება, ესროლოს ღამეს...

„წამძლია გულ-ღვიძლის სიღრმიდან ამოწოლილმა ძალამ - ვესროლო ამ კუპრ-ღამეს, გუდა ჭალას. ამ შავკაბა წვიმას... დავუმტკიცო, რომ მეც ცოცხალი და მოქმედი ვარ“ (იქვე).

მართლაც, ორივე ჩახმახს გამოჰკრავს ხელს, მაგრამ არცერთი არ გავარდება და შეძრწუნების ყიჟინა აღმოხდება... „ამჯერად ჭალისმიერნი უსმენდნენ ადამიანს!“ (იქვე). სწორედ ამ წუთებმა აგრძნობინა, რომ იქ უცხოა, ზედმეტია, „და, ვგონებ, ყველაზე ვერაგიც! - უშუალობადაკარგული ნადირ-კაცი!“ (გოთუა 1960:22).

„ადამიან-კაცი“ (ლევან გოთუას კომპოზიტი, **ხაზი ჩემია - თ.შ.)** სამწუხაროდ, „ნადირ-კაცად“ გადაიქცა... ანუ ადამიანურმა ტრანსფორმირება განიცადა და ნადირის თვისებები შეიძინა.

ამ შემთხვევამ ერთი ამბავი გამახსენა: ცნობილია, 50-იან წლებში, კომუნისტური დიქტატურის დროს, გურამ რჩეულიშვილმა თოფი შუა ქალაქში გაისროლა, და რომ ჰკითხეს მიზეზი, ასე უპასუხა: მდუმარების დარღვევა მინდოდაო... მეორე ვერსიით, მან თოფი ლენინის ძეგლს ესროლა...

ლევან გოთუას გასროლა ცოტათი განსხვავებულია... მან ღამეს ესროლა! ვინ იცის, იქნებ ეს გასროლა იმ რეჟიმის წინააღმდეგ თავისებური პროტესტის გამოხატვის მცდელობაც იყო, რომელიც ყოველ ნაბიჯზე სულს უხუთავდა და გასაქანს არ აძლევდა?

და ამის მოწმეა ალაზნის ჭალები, საქართველოს ისტორიის მემატიანე დედამდინარის სანახები. აქ ჟამის სვლა შეჩერებულა, წარსულისა და აწმყოს ერთიანობაც სწორედ აქ, მის შეუბღალავ ტალღებთან შეიგრძნობა.

მრავალი ვაების მომსწრეა ალაზანში ჩაჩეხილ-გადამსკდარი მუხა, რომელსაც ერთი მძლავრი ტოტი ჯერ არ გახმობია. ფოთლები ყრუდ შრიალებენ, ცახცახებენ და მათ შრიალში ძველინგილოური ნანინა ისმის... ეს ტოტი ძველი ჰერეთის სიმბოლოა, რომელიც ულმობლად მოწყვიტეს საქართველოს.

სტრიქონებს მინდიას ლანდი სდევს ქვეშეცნეულად... ლევან გოთუა ცალკე თავს სწორედ „მინდიას ლანდს“ არქმევს და იქვე ამბობს: „აქ ალაზნის ჭალების ენის გასარკვევად მინდიაა საჭირო, გველისმჭამელი!“ (გოთუა1960:12).

მართლაც, ალაზნის ულამაზეს სანახებში მწერალის კვალდაკვალ მოგზაურობისას მკითხველიც გრძნობს უხილავი მინდიას ნაბიჯებს...

ნარკვევში „ალაზნის ჭალებში“ მინდიამ ადამიანსა და ალაზანს შორის წაშალა სამანი... ამიტომაც აღნიშნავს მწერალი დასასრულში - და იყო ეს მოგზაურობა ერთი პეშვი უკვდავებისა. მდინარე ყველას უწილადებს წყალში გახსნილ ჯადოსნურ თილისმას - „მის საოცარ სამყაროს - ჭალებს, ბადალუპოვარ ბაღ-ვენახებს: წარბგაშლილ და ხერხემალმაგარ ხალხს, ძველ ციხე-ბურჯებს თუ ახალ სიმღერას“ (გოთუა1960:41).

ალაზანი კახეთის მფარველია, ძუძუმტეა, სულის სალბუნია, იარების მომშუშებელი და აღმადგენელიც... ამიტომაც ლევან გოთუა მოუწოდებს ყველას, წავიდნენ ალაზანზე... „მაჭრიან მდინარეში ტანი იბანეთ, პეშვით შესვით... აბჯრად ჩაიცვით ალაზანი!.. წადით - ეზიარეთ!“ (გოთუა1960:42).

საკრალური მდინარეცაა ალაზანი, როგორც იორდანე, სადაც განბანვა ხდებოდა, ისეთივე მისია ეკისრება აქ ალაზანს. წყალი სიწმინდის, განახლების სიმბოლოა და თავისებური მეხსიერებაც აქვს, სულის ახალი ხანა, განახლება უნდა მოხდეს. ლევან გოთუას უნდა თქვას, რომ ბუნებაში, წყალთან ზიარებით ადამიანიც იცვლება, ალაზნის „წყალში გახსნილი თილისმით“ განიწმინდება.

წყალთან ერთად, ლევან გოთუას პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი სახე-სიმბოლოა მთა.

„აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად; აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით, აქაც ყოველი არემარე იყო მოწყენით“ (ბარათაშვილი 2010:17).

ლევან გოთუასთან ბარათაშვილისეულ ამ მოწყენას ვერ ნახავთ, პირიქით, ის და ბუნება თითქოს ერთარსნი არიან. „და დარბის თვალი მწვერვალებზე, ვით კლავიშებზე!“ (გოთუა1940: 22).

მწვერვალებზე კი მხოლოდ თვალი არ დარბოდა... ისინი ლევან გოთუასთვის მთელი სამყარო იყო. თეთრი სავალი და სამყარო, რომელიც სხვანაირად დაგანახვებს ყველაფერს - საკუთარ თავსაც, სხვებსაც, ქვეყანასაც... ცხოვრების აზრსაც...

როდესაც გრიგოლ ხანძთელი მღვდლად ეკურთხა, აღმზრდელებმა უთხრეს, რომ ფსალმუნის მიხედვით მზად იყო ქრისტეს სამსახურისთვის: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისას, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოი ხელითა და წმიდაი გულითა“ („ძველი აღთქმა. ფსალმუნნი“, ფსალმუნი 23). სწორედ ასეთი წმინდა

გული გეძლევა მთებში... ცოდვები რჩება ქვევით, მწვერვალზე კი იწმინდები და სულიერად მაღლდები.

მსგავსი განწმენდა და ფერისცვალება განიცადა 1938 წელს კავკასიონის შეუსწავლელ ნაწილში მოგზაურობისას ლევან გოთუამ. ეს იყო გრძელი, მრავალი სიძნელით აღსავსე თოვლიან-ყინულოვანი გზა კავკასიონის ქედზე, ახალი მწვერვალების აღმოჩენის სიხარულიც და მოყინული ფეხის თითებით განვლილი სახიფათო სავალიც, სადაც შეცდომა და შეყოვნებაც კი შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩენილიყო... მაგრამ ექსპედიციის წევრები ხიფათს დაძლევენ და სამშვიდობოს გავლენ... ლევან გოთუა ამ მსვლელობის დასასრულს დიდ ფერისცვალებად მონათლავს... მგზავრობის ბოლოს, სამშვიდობოს გასულები მდინარის პირას, სილაში, წვებიან.

„საოცარია, მაგრამ გათენება დიდი, მწვანე კაბა-კალთით მოშარიშურობს... მწვანე, გამთბარი სული გვეფერება და სათნო ნიავი გვილოლიავებს... ყველაფერი პირველყოფილი მწვანის ფერისა არის! ასე დაიწყო ახლებური დიდი ფერისცვალება!“ (გოთუა 1960:190).

ეს ფერისცვალება მას ჯოჯოხეთად ქცეულ რეალობაში დაბრუნებისას შველოდა, და ახალი მადლით აფერადებდა მის სიტყვებს... დამზაფვრელ რეალობას დროებით განრიდებული თან მშობლიური ქვეყნის სიმშვენიერით ტკბებოდა, თან წარსულს გამოიხმობდა, ფიქრებით წარსულში სახლდებოდა, რომ უკეთესად შეეცნო აწმყო და სამომავლო კონტურები დაესახა. არ შეეძლო, შეჰგუებოდა საუკეთესო ქართველების განადგურებას, თანამოაზრეებთან ერთად ვერც აქტიურ მოქმედებაზე გადადიოდა. ცდილობდა, ენერგია მოეკრიფა და დალოდებოდა იმ წუთებს, როცა ეს დრო დადგებოდა... საამისოდ თითქოს შინაგან ენერგიას იღებდა, ივსებოდა ბუნების მადლით და სხივებით... მისთვის ძვირფასი იყო ყოველი გოჯი საქართველოს მიწა-წყლისა, მისი ერთიანი ამერ-იმერი...

ლევან გოთუასთვის ბუნება მხოლოდ ესთეტიკური სილამაზის მომნიჭებელი არ არის, სხვა დატვირთვასაც იძენს. მისთვის ძვირფასია ყოველი გოჯი და ადლი მშობლიური მიწისა, როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი - ფასის მთაც და ბორბალოც:

„ფასის მთა ჩვენთვის უძვირფასესი მთაა! კიდევ მოგვეპოვება სწორედ ასეთი ფასდაუდები მთა - ბორბალო... იგი აღმოსავლეთ საქართველოშია, ალაზანსა და იორს აძლევს სათავეს. ფასისა და ბორბალოს მთები ერთი მაგარი გორისანი არიან - კავკასიონის გორისანი“ (გოთუა1960:165).

ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა ავტორის თვითგამოხატვა, ხაზგასმულია სიტყვა „კავკასიონის გორისანი“. აქ ლევან გოთუა საქართველოს ერთიანობას და სიძლიერეს კავკასიონის სიმედგრეს ადარებს.

ვკითხულობთ და ვგრძნობთ იმ უხილავ ძაფებს, რითაც მწერალი გვაკავშირებს არა მხოლოდ იმ ადგილებთან, სადაც მოგზაურობს, არამედ შემხვედრ ადამიანებთან, თუნდაც მდინარესთან, მწვერვალებთან, როგორც ცოცხლებთან...

„წვეთგანუყრელად მშობლიურია“ რიონი... მწერალი ხატოვნად უკავშირებს ერთმანეთს წარსულსა და თანამედროვეობას, ფაზისის დაბადებას და „ოქროს საწმისის“ თქმულებას.

„პირველად აქ წკრიალდება რიონის ხმა - კოლხური ჰიმნი. აკვანივით მოკალთული სივრცე... კლდე - ზღუდე... ქვისა და ყინულის სამყარო. ფასის მთიდან ედენას წვერამდე გაბმული მყინვარი ვეება ცურვით გამოცურდა. სწორედ ეს არის რიონის დედა. აქ იშვება ფაზისი, რომელმაც მსოფლიოს მრავალ ენას ხოხბის სახელი მისცა, „ოქროს საწმისის“ თქმულებას აფრა აუბა“ (გოთუა 1960:160).

არანაკლებ შთამბეჭდავია ლევან გოთუას თვალით დანახული ღამის მთა... ნარკვევში „ვაჟას სამყაროში“ მწერალი აღწერს, ღრუბლებში მინავლებული მთვარე უკვე ნანახ სურათებს ახალ სამყაროდ რომ წარმოაჩენს.

„კლდის თავს ხმლის ფერი შარავანდედი ადგას“ (გოთუა 1960:204). სოფლის თავში ჩაღამებულ ზეცას კოშკი შესდგომია, რომელიც ვეება თითისტარს უფრო ჰგავს: „ძველთაძველი, უხილავი, ჭაღარა ჟამი დროთა ლანძვებს თუ ართავს ამ თითისტარზე. ღამით სულ სხვა ფერია მთა, ზღაპრულად სხვა ფერი!“ (იქვე).

რომანტიკული საბურვლით შემოსილი ზვიადი მწვერვალები, „ხმლისფერი შარავანდედით“, უაღრესად ქართულია, ქართული მდინარეების დამბადებელნი არიან შეუვალი მყინვარები.

ასეთივე ქართულია ლევან გოთუას ქვაბები. „სიტყვით და ქვაბით შენს წიაღში ვარ“ - ასე მიმართავდა მშობლიურ ქვეყანას (გოთუა 1999:69). ეს უბრალო ნათქვამი

როდი იყო. ამ სიტყვებში მოიაზრებოდა მისი თხზულებები, საერთოდ, პიროვნება, მრწამსი, ყველაფერი ქართული, სულისმიერი... ყველამ ვიცით, გამოქვაბულს უკავშირდება იესოს შობაც... ლევან გოთუას ნაწერების გაცნობისას, ასე მგონია, ქვაბებს სწორედ მაშინდელი პირველყოფილი ბიბლიური სიწმინდე და იდუმალება სდევთ... „სიტყვა და ქვაბი“, ვფიქრობ, მრავლისდამტევი ცნებებია ლევან გოთუასთან. და იქნებ ადგილის დედაც მოიაზრება ქვეცნობიერად?

აკი წერდა კიდეც: „საქართველოში კლდისა და ადამიანის ურთიერთობას დიდი წარსული აქვს. ამის უტყუარი დასტურია მრავალი ათასი გამოქვაბული, ქვაბ-ციხე, ქვაბ-სახიზრები, ქვაბ-სასახლენი, ქვაბ-ქალაქები, ქვაბ-სენაკები, ქვაბ-საგანძურები, ამას შეემატა ქვაბ-ელსადგურებიც... სჩანს ,,ქვაბი“ ქართული ეროვნული ხასიათისა და ყოფის ნაყოფია“ (გოთუა1968:197).

ლევან გოთუამ მოთხრობაში „ქვის დედაენა“ ბრწყინვალედ წარმოაჩინა ქვაბის მნიშვნელობა ერის ისტორიისთვის, ერთი მხრივ, როგორც მტრისგან დამცავი საშუალებისა, მეორე მხრივ, მკვეთრად ხაზგასმულია მისი მაღალკულტურული დანიშნულება - ქვაბის მწიგნობარი ედიშერი მონღოლების შემოსევის პერიოდში ქვის დედაენას და ვეფხის წიგნს ასწავლის ბიჭ-ხიმშიას.

ქვაბების დიდი უმრავლესობა პირველყოფილი ადამიანის სამყოფელი როდი იყო, არამედ მაღალკულტურული ერის სახიზარი. ამიტომ ყოველი მიუვალი გამოქვაბული ძველ წიგნთსაცავად, ერის დოვლათისა და ხატმადლის სამალავადაც ითვლებოდა... „იმათი დროზე მოპოვება და ქართველი ერისთვის დაბრუნება თითოეული ჩვენგანის წმინდა ვალია“ (გოთუა 1960: 37).

მწერალმა ცხოვრების გარკვეული პერიოდი სწორედ ამ ქვაბების კვლევას მიუძღვნა. ამას მოწმობს მისი პუბლიცისტური ნაწერები, მგზავრული ნარკვევები: „ხვამლის ციხე-ქვაბული“, „კაცხის სვეტის საიდუმლო“, „წერილები ქობთავის ქვაბებიდან“, „საოცარი მოგზაურობა მეთერთმეტე საუკუნეში“, „ვახუშტის გზა-კვლით აბუხლომდე“, „ძახილი რკონის გამოქვაბულიდან“...

ლევან გოთუას აზრით, უწინარესად, სწორედ ბუნებამ დაიცვა და შემოინახა ეს ქვაბები. აი, როგორ აღწერს უღრან ტყეში შეფარებულ ქობთავის საყდარს: „თითქოს ადამიანისაგან მიტოვებული ეს ძველსამყოფელი, ახლა ბუნებას თავის უკვდავ წიაღში

შეუხიზნია, თავისი მადლიანი მწვანე გადაუფარებია და სრული განადგურებისაგან დაუცავს. ტყემ ფრიალო კლდის ტერფ მისავლამდე მიგვაცილა“ (გოთუა1960:106).

აქ ბუდეებად გაფანტული თხუთმეტიოდე გამოქვაბულია. ეს ქვაბულები დაუზიანებია დროს და ნიაღვარს, „მაინც საოცარ შთაბეჭდილებასა და განწყობილებას ჰქმნიან... თითქოს შორის წარსულის ლანდები ჩრდილებში უჩინრად დგანან და ძვლებს არხევენ“ (გოთუა1960:110).

მსგავსი განწყობაა ყველგან, რომელ გამოქვაბულშიც ლევან გოთუას ფეხი დაუდგამს. მისი განცდები განსაკუთრებულია ხვამლის ქვაბულის აღწერისას. მწერალს უხარია, რომ საქართველოში ასეთი ქვაბები უფრო მეტია, ვიდრე მშვიდობიანი კერძის მოსამზადებელი ქვაბები.

ხვამლი კი მხოლოდ ძველი განძთსაცავი როდია, იგი მშენებელთა „სულიერი დვრიტა და ბედხასიათის ქვაანაბეჭდიცაა“ (გოთუა 1960: 71). აქ ყველაფერი ღრმა თავისებურებით გამოირჩევა, თითქოს ყველაფერი ახლაც შემოქმედებით მოძრაობაშია. „მზეს, ქარსა და წვიმას კირქვის შიშველი კანი ანტიკურ ქვაძეგლებად ჩამოუძერწიათ და გვხიბლავენ თავის უცნაურობით“ (გოთუა 1960:51).

დევების სადგომს, რომელიც „ზვიადი ბუნაგია“ და შავ დახშულ მკაცრ „ხახას“ ჰგავს, ერთადერთი მცენარე დაჰყურებს: „მხოლოდ ზევით, კლდე-ჭერის უმაღლეს ბზარში, როგორც ბუნების კოპწია ღიმილი, ჰკიდია თავყირად ამოსული სამყურა!“ (გოთუა 1960:88).

ბუნების კოპწია ღიმილად თავყირად ამოსული სამყურა - ეს ხომ არ არის სამყაროს ის ნიშანი, რასაც ზემოთ აღვნიშნავდით და რაც მწერალმა საკრალური მცენარის იდუმალებით გადმოსცა, როგორც დიდი იმედი?

ლევან გოთუა განსაკუთრებული ხატოვანებით აღწერს ხვამლიდან გადმოსახედს და იმერეთის ხედს: „დამთვარული იმერეთი ვახუშტის წიგნივით გადაშლილიყო და იყო იგი უცნაურად შორიახლო, უაღრესად ხელსახები და სრულიად მიუწვდომელი, სიზმარ-ცხადის მიღმა დანახულს ჰგავდა“ (გოთუა 1960:72).

აქედან ზღაპრულია მითოლოგიაში გადასული ქუთაისიც... ხვამლსა და გელათს შორის ოდესღაც გაბმულ იდუმალ ხაზებზე ფიქრობს... შემთხვევით არ არის ხვამლიდან დანახული ქუთაისი - დამთვარული და იდუმალი... ხვამლივით და მისი ლეგენდების მსგავსად, ამოუცნობი და ამოუხსნელია გარემომცველი სამყაროც...

ხოლო ჯერაც დაუწერელ ძველთაძველ თავგადასავლად მიაჩნდა ქართველი კაცის ჭიდილი ქვასთან და კლდესთან... „ჩვენმა უწინაპრესმა თავი რომ შეიცნო, ალბათ უკვე ქვასა და ქვაბულში იჯდა, ქვა-კაჟით ცეცხლს ჰკვესავდა, ქვის აკვანში იზრდებოდა და ქვა-ყუთში საუკუნოდ განისვენებდა. ასეთ ყოფაში გადასული ქვის შენივთებული ნაყოფია ქართული ჩუქურთმა და ქვაკაცა!“ (გოთუა1968:182).

ბევრს ფიქრობდა ქვაბულებზე და სჯეროდა, რომ ქართველი კლდის ნაშიერი და მისივე წილი იყო... ამიტომაც სხვანაირად აფიქრებდა ქვაკაცები... ერთმა ქვაკაცამ კი დიდად შთააგონა რომან „მითრიდატეზე“ მუშაობისას.

უძველესი კერპის ნაშთის სახება უფლისციხეში მაშინ იხილა, როცა 1967 წლის 16 ივნისის „ლიტერატურულ საქართველოში“ ოთარ ჩხეიძის წერილი „კერპი უფლისა“ წაიკითხა, ვალიკო არჩვაძის მიერ შესრულებული გიგანტური პროფილით. მაშინვე დაუკავშირდა მწერალს და უფლისციხეში წასვლა სთხოვა, რომ საკუთარი თვალით ეხილა „კლდეკაცი - ოდინდელი და მარადი დიდებისა და დაუცხრომელი იმედოვნების ამაღლებული ნიშანსვეტი, რომლის ირგვლივაც უნდა დატრიალებულიყო ბედისწერა პონტოს სახელმწიფოსი და მითრიდატესი: ერთმანეთზე გადაჭდობილი“ (ჩხეიძე 1997:125).

მართლაც, როგორც როსტომ ჩხეიძე დასძენს, ლევან გოთუას ქვაკაცა იდუმალი ძალისა და ზეგარდმო წარმომავლობისაა... „ღვთიური ძალით აღვსილი ადამიანის სახებაა. მხსნელის მოვლინების რეალური ნიშანი“ (ჩხეიძე 1997:125).

ამიტომაცაა, რომ ლევან გოთუასთვის თითოეული ქვაბი, რომელიც ისტორიის მახსოვრობას ინახავდა, უძვირფასესი იყო. დროდადრო აწმყოშიც ამოჰქონდა და ამზეურებდა მტვერწაყრილ ფოლიანტებსა თუ იდუმალ სამარხებს. სულ ახსოვდა - ყოველ ქართველს თითო ძეგლი მაინც უზის გულში „ჩუქურთმიან აბჯარში მჯდარად“. (გოთუა1969: 16).

ერი, რომელიც მუდამ თავს იცავდა, ქვის სამყოფელი ისტორიული კანონზომიერებით განპირობებულიყო. ამიტომაც ქვა ეროვნული ფასეულობების შემნახველად, „აბჯრად“ ქცეულა, რომელსაც აქვს „შემოქმედების, სიყვარულის, კვლავ აღდგენის უბერებელი ძალა“ (ზვიადაძე 2016:50).

ამიტომაც შემთხვევითობას ვერ დავარქმევთ იმას, რომ მან არმაზში, სადაც ცხოვრების მეორე ნახევარი გაატარა, კლდეში გამოქვაბულები გამოთხარა, სადაც

მუშაობდა თავის ნაწარმოებებზე... ხელნაწერების მუზეუმის შესაქმნელად გამოქვაბულის ერთ ნაწილს თავად აპირკეთებდა.

ასეთი საინტერესო საკრალური სამკუთხედი იქმნება ლევან გოთუას პუბლიცისტური ნაწერების გაცნობისას - წყალი, მთა და ქვაბი ბუნების იდუმალ, შეუცნობ ადგილებად წარმოგვიდგება და სამივე მათგანს ლევან გოთუას ულევი ფანტაზია და სიცოცხლის საზრისი უკავშირდება.

2.8. წყაროები - სამყაროში გასახედი თვალ-სარკმელი, „ლამისყანის წყარო“, „ოქრონიშის გასაჭირი“

„წყლის მადლი სათავეშიაო“ (გოთუა1960:165), წერდა მწერალი და ქვეცნობიერად იმ საზარელ გარემოს და ქვეყნის პირველ პირებსაც თუ გულისხმობდა, რამაც ტრაგიკული 37-იანი წლები დაუყენა საქართველოს... ჯერ სათავე აიმღვრა, მადლი დაიკარგა, მერე მოჰყვა ამ ყველაფერს რეპრესიები, სიკვდილი და სისხლი... ასეთ ვითარებაში წყარო მწერლისთვის მაცოცხლებელი იყო. იგი მოგზაურობდა და წყაროების აღმოჩენის სიხარულით ცხოვრობდა. მწერლის მეუღლის, ციცო ალხაზიშვილის თქმით, ლევან გოთუას ძალიან უყვარდა წყაროს წყალი, ყველა წყაროსთან ჩერდებოდა, გადმოვიდოდა მანქანიდან და რომ არ დაელია, არ შეეძლო.

ლევან გოთუას სჯეროდა, რომ ჩვენი წყაროები ლაპარაკობენ (გოთუა1968:157). პირველად ეს ხმა ბავშვობაში უსტარაულთან გაუგონია. „აქ მოვისმინე წყაროს ღუღუნი და ამის შემდეგ ყოველ ახალ წყაროსთან ამ ხმას ვამოწმებ, ჩემს სმენას ვაწყობ, გულის ჟღერას ვუთანაბრებ“ (იქვე).

თითქმის მთელი ქვეყანა უსტარაულის ანარეკლში იხატებოდა. იგი საოცარ, მართლაც ჯერ არნახულ სამყაროში გასახედ თვალ-სარკმელივით იყო...

თავად მწერალი ემადლიერებოდა უსტარაულს, რომელმაც სხვა მრავალი წყარო და ადგილი მოატარა და მისგან ნასაზრდოები შთაგონება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა: „ბევრი ფიქრი მისაზრდოვა, გამომიმწიფა, ბევრი წიგნი დამაწერინა, დიდი წყურვილი, მძიმე დღე და შრომა მომისალბუნა. ნეტავ შევძლებ კია ჩვენი წყაროების ვალის გადახდას?!“ (გოთუა 1968:157).

ლევან გოთუასთვის ძვირფასი იყო ილიას წყარო წიწამურთან, „მისი ფიქრების უკანასკნელი მესაიდუმლე“... „ამ წყარომ მისცა ილიას უკანასკნელი მშობლიური სალბუნი და დაამება“ (გოთუა 1960:212).

უკვე ხსენებული ილია ჭავჭავაძის იუბილესადმი მიძღვნილი ათდღიანი ალპინისტური ლაშქრობისას - მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე, საბანაკე საბერწესთან, „ყინვარების ნაწურ ათასწლოვან“ უსახელო წყაროს „ილიას წყარო“ უწოდეს. მწერლებმა და მთამსვლელებმა მოაპირკეთეს, ქვები მოუწყეს. ედიშერ ყიფიანმა ილიას წყაროდან წაღებული ერთი მათარა წყალი მის ღარზე დაადინა... „ქუდმოხდილები შევყურებდით წყაროთა სიმბოლიურ დაძმობილებას“ (გოთუა 1969:215).

ლევან გოთუა რომ წყაროს და მისი საფუძვლის ჩამყრელს დიდად აფასებდა, ამაზე ბებურიშვილების წყარო მეტყველებდა. „ერთმა კაცმა ერთი წყაროს გაკეთებით უკვდავყო თავისი გვარი - ლაჯანურას ხეობაში, რაჭა-ლეჩხუმის მთავარ გზაზე ვინ არ იცის ბებურიშვილის წყარო!“ (გოთუა 1960:175). სხვათა შორის, ეს წყარო ახლაც არსებობს ლეჩხუმში და აშენების თარიღად 1948 წელია მითითებული.

ლევან გოთუას სურდა, მწერლისა და პედაგოგის, ფოლკლორის დიდი მოამაგის ივანე ბუქურაულის წყაროსაც ეარსება თუშეთში, ზემო ალვანში. სარქივო მასალებში ივანე ბუქურაულის პორტრეტთან ჩაუწერია - „ბუქურაულის წყარო“ (სუიცა, საქმე №357:8ბ).

1963 წელს გამოქვეყნდა ლევან გოთუას წერილი „ოქრონიშის გასაჭირი“ (ღია წერილი მგოსნებსა და ინჟინრებს). მწერალი ოქრონიშის წყაროს პრობლემას წარმოაჩენს, თუ როგორ უქადის ამოშრობის საშიშროებას ოქრონიშს ქვის სამტეხლოს ხშირი აფეთქებები. პირდაპირი ადრესატის მითითებით წერილში ლევან გოთუამ მეტად აქტუალური პრობლემა დააყენა. მან ორიგინალური ფორმა მოუძებნა სათქმელს - ლექსისა და წყაროს შედარებით ინჟინრებსა და მგოსნებს მიმართა.

მწერალი გულისტკივილით ამბობს, რომ ხშირად ღობის ძირას ამოსული უმანკო ია შეუმჩნეველი გვრჩება, ცხრა მთას იქითა ჭყეტელა ყვავილებს კი ვეტრფით. „სიტყვების იქით ვკარგავთ ლექსს და ქვებს იქით - წყაროს“ (გოთუა 1963:4).

საქართველო ლექსების გარდა წყაროების ქვეყანაცაა, რომელთა დედოფალიც ოქრონიშის წყაროა.

წყაროს „ჩარითმულ მდინარებას“ ყურმიგდებული ოქრონიშის ამოშრობის მტკივნეულ პრობლემას წამოჭრის. ქვის სამტეხლო საშიშროებას უქადის ლაილაშს, ისევე როგორც „ცუდად და მრუდედ ამოთქმული ლექსი, რაღაც წიაღში იწვევს მშობლიურ ენისა და პოეტურ „ოქრონიშების“ შეფერხებასა და შეკნინებას“ (იქვე).

წერილიდან ვიგებთ, რომ ოქრონიში მხოლოდ წყაროს როდი ჰქვია, არანაკლებ უჭირს პოეზიის ოქრონიშსაც. „ლექსს ჩვენში ბევრი მოტრფიალე და ღირსეული დამცველი ჰყავს... წყაროს წუთიერი მოტრფიალენი კი ყველანი ვართ. მაგრამ შეგნებული დამცველი მაინც ხშირად აკლია წყაროს. ჩემი ხმის ამოღების მიზანიც სწორედ აქ არის“ (გოთუა 1963:4).

პუბლიცისტური მახვილი ღია წერილის დასასრულზეა გადატანილი. მწერალი მიმართავს მგოსნებსა და ინჟინრებს, დაიცვან ოქრონიში. ეს წერილი ცხადყოფს, როგორ ორიგინალურად და ამაღელვებლად ეხმაურებოდა იგი ეკოლოგიურ პრობლემას.

ლევან გოთუამ დიდი ძალისხმევა შეალია ლამისყანაში დავით გურამიშვილის წყაროს პოვნას.

„ლამისყანაში მივაგენი იმ მუხას, რომლის ძირში დაატყვევეს დავით გურამიშვილი. ამ მუხის ნაჭერი დაცული მაქვს, როგორც რელიკვია. ლამისყანაში იმავ ადგილას შენდება წყარო, რომელსაც პოეტის სახელი დაენათლება“ (ვაშაძე 1972:3).

1975 წლის 27 აპრილს სოფელ ლამისყანაში, მართლაც, გაიხსნა გურამიშვილის წყარო, თავის მიერ წამოწყებული საქმის დასრულებას ლევან გოთუა ვეღარ მოესწრო. თუმცა სულ ამბობდა: „ისე ნუ მომკლავთ, რომ გურამიშვილის წყაროს გახსნას არ მომასწროთო“ (ხორგუაშვილი 1978:4).

ლევან გოთუამ დავით გურამიშვილსა და მისი სახელობის წყაროს ვრცელი სამოგზაურო ნარკვევი -„ლამისყანის წყარო“ მიუძღვნა (გოთუა 1970:3).

იგი ლამისყანაში საქართველოს ძეგლთა დაცვის საზოგადოების სწავლულ მდივანთან - ირაკლი ზაქარიაშვილთან ერთად ჩავიდა. პრობლემა სამზეოზე გამოიტანა გაზეთმა „კომუნისტმა“, აბიბო თომაძის წერილი „ვინ დააშრო გურამიშვილის წყარო“ იტყობინებოდა, რომ საქვეყნოდ ცნობილი წყარო ლამისყანაში „მოიტაცეს“ ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და ამავე სოფლის საბჭოს ყოფილმა თავკაცებმა. (თომაძე 1969:4).

რაიონის იმჟამინდელმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა წყაროს აღდგენა. ამ ამბავს ასე იგონებს გიორგი ხორგუაშვილი: „დამიძახეს და მწერალთა კავშირში გამაგზავნეს სარჩევად. გრიგოლ აბაშიძემ საამსაქმოდ გვიმჯობინა ლევან გოთუა, რომელმაც დიდ და მტკივნეულ საქმედ მიიჩნია იგი და მალე ამობრძანებას შეგვპირდა. ლევან გოთუა მოდისო?! ფეხზე დადგა ხელმძღვანელობა სოფლისაც და რაიონისაც“ (ხორგუაშვილი1978:4).

მაგრამ „უნებურად ჩაიხლართა საკითხი“. ადგილზე შეეცადნენ, მწერლები დაეჯერებინათ, რომ გურამიშვილის წყაროც და ხეც დიდი ხანია თავისით გაქრნენ და ბრალი კი არავის მიუძღოდა.

„ლევანს „დამნაშავეთა“ მხილება კი არ აინტერესებდა, არამედ ჭეშმარიტების დადგენა, რათა ისევ აღმდგარიყო ისტორიული წყარო. - წავიდეთ! - ბრძანა ლევანმა, - სოფელში გავიკითხოთ“ (ხორგუაშვილი 1978:3).

გაკითხვის შემდეგ წყარო ლამისყანელმა 85 წლის ილია პავლიაშვილმა აპოვნინათ. ლევან გოთუა ასე აღწერს ამ მოხუცს: „...და, ჰა, ვიპოვეთ გასაღები!.. მორჩილი ტანისა აღმოჩნდა, კნაჭად ნაჭედი, წელაღვერა, გამოჟანგული“ (იქვე).

ბევრ რამეს ამბობს მოხუცის გარეგნობის ერთი შტრიხი - „გამოჟანგული“. მის მტკიცე და მედგარ ბუნებას უსვამს ხაზს... ასეთები იყვნენ ურყევი ნებისყოფის ძველი გლეხკაცები, სწორედ ფესვმაგარი მუხის მოდარაჯენი, მუმლი რომ ეხვია, და მაინც, ცალ ხელს გუთანს არ აცილებდნენ, მეორეს კი - ხმალს...

სიმბოლურია, რომ პოეტის ბედი სწორედ ამ მძლავრ მუხასთან გადაიჯაჭვა, რომელსაც, მოხუცის თქმით, თავის დროზე ხუთი კაცი ხელს ვერ აწვდენდა და ჭალის პაპას ეძახდნენ. ამ მუხიდან და წყაროდან იღებს პოეტის სიტყვა სათავეს, რომელიც შემდგომ ერის ბედ-იღბლის მატიანედ იქცა. ამიტომაც არ არის მუხის გახმობა და წყაროს დაკარგვა ჩვეულებრივი ამბავი.

„- მუხა გახმა სამოცდაათიოდე წლის წინათ, ჩანს ჟამმა უწია!

- წყარო?

- წყარო ქვებით ამოავსეს მემიჯნეებმა - ვენახებს „გვიტკეპნიანო“... გვაწუხებენო!... ცოცხლად დამარხეს!“ (გოთუა1970:3).

მოხუცთან დიალოგის შემდეგ მწერალი ასკვნის - წყაროს ჩაქოლვა ადამიანის სულის ამოხდას უდრის!

ქსნის ჭალაში სოფლის მოხუცების დახმარებით იპოვეს ის ამოქოლილი ორმო და მუხის ფესვები. „ახლა მეცა მაქვს გურამიშვილის მუხისძირის ერთი ნატკეჩი“, - წერს ლევან გოთუა (იქვე).

მემორიალის ავტორად ახალგაზრდა ხუროთმოძღვარი ვაჟა ორბელაძე შეარჩია, ჩანაფიქრი კი ასეთი იყო: „წიგნად გადაშლილ დედა-ქვაზე, „დავითიანის“ პწკარებთან ერთად, ამოიტვიფრება კალმიანი ხელი მწერლისა, ქვის ფურცლებზე დაეკიდება ჯაჭვი, რომლის რხევის ხმა მომსვლელს ამ მიდამოში დიდი მგოსნის დატყვევებას მოაგონებს. წყაროს უკან დაირგვის მუხა, რუსთან დაიდგმის სტელა და იქვე დაგორდება დოლაბი, რომელზედაც დატყვევების ამბავი დაიწერება“ (გოთუა1970:3).

ლევან გოთუას ეამაყებოდა, რომ ეს ძეგლი სრულიად განსხვავებული იქნებოდა ყველა იმ ძეგლისგან, რომელიც კი მგოსნისთვის დაუდგამთ.

„საქმის ჭაშნიკიც ეს არის! ასეთი მეტყველი, ამაღლებული, და მე ვიტყოდი, ყოვლად ადამიანური სულისკვეთებით აღსავსე ძეგლი ჯერ გურამიშვილისთვის არავის არ დაუდგამს საქართველოში!“ (გოთუა1970:3).

როდესაც ადამიანი, თაობა, შთამომავალი კეთილი საქმისთვის, შემოქმედურად და დაუცხრომლად ღელავს, მათ შორის წყარო არასოდეს დაიკარგება, - ასე ფიქრობდა ლევან გოთუა, მაგრამ გურამიშვილის წყაროს საქმე მალევე არ გადაწყდა. დიდებული ჩანაფიქრი და პროექტი იყო, საქმით კი გართულდა. ლევან გოთუა ხშირად ჩადიოდა ლამისყანაში და პირველ რიგში გურამიშვილის წყაროს ამბავს კითხულობდა...

„გურამიშვილის წყაროს მივხედოთო. იმდენი დრო ეკარგებოდა, მაგრამ სულაც არ იმუნათებდა. გურამიშვილი ისეთი დიდი პოეტი იყო, არავინ არაფერი უნდა დაიშუროს მისი საქმისთვისაო“ (ხორგუაშვილი1978:4).

ლევან გოთუას გარდაცვალების შემდეგ დაედგა ამ საქმეს საშველი - გაიხსნა გურამიშვილის წყარო. „იმ ტრიბუნაზე რომ სამადლიერო სიტყვები გაისმოდა, პირველ რიგში ლევან გოთუას აჩრდილიც შემართულიყო“ (იქვე).

ახდა მწერლის სიტყვები - წყარო მართლაც თავად მივიდა ყველა ოჯახში, ქართული მიწისა და შრომის წყალობა შეიტანა... წყაროს გახსნას მოჰყვა მეორე კარგი საქმე - ლამისყანაში დაწესდა სახალხო დღესასწაული „გურამიშვილობა“.

საერთოდაც, ლევან გოთუასთვის წყარო უბრალოდ წყარო როდი იყო. ის აბრძენებს ადამიანსო. „დიდი სალბუნის გარდა წყარო აბრძენებს ადამიანს, ისევე როგორც

მოგზაურობა... გრძელ ფიქრს აჩვევს... აზრის ძირა მარცვალს აპოვნინებს“ (გოთუა 1968:198).

სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოგზაურობისას, დიდი დაფიქრების ჟამს, კავკასიონის ქედზე, 4100 მეტრის სიმაღლზე, ყინულსა და კლდეს შორის, უფსკრულიდან ერთ მტკაველზე განაბული მცირე ტბა ბუნების საოცრებად აღიქვა და ბავშვობის ოცნებას დაუკავშირა, როცა უკვდავების წყაროს ეძებდა...

„ეს ცის ციცქნა ნაწილი უფრო იყო. მაგრამ ცაზე - ცისფერი, ყინულზე ცივი, ჯიხვის თვალზე უფრო მეტყველი. მის გუგაზე უსახელო მწვერვალის აღალმა თრთოდა. რაღაც სიზმრის ნაწილი თუ იყო, ულოდნელად აცხადებული. ბავშვობაში უკვდავების წყარო სწორედ ასეთი წარმომედგინა. ხარირემივით დავეწაფე, ვგონებ ზედმეტად ხარბად. დავაკვირდი. სხვებიც ასევე მოიქცნენ, სილაჟვარდე და უკვდავება ყველას გვწყურია!“ (გოთუა 1960:207).

წყარო, ამ შემთხვევაში, მარადიულ სიცოცხლეს უკავშირდება. თანაც, ეს წყარო მთაში, ანუ ცასთან ახლოს, სიწმინდეშია ნაპოვნი. ქრისტიანობის მიხედვით წყარო სწორედ იმ მადლს და ხელთუქმნელ ენერგიას შეიცავს, რომელსაც უფალი სულიერი სიცოცხლისთვის აძლევს ადამიანს.

„კაციც წყაროსავით ანკარა უნდა იყოს“, რომ მას ეს მადლი ებოძოს. თავად ამ სიანკარით ცხოვრობდა და ქმნიდა. არმაზში, მტკვრის პირას, სადაც ცხოვრობდა, საკუთარი ხელით ნუშის წყარო მოაპირკეთა. ხშირად მივუჯდები, მის ჩუხჩუხს ვუსმენ და წერა მიადვილდებაო...

თბილისში, 2016 წელს კომფორტული დასასვენებელი ადგილი – ლევან გოთუას სახელობის სკვერი მოეწყო. ურიგო არ იქნება, თუკი ამ სკვერში წყაროებზე შეყვარებული მწერლის სახელობის წყაროც გაშენდება.

2.9. ლევან გოთუა - ბუნების ნორჩ დამცველთა მეგობარი. წერილები - „ხილთაქებად ნათქვამი“, „ბუნების შავი მეკობრე“

ლევან გოთუა ბუნების ნორჩ დამცველთა მეგობარი იყო. როდესაც 1966-67 წლებში გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ინიციატივით დაიწყო მოსწავლეთა ლაშქრობა მატერიალური კულტურისა და ბუნების ძეგლების მოვლა-პატრონობისა და დაცვის მიზნით, შეიქმნა სწავლულთა დარბაზი. მისი წევრი, აკად. ნიკო კეცხოველთან, პროფ.

გიორგი ჩიტაიასთან, პროფ. ირაკლი ციციშვილთან და სხვებთან ერთად იყო ლევან გოთუაც.

„ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი ი. ცერცვაძე წერილობით მიმართავდა ლევან გოთუას, მიეწოდებინა შენიშვნები და წინადადებები ლაშქრობის დებულების ირგვლივ (სუიცა, საქმე №501:91).

სწავლულთა დარბაზთან მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ნორჩ მოლაშქრეებს. „გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ საშუალებით არაერთ რჩევა-დარიგებას იღებენ გამოჩენილი მეცნიერების: ნ. კეცხოველის, ი. ცინცაძის, გ. ჩიტაიას, მწერალ ლ. გოთუასგან ძეგლების მოვლა-პატრონობისა და შესწავლის საკითხზე“ („ძეგლის მეგობარი“ 1967:113).

ლევან გოთუას დამსახურებაცაა, რომ პირველ ტურში ლაშქრობაში მონაწილეობდა 21 650 მოსწავლე. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ იმედოვნებდა, რომ შემდგომ ტურებში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდებოდა (იქვე).

ლევან გოთუა რომ კულტურის ძეგლებისა და ბუნების ნორჩ მეგობრებს მთელი არსებით გვერდით ედგა, მოწმობს მისი ღია წერილი „ჩვენი წარსულის ხატოვანი ქვა-ფურცლები“, რომლითაც მიმართავს კულტურის ძეგლებისა და ბუნების ნორჩი მეგობრებს.

მწერალი მოუწოდებს ყველას, ვისაც გარჯა და მოგზაურობა უყვარს, მოინახულონ ძეგლები: თითქოს მეც ამ დროს სიჭაბუკეს ვუბრუნდები და დაგყვებით ჩვენი ბუნების მშვენების სახილველად და ნაბრძოლი ციხე-კოშკების „ასაღებად“.

„დიახ, სწორედ დიდ მშენებელთა შვილთაშვილებმა ხშირად უნდა „აიღონ“, მოინახულონ ძეგლები, რომ მათი გზა-კვალიც ისწავლონ და თავგადასავალიც, რათა წარსულსა და მომავალს შორის აწმყოური, ჭაბუკური ჯაჭვი გააბან!“ (გოთუა 1967:3).

მწერალი მოქალაქეობისა და მამულიშვილობის დიდ გამოცდად მიიჩნევს ბუნებისა და ძეგლთა პატრონობის საქმეს.

„რაც გადაურჩა მტერს, დროსა და შეუგნებლობას, ახლავე ყველა თქვენი საპატრონოა. აქ არის პირველი, დიდი გამოცდა თქვენი მოქალაქეობისა და მამულიშვილობისა! სიმწიფის ატესტატის მიღება აქაც დაგჭირდებათ! თქვენ განა მარტო ანაბანა და გამრავლების ტაბულა უნდა იცოდეთ? არა, ბუნების ხელის შეწყობა და კულტურის ძეგლთა თადარიგიც!“ (გოთუა 1967:3).

ასეთი შინაარსიანი შესავლის შემდეგ ლევან გოთუას კონკრეტული ფაქტები მოჰყავს, თუ რომელმა სკოლებმა გამოიჩინეს თავი.

მწერალი აქებს ხრესილის საშუალო სკოლის მოლაშქრეებს, რომელთაც ხრესილის ბრძოლის ადგილზე 600 ხის დარგვა განუზრახავთ. ასევე სამაგალითოდ ასახელებს ტყიბულის მეშვიდე საშუალო სკოლას, რომელთაც 6 ათასი ხე შემატეს ,,მწვანე დედას''.

მომდევნო წინადადებას ლევან გოთუა აღტაცებითი ნაცვალსახელით ,,ვაშათი'' იწყებს და იქვე ვიგებთ, რატომაც - თურმე ჭიათურის საბავშვო სახლის მოსწავლეებს ის მეკობრენი გამოუვლენიათ, ვინც კაკლის ხე მოჭრა:

,,ვაშა! ჭიათურის საბავშვო სახლის მოლაშქრეთ, რომ ,,ტყვედ იგდეს'' და აღკვეთეს ,,შავი მეკობრენი'', რომელთაც მოსჭრეს კაკლის ხე (მაცნე ნათელა გამცემლიძე). საქართველო მარტო ვაზის ქვეყანა როდია, კაკლისაც არის! ჩვენში ერთი კაკლის ხე ერთ ძროხას უდრის! მტრების შემოსევისას, ხიზნობაში, კაკალს ბევრი ბავშვი და მოზარდი გადაურჩენია!'' (იქვე).

მწერალი სიხარულით დასძენს, რომ ახმეტის პიონერთა სახლის შაბათობამ შედეგი გამოიღო და კვეტერის ტაძრის გადასარჩენად თანხები გამოიყო.

,,უნდა ვახაროთ ახმეტის პიონერთა სახლს, რომ მათმა შაბათობამ კვეტერაზე უკვე გამოიღო შედეგი. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ გამოყო თანხები კვეტერის შესანიშნავი ტაძრის გადასარჩენად'' (იქვე).

მწერალი ურჩევს თითოეულ მოლაშქრეს, ტყესთან სიახლოვისას, დიდ გულისხმიერებასთან ერთად, „მახვილთვალიანობაც" მოიმარჯვოს: „...ბუნებისთვის ნადირი კი არ არის საშიში, არამედ განადირებული ავკაცი - ბუნების მძარცველი, ძეგლის მკრეხელი! ასეთები კი ჯერჯერობით მაინც არიან! აქაც საჭიროა თქვენი შემართებული ღვაწლი" (იქვე).

მწერალი მისაბაძად მიიჩნევს ზედა საზანოს საშუალო სკოლას, რომელმაც ბუნებისა და ძეგლების ნაკრძალად გამოაცხადა სოფლის მიდამო. თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატს ყურადღება მიუქცევია ფიტარეთისთვის, უნახავს ხულუტის ციხე, სადაც წიგნებს წერდა სულხან-საბა ორბელიანი. ,,საბა-სულხანი სიყრმიდანვე ჩვენი ძეგლებისა და ენის უდიდესი მეგობარი და თავდადებული მოღვაწე იყო. ჩვენ უნდა ,,სულხანურიც'' მოვიმოქმედოთ!'' (გოთუა 1967:3).

სოლომონ ხუციშვილის მოგონებით, ლევან გოთუასთვის ქვემო ქართლი ამოუწურავი წყარო იყო საქართველოს ისტორიისა. ლევანის ყოველი ჩასვლა ტანძიაში საქართველოს წარსულით იყო გაჯერებული. „...კავშირს ამყარებდა საქართველოს წარსულთან, საქართველოს წარსულის პერსონაჟებთან, სულხან-საბა ორბელიანთან, მის გარემოსთან, იმ საქართველოსთან, ძველად რომ იყო“ (კიკილაშვილი 20120:89).

1970 წელს ლევან გოთუა, რადიოგადაცემა „საქართველოს პიონერის“ მონაწილე იყო, საკვირაო გამოშვებაში მან გადაცემის საშუალებით საქართველოს სხვადასხვა რაიონის მოსწავლეებს გამოწვევა გაუგზავნა, ვინ რამდენ ხეს დარგავდა. მწერლის აზრით, გაზაფხულსაც დამსახურება უნდა. „ყველას უნდა ჰქონდეს თავისი წილი და წვლილი ყოველწლიურ მშობლიური გაზაფხულისა“ (სუიცა, საქმე№353:2).

ლევან გოთუას ასე წარმოედგინა - რადგან ადამიანი და ბუნება განუყრელია, ამიტომ ყველამ ცალ-ცალკე ბუნებას რამე უნდა შეჰმატოს:

„ახლა სამშობლოში გაზაფხულია და, აბა, გახედეთ ამ აყვავებულ გარემოს, ნუშის, ტყემლის, ატმისა და ალუბლის ყვავილები ფერად-ფერად ნისლივით შეჰბურვია ჩვენს ქვეყანას. მაგრამ ჩვენი პირველი წვლილი და ღვაწლი თუ არის ამ გაზაფხულში? ჩვენ თუ შევმატეთ რამე ჩვენს ბუნებას? თუ გავამდიდრეთ იგი? თუ დავრგეთ რამე?“ (სუიცა, საქმე №353:2).

ლევან გოთუა ბავშვებს მოუწოდებდა, გამოეხმაურებოდნენ მის მოწოდებას, აქტიურად ჩართულიყვნენ კონკურსში და ეცნობებინათ, რა ხეებს დარგავდნენ, როგორ გაახარებდნენ. იგი ბავშვებს იმასაც აცნობებდა, რომ მათთან ერთად არმაზში, საკუთარ ეზოში თავადაც დარგავდა ხეებს.

ნიშანდობლივია აკადემიკოს ნიკო კეცხოველის ჩართვა რადიოგადაცემაში, რომელიც ბავშვებს შეაგულიანებს, უყურადღებოდ არ დატოვონ სასახელო მწერლის გამოწვევა. ლევან გოთუას კი შეაქებს, მან ხეხილის დარგვაც კარგი იცის, მოვლაც და გახარებაცო.

მართლაც, ლევან გოთუამ მრავალი წერილი მიიღო და გამოავლინა გამარჯვებულებიც. მათ შორის, საგარეჯოს II საშუალო სკოლის მოსწავლეები: სანდრო, ნოდარ და თამაზ გილაშვილები.

ნიმუშად ერთ წერილს მოვიტანთ, რომელიც ძმებმა გილაშვილებმა მწერალს გაუგზავნეს: „ჩვენ ძალიან გვიყვარს ბუნება. დედაჩვენი მეტყევე ინჟინერია და მან

ჩაგვინერგა ბუნების სიყვარული. მიმდინარე წელს ჩვენს საკარმიდამო ნაკვეთში დავრგეთ და გავახარეთ 8 ატმის, 9 ვაშლის, 7 მსხლის, 2 ნაძვის, 2 ქლიავის, 9 კედრის, 1 კარალიოკის და 8 ვარდის ბუჩქი. გარდა ამისა, დედამ შეგვასწავლა და დავაკალმეთ პილპილის 4 კალამი. შევისწავლეთ მყნობა და მიმდინარე წელს ჩვენ მიერ დარგულ ასკილზე ვამყნეთ სხვადასხვა ვარდის ჯიში.

ჩვენს საყვარელ მწერალს ლევან გოთუას ვთხოვთ, მობრძანდეს ჩვენთან საგარეჯოში სტუმრად. მისი სტუმრობა ჩვენ ძალიან გაგვახარებს და ჩვენს დარგულ ყვავილებს და ხეხილს დავათვალიერებინებთ“ (სუიცა, საქმე №353:29).

ლევან გოთუას წერილზე მიუწერია: „გავუგზავნე სამივეს წიგნი „ლეკვი ლომისა“ წარწერით (სუიცა, საქმე №353: 29ბ).

დანარჩენი სამი გამარჯვებულის პირად ბიბლიოთეკასაც ლევან გოთუას წიგნები შეემატა ავტოგრაფით. მწერალი ბავშვებს ჰპირდება, რომ აუცილებლად ესტუმრება მათ სახლებში და შეამოწმებს ნარგავებს. იმავდროულად, ბავშვებსაც ეპატიჟება არმაზში, გთხოვთ, მოხვიდეთ და ნახოთ ჩემი გახარებული ნარგავები. „მერმე იქნება ერთად წიგნიც დავწეროთ - „ხეები ჩვენი გაზაფხულისა“ (სუიცა, საქმე№353: 16).

ბუნებისა და ხეხილის სიყვარულმა ლევან გოთუას ხილთაქება დააწერინა. სტატიაში „ხილთაქებად ნათქვამი“ იგი საქართველოს მხოლოდ ვაზ-ვენახის ქვეყნად როდი მიიჩნევს, ოდითგანვე ხილიც და ხეხილიც მისგან განუყრელი იყო.

მწერალი იმოწმებს „ქართლის ცხოვრებას“, რომელიც აღწერს, როგორ ჩეხავდა მტერი ვაზთან ერთად ხეხილსაც. ხიზნობის დროს კი ხშირად ქართველობა შიმშილისგან ტყის ხილს გადაურჩენია, რომელსაც პურის ნაცვლად მიიჩნევს.

იგი ჩურჩხელას ქართულ შოკოლადს უწოდებს, რომელიც ლეღვის ჩირთან, ტყლაპთან, სხვა ხმელ ხილთან ერთად, მეომრების „უფუჭებელი სანოვაგე იყო“ (სუიცა, საქმე №325:6).

ნახევარი საქართველო კი კაკლის ნაყოფით და მისი ზეთით არის გამოკვებილი, - წერს მწერალი, - ამიტომ იყო, რომ ძველ საქართველოში ერთი კაკლის ხე ერთ ძროხას უდრიდა.

აქვე საქართველოს ბუნების ერთი განსაკუთრებული თავისებურებაც წარმოჩნდება - „ჩვენი სამშობლოს მიწა და ჰავა იმდენად ნოყიერი და მრავალფეროვანია, რომ ჩვენში

მსოფლიოს თითქმის ყოველი კუთხის ხეხილი გვარობს. ეს დიდი უპირატესობა უნდა გვახსოვდეს და უნდა გამოვიყენოთ კიდევაც“ (სუიცა, საქმე №325:6).

სტატიაში მშრომელი, გარჯის მოყვარული წინაპრის სახეც იხატება, რომელმაც მრავალი ჯიშის ხე მოიშინაურა, ცოდნას და ბეჯითობას დიდი სიყვარული დაუმატა და ამრავლა. ქალაქებში, სოფლებში, გზის პირებზე, ტყეში... ყველგან რგავდა ხეხილს. „არცერთი მონასტერი, ციხე თუ გალავანი, უდაბნოც კი არ ყოფილა უხეხილო“ (იქვე).

სოფლად მცხოვრებ წელში მოხრილ მოხუცებს მყნობის პაპის სახელი ჰქვიათ, რომლებსაც განათლება არ მიუღიათ, მაგრამ ხეების დამყნობა თავისით შეუსწავლიათ. „ვიდრე შეეძლო, გუთნისდედობდა, ახლა კი მყნობის პაპა გამხდარა“ (იქვე).

მწერალი მებაღეობის პრობლემებსაც მიმოიხილავს და ძველი ქართული ხილის ჯიშების გაქრობის ფაქტებზე ამახვილებს ყურადღებას. ამ საკითხს კონკრეტული ფაქტებით ასაბუთებს: აღარ არის ხილთა სანაქებო ბელადი, სახრავი და სახეჩი ატამი, გადაგვარდა რბილნაჭუჭა ნუში, დაკნინდა ბროწეული, თითქმის მოისპო ძველთბილისური უნაბი და ფსტა. მთლიანად განადგურდა ზეთისხილი, შემცირდა გარგარი და ყაისი, წითელი ალუჩა და მომსხო ღოღნეშო. იშვიათობაა სამურაბე ბაღის შინდი, ზღმარტლი და ფშატი გატყიურდა, დაკნინებულია ორმოსავლიანი ქართული ლეღვი, თითქმის აღარ არის ვაშლატამა, ზოგიერთი ჯიშის ვაშლიც დაიკარგა, დაჭიანდა ზოგი ჯიშის ქლიავი და ჭანჭური... „სადღა გადაეყრებით ვაჟკაცის ცერის ოდენა ხართუთას?“ (სუიცა, საქმე №325:7).

ლევან გოთუას აქვე ახალი ხილის დამკვიდრებაც არ გამორჩენია თვალთახედვიდან. „განსაკუთრებით გაგვიმრავლდა ციტრუსები... გაქართველდნენ ლიმონი და გრეიპფრუტი, ფეიჰოა და მუშმალა. ფრიად მოერგო ქართულ ბუნების იერს შემოდგომის პატარძალი - იაპონური ხურმა. ახლა იგი თითქმის ყოველ ოჯახში პატარძლობს... სურამს აქეთ და იქით“ (სუიცა, საქმე №325:8).

ლევან გოთუას მეხილეობა ეროვნულ საკითხამდე აჰყავს. პრობლემა, დამაჯერებელი დასკვნით და განზოგადებით, კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს და მკითხველიც რწმუნდება, რომ მეხილეობის ტრადიცია სიმდიდრესთან ერთად უმნიშვნელოვანესი კულტურაცაა:

„კეთილი მეხილეობა არა მარტო დოვლათია, არამედ კულტურის გამომჟღავნებაცაა და სიცოცხლის გახანგრძლივებაც! ბავშვის უხილოდ გაზრდა კი დედის ძუძუს მოკლებას უდრის“ (სუიცა, საქმე №325:8).

თავად მწერალს არმაზში საკუთარი ხელით გაშენებული ხეხილის ბაღი ჰქონდა, ბუნების წიაღში ცხოვრება ახალი ენერგიით აღავსებდა, ყოფილა შემთხვევა, რომ ბრაკონიერების წინააღმდეგაც გაულაშქრია. ბუნების ქომაგი და მესაიდუმლე მწერალი ბუნებას ხმალამოღებული იცავდა და ყველას მოუწოდებდა მასზე მზრუნველობისკენ. „რაც უნდა ინდუსტრიული გახდეს ქვეყანა. ბუნება ხომ ჩვენი ერთადერთი საცხოვრისია, ყველა თაობათა დიდი ბინა-სავანე“ (გოთუა 1968:203).

მის პუბლიცისტიკაშიც პრობლემის სიმწვავით და ოსტატურად გადმოცემული სათქმელით გამოირჩევა კორესპონდენცია „ბუნების შავი მეკობრე“, რომლითაც მან ბრაკონიერ-მებუფეტეების წინააღმდეგ გაილაშქრა. სათაურში სიტყვა „შავი“ მკითხველს უარყოფით ასოციაციებს აღუძრავს, იგი ხვდება, რომ არცთუ სასიკეთო ამბავი ელის წინ.

კორესპონდენციაში აღწერილია არმაზის გარემო, სადაც მწერალმა სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა. დასაწყისი ბუნების სურათს აცოცხლებს, რომელიც უვერტიურას ჰგავს. ხატოვანი თხრობა მკითხველის შესამზადებლად სჭირდება. ეს იგივე ხერხია, რომ მწვავე პრობლემის პირისპირ დატოვოს, ანუ პრობლემის სიმძაფრე მეტად რომ შეაგრძნობინოს მას.

ეს ადგილი შაშვების საფეხვნო ყოფილა, კაკბები იკლავენ წყურვილს, მზეც კაკაბივით განაბულია. ლამზე აბლაბუდა ლექსად მოჩანს. „აქლემის ყელს ჩამავალი მზე ხურჯინივით ჩაეკიდება“, მტკვარზე მაშინ იწყებენ თევზები თამაშს... მერცხლები „დაწინწკლულ გულს გაჰკრავენ მდინარის სარკეს. ერთიორად ჩანან ანარეკლებში... ოთხი ფრთა ჰქონია თითო მერცხალს და ორი მაკრატელა ბოლო“ (გოთუა 1968:201).

ასეთი სილამაზე და სიმშვიდე სუფევს, სანამ ლაღუმი არ დაიქუხებს. მაშინ „ბუნებისკარის მწყობრი კილო გაწყდება და ჰაერში მკრეხელი ხელი მახრჩობელასავით დაეკიდება“ (გოთუა 1968:202).

მწერალი ლაღუმის აფეთქებაზე რეაქციას კალმის ხელიდან გავარდნით და ყვირილით გამოხატავს: „მეც კალამი ხელიდან მივარდება და კლდის თავიდან ავტეხავ ყვირილს: - ვინ ხარ? რას სჩადი, გულხენეშო?!“ (გოთუა 1968:202).

შემდეგ კი ასე აღწერს ბრაკონიერს: „...რა თქმა უნდა, ისევ იგია. შუაგულ მტკვარში მოდის, სხივის ბილიკს მოჰყვება შავნაოსანი. წყალს ახლა მეწამული ფერი გადაჰკრავს. შავი მენავე კი გარემოებათა და ბუნებით მოხიბლული ჩანს, ფიქრიანად ეწევა თუთუნს. ნავში ლაღუმების გროვა უწყვია, და როგორც განზრახ შენელებულ კინოსურათებში, ჯალათური სიდინჯით ჯერ მაჯვენა ხელით მძიმედ აიღებს ლაღუმს, პაპიროსის ცეცხლზე აანთებს, ხელუკუღმა გადააგდებს, თუთუნის კვამლსაც ნესტოებში ორფად ამოუშვებს, ახლა მარცხენა ხელს ათრეულად აამოძრავებს... ისევ ლაღუმი, ისევ ცეცხლი. ახლა ხელუკუღმად, მაგრამ მარცხნივ აგდებს „მარცვალს“ შავი მთესველი“ (იქვე).

მწერალი ყვება იმასაც, რომ ბევრი სდია ბუფეტის საქმოსანს, მაგრამ ვერ შეაშინა, ვერც ნავი დაუზიანა. ვერ აღკვეთა მისი პარპაში, პირიქით, მიმდევრებიც გამოუჩნდნენ.

„ბრძოლა გრძელდება... მე, მწერალი, ბუნების კარის სადარაჯოზე ვებრძვი მეკობრე-მებუფეტეს!“ (გოთუა 1968:203).

პრობლემა კიდევ უფრო მძაფრდება, რადგან ეს ამბავი შუაგულ ქართლში, არმაზში, მტკვარზე ხდება. მტკვრის არე კი ნახევარი საქართველოა, „კეთილი სული და „მიმდინარე“ ქართლის ცხოვრება“ (გოთუა 1968:200).

მწერალი გულისტკივილით წერს, რომ უკვე ბარგიყარიასთანაც არ ჩამოდიან ირმები, სხვაგან გაფრინდნენ კაკბები. „ამოწამლულ და ლაღუმებით ამონაყულ“ მტკვარში, რიონში, ალაზანში, ხრამში, სუფსაში გაწყდა თევზის სახსენებელი. იქნებ მათაც მეკობრე გამოუჩნდათ? „სადღაა თბილისის სახე-ხატი ხოხობი“? „თანამედროვე ტარიელმა ან ვეფხის ტყავი სად იშოვოს, ან დურაჯი როგორღა მიართვას თავის ნესტანს?“ (გოთუა 1968 203).

ლევან გოთუა პრობლემის გადაწყვეტის ორ გზას ხედავს - კანონს და კაცობას. ბუნების დამცველად და მიწა-წყლის პატრონად, უწინარესად, ხალხს მიიჩნევს. იგი შეახსენებს ბუნების ყველა ჯურის მეკობრესა და მონადირეს, „გატყიურებულ მკაფველს ტყისას, გასუქებულ მეთევზეს, რომ კაცობა და კანონი არსებობს ჩვენთან! ბუნება ერთი თაობის ბარგი და სათარეშო არასოდეს ყოფილა და ჩვენს მიწა-წყალსაც ჰყავს ღირსეული ხალხი - მფარველ პატრონად!“ (გოთუა 1968:204).

ბოლოს იგი მიმართავს ბუნების ღირსეულ ქომაგთ, მცველებად დადგნენ ბუნების სადარაჯოზე: „შეგნებულებო,- ხელი დავუმოკლოთ ბუნების მკრეხელ შავ მეკობრეებს! მცველად და მზრუნველად დავდგეთ ბუნების კარის სადარაჯოზე!“ (გოთუა 1968:204).

ასე რომ, ბუნება ლევან გოთუასთვის, თავშესაფარიც იყო და შთაგონების გამღვივებელიც. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლაც ბუნების სიმშვენიერემ დიდად განაპირობა. მისთვის ტყე მხოლოდ გამრავლებული ხეები და ბიოლოგიური სამყარო არ იყო, უწინარესად - მიწა-წყლის საფარველად და ერის მწვანე აბჯრად წარმოიდგენდა, რომელმაც საქართველო გადაარჩინა.

ამავდროულად, ლევან გოთუას შესანიშნავად ესმოდა ბუნება, მისი იდუმალი ენა, „მან მშობლიურ ბუნებას უპოვა გასაღები, რამაც სული აუმღერა და ბევრი ბრძნული და მოსახიბლი გაუმხილა. ამიტომ იყო, რომ ქართველ მწერალთაგან ლ. გოთუა ნიკო კეცხოველთან ერთად, ბუნების ერთ-ერთი თავგამოდებული ქომაგი იყო“ (მირიანაშვილი 1984:42).

ბუნების სიყვარული ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, მთასა და ბარში მოგზაურობის დიდმა აზარტმა, სიძველეების მონახულების მუდმივმა ჟინმა არა მხოლოდ გაამდიდრა მისი ფანტაზია და შემოქმედება ასაზრდოვა, საზოგადოებრივ საქმიანობასაც განუყრელად გადაეჯაჭვა - ბუნება მისი პუბლიცისტური მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტად იქცა.

2.10. პორტრეტების გალერეა

ლევან გოთუას პუბლიცისტიკაში გამორჩეულია წერილები, რომლებიც ამა თუ იმ პიროვნებას ეძღვნება.

პორტრეტული ნარკვევების პირველივე თავისებურება და გამაერთიანებელი ფაქტორი ის გახლავთ, რომ ყველა ეს ადამიანი ეროვნულ საქმეს ემსახურება, იქნება პოეტი, მთამსვლელი, მოჭადრაკე, მსახიობი თუ ძეგლის მცველი... ამავე დროს, ეს პორტრეტები იმ ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს, რომელ დროშიც ცხოვრობდნენ როგორც მწერალი, ისე მისი გმირები.

ამ ადამიანების სულიერი სამყარო და ეპოქა მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. თითოეულ პიროვნებას მწერალი ეპოქის მაჯისცემის ჭრილში განიხილავს. უმეტესად, წერილი-ჩანახატის, ანდა პორტრეტული ნარკვევის ფორმით წარმოაჩენს მათ პიროვნულ ღირსებებს. სურს, გვიჩვენოს, რა ფასეულობებს ემსახურება თავისი გმირი და რა არის მისი ცხოვრების არსი.

ნაწარმოებებში უხვადაა მხატვრულ-პუბლიცისტურ ელემენტები. ჟანრული და სტილური თავისებურებები იცვლება თემის ამოცანის მიხედვით. ჩანახატს ზოგჯერ ნარკვევის მცირე ფორმის ჟანრადაც მიიჩნევენ, ოღონდ, ნარკვევისგან განსხვავებით, სიღრმისეული მსჯელობისა და კომპოზიციური სრულყოფილების ნაცვლად, ჩანახატი, ძირითადად, სურათებისა და ასოციაციების ჯაჭვს ქმნის.

ჩანახატი ხომ შუალედური ჟანრია, რომელიც შეიცავს როგორც რეპორტაჟულ, ისე მხატვრულ-პუბლიცისტურ თავისებურებებს. გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნებით, მდიდარი ენობრივ-სტილური საშუალებებით ის ენათესავება ნარკვევს, შეიძლება ითქვას, რომ ნარკვევის მცირე ფორმაა.

პორტრეტული ჩანახატი მხოლოდ კი არ აღწერს, არამედ იკვლევს ადამიანის შინაგან სულიერ სამყაროს. სიტყვა ჩანახატი თავისთავად გულისხმობს ადამიანის სახის შექმნას, მისი თავისებურებების წარმოჩენას.

როდესაც 1966 წლის 9 აგვისტოს **გიორგი ლეონიძე** გარდაიცვალა, ლევან გოთუამ 11 აგვისტოს მას წერილი-ჩანახატი მიუძღვნა - „ლექსად მოსული ქართული მიწა!“, რომელიც რადიოთი გადაიცა. ამ ფაქტს ჟურნალისტი თინა კობალაძე ასე იხსენებს: „როგორც მოსალოდნელი იყო, წერილი ყველას მოეწონა და, რასაკვირველია, ეთერშიც გადაიცა... შემდეგ ჩვენ ბატონ ლევანს მივმართეთ, რომ ეს მშვენიერი წერილი რომელიმე გაზეთშიც გამოექვეყნებინა... პასუხად საოცარი და მოულოდნელი რამ გვითხრა: არავის უთხოვია და ჩემით მერიდება მიტანაო...

ამ სიტყვებმა, რა თქმა უნდა, გაგვაკვირვა, მაგრამ, ამავე დროს, კიდევ ერთხელ დაგვანახვა მისი უსაზღვროდ მოკრძალებული დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრისადმი... გავიდა წლები... ეს წერილი დღემდე არსად დაბეჭდილა“... - თინა კობალაძის ამ წინასიტყვაობით წერილი, მოგვიანებით, 2005 წელს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა.

სათაური - „ლექსად მოსული ქართული მიწა!“ ხაზს უსვამს, რომ დიდი პოეტი უაღრესად ეროვნული მწერალი იყო. მეტაფორა-გაპიროვნების ხერხს სათქმელი მხატვრულად და დიდი ემოციით მიაქვს მკითხველამდე.

წერილი იწყება უვერტიურა-შესავლით, რომელიც ამცნობს ყველას, რომ „ქართველ მწერალთა კარზე ისევ ჩამოირეკა ზარი გლოვისა. ეს დღისა და ღამის ზღვარი

კი არ არის, სულისა და ხორცის გაყრაა. ქართული ლექსი ძაძით შეიმოსა, შავ ჩარჩოში ჩაჯდა ქართული წიგნი“ (გოთუა 2005:11).

მეტაფორების კასკადით და მოკლე-მოკლე დინამიკური წინადადებებით ოსტატურად იხატება დიდი მწერლის გარდაცვალების სურათი, თანაც ისე, რომ სტრიქონ-სტრიქონ ვგრძნობთ, იგი ძვირფასი დანაკლისია ქართული მწერლობისთვის - ამიტომაც „კალმების დახრის დღეა!“

შესავალს ტექსტის ძირითადი ნაწილი მოსდევს. მწერალი ლეონიძის როგორც გარეგნულ გამორჩეულობაზე, ისე მის მრავალმხრივ ეროვნულ მოღვაწეობაზე ამახვილებს ყურადღებას. იგი აღმატებული ეპითეტ-მეტაფორებით ამკობს პოეტს: „დადუმდა ლომის ბუბუნი, მისი ჩაბოხებული ხმა, ჟრიამულა ქუჩებში აღარ გაიელვებს მისი ცოტა აჩეჩილი მხრები, მკაფიო და მძლე, თითქოს ბოლნისის ქვიდან მოკვეთილი სახე-სხეული“ (იქვე).

მთლიანი აბზაცები, წინადადებები მხატვრული ხერხებით არის დახუნძლული... ლევან გოთუა დიდი შინაგანი განცდით გვიხატავს პოეტის პორტრეტს, მის ბობოქარ სულიერ სამყაროს და ასკვნის - გიორგი ლეონიძე ვეება ნიჭის შემოქმედი იყო, რომელსაც თავისი სამყარო ჰქონდა და მას ვეღარავინ შეცვლის, როგორც შეუცვლელნი დარჩნენ ილია და აკაკი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი...

„სულით და ხორცით - დიდებული ქართლოსანია, ჩვენს მჭექარ საუკუნეში, ჩვენს შორის, ქარს შერკინებულ ნატვრის ხედ იდგა, ლექსსა და ხატოვან სიტყვას ხმლად იქნევდა, ჯაჭვის პერანგად აცმევდა თავის ერსა და მწერლობას! „არ დაიდარდოს“ გულითა და ღვიძლით წერდა, სხვას ამშვიდებდა, თავად შემხნევებულად დარდობდა და სწორედ გულ-ღვიძლში სწვდა მსახვრალი ხელი!“ (გოთუა 2005:12).

ჩანახატის სტრუქტურის მთლიანობას აერთიანებს ის ნაწილი, რომელიც ყველაზე მძლავრი აკორდია და სადაც კულმინაციურ წერტილს აღწევს მწერალი - ხალხურ ფესვებთან ყველაზე ახლოს მდგომი მგოსანი ლექსად მოსული ქართული მიწაა, მთებით, ველებით, ზეცით... „ცა და მიწად ქცეული წინაპრებით... ჩამოხვეწილი, ჩუქურთმიანი, მზენასვამი შემოქმედებით! ამიტომ ახლავს მის ყოველ ლექსს ბუნებრივი სურნელი დაღვრილ ხსენისა, ხან დასეტყვილი ვაზის მტევნისა, ხან ახალგალეწილ ხორბლისა, ხან ცხელ თონიდან ამოყრილ დედის პურისა!“ (იქვე).

გიორგი ლეონიძის მსგავსი შემოქმედნი მომავალში გატყორცნილი თანამგზავრები არიან. ლევან გოთუა ყველას და საკუთარ თავსაც მიზნად უსახავს, ამ დღის შემდეგ ახალი ენერგიით და შთაგონებით დაიწყონ წერა, ისე როგორც ერს და მთაწმინდას ეკადრება, და ამით მწერლის დანიშნულებასაც უსვამს ხაზს.

„ვწეროთ წიგნები ჩვენი ერისა და მთაწმინდის შესაფერისი... ეს იქნება ჩვენი ნუგეში!... თუ კალამი კალმობს, იგი ერის სულის საზომი და თერმომეტრია! ეს თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, ერთხელ კიდევ ნათელჰყო მთაზე წასულმა, გიორგი ლეონიძემ - აწ - მთაწმინდელმა!“ (გოთუა 2005:12).

ლევან გოთუასთვის ყველა პიროვნების სულიერი სიმაღლე ეროვნულობით იზომება. მისთვის მთაწმინდა წმინდა ალაგია, სადაც სწორედ ასეთი მამულიშვილები უნდა განისვენებდნენ.

მისი პორტრეტების გალერეაში ღირსეული მთაწმინდელია **ლეო ქიაჩელი**. ასე იწყება გამოსათხოვარი წერილი: „მთაწმინდამ ისევ გაიხსნა უკვდავი უბე. ქართველი ხალხი იქ მიაცილებს თავის სახელოვან შვილს, დაუცხრომელ მოღვაწეს, ჩვენი ქვეყნის მხცოვან მწერალს!“ (გოთუა1963:4).

„მთაწმინდამ ისევ გაიხსნა უკვდავი უბე“ - ოსტატურად მოხმობილ მეტაფორას მკითხველი დიდი მწერლის სამყაროში შეჰყავს. ავტორი მოზაიკურად ხატავს ლეო ქიაჩელის შემოქმედებითი ცხოვრების სურათებს და ლოგიკურად ასაბუთებს, რატომაა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა „უშუალო, გულმისავალი და გამჭვირვალე“ - თითქმის ყოველ მის ნაწარმოებში არის ადრეული განცდების დიდი ნაკადი, ავტობიოგრაფიულია, მან ეს უშუალობა გამოატარა რეაქციის წლებში, ციხის საიდუმლო გვირაბში, შემოინახა რუსეთსა და საზღვარგარეთ, რევოლუციის ქარტეხილებში გამოატარა და მწერლობის სახით მოუტანა თავის ერსა და თანამედროვეობას. დიახ, იგი თავისი ცხოვრებისეული გმირების უშუალო მამობილია, - ასკვნის გოთუა. დადასტურებითი ნაწილაკი „დიახ“ დადებით ემოციას კიდევ უფრო მეტად აძლიერებს.

ლევან გოთუა კიდევ უფრო საფუძვლიანად და მეტაფორების მოხმობით აანალიზებს ლეო ქიაჩელის შემოქმედებას, რომელსაც აქვს გამჭვირვალე სტილი და „რბილად ხატული ეპიკური თხრობა“. იგი კი არ თხზავს, არამედ ნანახსა და კარგად ნაცნობს „ფიქრში გაცხრილულს ხატავს“. ხოლო ცხოვრებისეული თემების რკალი, -

აღნიშნავს მწერალი, - რომელსაც ეპოქის მაჯისცემა ახასიათებს, მისი დიდი კამერტონია.

„მას დიდი, შინაგანი სათნო ბუნება და ჩამოხვეწილი სამყარო ჰქონდა - დინჯი სტიქიისა, ფრთხილი ძიებისა, გამჭვირვალე სტილისა და რბილად ხატული ეპიკური თხრობისა. მისი ბუნება უფრო რთული და ჰუმანური იყო, ვიდრე მისი ცხოვრების გზები და მოღვაწეობის მკაცრი ვითარება და სადღაც მათ შუა გამოთავთავდა მისი მდიდარი მხატვრულ-ლიტერატურული ნამოღვაწარი“ (გოთუა1963:4).

წერილში ჩამოთვლილია ლეო ქიაჩელის დამსახურება ლიტერატურის წინაშე, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის თითქმის ყოველი დარგისადმი, იქნება ეს საბავშვო ლიტერატურა, კრიტიკა, თარგმანი, სარედაქციო მუშაობა თუ ახალგაზრდა მწერლების აღზრდა. კულმინაციური წერტილია ის ადგილი, სადაც ლევან გოთუა ასკვნის, რომ დიდი მწერლის სიკვდილი არ უდრის მარტო ერთი კაცის გარდაცვალებას. „მან წაიღო მთელი განუმეორებელი სამყარო ფიქრებისა, სახეებისა, გმირებისა, იმედებისა და დარდებისა!“ (იქვე).

წერილის დასასრულს, იგი შვილის ომში დაღუპვის ფაქტსაც იხსენებს, რომელმაც ლეო ქიაჩელს „მეხი დასცა“, მას ჩუმად მგლოვიარე მწერლად მოიხსენიებს, რომელსაც თავისივე მოთხრობის, „ალმასგირ კიბულანის“ სტრიქონებს უსადაგებს. „...ხოლო არც სიკვდილი უგრძვნია სიკვდილის წინ, რადგანაც თვალგახელილი შვილის მომღიმარი სახე თვალთაგან არ მოშორებია“ (იქვე).

სიტყვა „მთაწმინდელები“ ლევან გოთუასთან განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს - მთაწმინდელები უკვდავნი არიან, მათ შორისაა ლეო ქიაჩელი.

უნდა ითქვას, რომ ლევან გოთუას მიერ შექმნილი პორტრეტების უმრავლესობა გამოსათხოვარი წერილია. გადასახლებიდან დაბრუნებულ მწერალს, რეპრესიების გამო, თავის თაობაში მეგობრები თითქმის აღარ დახვდა. იქნებ ამით აიხსნება მრავალი სამგლოვიარო გამოსვლა, სადაც მტკივნეულად აღიქვამდა თითოეული ახლობლის, მწერლისა თუ ხელოვანის გარდაცვალებას. ბუნებრივია, ხანგრძლივად გადასახლებაში ყოფნამ ხასიათიც შეუცვალა, არა მხოლოდ ბუნება და მიწა-წყალი, ადამიანი მისთვის უძვირფასესი გახდა. ამიტომაცაა, რომ მის გამოსვლებში, გამოსათხოვარ წერილებში ცრემლივით ჩამდგარა სევდა.

ასეთი სევდით ეთხოვება იგი **დავით კასრაძეს,** მწერალთა კავშირში, დასაფლავების დღეს და ქართული სულის სარანგად მიიჩნევს, რომელიც მკაცრ ეპოქაში მოღვაწეობდა, მაგრამ „დიდ ქარბუქშიც არ ჩამქრალა მისი თაფლის სანთელი!“ (სუიცა, საქმე №328: 4).

იგი ვალმოხდილი წავიდა იმქვეყნად, რაც ყველას არ ძალუძს, თუმცა „უხილავად თავდადებული“ იყო - რომანისტი, დრამატურგი, მკვლევარი, საბავშვო მწერალი, მთარგმნელი, მასწავლებელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, მამა...

მამას შემთხვევით არ უწოდებს მას ლევან გოთუა, რადგან დავით კასრაძის მოწაფედ თვლის თავს, ვისგანაც ქართული ენის დიდი სიყვარული გადმოეცა. „ჩვენც, შენს მოწაფეებს, შთაგვაგონე ეგ სიყვარული“ (სუიცა, საქმე №328: 50).

დავით კასრაძე გასული საუკუნის დიდი თაობის უკანასკნელი კალმოსანი იყო, ვისაც ილიას, აკაკის, ნიკო ნიკოლაძის „შარავანდედის წილი მოჰქონდა ჩვენთან და ჩვენს შემდეგ გადასაცემად“ (იქვე).

ლევან გოთუას აზრით, ვალმოხდილობა სიკვდილის შემდეგ ყველაზე დიდი საზომია. ამით ფასდება ნებისმიერი შემოქმედი და ნაღვაწით მოიპოვებს უკვდავებას. სწორედ ასეთ ვალმოხდილად მოიხსენიებს რომან „იბერიის დედოფლის“ ავტორს, რომელიც „სამშობლოს სიყვარულს, როგორც თავის უკანასკნელ სიტყვას, ისე გვიტოვებს!“ (სუიცა, საქმე №328:4).

ლევან გოთუას მწერლების გალერეაში თვალსაჩინო ადგილი უკავია **ედიშერ ყიფიანს.** მასთან გამოსათხოვარი 1973 წლის 4 იანვრით თარიღდება. წერილში იგი, 1957 წელს, ილიას დაბადების 120 და მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებულ ბეთლემში ასვლას იხსენებს. „...ერთად ვაჩხრიალეთ ბეთლემის ჯაჭვი! მაშინ შენ „თაობათა ჯაჭვი“ უწოდე ამ დარკალულ რკინას... „თაობათა ჯაჭვი“ ახლაც ჩხრიალებს... მაგრამ სადღაა შენი მარჭვალი“ (სუიცა, საქმე №356:2).

ამით ლევან გოთუა ედიშერ ყიფიანის შემოქმედების მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომელსაც თავის თაობაში გამორჩეული ადგილი ეკავა. მას ახალგაზრდების ერთ-ერთ მოთავე კალმოსნად და კრებით სახედ მოიაზრებს.

„ის, რაც ახლა თითქმის გმირობად ითვლება - პატიოსნება და ზნემაღლობა, შენთვის ისევე ბუნებრივი და მშობლიური იყო, როგორც დედაენა!.. და ახლა, როდესაც შენი თაობა მტკიცედ ჩაუდგა სათავეში ჩვენს აწმყოს და მომავალს... მრავალი იმედი

დაგვისახა... საჭირო იყო შენი უანგარო გული და შუბლი... შენ აღარა ხარ! შენ ვეღარ გასწევ ცოცხლების მძიმე ჭაპანს!“ (სუიცა, საქმე №356:2).

წერილი ლაკონურად, ესკიზურად, მაგრამ მძაფრი ემოციით ხატავს ედიშერ ყიფიანის პორტრეტს, მის განვლილ გზას და ღვაწლს. ნაცვალსახელი „შენ“, რომელიც თითქმის ყოველ აბზაცში გამოიყენება, ემოციას ამძაფრებს, მკითხველს კი ცრემლნარევ სევდას უტოვებს - რომ ასე მალე შეწყდა მისი ცხოვრების გზა და დიდხანს უნდა ყოფილიყო „წიგნების საკუთარ რთველში“ (იქვე).

ლევან გოთუას აზრით, ცხოვრების არსი ისაა, რას დაუტოვებ მომავალ თაობებს. „ცხოვრების გზა ისე უნდა განვლო ადამიანმა, რომ სამარის კარზე შენი ნამუშაკარი და თაობის სიყვარული მიგაცილებდეს“ (სუიცა, საქმე№351:8).

ასეთი სიყვარული მიაცილებდა იმქვეყნად **მიქელ პატარიძეს,** რომელმაც, ლევან გოთუას თქმით, პირნათლად მოიხადა შემოქმედებითი და მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოსა და თაობათა წინაშე.

ლევან გოთუა მიქელ პატარიძის მთარგმნელობით მოღვაწეობას მისი ცხოვრების მთავარ თემად მიიჩნევს. მის ღვაწლმოსილებას და მგოსნის ალღოს ქართული ენის შესანიშნავი გრძნობა, ასევე რუსული და ფრანგული ენების ცოდნა დაემატა და „ხვავიანი ლიტერატურული კალო“ გამოვიდა (სუიცა, საქმე №351:10).

„კარგი თარგმანი ის დიდებული ხიდია, რომელიც ერთდროულად ორივე ნაპირს მადლიანად ემსახურება... ამ შემთხვევაში სათარგმნელისა და თარგმანის ენებს“ (იქვე).

ლევან გოთუა ხაზს უსვამს მიქელ პატარიძის მიერ მაიაკოვსკის ქართულად თარგმნას, „ძირითადში შენ დაუბრუნე მაიაკოვსკი თავის პირველ სამშობლოს - საქართველოს! დაუბრუნე იმ დედაენაზე, რომელიც ასე უყვარდა ბაღდადელ ლადოს“ (იქვე).

აღსანიშნავია მისი ღვაწლის მეორე დიდი მხარეც - მაიაკოვსკის მუზეუმის ხელმძღვანელობა 16 წლის განმავლობაში.

ლევან გოთუას მრწამსი ასეთია - ნაჩქარევი სახელის მოხვეჭა კი არ არის მთავარი ცხოვრებაში, არამედ „ჩუმად თავდადებული“ მოღვაწეობა - „დამსახურებული საქმე“ (სუიცა, საქმე№351:9). ამ თვალსაზრისით იგი ილია ჭავჭავაძეს ეხმიანება, რომელიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნებათა ღვაწლს ისტორიაში. „ისტორიას - ერი ჰქმნის, მაგრამ მწერლობა - მაინც პიროვნებათა ღვაწლია უპირველესად... ამიტომაც

მათი „ამოუწურავად“ წასვლა მოუშუშებელ იარად რჩება ქვეყანას“ (სუიცა, საქმე №356:2).

ადამიანის, ერისა და ქვეყნის სიყვარულით გამოარჩევდა ლევან გოთუა **აკაკი ბელიაშვილს,** და ამ თვისებას ყველა დროში დიდ ნიჭად მიიჩნევდა. იგი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ აკაკი ბელიაშვილი „ახლო იყო ქართულ მაჯასთან“.

„მწერლობაში ეს არის ოქროს ძარღვი, რომელიც აყალიბებს მწერალს - თავის ერის მოამაგეს და მესაიდუმლეს!“ (სუიცა, საქმე №316:1).

აკაკი ბელიაშვილს კეთილშობილებისა და მოვალეობის შეგნების მაგალითი გამოარჩევდა. ლევან გოთუა მას ზნეობრივ მოვალეობასაც აკისრებს. მცირერიცხოვანი ერისთვის მწერალი ხელმისაწვდომად, გაშიშვლებულად ჩანს. „...მის წიგნებს, ფართო მკითხველის თვალში მუდამ თან ახლავს პირად ზნეობისა და ყოფის ნასხლეტი ჩრდილი. ამიტომ უზნეო მწერალი, მცირერიცხოვან ერისთვის, უფრო დიდი უბედურება არის, ვიდრე უნიჭო მწერალი“ (სუიცა, საქმე №316:2).

ზნემაღალ, მებრძოლ პატრიოტად და დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულ კალმოსნად მიიჩნევდა ლევან გოთუა **მარიამ გარიყულს.** ერთიან ქართულ თარგზე მოჭრილ მეკალმეს უწოდებდა, რომელმაც ქარიშხლებშიც შეინარჩუნა მთლიანობა სულისა, მიზნებისა, ოცნებებისა...

„მისი პირადი ზრახვები და საზოგადოებრივი თუ ეროვნული ლტოლვანი მუდამ ხალხთან ერთად იღწვოდნენ და ვითარდებოდნენ. ეს მთლიანობა და განუყრელობა მწერლისთვის არის ის სულიერი საფუძველი, რომელზედაც იგი აგებს თავის „საქვეყნო სათქმელს“ (გოთუა 1973:3).

ლევან გოთუას პირად საქმეში ინახება მის მიერ ხელით დაწერილი თეზისები **ნიკო ნიკოლაძის** შესახებ. როგორც საქაღალდეზე მითითებულია, ეს არის ფოთში, საიუბილეო საღამოზე წარმოთქმული სიტყვის თეზისები, თუმცა გამოსვლის ტექსტს ვერსად მივაგენი. ნიკო ნიკოლაძე გოთუების ოჯახს ნათესავადაც ეკუთვნოდა და, ამავდროულად, მამამისის, პართენ გოთუას მეგობარიც იყო. აკაკი წერეთელთან ერთად მის მიერ დაარსებულ გაზეთ „Возрожде́ние“-სთან თანამშრომლობდა.

მთლიანად მოვიტან ნიკო ნიკოლაძის ლევან გოთუასეულ დახასიათებას: „ჩვენი დიდი თანამედროვე; ილიასი, აკაკის და სხვათა მედგარი თანამებრძოლი; ახალი ტიპის ქართველი ინტელიგენტი-დემოკრატი; თერგდალეული და უფრო მეტიც -

ზღვადალეული; თავისი თაობის მძიმე მეაბჯრე; ახალი ტიპის ეროვნულ-საზოგადო მოღვაწე; დიდი თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი; ფხიზელი რეალისტი; მომავლის დიდი მოიმედე და მქადაგებელი; მადლი ნათესია (ფოთი უხდის ნიკოლაძეს)“ (სუიცა, საქმე №357:7).

ერთი თვალის გადავლებითაც ცხადი ხდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვან ფიგურად მიიჩნევდა ლევან გოთუა ნიკო ნიკოლაძეს საქართველოს მომავლის თვალსაწიერიდან. მას „ძველმაგარი ხიდის კაცსაც“ უწოდებდა: 1928 წლის 5 აპრილს, როდესაც ნიკო ნიკოლაძე გარდაიცვალა, ლევან გოთუა ვლადიკავკაზიდან, თავისუფლი გადასახლებიდან გამოგზავნილ ბარათში დედას სწერდა: „გავიგე ნ. ნიკოლაძის გარდაცვალება, ჩატყდა საუკუნის უკანასკნელი ძველმაგარი ხიდის კაცი. ნეტავ როგორ დაასაფლავეს? ღირსეულად? მათთან სახლში როგორ არიან, რუსუდანი, თამარი ოჯახებით. გიორგის რა ისმის“ (გოთუა... 1995:88). ლევან გოთუა მოითხოვდა, ნიკო ნიკოლაძე სათანადოდ დაეფასებინა ერს.

ლევან გოთუას პირადი ფონდი თუშ მწერალსა და პედაგოგზე, თუშური ფოლკლორის შემგროვებელზე, **ივანე ბუქურაულზე** ჩანაწერებსაც ინახავს. ხაზგასმულია: მისი სიახლოვე ვაჟა-ფშაველასთან, შიო მღვიმელთან, ილია ჭავჭავაძესთან, გაზეთ „ივერიასთან“ ოცწლიანი თანამშრომლობა. ხოლო ექვთიმე თაყაიშვილმა სამეცნიერო სერიაში „საქართველოს სიძველენი“ 100 ხალხური ლექსი გამოუქვეყნა (სუიცა, საქმე №357:2).

ლევან გოთუა ივანე ბუქურაულს ასე ახასიათებს: „მთასავით კაცი, ჩუმი, ფიქრიანი, ვაჟკაცური სილამაზის პატრონი. თავდადებული და უანგარო. მდიდარი ბუნებითა, მოყვასობით და მეგობრობით“ (სუიცა, საქმე №357:8).

ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევებისა და მოთხრობების ავტორის ივანე ბუქურაულის მიერ შეგროვილი თუშური ლექსები დღეს ქართული ხალხური პოეზიის საგაძურშია. ლევან გოთუა მას მეცნიერებისთვის თუშური ეთნოგრაფიისა და ზეპირსიტყვაობის შემომნახველად მიიჩნევს,

„ჩვენს ერს უყვარს თავისი მძიმე, ვაჟკაცური ისტორია! ყოველ ქართულ მხარეს ჰყავს თავისი სასიქადულო პირი. თუშებმა მისცეს საქართველოს - ბუქურაული! მწერალი, მასწავლებელი, ხალხის სიბრძნეთა შემკრები“ (სუიცა, საქმე №357:8).

ლევან გოთუა გასული საუკუნის 70-იან წლებში, ვალერიან სულაკაურთან ერთად, იმყოფებოდა ივანე ბუქურაულის იუბილეზე ალვანში (ჯიყაშვილი 2009).

სავარაუდოდ, მწერლის დაბადების 100 წლის იუბილე აღინიშნა. ლევან გოთუა ივანე ბუქურაულის წიგნების გამოცემას და ზემო ალვანის ერთ-ერთი სკოლისთვის ბუქურაულის სახელის მინიჭებას მოითხოვდა. სამწუხაროდ, დიდი მწერლის აზრი არავის გაუთვალისწინებია. დღემდე დგას ზემო ალვანში ივანე ბუქურაულის ფარღალალა სახლი. კარგი იქნება, თუ ათეული წლების შემდეგ ივანე ბუქურაულის სახელს, მართლაც, მიანიჭებენ სკოლას და მის სახლში მუზეუმს გახსნიან.

თუ ზემო ალვანის სკოლას არ ჰქვია ივანე ბუქურაულის სახელი, სამაგიეროდ 1971 წელს ოზურგეთის რაიონის ძიმითის სკოლას პოემა „თამარიანის“ ავტორის, **სიმონ გუგუნავას** სახელი მიენიჭა.

„თამარიანი“ დიდი პოპულარობით სარგებლობდა იმ პერიოდში. ის მზითევში მიჰქონდათ,ზოგიერთი ნაწყვეტის მიხედვით სიმღერები იწერებოდა...

1938 წლის 18 სექტემბერს, მორიგი ექსპედიციის დროს, რაჭაში, ღების მახლობლად, ლევან გოთუას და მის მეგობარ მთამსვლელებს მოულოდნელად გააოცებს მოხუცი, რომელიც ზეპირად წაიკითხავს ნაწყვეტებს სიმონ გუგუნავას „თამარიანიდან“ (გოთუა 1960:159).

გაცნობის შემდეგ გაირკვევა, რომ ალექსი ლობჟანიძეს ამერიკა მოუვლია, „თამარიანი“ ზეპირად სცოდნია, უცხოობაში ამ წიგნს გადაუტანინებია ნოსტალგიის გრძნობა. „მე სამშობლოდ - „თამარიანი“ შემხვდა, უკანაც ამან ჩამომაბრუნა“ (იქვე).

ლევან გოთუას ცალკე ნარკვევი არ დაუწერია სიმონ გუგუნავაზე, მაგრამ არსებობს ჩანაწერები, რომელსაც ჰქვია: „სიმონ გუგუნავა და „თამარიანი“ (სუიცა, საქმე №342:1). სავარაუდოდ, ეს არის ჩანაწერები მომავალი ნარკვევისთვის, რომლის დაწერაც ვეღარ მოასწრო. ლევან გოთუა სულ სამჯერ „შეხვდა“ ამ პოემის ავტორს.

სიმონ გუგუნავაც, ლევან გოთუას მსგავსად, ძიმითიდან იყო. იგი 1909 წელს გარდაცვლილა, ლევან გოთუა 1905 წელს დაიბადა... მაგრამ, როგორც წერს, ისევ ახსოვს მასთან პირველი დაუსწრებელი შეყრა ძიმითში.

ეს ძიმითში მოხდა, სადაც ბებიამ წვეროსანი კაცის ფოტო აჩვენა და უთხრა: ეს წიგნი ამ კაცის დაწერილია, იგი გარდაიცვალა, წიგნი კი დარჩაო (სუიცა, საქმე №342:2). მანაც ბავშვური გულუბრყვილობით დაიჯერა, რომ დიდწვერიანი მოხუცი წიგნად იქცა.

რომ წამოიზარდა, „თამარიანის“ წაკითხვამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, „პირველად აქვე შემეღო წარსულის სიყვარულის კარი... მე ახლაც ჩემთვის ამ ცხოველმყოფელ გავლენას „ძიმითურ კარს“ ვუწოდებ“ (სუიცა, აქვე №316:8).

მესამედ სიმონ გუგუნავას ლევან გოთუა უკვე ხსენებული ექსპედიციის დრო შეხვდა, როცა ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფთან ერთად კავკასიონის მწვერვალები დალაშქრა... „უფრო ცხოვლადაც გამოთავთავდა მოხუცი მთხრობელი“ (იქვე).

ეს ეპიზოდი საინტერესოა იმ მხრივ, რომ მწერლისთვის წარსულის სიყვარული, ის კვლევა, რასაც მომავალში მთელი ცხოვრება მიუძღვნა, სწორედ „თამარიანის“ წაკითხვის შემდეგ დაიწყო. წიგნის სიყვარულსაც აქ ჩაეყარა საფუძველი: იგრძნო წიგნის ცხოველმყოფელი ძალა - გაერთიანდა წიგნი და კაცი (იქვე).

ჩვენი საუკუნე წიგნის საუკუნეა, „ახლა უწიგნოდ არცერთი საქმე აღარ გვარობს“... - ასკვნის ლევან გოთუა. ამიტომაცაა, რომ მისი პორტრეტების გალერეაში მწიგნობარ-მეცნიერნი განსაკუთრებით გამოირჩევიან.

რატომღაც ლევან გოთუას მიერ დახატული **გიორგი შატბერაშვილის** პორტრეტი წარმომიდგა თვალწინ სიმონ გუგუნავას გახსენებისას, წიგნი და კაცი, როგორც მწერალი ამბობს, აქაც გაერთიანდა. ნარკვევს „თეთრი ცეცხლი“ ჰქვია. დასაწყისი უკვე მიანიშნებს, რომ ორი თანაბარი სიძლიერის მეკალმე ხვდება ერთმანეთს.

„ორი მწერლის ერთად მოგზაურობა თავისებურ თანაავტორობას უდრის. ერთბაშად ილესება ორთა ხილვა და კალამი. საკალმეთიც ახალ სიღრმეებსა და არეარეებს აჩენს. ირგვლივ უამრავი დაწერილი და დაუწერავი ფურცლები ჰყრია“ (გოთუა 1970: 97).

ასეთი მრავლისმთქმელი მეტაფორებით იწყებს ლევან გოთუა „თანაავტორულ მოგზაურობას“ გიორგი შატბერაშვილთან ერთად. მისი დახასიათებით, იგი კაცური კაცი, გულფიქრიანი მწერალი, უკეთილესი მოქართულე, ჩვენი ბუნებისა და ისტორიის ხალასად მგრძნობია... მასთან სამშობლოს სიყვარულის გარდა მწერლობა და მოგზაურობა აახლოვებს.

ისინი მიუყვებიან გზას და კავთურას ხეობას. „დინჯად, დაგემრიელებით ვიდოდით. წარბშეკრულ ხეობით ვნუკბარობდით“ (იქვე).

ირგვლივ მშობლიური გარემოა, ტყე, ჩქერები, გალობა... პოეტურად და ლევან გოთუასებური ჩვეული ხატოვანებით, ჯავარიანი ქართულითაა გადმოცემული ბუნება

და საკუთარი განცდები - თუ ბუნებას მთელი არსებით მიენდობი, ისიც შენს გულისთქმას ისმენს და ლამაზ კამერტონს გამოსცემს, მაგრამ ორმაგად განსაცვიფრებელია, როცა შემოქმედი გადის ბუნებაში - ამ დროს იხსნება სამყაროს კარიბჭე.

„სამყაროს დიდ-პატარა კარიბჭეების გახსნას მკაფიოდ ვგრძნობდით... მაგრამ ჩვენც გვქონდა ჩვენი კილო და ადგილსაყუდი! იდგა ჟამი შინაგან განცვიფრებისა. ეს შემოქმედების პირველი საფეხურია. ჩვენც მივდიოდით, ირგვლივ კი ერთი ვეება დინება მიმობრუნავდა“ (გოთუა 1970:97).

ამ გზაზე ლევან გოთუა ზოგადად ადამიანის ფორმულას აყალიბებს, რომ ადამიანი სრულყოფილი მაშინაა, როცა სამ დროში ცხოვრობს - აწმყოში, წარსულსა და მომავალში. „ადამიანი მარტო „სადღეისოთი“ არ უნდა იფარგლებოდეს. მუდმივ სამთაგანას უნდა გრძნობდეს, თავისი „წარსულითაც“ და „მომავლითაც“ (გოთუა 1970:98).

ორი მწერლის დიალოგიდან იკვეთება, რომ სიტყვის ჭაშნიკობა მწერლისთვის აუცილებელია: უჭაშნიკო მწერალი უმარილო მწერალია, რომელიც კუტ პურებს ამრავლებს, - ასკვნის ლევან გოთუა.

საინტერესოა, რომ ლევან გოთუა ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულობის იდეით გამოდის, რომ ისინი ერთი მთლიანობაა და რომ ადამიანსა და ბუნებას შორის არ უნდა ჩადგეს არც ბუნება და არც ტექნიკა. თუ ბუნებას დაუმეგობრდები და ახლობლად მიიღებ, გულშიშველი ხდები, ანუ ყველა ბიწი და ცოდვა გცილდება და მის ნამდვილ შვილად იქცევი - კეთილი, გრძნეული, მისი ენის მცოდნე და გულთმისანი. ასეთ ადამიანს ლევან გოთუა „გულშიშველს“ უწოდებს. იქნებ ასეთი იყო ვაჟას მინდიაც და მწერალმა მისი მსგავსი თანამედროვე ადამიანის სახე თავისებური მეტაფორით გამოხატა?

გულშიშველი ადამიანი კეთილია. „ჩვენი კაცის სიკეთილე ჩვენის ბუნებიდან მომდინარეობს“, - ასკვნის მწერალი (გოთუა1970:97).

ტყეში ჩახატული ქვათახევისკენ მიმავალ გზაზე ბუნების ულამაზესი სურათები ცოცხლდება. „გიორგიმ ხელი და თავი ერთად დამიქნია. გზისპირა შავრცხილას დიდი ლოკოკინა გააცალა, ბალახოვანზე ჩამოსვა... შემოფეთებულ ჭიამაიას მლოცველივით ხელი აღეპყრო, გაფრენას დაელოდა, ერთი ლექსის მანძილზე თვალიც გააყოლა...

- ლევან! ჩვენი ბუნება არა მარტო მრავალსახოვანი სულიერია, არამედ „მრავალსიტყვიერიც!“

ვიგრძენ, გიორგი „სიტყვიერს“ მეტყველის მნიშვნელობით არ გულისხმობდა. წინწკლები ველარ გავხსენი...

- მაგალითად?

- მაგალითად ახლა ქვათახევში მივალთ... ჰა, ტაძარიც!“ (გოთუა 1970:98).

შემეცნებითი ინტერესი უფრო იზრდება, როცა გიორგი შატბერაშვილი სიტყვა „ქვათახევის“ ეტიმოლოგიას ხსნის, რომელსაც საფუძვლად „ქვა“ და „ხე“ უდევს. ამ მცდელობას ლევან გოთუა საინტერესოდ ავითარებს და ქვისა და ხის ერთიანობის იდეით გამოდის. სწორედ ქვის წიგნები უძველესი ქართული წარწერებით ინახავენ ისტორიას. ისინი არიან დიდი მემატიანენი. ისტორიული ძეგლების მსგავსად, ერის ისტორიის ნაწილია ხეც. უამრავი შემოსევის დროს ხე-ტყემ მრავალჯერ იხსნა საქართველო, - ასე ფიქრობდა ლევან გოთუა და ეს აზრი მის მთელ შემოქმედებას გასდევს.

ქვისა და ხის ერთიანობის დარღვევას ერის ფიზიკურად განადგურების საფრთხე მოსდევს. „ჩვენი ქვისა და ხის განუყრელობა, ისევე სწამს ჩვენი ერის ყოველ ჟამის თაობას, როგორც ჩვენი მიწა-წყლისა!... სადაც გაიყარა ან ერთი, ან მეორე „მთლიანობა“, იქ აღარ დარჩა ქართველი ტომის კაცი!“ (გოთუა1970:98).

საუბრიდან ირკვევა, რომ გიორგი შატბერაშვილის შთაგონების წყარო ქვა გამხდარა, ლევან გოთუასი კი - ხე, იგივე ტყე. და რომ კავთურას ხეობაში მათი მოგზაურობა მომავალი ნაწარმოებების დაბადების საწყისად იქცა. გიორგი შატბერაშვილისთვის ეს იქნება „საჯილდაო ქვა“, ლევან გოთუასთვის - „ნისლი ნახატარის ტყეში“.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ საუბრის დროს იპოვეს გზაზე ხავსმოდებული ქვა ძველმხედრული წარწერით - „რუსთაველი“, რაც დასტური იმისა, რომ ქვები ისტორიის შემნახავია.

მოულოდნელი აღმოჩენით გამოწვეული განცდა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ლევან გოთუას მეხსიერებაში ხეობებით დასერილი სრულიად საქართველო ცოცხლდება.

„უეცრად თვალი რომ გადავავლეთ მეხსიერებაში აღბეჭდილ, მთაგრეხილებითა და ხევებით დასერილ საქართველოს, ესეც ვინიშნეთ, რომ თითქოს ყოველი ხეობა ასე „თავკავთურად“ არის შენივთული და შეჯერებული, ბუნების მადლითა და ჩვენი ერის შემოქმედურ მარილით“ (გოთუა1970:100).

სწორედ ამ გარემოში ხმიანდება შემოქმედების უკვდავების იდეა. ლევან გოთუას აზრით, მაღალი შემოქმედება იღებს სიკვდილის რევანშს.

„- ბუნება ხომ მარადია და მარადი... მაგრამ სიკვდილს თუ გამოსტაცებს ვინმე რევანშს?! - სულ სხვა ხმით მკითხა ხეობის თანამგზავრმა.

- გამოსტაცებს... შემოქმედება!“ (იქვე).

მახსენდება კონსტანტინე გამსახურდია: „ხელოვნებაა თავად უკვდავება. მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“ (გამსახურდია 1959:577). ლევან გოთუამ ეს სიტყვები ამ კონკრეტულ შემთხვევაში გიორგი შატბერაშვილს მიუსადაგა, რომლის შემოქმედებამაც, მისი აზრით, სძლია სიკვდილს.

„მე ახლაც ხშირად ავყვები ხოლმე მშობლიურ ხეობებს... ვეგულისხმები ბუნებასა და წარსულის ძეგლებს, მაგრამ თანამგზავრად აღარა მყავს თავკავთისა და დიდგორის წილ სამყაროს „თვალადი და ტანადი“ მწერალი. მას მაშინ უმუხთლა ცხოვრებამ და ჯანმა, როდესაც განსაკუთრებით მოუმწიფდა გული და მარჯვენა... მოუმრავლდა თეთრი ცეცხლი ჯერ უკალმოდ „დაწერილ“ წიგნებისა!..

ვაგლახ, ამათ კი რაღა ეშველებათ... აღარ უწერიათ ხორცის შესხმა და საეროდ ამეტყველება, მაგრამ განხორციელებული მაღალი შემოქმედება სიკვდილის რევანშია და აქ „შავეთმა“ ვეღარ სძლია „საჯილდაო ქვის“ ავტორს“ (გოთუა1970:100).

თუ თეთრი ფერი სიწმინდისა და უმანკოების სიმბოლოა, შესაბამისად, თეთრი ცეცხლიც იგივე დატვირთვას იძენს. თეთრი ცეცხლი მაღალი შემოქმედების სინონიმია. სწორედ ასეთი შემოქმედება სძლევს სიკვდილს.

ნარკვევში ორჯერ გვხვდება სიტყვა „დიდგორი“. ეს შემთხვევითი არაა. დიდგორის კალთაზე დგას თავკავთის ძველი ციხე, „აქედან იწყება დავით აღმაშენებლისა და საერთოდ „ქართლის ცხოვრების“ დიდგორი“. ამავე დროს, თავად გიორგი შატბერაშვილი თავკავთისა და დიდგორის წილ სამყაროს „თვალადი და ტანადი“ მწერალია, - და იქნებ სწორედ მას აკისრებს დიდ მისიას, რომელის სახელსაც უნდა დაუკავშირდეს მწერლობის აღორძინებაც და მისი დიდგორიც?

ლევან გოთუა ნარკვევის კომპოზიციის აგებისას სხვადასხვა მხატვრულ ხერხს იყენებს. შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებით დახუნძლული თხრობა კავთურას ხეობის ეგზოტიკას სხვა ელფერსა და მარილს სძენს. ხსენებულის დასტურად მოვიყვან თუნდაც ერთ პატარა ადგილს:

„შემოქმედურ ფიქრს ზამბარასავით შლიდა და კუმშავდა სიტყვის ოსტატი... ათას ფხას უსინჯავდა სიტყვებს!

- ჭაშნიკობ?!

- რატომაც... უჭაშნიკო მწერალი - უმარილო მწერალია! - მაგრამ ეს ფხაგაკრული სტრიქონი იყო, ფიქრის დვრიტას კი ჯერ უჩინმაჩინის ქუდი ეხურა“ (გოთუა1970:98).

ნარკვევი მსგავსი სულისკვეთებითაა დაწერილი. ის ყურადღებას იპყრობს მხატვრული ხერხების სიუხვით, ბუნებრივი დიალოგებით, მდიდარი ლექსიკით, წერის დახვეწილი სტილით და ფსიქოლოგიზმით...

აღსანიშნავია ისიც, რომ მკითხველზე ზემოქმედებას ზრდის ავტორის გულწრფელობა. როდესაც ორი მწერალი ჩერდება ქვათახევთან, რომელსაც ქართული გუმბათი არ ადგას. ისინი ნატრობენ, როდის ეღირსება ტაძარს ქართული გუმბათი. ლევან გოთუა აქვე მომავალიდან ლაპარაკობს და უკვე ამ ოცნების ასრულებას გვამცნობს. იგი მიმართავს გიორგის: „ახლა მე მოწმე და მომსწრე ვარ, შენ კი, ჩემო გიორგი, ვეღარ მოესწარი... ქვათახევის ტაძარს ისევ ქართული გუმბათი აღუმართეს და მისი თავდაპირველი მშვენება სრულად აღდგენილია“ (იქვე).

ვფიქრობ, ეს ნარკვევი სასკოლო სახელმძღვანელოში არის შესატანი. მოსწავლე ლევან გოთუას არა მხოლოდ ჯავარიან ქართულს ეზიარება, არამედ შეიცნობს მშობლიური მიწა-წყლის წიაღში დახატულ ორი დიდი მწერლის პორტრეტს და მათ დამოკიდებულებას გარესამყაროზე, ბუნებაზე, საქართველოზე, შემოქმედებაზე...

თუ გიორგი შატბერაშვილი დიდგორის წილი სამყაროს მწერალი იყო, **ჰაიდარ აბაძიძეს** ლევან გოთუა ჩვენი ეროვნული მთლიანობის ხევისბერად მოიხსნიებდა.

1964 წლის 21 მარტს თბილისში, მწერალთა კავშირში, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის **ჰაიდარ აბაშიძის** 70 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე ლევან გოთუამ ხაზგასმით აღნიშნა მისი ღვაწლი: ასეთმა მოღვაწეებმა შემოინახეს ისტორიული საქართველო, და თუ ქართული გული, სიტყვა და

სულისკვეთება ლაღობს აჭარიდან საინგილომდე, ამაში ჰაიდარ აბაშიძის მადლი და დამსახურებაა.

„ყოველი ერი დიდია მხოლოდ თავის შვილთა დიდებულ ღვაწლით! ხოლო იმ ხალხს, რომელსაც ახსოვს და უყვარს თავისი მოღვაწენი, იცის მათი მოვლა და ფასი, არც ასეთ ძეთა კვლავაც შობა და აღზრდა გაუჭირდება!“ (სუიცა, საქმე №322:6).

თანამედროვე „ქართლის ცხოვრების“ მოკრძალებულ მოამაგეს მწერალი ასე მიმართავდა: „ჩვენი მთლიანობის სამხრეთულო ალამო, დაუღალავო და უბერებელო“ (იქვე).

1965 წლის 29 დეკემბერს ჰაიდარ აბაშიძე გარდაიცვალა. მის დაკრძალვაზე ლევან გოთუა იტყვის: „მაშინ, როდესაც განახლებული ისტორიის სათავეებთან ბევრი დაიბნა, თავის თავს განუდგა, მხდალი აღმოჩნდა, იგი თვალდახუჭული იდგა „ყველაზე უძნელეს ზღვარზე“... თვალს უხელდა ყველას, წერდა, ქადაგებდა, იბრძოდა. ყველგან იყო განმაახლებელი ქართველობისა! იგი დედაენითა და თვითშეგნებით აღუდგა სამასწლოვან ძვრასა და სეტყვას, ბურუსს, დუხჭირს მიძალებისას! თავისუფლების ცოცხალ ძეგლად იდგა სპერის ზღვის პირას და ქართულ ზარს აჟღარუნებდა“ (სუიცა, საქმე №322:8).

ლევან გოთუას აზრით, არიან მოღვაწენი, რომელთა დაკრძალვაც დიდ ტკივილთან ერთად გამოსაფხიზლებელია, იმედს უნერგავს ერს, თავისი ცხოვრების მაგალითით ამხნევებს. მან ანდერძად დატოვა, რომ ჩვენი სამშობლოს არცერთი ღირსეული შვილი არ ყოფილიყო თავისი ერისა და ქვეყნის გარეშე. ჰაიდარ აბაშიძეს ძველ ხანძთელებს ადარებს, რომელიც იყო ეროვნული მთლიანობის, ზნეობის, სულიერი სიფაქიზისა და კეთილშობილების დაუშრეტელი წყარო.

„მიწა ყველას იმარხავს, ამაოდ დამაშვრალთაც და უღირსთაც... მაგრამ თავის სამშობლოს წინაშე ჭეშმარიტად ვალმოხდილთ უკვდავებად ეყრება, ემსუბუქება და მართლაც დედა-მიწად კალთას აფარებს" (სუიცა, საქმე №322:9).

ლევან გოთუას მწიგნობარ-მეცნიერთა გალერეიდან უანგარო მოღვაწეობით და გულხვავიანი წვლილით გამოარჩევს 80 წლის აკადემიკოსს, **გიორგი ჩუბინაშვილს**. ის მხოლოდ უბრალო მწიგნობარ-მეცნიერი არაა, არამედ მე-20 საუკუნის აღორძინებული ქართული კულტურის ერთ-ერთი დაუღალავი მთაწმინდელია. „...ჩვენს

ხუროთმოძღვრულ შედევრებს მან მეცნიერული თანამატიანე შეუდგინა. ახალი, უმყარესი მწიგნობრული საფუძველი შეუყენა“ (გოთუა 1965:3).

დიდია გიორგი ჩუბინაშვილის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, მისმა მრავალმხრივმა ღვაწლმა ქართულ მრავალსაუკუნოვან ხუროთმოძღვრებას „ჟამთა სიავის გამო მიჩქმალული დამოუკიდებელი სახე კვლავ აღუდგინა“ (იქვე).

ლევან გოთუა მას ძეგლების მინდიად მოიხსენიებს, რომელმაც გააცოცხლა ძეგლთა სამყარო: „ძეგლების მინდიამ მჭევრმეტყველურად აალაპარაკა თითქოს უტყვი, ხშირად უწარწერო, უთარიღო, შებღალული და ხანგრძლივი სიმუნჯით შენაპყარი ჩვენი დიდებული ძეგლთა სამყარო“ (იქვე).

სათაურიც „ჩვენი ძეგლების მინდია“ ზუსტად გამოხატავს წერილის პათოსს იმ „ხელბარაქიან მეცნიერზე“, ვინც ხუროთმოძღვრულ შედევრებს მეცნიერული თანამატიანე შეუდგინა და ამით „ეროვნულ ქვა-კამარათა ღაღადისი უკვდავყო“ (იქვე).

ლევან გოთუა სრულყოფილი მოღვაწის პორტრეტს ქმნის. მისი თვალით დანახული მკვლევარი დიდი ვერ იქნება მხოლოდ მეცნიერული სიმართლით, თან უნდა ერთვოდეს ზნეობრიობა, ადამიანური უბრალოება და გულისხმიერება.

„მან მთელი სკოლა დამოძღვრა მშობლიურ ხელოვნებათმცოდნეობაში, გამოზარდა რამდენიმე თაობა ახალგაზრდა მეცნიერებისა და ამით თავის ფუძემდებლურ წიგნებსა და იდეებს მრავალი განმგრძობი, მისსავე ზნეობრივ და მეცნიერულ ყალიბში გამობრძმედილი მოღვაწე-მოამაგე შესძინა. მას ბედნიერებად გაუერთიანებია მეცნიერული სიმართლის ქედუხრელობა, საოცარი განჭვრეტა დროთა და ქვათა... თანაც ადამიანური უბრალოება და გულისხმიერება“ (იქვე).

კიდევ ერთი ზნეობრივი მეცნიერის პორტრეტს გვიხატავს იგი აკადემიკოს **ალექსანდრე ბარამიძის** 70 წლის საიუბილეო საღამოზე გამოსვლისას. მას ერის სულიერი ისტორიის მწერალს უწოდებს.

ლევან გოთუასთვის იდეალური მეცნიერის პორტრეტს პოეტურობა კიდევ ერთ შტრიხს სძენს. მისეული დახასიათებით, ალექსანდრე ბარამიძე საწიგნეთის მოღვაწეა, რომელსაც დიდ მოძღვართა სავანედან (ვახტანგ VI, თეიმურაზ ბატონიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, აკაკი შანიძე...) გამოყოლილი განსწავლულობა და სიყვარული, კვლევის დახვეწილი და შეუდრეკელი უნარი, განჭვრეტა და საარაკო შრომისმოყვარეობა გამოჰყვა.

„მრავალმხრივი შემოქმედება და სულიერი პოეტურობა, ჩვენი ისტორიის ფურცლების მარადჟამი ჭვირნიშანი იყო და არის!... მეფე-მგოსნები, მეცნიერ-მწერლები, მწიგნობარ-მეხოტბენი, ბერ-მონაზონ-საგალობელთა და კილოთა მთხზველნი“ (სუიცა, საქმე №354:9).

სწორედ მრავალმხრივ მოღვაწეობას უსვამს ხაზს მწერლის, მეცნიერისა და მთარგმნელის, **ალექსანდრე ნეიმანის** დახასიათებისას, რომელიც კულტურის მრავალ დარგში მოღვაწეობდა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად „სიტყვების კონებად და ბუდეებად შეკვრა უყვარდა!“ (გოთუა1967:4). მას ალმასის მთლელს ადარებდა, რომელიც მოგროვილ ქართულ სიტყვებს მასავით სინჯავდა და თავის ბუდეში სვამდა.

ალექსანდრე ნეიმანის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი ლევან გოთუას წერილი არა მხოლოდ მის ღვაწლს წარმოაჩენს, არამედ მეცნიერის პორტრეტსაც ხატავს. გაპიროვნების ხერხი უფრო თვალსაჩინოდ ძერწავს მის პიროვნებას.

„დადიოდა ეს ტანოვანი „გულივერი“ ჩვენ შორის და ჩვენ ალბათ ვერც ვამჩნევდით, რომ მას ირგვლივ მუდამ ციცქნა სიტყვები „ესივნენ“... კალთებსა და გულისპირზე ეჭიდებოდნენ... თავის ბუდეებს სთხოვდნენ“ (იქვე).

მწერალი საინტერესო პარალელს ავლებს მიწასა და სიტყვას შორის. მისი აზრით, ჩვენი ქვეყნის სიტყვა და მიწა ტყუპი დები არიან და უფრო მეტიც.

„ჩვენი სიტყვა - ჩვენივე მიწა-წყლის ახმაურებული ანარეკლია, ჩვენს გრძნობებში ჩამოკვესილი! ეს ჩვენი სინონიმების მისანმა კარგად იცოდა, ერთს კი ჩვენც დავუმატებთ - ალექსანდრე ნეიმანის ცხოვრება და მოღვაწეობა ისეთი მადლმოსილია, რომ მისთვის გარდაცვალება - არა სიკვდილისა, არამედ უკვდავების სინონიმია“ (იქვე).

ლევან გოთუას ახალი კომპოზიტი შემოაქვს - „დაიხანდაზმა“, ანუ ნეიმანმა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გვერდში ედგა ერსა და საუკუნეს, დაიხანდაზმა ორივე, მათთან ერთად გახდა ხანდაზმული, მაგრამ ახლის გრძნობაც ბოლომდე შეინარჩუნა. ამიტომ უწოდებს მას მრავალმხრივსა და თანადროულს.

საყურადღებოა პოლემიკური წერილი, რომელიც ალექსანდრე ნეიმანის მიერ შედგენილ „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ გამაკრიტიკებელს, ც. კიკვიძეს დასაბუთებულად ეპაექრება. „მეცნიერული ჟურნალის არამეცნიერული რეცენზიის გამო“ - უკვე სათაურშივე გამოხატულია ავტორის ტენდენცია და მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ამ წერილისადმი, რომელიც საქართველოს

მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (№2, 1963 წ.) გამოქვეყნდა. ამ რეცენზიაზე ლაპარაკი არც ღირდა, რომ ის არ დაბეჭდილიყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ავტორიტეტულ ორგანოშიო - წერს ლევან გოთუა (გოთუა 1963:4).

ასე რომ, ლევან გოთუა წიგნსა და მეცნიერებას, ასევე - მწიგნობარ-მეცნიერებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერის აზროვნების ასპარეზზე. ამ ასპარეზზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს **ჩვენი მეცნიერების სვეტიცხოველს** უწოდებდა. უნივერსიტეტის ნახევარსაუკუნოვანი იუბილესადმი მიძღვნილ წერილში იგი ხაზგასმით ამბობდა: „საქართველო ოდითგანვე დამწერლობის, აზროვნების, მჭევრმეტყველების, მეცნიერეული კერების ქვეყანა იყო. ჩვენმა ხალხმა მთელი თავისი მძიმე ისტორიის ქარცეცხლში აბჯარი შელეწილად, მაგრამ წიგნი და მეცნიერული შუბლი დაუშრეტელად გამოატარა, რადგან იცოდა სულიერ, მეცნიერულ საფასეთა ისტორიული წონა. ამიტომ არის, რომ XX საუკუნის ჩვენი პირველი უმაღლესი სასწავლებელი, ჩვენი მეცნიერების სვეტიცხოველი ძველთაძველ, მყარ საძირკველზე არის წამომდგარი“ (გოთუა1968:3).

ახალი დროის მწიგნობარ-მეცნიერნიც, ლევან გოთუას აზრით, სწორედ უძველეს მყარ საფუძველზე უნდა იდგნენ და, იმავდროულად, სიახლის გრძნობაც არ უნდა დაკარგონ და თანამედროვეობას პასუხობდნენ.

ლევან გოთუას **ივანე ჯავახიშვილისთვის** ცალკე წერილი არ მიუძღვნია, მაგრამ საგულისხმოა, რომ მას ისტორიის გუთნისდედად მოიხსენიებდა (სუიცა, საქმე№342: 5).

კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი ლევან გოთუას პორტრეტებისა - სამშობლოს სიყვარულია. ყველა ნარკვევს თუ წერილს სწორედ ეს ნიშანი გამოარჩევს.

თეატრის მოღვაწეებიდან ნიშანდობლივია ლევან გოთუასეული **სერგო ზაქარიაძის** პორტრეტი: „სამშობლოს სიყვარული არის უძლიერესი და უსათნოესი საფუძველი და საფუარი დიდ საკუთარ შემოქმედებისა. ხოლო დამსახურებული სიყვარული ერისა - კვლავ ახალ ძალებს და მხნეობას ჰმატებს შემოქმედს“ (სუიცა, საქმე №315:11).

ამიტომაც „კაცი ერისა“ ჰქვია სერგო ზაქარიაძის გამოსათხოვარ წერილს, სადაც მწერალი მას ქართული სულისკვეთების მსახიობს უწოდებს, რომლის ნიჭსაც, ლევან

გოთუას აზრით, ეროვნული ხასიათი ჰქონდა, „ქართულად აჟღერებული - საკაცობრიოში გადასული მჭექარი ხმა“ (გოთუა 1971:3).

სერგო ზაქარიაძის მიერ განსახიერებული გმირების გალერეა ყველა დროისა და ერის გამოძერწილი ამეტყველებული და გაცოცხლებული ფრაგმენტებია - იქნება ეს ოიდიპოსი თუ კრეონტი, ჯიბილო თუ ურიელ აკოსტა, ფიროსმანი თუ თინიბეგი, ბესიკი თუ დავით აღმაშენებელი, „ბახტრიონის“ ქადაგი თუ მინაგო, სამანიშვილი თუ „ჯარისკაცის მამა“, ბლიუხერი, ლუი ბლაზი თუ „ჭინჭრაქას“ დევი...

სერგო ზაქარიაძე დრამატული ნიჭის „დაბრძენებისა და დანატიფების ჟამს“ გარდაიცვალა, რასაც ლევან გოთუა უფრო როლის შეცვლას ამსგავსებს: ერის თეატრის თავკაცი ახლა სხვა როლში მოგვევლინება, სიკვდილს მხოლოდ დიდი შემოქმედება უმკლავდება და იმარჯვებს.

ლევან გოთუას პიესა „უძლეველნი“, 1945-46 წლებში მარჯანიშვილის სცენაზე 36-ჯერ დაიდგა. სერგო ზაქარიაძის როლმა დიდი წარმატება მოუტანა სპექტაკლს.

1946 წლის 23 თებერვალს „დავით აღმაშენებლის“ პრემიერაც გაიმართა, მეფე დავითის როლს სერგო ზაქარიაძე, კათოლიკოს-პატრიარქის როლს კი შალვა ღამბაშიძე ანსახიერებდა.

ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელი“ ქართული დრამატურგიის საუკეთესო ქმნილებად მიაჩნდა ვახტანგ ტაბლიაშვილს: „ზნეობრივი სიმტკიცე არის ერის არსებობის უპირველესი ძალა! - ეს იყო დედააზრი სპექტაკლისა და ამ აზრით იყო გამსჭვალული ყველა კომპონენტი. სპექტაკლის ძირითადი კომპონენტი, რა თქმა უნდა, მსახიობია და ამ მხრივ ბედმა გაგვიღიმა, როლები კარგად განაწილდა: დავით აღმაშენებელი - სერგო ზაქარიაძე, კათალიკოსი - შალვა ღამბაშიძე, ჭყონდიდელი - გიორგი შავგულიძე, მზეთვალა - ვერიკო ანჯაფარიძე, გვარანდუხტი - ნატო ვაჩნაძე, გუდარეხვაი - ვასო გოძიაშვილი. ამ ლეგენდად ქცეული მსახიობების გარეშე წარმატებას ვერ მივაღწევდი“ (ჯიშკარიანი 2016:68).

უფრო ადრე ლევან გოთუას პიესას „მეფე ერეკლეს“ ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა - ბესიკ გაბაშვილის როლში სერგო ზაქარიაძე, პაატა ბატონიშვილის როლში კი შალვა ღამბაშიძე გამოდიოდნენ. წარმოდგენები ანშლაგით იმართებოდა, მეასე წარმოდგენაზეც გადაჭედილი იყო დარბაზი.

ვახტანგ ტაბლიაშვილის გახსენებით, თავდავიწყებით მუშაობდნენ.... საღამოს რეპეტიციები ხშირად შუაღამეს გადასცდენია. ჯვარცმულის ღვთისთვის თავად ჯვარცმულ საქართველოს სახეს ვეძებდითო.

რეჟისორი გამოარჩევს ვასო გოძიაშვილის ერეკლე მეფეს, ვერიკო ანჯაფარიძის ანა ბატონიშვილს, შალვა ღამბაშიძის პაატას, სერგო ზაქარიაძის ბესიკს, გიორგი შავგულიძის საიათნოვასა და ალექსანდრე ომიაძის ბერუჩას, მათი სახეები ბრძოლითა და სიყვარულით შთაგონებულთა სისხლ-ხორციანი სახეებია, მათი მოქმედება წვა იყო, რომელიც მხურვალებას ანიჭებდა მთელ სპექტაკლსო.

რეჟისორი ლევან გოთუას „დავით აღმაშენებელს“ სტილისტურად განასხვავებს „ერეკლესაგან“, რაც დრომ და ეპოქამ განაპირობა. ერეკლე ნგრევაში მყოფ სამშობლოს გადარჩენისათვის იღწვის, დავითი განადგურებული ქვეყნიდან ძლიერ საქართველოს ქმნისო.

„ერეკლეს“ სიტყვა ჩრდილიანია, ძარღვიანია, მდუღარეა; „აღმაშენებლის“ სიტყვა შუქმოსილია, მონოლითურია, მდგრადია. „ერეკლეს“ მოქმედების დინება თავაწყვეტილ თერგს მაგონებს, „აღმაშენებლის“ მოქმედება - ზღვის ტალღას“ (ჯიშკარიანი 2016:67).

სამწუხაროდ, იმ პერიოდში უამრავი დადებითი რეცენზია იწერებოდა, ხოტბას ასხამდნენ დასს, მსახიობებს, მაგრამ ორგადასახლებამოვლილი ლევან გოთუას მიმართ კრიტიკოსები სიტყვაძუნწობდნენ. ზუსტად შენიშნავდა ელგუჯა მაღრაძე: „მკითხველებს იგი ძლიერი სიყვარულით უყვარდათ, პატივს სცემდნენ, ეთაყვანებოდნენ და აღმერთებდნენ, თუმცა ქართულ კრიტიკას ლევან გოთუასთან ე.წ. Bellum frigidum - ცივი ომი ჰქონდა გამოცხადებული“ (მაღრაძე1985:13).

მის წასახლისებლად დუმდნენ მწერალთა კავშირშიც. ლევან გოთუა არაფერზე პრეტენზიას არ აცხადებდა: მე მათი არაფერი მინდა, ოღონდ თავი დამანებონ და მუშაობის საშუალება მომცენო (გოთუა... 1995:241).

სხვათა შორის, უკვე მოგვიანებით, 60-იან წლებში, სერგო ზაქარიაძეს სურდა, რომ „გმირთა ვარამი“ სპექტაკლად დადგმულიყო და თავადვე ეთამაშა. ლევან გოთუამ დაიწყო ამ პიესაზე მუშაობა, რომელიც ორმოქმედებიან წარმოდგენად იყო ჩაფიქრებული. რუსთაველის თეატრში სპექტაკლი სერგო ზაქარიაძის გარდაცვალების გამო ვეღარ დაიდგა.

ამ ამბავს თავად მწერალი იხსენებს ინტერვიუში, ჯერ წუხს, რომ მისი ურთიერთობა თეატრთან ბოლო დროს გართულდა და ამის ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებს, რომ თეატრის ძველი მოღვაწენი აღარ არიან.

„ჩემი დიდი მეგობარი სერგო ზაქარიაძეც სრულიად მოულოდნელად და უდროოდ დაგვცილდა. მისი დიდი თხოვნით „გმირთა ვარამის“ თემაზე ორი დრამა დავწერე. მას უნდა დაედგა რუსთაველის თეატრში. ერთ-ერთს უკვე ამზადებდა. თვითონ ალექსანდრეს თამაშობდა. ვაგლახ, სერგო აღარ არის ჩვენთან და ჯერჯერობით ამით ყველაფერი დამთავრდა“ (ვაშაძე1972: 3).

ლევან გოთუას სიკვდილის შემდეგ, 1976 წლის 4 ნოემბერს, მარჯანიშვილის თეატრში „გმირთა ვარამის“ ორმოქმედებიანი დრამის პრემიერა არჩილ ჩხარტიშვილის რეჟისორობით გაიმართა. სპექტაკლი მიეძღვნა **ლევან გოთუას** დაბადების 70 წლისთავს.

შალვა ღამბაშიძის მეტყველებას ლევან გოთუა „კეთილშობილ ქართულს“ უწოდებდა. 20- 30-იან წლებში რუსულ ინტონაციას ვერც დიდი მსახიობები აღწევდნენ თავს. ღამბაშიძის ხმის მოსასმენად კი თურმე ხალხი სპეციალურად დადიოდა თეატრში.

„მარჯანიშვილის აბჯროსნების თაობა. ხანდაზმულ ადამიანის ფიქრის სარკე. ჩემი შალვა... უხერხულად დიდი... სქელტუჩა გულის კაცი... უკეთილესი თვალებიანი და ღიმილის მთესველი. ჩემი ნათლია თეატრალური... სცენის მოძღვარი“ - ასე ახასიათებს ლევან გოთუა მსახიობს (სუიცა, საქმე №357:24).

1941 წელს, როდესაც ლევან გოთუა მწერალთა კავშირის წევრად მიიღეს, მისი დრამა „მეფე ერეკლე“ მარჯანიშვილის სამხატვრო საბჭომ მიიღო დასადგმელად, მარჯანიშვილის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი კი სწორედ შალვა ღამბაშიძე იყო.

მოგვიანებით ვახტანგ ტაბლიაშვილი იტყვის: „ბედმა მარგუნა ლევან გოთუას ისტორიული შინაარსის პიესების დადგმა. ეს იყო მაღალმხატვრული ღირსების თხზულებანი, რომელთა სცენაზე განხორციელებამ აამაღლა ჩემი პროფესიული დონე“ (ჯიშკარიანი 2016: 67).

ლევან გოთუას კეთილმოსაგონებლად დარჩა კიდევ ერთი მსახიობი **კოტე დაუშვილი**, რომელსაც პირველად დრამატურგიული მოღვაწეობის დასაწყისში

სპექტაკლ „მეფე ერეკლეში“ შეხვდა, სადაც ჯერ შეთქმული თავადის, შემდეგ კი აზატ-ხანის როლს ანსახიერებდა. მაშინ არავისთვის გამიმხელია, მაგრამ ორი მსახიობი მეგონა და კულისებში ხან შეთქმულ თავადს, ხან აზატ-ხანს დავეძებდიო, - წერს ლევან გოთუა. ეს „საიდუმლოება“ მხოლოდ ბოლოს გავიგე. „იგი ყოველ როლს, დიდსა და პატარას რაღაც დაუშვილურ სიმართლითა და გარდასახვით ახორციელებდა“ (სუიცა, საქმე №336:1). ლევან გოთუა განსაკუთრებით გამოყოფს მისი პიესა „უძლეველის“ ოლიფანტე ლობჟანიძის როლის შემსრულებელ კოტე დაუშვილს, რომელმაც მას „სრულად „ოლიფანტური“ ცეცხლი“ წაუკიდა (იქვე).

1956 წელს, განახლებული „მეფე ერეკლეს“ დადგმის დროს, სადაც კოტე დაუშვილი უკვე პაატა ბატონიშვილს თამაშობდა, ლევან გოთუა იტყვის: „ის დიდი სულიერი ჭიდილი, რომელიც როლის მიხედვით ახასიათებდა ჩემს პაატას, შემართულმა მსახიობმა დიდი ტაქტით, ზომიერებით და ტრაგიკულ დამაჯერებელობით დაგვანახვა. მე ყოველთვის მახარებდა მისი კეთილი ქართული, რომლითაც იგი მეტყველებდა სცენიდან“ (სუიცა, საქმე№336:2).

ნაწყვეტი მოწმობს, თუ რა დიდ როლს ანიჭებდა მწერალი სცენიდან კარგ ქართულ მეტყველებას. შალვა ღამბაშიძე თუ კეთილშობილი ქართულით მეტყველებდა, კოტე დაუშვილის კეთილი ქართული იყო თვალშისაცემი.

კინორეჟისორი **ოთარ ჭიაურელი** იმ ხელოვანთა რიგების წარმომადგენელი იყო, რომლებიც „კეთილად მოღვაწეობენ“, მაგრამ არ ხმაურობენ, „უანგარო და უხმაურო ღვაწლით“ გამოირჩევიან. მოწოდებით მგოსანს „დადინჯებული მხატვრის თვალი“ ჰქონდა, „ეს ორმაგი სუნთქვა იყო ქვაკუთხედი მისი შემოქმედებისა“ (სუიცა, საქმე №332:2).

ოთარ ჭიაურელი ლევან გოთუას სცენარის მიხედვით შექნილი დოკუმენტური ფილმის „სვეტიცხოვლის“ რეჟისორი იყო. „აბა, იხილეთ ოთარის ამაღლებული „სვეტიცხოველი“, საოცარი „ოქრომჭედლობა“, ჩვენი დიდებული ძეგლების „ქართული ფრესკა“, ფერადოვანი „ყვავილების დღესასწაული“, სხვა მრავალი... და ბოლოს, ოთარის გედის სიმღერა - „დავით-გარეჯი“... რომლის ფირს ოთარის თითების თბილი ანაბეჭდი ჯერ არც კი მოშორებია“ (სუიცა, საქმე№332:5).

რუსთაველზე სრულმეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმს ამზადებდა, კიდევ მრავალი ოცნება ჰქონდა, მაგრამ ვეღარ აისრულა. სამაგიეროდ დატოვა „კინოფირზე აღბეჭდილი

მაღალი პოეზია! მან მრავალ მივიწყებულ საუნჯეს ახალი, საქვეყნო ცხოვრება მისცა. მრავალი სკეპტიკოსი, შინაურიც და ურწმუნო უცხოელიც, საქართველოს პლასტიური სულის ზოგ ფრაგმენტებში ჩაახედა და მისი პატივისმცემელი გახადა. დიახ, გულწრფელი შემოქმედების სიყვარული - ხელკეთილად გადამდებია“ - ასკვნის ლევან გოთუა (სუიცა, საქმე №332: 5).

ლევან გოთუას მიერ შექმნილი პორტრეტული გალერეიდან აღსანიშნავია დაუსრულებელი ნარკვევი **ნიკო ფიროსმანაშვილზე,** როგორც თავად ლევან გოთუა აღნიშნავს, მისი დაბადების 100 წლისთავის შესრულებას მიუძღვნა, ანუ 1962 წელს დაწერილა. ნარკვევის ხელნაწერი დედანი საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში ინახება (სუიცა, საქმე №299). შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ჩანაწერები, მასალა მომავალი ნარკვევისთვის. 29-გვერდიანი ჩანაწერები ფიროსმანის ნახატების აღწერაა, თითოეული ნახატის ლევან გოთუასებური დახასიათებაა.

დასაწყისში საინტერესოდაა დახატული ფიროსმანის პორტრეტი: „მკრთალი, მოტეხილი სახე. ბრძნული, ბავშვური თვალები. ჭაღარა, ყვავის ფრთასავით ჩამოხრილი ულვაშები, მაღალი კისერი... იგრძნობა სევდა განწირული ადამიანისა, რომელმაც იცის, რომ მისთვის სიცოცხლეში არ არის საშველი“ (სუიცა, საქმე №299:1).

ამის მიუხედავად, - დასძენს მწერალი, - მისი უჩინარი, მძიმე ცხოვრება უკვე ლეგენდად იქცა, უკვდავებას დაეწილებაო (იქვე).

ლევან გოთუა ფიროსმანს ქართული მიწისა და ხალხის მხატვარს უწოდებს. ფიროსმანის ტილოები ხატავს მის ყველაზე მეტყველ ბიოგრაფიასო. თავადაც მისი ნამუშევრებით გადმოსცემს ამ ბიოგრაფიას: „წყალზე მიმავალი ბავშვებიანი ქალისთვის“ მიუწერია: „ასე მიდიოდა მამით ობოლი ნიკალა დედასთან, დასთან ერთად ცხოვრებაში წყლის მოსატანად - ირგვლივ კი შავრუხი უდაბურობა იყო“ (სუიცა, საქმე №299:5).

„ლუკმა პური, მყუდრო კერა, მცირე სიხარული! სიკვდილის კარამდე ეს ყველაფერი აკლდა ნიკალა მხატვარს“ (სუიცა, საქმე №299:6).

ლევან გოთუა განსაკუთრებით გამოყოფს თბილისის პერიოდს, შემოქმედების „ტკბილ-მწარე ძუძუ“ სწორედ თბილისმა აწოვაო. მწერალი მის ბედს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბედს ადარებს.

„მთაწმინდიდან იგი ვარსკვლავებისკენ კი არ მიჰქროდა, როგორც მისი დიდი სეხნია - ნიკოლოზ ბარათაშვილი, არამედ ჩაშავებულსა და ჩაქალაქებულ მიწას ჩაჰყურებდა - არც იბრძოდა, მაგრამ არც ფუნჯს აგდებდა. მხოლოდ უფრო აქუფრებდა ფერსა და საღებავს. მისი სურათები ანდაზებად ჟღერს“ (სუიცა, საქმე №299:7).

ფიროსმანის სურათები სანთლის ან ლამფის შუქზე უნდა ინახოს. ისინი ასეთ შუქზე იხატებოდნენო. ლევან გოთუა მის შემოქმედებაში რამდენიმე ნაკადს გამოყოფს: სუფრის ნატურმორტებს; ბუნების, სოფლის, ვაზის და ღვინის, რთვლის თემას; ისტორიულ-პატრიოტულ სურათებს, ქონებრივი უთანასწორობის მოტივს, ცხოველების თემას...

აქ მხოლოდ რამდენიმე სურათის ლევან გოთუასებურ აღწერას მოვიტან, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს, როგორი ღრმა, საინტერესო იქნებოდა, რომ დაესრულებინა ნარკვევი:

„ქოლგიანი და ზამბახიანი ქალი - ყვავილებს ჰყიდის... იქნებ თავსაც ყვავილად სთვლის?“ (იქვე).

„ორთაჭალელ ქალს - დაღალულ გაშლილი აქვს და მარაოც... მხატვარს მაინც ვერ გაუმეტებია - ქალისათვის კდემამოსილება შეუგროვებია“ (იქვე).

„ბორანი მტკვარზე მიდის... ყველაფერი კი წარმავალია“ (იქვე).

„ბავშვი პეპლების დასაჭერად გამზადებულია, მან რა იცის - ყველაფერი მხოლოდ ფერადი ბუშტია“ (სუიცა, საქმე №299:7).

„გულუბრყვილო იყო მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარულიც, - „აქტრისა მარგარიტა“ , - ასე აწერია სურათს. ჩანს, უოჯახო და უმეგობრო მხატვრის ცხოვრებაში მოულოდნელმა სიყვარულმა შემოანათა. ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს ანათებდა იგი, მაგრამ როდესაც გაჰქრა - მხატვრის სულში და სარდაფში უფრო ჩაბნელდება... ერთი საფეხურით კიდევ ჩაქვეითდა ფიროსმანი - უფრო „ლოთი ნიკალა“ გახდა“ (სუიცა, საქმე №299:11).

„ირმები წყლის პირზე თავისი ბღარით“, როგორც თავად ნიკალამ უწოდა. მისი პირუტყვები კეთილადამიანური თვისებების მატარებლები არიან... სათნოებით, დედობრივ გრძნობით, აზრით, ურთიერთგაგებით... უფრო მეტიც - გამწარებულ მხატვრის ცხოველებს უფრო ადამიანური თვალები აქვთ, ვიდრე თავად ადამიანებს, - ხალხურად ბრძნულად მეტყველია ფუნჯი ფიროსმანისა“ (სუიცა, საქმე №299:17).

„დათვი მთვარის ქვეშ“ - საოცარი ხილვაა. გამთვარულია ნანგრევები, ხეები, დათვი... მთელი ქვეყანა და მარტოხელა მხატვრის სული დათვად გარჩენილა წაქცეულ ხეზე“ (იქვე).

„ჩუმი მეთევზე“... ბადეს შლის - თითქოს ბედისწერას ეთამაშება. წითელპერანგა მებადურია ერთი მათგანი“ (სუიცა, საქმე №299:19).

„ღვინო ბედნიერების სიმბოლური ნიშანია. ამ მუშებს - ბედნიერება ტიკით და კასრით სხვისთვის მიაქვთ. თავისთვის კი მხოლოდ ოფლი და ჭურჭელი რჩებათ“ (სუიცა, საქმე №299:21).

„მეეზოვე“ - თვითმპყრობელურ ხელისუფლების ყველაზე მდაბალი მოხელე. კაცი აღარ არი. წინათ იქნება ლომ-კაცი იყო. წვერ-ფაფარ დაყრილი. ახლა მხოლოდ შუბლის წარწერაა და თვალები, შემაძრწუნებელი თვალები! მძიმეა მისი ცხოვრება, მან ხომ ყველას წინაშე თავი უნდა მოიხაროს, როგორც თავმოხრილია მისი ქოხი. მალე - ამ „ქოხსაც“ გადააგდებენ (იქვე).

ეს ნაწყვეტებიც კარგად წარმოაჩენს ფიროსმანის შემოქმედების ნიუანსებს. ლევან გოთუას აღწერით, მას ფუნჯის თავისებური მონასმი ჰქონდა. პირველყოფილი ხილვებით ქმნიდა „ფერთა შეხამებასაც და ნახატობის ხერხებსაც“ (სუიცა, საქმე №299:5). სწორედ ეს პირველყოფილი ხილვების სამყარო ახდენს დიდი ზემოქმედებით ძალას. ნიკალას განსაკუთრებული მხატვრული მეხსიერება და წარმოსახვის უნარი ჰქონდა, „თან გულუბრყვილობით და პირველყოფილებით სუნთქავდა და ფეთქავდა მისი ფუნჯი“ (სუიცა, საქმე №299:8).

მწერალი მხატვრის ცხოვრებას და შემოქმედებას მართალ ზღაპარს უწოდებს, რომელსაც ყველაზე უკეთ მისივე სურათი წარმოსახავს: „მთვარე ღრუბლებში“. ლევან გოთუა საინტერესოდ უკავშირებს ფიროსმანის ბედს ერთ საგულისხმო დეტალს: „მზე ხომ თითქმის არ არის მის ნახატებში“ (სუიცა, საქმე №299:22).

თითქოს ეს უმზეობა წინასწარმეტყველური გამოდგა - უპატრონოდ დაიღუპა, მისი საფლავი დაიკარგა.

„...ამ თვითნაზარდსა და თავის გულით ნაკვებ გენიოსს მაშინ ეღირსა აღიარება, როდესაც იგი უსახელოდ და უპატრონოდ უკვე დამარხული იყო სადღაც... მისთვის მთვარიან, მაგრამ ღრუბლიან ტფილისში, განაპირას... მისი საფლავი დღემდე უცნობია“ (იქვე).

ლევან გოთუა ხატოვნად ასრულებს სანარკვევე მონახაზს, ფაქტის ასეთი გაცოცხლებით ემოციური და პუბლიცისტური ზემოქმედება იზრდება: „იგი თითქოს ახლაც სადმე დიდუბეშია წასული, სარდაფში სვამს და ხატავს! სვამს და ხატავს! უკვდავებას შეუცნობლად ეზიარება“ (სუიცა, საქმე №299:22).

ლევან გოთუას პორტრეტების გალერეაში გამორჩეული ადგილი უკავიათ მთამსვლელებს - და-ძმა **ალიოშა და ალექსანდრა ჯაფარიძეებს**, ფოტოხელოვანსა და მთამსვლელს, **გურამ თიკანაძეს**.

მთამსვლელობასთან ერთად ლევან გოთუას სპორტის მეორე სახეობა - ჭადრაკი განსაკუთრებით უყვარდა, თავადაც დიდებულად თამაშობდა, ზოგჯერ პრესაშიც წერდა საჭადრაკო შეჯიბრებებზე. მისთვის ჭადრაკი შთაგონების წყაროც იყო, აკი ამბობდა: „როდესაც ისტორიულ დრამებსა და რომანებს ვწერ, თითქოს ძველად ნამყოფ, აღმდგარ, დიდებულ ჩრდილებს ვეთამაშები ჭადრაკს“ (გოთუა1971:7).

ჭადრაკს მოხეტიალე ცხოვრების თანამგზავრსა და მშველელსაც ეძახდა. ვლადიკავკაზში გადასახლებულმა საქალაქო საჭადრაკო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. გამარჯვებულს თბილი კიტელით, საცვლებითა და ფულით აჯილდოებდნენ, რომელიც მას ძალიან სჭირდებოდა. ოჯახის წევრებს სწერდა თავისუფალი გადასახლებიდან: „შეგიძლიათ მომილოცოთ - პირველობა ავიღე, ჩავიცვი თბილი კიტელი, საცვლები და მივიღე დიდი ფულადი თანხა. აი, როგორ გამომადგა ჭადრაკი“ (გოთუა... 1995:81).

შორეულ გადასახლებაში, საკანში მყოფი, ჭადრაკს აყოლებდა გულს. პურის ნატეხებისა და პერანგის ნაგლეჯებისგანაც გაუკეთებია ფიგურები, მიწის იატაკზე დახატულ ჭადრაკის დაფაზე უჯერებიათ გული ქართველებს...

გადასახლებიდან დაბრუნებულმა მწერალმა რამდენიმე წერილი მიუძღვნა ჭადრაკს, მათ შორის გამორჩეულია ორი ნარკვევი **ნონა გაფრინდაშვილზე.**

ლევან გოთუა პორტრეტულ ნარკვევს - „ჭადრაკის დედოფალი“ მზის ამოსვლით იწყებს, როდესაც მზის სხივები ღრუბლიანში ამოდიან, „შავ-თეთრა უჯრედებად აფორაჯებენ არეს, მაშინ ცხოვრებაც ამ უჯრედებში შემოქმედურად ბრუნავს. დიახ, მზეც ხშირად თამაშობს ჭადრაკს“ (გოთუა1971:7).

ეს მწერლისთვის მხოლოდ ხატოვანი გამონათქვამი არ არის, მზე ქვეცნობიერად სიმბოლურ დატვირთვას იძენს, თითქოს მკითხველს ამზადებს ნარკვევის გმირთან

შესახვედრად, ვინ არის ეს გმირი, რომლის სახელთანაც მზე არის გაიგივებული? ავტორი უცებ არ გვიმხელს მის ვინაობას, ისევ დამაინტრიგებელი წინადადებით განაგრძობს თხრობას - ლევან გოთუას, როგორც ძველ მოჭადრაკეს, მრავალ მეფე-დედოფალთან უთამაშია, მაგრამ მხოლოდ ერთ ცოცხალ ახალგაზრდა დედოფალთან ვერ გაუბედავს თამაში.

ვიდრე გაამხელს დედოფლის ვინაობას, იგი ჭადრაკს მწიგნობრობასთან და სამხედრო წრთობასთან აიგივებს და უძველესად მოიხსენიებს. შემდეგ აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ნახევარ საუკუნეში ჭადრაკს ნიჭიერი მოთამაშეები მოუმრავლდა, მაგრამ მათ შორის ბრწყინავს ერთი სახელი.

„მას არც მეფური ბისონი აცვია, არც ოქროს ქოშებზეა შემდგარი... მაგრამ არც სპილოს ძვლიდან არის ნაკვეთი... იგი ქართული სისხლ-ხორცია, შემართებული გონებითა და თავაზიანი ქცევით, ადრევე დაბრძენებულ მჭევრი თვალებით. ნონა გაფრინდაშვილი უკვე კარგა ხანია - ჩვენს ნონად გადაიქცა“ (გოთუა1971:7).

მწერალი ხაზს უსვამს ნონას სამგზის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს და დასძენს, რომ საქართველოს მრავალათასწლოვან ისტორიაში ასეთი თავისებური საპატიო წოდება არცერთ დედოფალს არ ჰქონია. იგი მამულიშვილურ გადედოფლებას უწოდებს ჩემპიონის დაოჯახებას. საჭადრაკო ტერმინოლოგიით კიდევ ერთხელ არწმუნებს მკითხველს, რომ ავტორი ჭადრაკის ბრწყინვალე მცოდნეა.

„ზოგ მანდილოსანს ხომ ბავშვის ყოლა „ცუგცვანგად“ მიაჩნია... საჭადრაკო „თეორიასაც და პრაქტიკასაც“ ახალი, ქართული საწყისი შემატა, „პაწია ბიჭუნას“ დებიუტი დროულად დაურთო“ (გოთუა1971:7).

1972 წელს ნონა გაფრინდაშვილმა მსოფლიო პირველობაზე ზედიზედ მესამედ დაამარცხა ალა კუშნირი. ლევან გოთუამ ამ შერკინებას ქალთა შორის დიდი საჭადრაკო ომი უწოდა. „მსოფლიო დედოფალმა ნონა გაფრინდაშვილმა რიგაშიც რიგიანად გაარიგა საქმე... კვლავ დაამარცხა თავისი მეტოქე - დედოფლობის არაერთგზის მაძიებელი“ (გოთუა 1975:2).

ლევან გოთუა პოეტურ ანალოგიას იხმობს ჭადრაკის დედოფლის დასახასიათებლად - „მორჭმულად მჯდარი თვითმპყრობელი“, რადგან ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონობა ზედიზედ მსოფლიოს არცერთ ჭადრაკის დედოფალს არ ღირსებია.

ნონა გაფრინდაშვილს თბილისის ხოხობს ადარებს, რომელიც გორგასალს აუფრინდა: „...და თითქოს კვლავ აფრინდა ტფილისის ხოხობი... გვარადაც ხომ გაფრინდაშვილია ჩვენი ნონა“ (გოთუა 1975:2).

ნონა გაფრინდაშვილის წარმატება მცირერიცხოვანი ერის გამარჯვებაა: „ჩვენ შედარებით მცირერიცხოვანი ერი ვართ და თითოეულ ასეთ გამარჯვებას, თითოეული ჩვენგანის საკუთრივ გამარჯვებად განვიცდით!“ (იქვე).

გორგასლისა და თამარის ქალაქში ხოხბის ფრთაზე გამოხატულ სატახტო ქალაქს კიდევ ერთი - შავ-თეთრ უჯრებიანი ტახტი შეემატა: „ჩვენ ჭადრაკის იმედს კი კვლავ ნონა ჰქვია!.. ვუსურვოთ, რომ მისი გვირგვინი და ტახტი დიდხანს, დიდხანს ყოფილიყოს გორგასლისა და თამარის ქალაქში, ხოხბის ფრთაზე გამოხატული!“ (იქვე).

ლევან გოთუამ **ძეგლის მცველების** საინტერესო სახეები შექმნა. ძეგლის ზოგიერთ მცველს ხევისბერს უწოდებდა, რადგან ხეობის გასწვრივ აღრიცხული და აღურიცხავი ყველა ძეგლის მეთვალყურეა.

მწერალი ფიქრობდა, რომ ხალხს უნდა სცოდნოდა მოწინავე მცველების სახელები. ასეთი მცველები არიან: კალას წმინდა კვირიკეს მცველი - სტეფანე პირველი, იანის საყდრის მცველი - სარდიონ ფარჯიანი, უბისას მცველი - სანდრო სახვაძე, არმაზის ნეკროპოლის მცველი - მიხეილ ქიქოძე, ალავერდის მცველები - ცოლ-ქმარი თამარ და ნიკო სუმბაძეები, ატენის მცველი - სონია ონიაშვილი, კიმოთესუბნის მცველი - იოსებ ხრიკაძე, ციხისძირის მცველი - იოსებ ხრიკაძე, ციხისძირის მცველი - მამუდ ნაკაშიძე, სვეტიცხოვლის მცველი - დიმიტრი ალექსიძე, ჭალას მცველი - ანდრო აბაშიძე, ნიკორწმინდის მცველი - შალვაძე (გოთუა 1962:340).

ამ მხრივ საინტერესოა, როგორ ხატავს ლევან გოთუა ლომისას დეკანოზს, მხცოვან ხევისბერს **შიო ბურდულს.** წერილ-ჩანახატს „ხევისბერის ახალი მოვალეობა“ ჰქვია.

სათაური უკვე დამაინტრიგებელია, რა უნდა იყოს ხევისბერის ახალი მოვალეობა? დასაწყისში ავტორი იხსნებს, როგორ გაიცნო ხევისბერი, რომ სოფელ მლეთაში კითხვა-კითხვით მიაკვლია მას. ამის შემდეგ ავტორი საკუთარ გულისნადებთან ერთად კიდევ უფრო ემოციურად მუხტავს სათქმელს და ხევისბერის პორტრეტს ახალ შტრიხებს ჰმატებს.

„ჩვენი ნაცნობობა იმით დაიწყო, რომ ლომისას ჯვარზე ჩამოვუგდე სიტყვა, ჩანს არ მენდო, შორს დამიჭირა“ (გოთუა 1969:18).

მწერალი ნდობის მოსაპოვებლად მას საკუთარ „მატიანურს“ ჩუქნის.

„ამ ჯმუხმა, სიტყვაძვირმა მხცოვანმა თვალით ამზომ-დამზომა, მერმე წიგნს დაჰხედა, ჩაძიებით დათითა გვარ-სათაური. შუბლი შეკრა. რაღაც მძიმე საფიქრალს შენისლულად შეუდგა. აივანზე ვისხედით. მთის ირიბი შხაპუნა უთვალავ სიმებად სერავდა ხეობას. ლომისას მთა ნისლა-ბურად იყო.

მოულოდნელად ოთახის ღია კარიდან ქალის ხმა მოისმა: „სტუმარმა თავისი წიგნი მოგვცა... მწერალიც ქალაქელი ხევისბერია! ეგეც მისი გულის ნადებია!.. შენც ენდე - ლომის-პაპავ“ (გოთუა1969:18).

ამ შესავალში პირდაპირ მჟღავნდება ტენდენცია, ეპითეტ-მეტაფორებში, ბუნების აღწერაში ავტორის დამოკიდებულება იგრძნობა. მწერალი კიდევ უფრო იზიდავს მკითხველს: რა ნდობაზეა ლაპარაკი? რატომ აქვს ხევისბერს მძიმე საფიქრალი, თანაც შენისლული... თითქოს ბუნებაც, უთვალავ სიმებად აელვარებული შხაპუნა წვიმაც მონაწილეობს ამ იდუმალ შეხვედრაში და მასზეცაა დამოკიდებული, რა მოხდება, მიენდობა ხევისბერი ქალაქელ ხევისბერს?

„შიოს ყურმძიმობა შევატყვე. თუმცა ეს სიტყვა, ჩანს, გაიგო. ალბათ გადაწყვეტას ერთი წკიპარტი აკლდა. შიომ წიგნი ოთახში შეიტანა, ჩემი ჩანაწერი იმავ ქალის ხმას წააკითხა, გასაღებების შეკვრა გამოიტანა და მე უსიტყვოდ გამიყოლა. მიენდო, თუმცა უმალვე არა“... - ამის შემდეგ თხრობა კულმინაციურ წერტილს აღწევს. მწერალი მეტაფორით ამბობს სათქმელს, ხევისბერის ნდობა და წვიმის შეწყვეტა ერთია. გამოიდარა: „წვიმა ცისარტყელაში გაძვრა და გადიკარა“ (გოთუა1969:19).

პუბლიცისტური ზემოქმედების ძალა იზრდება... და დასაწყისში ხევისბერის მძიმე საფიქრალზე გამახვილებული ყურადღება ამ ნაწილში სიცხადეს იძენს - ეს ქალაქელი მწერალი პირველი ყოფილა, ვისაც ენდო ხევისბერი. ამ ნდობას მიჰყვება მკითხველი...

„სოფლის თავში, გზის პირას, არცთუ ძველ საყდარს მივადექით. დარკინული კარიბჭე რამდენიმე ბოქლომ-ურდულით იყო დაკეტილი. შიო ბოქლომებს ხელჩვეულად აღებდა და მე ეჭვიანად მიმზერდა; - ქალაქელო, შენ პირველი ხარ,

ვისაც ვენდე! გაჩვენებ ლომისას ჯვრებსა და შენაწირს... გფარავდეს მისი მადლი! სანანებელი არ შემექნას“ (გოთუა1969:19).

ისევ ინტრიგა, რა უნდა გახდეს სანანებელი? ავტორის მიზანი მიღწეულია, შემთხვევითმა შეხვედრამ და ლირიკულმა წიაღსვლამ სათქმელი გამოკვეთა. იმდენად დიდია ავტორის თანამონაწილეობის ეფექტი შეხვედრიდან ძველ საყდრამდე განვლილ გზამდე, რომ მწერალი მხოლოდ ამბის აღმწერი კი არ გამოდის, არამედ ლომისას ხევისბერის თანამოაზრედ გვევლინება და მისი დიდი პასუხისმგებლობის მოზიარე ხდება. ავტორის „მე“-ს დომინანტობა კი ეფექტს ქმნის და პუბლიცისტურ აზრს მეტ სარწმუნოობას ჰმატებს.

„ვანუგეშე და შიგ შევყევი. ასე ვნახე პირველად, ხალხის მიერ დაცული, მრავალი თვალსაზრისით საყურადღებო და მნიშვნელოვანი ლომისას განძი: დიდი, წინგასაძღოლი, ვერცხლისა და მოოქრული წარწერიანი ჯვრები, კეთილნაჭედი სამწერობლები, ხატები, უამრავი შემოწირული თასები და ყანწები“ (იქვე).

მწერალი ლომისას განძის პირველი თვითმხილველია. იმავე კვირაში კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ექსპედიციამ ყველაფერი დაწვრილებით აღწერა, აღრიცხა, გადაიღო და ისევ შიო ბურდულს ჩააბარა დასაცავად.

„ამიერით ხევისბერი შიო ბურდული ჩვენი საზოგადოებრივი მცველია. ეს მეტად თავისებური შერწყმა, ფრიად ნიშანდობლივი ახალი ფორმაა ჩვენი ძეგლების ცხოვრებაში და, ვფიქრობთ, სხვაგანაც უნდა გამოვიყენოთ, მაგ. ხევსურეთში, სვანეთში“ (იქვე).

მწერალი განაზოგადებს პრობლემას, რომ ლომისას საგანძურის მიგნების გარდა, მთაში „ჯერ ბევრი რამ არის უკანასკნელი ხევისბერების ხელში. ჩვენ მათთან უნდა გავდოთ ნდობის ხიდი და ისევ ისინი უნდა გავხადოთ, ჩვენი მამა-პაპური კეთილნარუქი ჯვარ-სალოცავების, საზოგადოებრივ მცველებად. ასეთი ორმაგი თვალყური, აღრიცხვასთან ერთად, უკეთ დაიცავს მატერიალურ კულტურის ძეგლებს ახლაცა და მით უფრო მომავალში“, - ასკვნის მწერალი (გოთუა1969: 20).

მისი თვალთახედვის არეში ძეგლების მცველები ხშირად ექცეოდნენ. იგი სიამოვნებით აცნობდა საზოგადოებას მათ პიროვნებებს და ამით სტიმულს აძლევდა უჩინარ მოღვაწეებს.

შიო ლაცაბიძეს „თიღვას კეთილ მცველად“ მოიხსენიებს, რომელიც 78 წლისაა და 23 წელი თიღვას ტაძარს „ბეჯითად, კეთილად, გულიანად“ უვლის.

მცველის პორტრეტს ეს პატარა დიალოგი შესანიშნავად ხატავს:

„- შიო, როგორ ხართ, შენ და ტაძარი?

- კეთილად არის!... ამის შემხედვარე მეც კარგადა ვარ! - შემომძახა და გამიღიმა... ტაძარმა ხმა უმრავლა... ალბათ დაეთანხმა... მიამა - ტაძარი და მოხუცი მცველი თითქოს, ერთი ენითა და სულისკვეთებით მეტყველებდნენ“ (გოთუა 1971: 88).

კითხვა პასუხსაც შეიცავს, ტენდენცია თავისთავად მჟღავნდება სიტყვებით - „შენ და ტაძარი“. ავტორი ორივეს მოიკითხავს. ნათლად ჩანს, რომ ის კარგად იცნობს იმ პიროვნებას, ვისზეც წერს.

ლევან გოთუას აზრით, „ძეგლის კაცს თავისი მაღალი სულისკვეთება და ძეგლის ყადრი უნდა ჰქონდეს“. სწორედ ასეთი პიროვნება ყოფილა შიო ლაცაბიძე.

ლევან გოთუა მეორე მცველის პორტრეტსაც ხატავს. ეს ადამიანი არმაზის სამარხ-მუზეუმის თავდადებული მცველი **მიხეილ ქიქოძეა**. იგი, 1938 წელს, ივანე ჯავახიშვილის განკარგულებით დანიშნულა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მნედ. აქედან დაწყებულა მისი სიახლოვე ძეგლებთან.

„მას ახლაც, მუდამ მშვილდივით მოზიდულს, არმაზის ისტორიულ ნაკრძალში ნახავთ. დადის ეს 80 წლის „ძეგლების ჭირისუფალი“, უვლის თავის საჭირისუფლოს“ (სუიცა, საქმე №341:5).

მას მხოლოდ საარმაზოში არ იცნობენ, ყოველ დღე, დედამიწის ყოველი კუთხიდან უცხო სტუმარი ჰყავს და ყველასთან პოულობს საერთო ენას. „ეს ხომ ჩვენი ძეგლების სიყვარულის ენაა“ (სუიცა, საქმე №341:6).

მისაბაძია მისი უანგარო მოღვაწეობა არმაზში, რადგან მომავალ თაობებს უნახავს ძეგლებს, „ჩვენს წარსულს უზრდის მომავალ თაობას“ (სუიცა, საქმე №341:5).

ლევან გოთუას ამოსავალი წერტილი ერის სამსახურია, სწორედ ამ თვალსაზრისით აფასებს ძეგლის მცველს: „აქ საზომი სხვანაირია - ძეგლის სამსახური დღეს ხომ ერის სამსახურია“ (სუიცა, საქმე №341:6).

პორტრეტების გალერეა აერთიანებს ყველა იმ პიროვნებას, ვინც არა მხოლოდ თავისი საქმითაა წარმატებული, არამედ, უწინარესად, გამოირჩევა ეროვნული მოღვაწეობით, პიროვნული თვისებებით და ზნემაღლობით.

ლევან გოთუას სავალდებულოდ მიაჩნდა, ერს დაეფასებინა თავისი შვილები. მისი მრწამსი ასეთი იყო: „ბედნიერია ერი, რომელიც აფასებს და ახსოვს თავისი კეთილი შვილები. ერს თუ მეხსიერება არ აქვს, არც ისტორია ექნება და არც მწერლობა. ვინც თავის წინ თაობების კეთილ მოღვაწეებს ივიწყებს, ის თავისთავს ძარცვავს“ (სუიცა, საქმე №357:1).

2.11. ლევან გოთუას პუბლიცისტური ნაზრევის წახნაგები

ლევან გოთუას წერილები - სტატიები და მიმოხილვები ეროვნული მსოფლშეგნებითა და მორალურ-დამრიგებლური პუბლიცისტური პათოსით გამოირჩევა. თითქოს მისმა წამებულმა ცხოვრებამ განაპირობა კიდეც, სამშობლოსთვის მზრუნველ-მოამაგის თვალით ეცქირა. „პურადი და გულადი“, თავისუფლებისმოყვარე ერის კეთილი მომავალი, ადამიანი და მისი ბედი მწერლის ფიქრის უმთავრესი წახნაგებია.

კეთილი მომავლის სათავეებთან კი ახალგაზრდობას მოიაზრებდა. ამ მხრივ საყურადღებოა სტატია „ერისშვილობის პასუხიმგებლობა“. ვინაიდან ახალგაზრდობა ერის მომავალია, „ყველაფერი, რაც მას ეხება, მთელ ერს ეხება, მთელ ჩვენს საზოგადოებას“, - ასკვნის მწერალი (გოთუა1974:6).

იგი აყალიბებს იმ უმთავრეს პოსტულატებს, რომლებიც აუცილებელია ერის მომავლისთვის. ეს, უწინარესად, ოჯახია, რომლის გრძნობაც ერისა და სამშობლოს გრძნობისგან განუყოფელია. „ოჯახი საერთოდ არის ადამიანობის პირველი უნივერსიტეტი... და სადაც ეს არ არის, იქ ძირითადია დარღვეული. ოჯახის დანგრევა კი, კიდევ ერთ ეროვნულ ციხის დანგრევას უდრის. ეს არა მარტო ახალგაზრდობამ, მისმა დედ-მამამაც უნდა იცოდეს“ (იქვე).

ყველაზე დიდ პრობლემად მიჩნეულ დემოგრაფიულ საკითხზე წარსულის მაგალითებით ამყარებს მსჯელობას: „ჩვენს ისტორიულ გადარჩენაში მრავალშვილიანობამ დიდი, იქნებ გადამწყვეტი ღვაწლი დაიდო... ცხრა ძმა ხერხეულიძენი არა მარტო გმირობისა და თავდადების მაჩვენებლები იყვნენ, არამედ მძლავრი ოჯახისაც“ (იქვე).

ლევან გოთუა მიზეზებს ეძებს, რამაც ოჯახის მოშლა და მცირეშვილიანობა გამოიწვია. თუ უწინ ქართველი ერი ხიზნობაში, უსახლკაროდ, ტყეში მრავლდებოდა,

ახლა „სადღაა ქებული მრავალშვილიანობა? რით ავხსნათ ასეთი საბედისწერო ხასიათის შემობრუნება?“ (გოთუა1974:6).

მცირეშვილიანობის მიზეზი ეკონომიკური ხელმოკლეობა კი არ არის, არამედ ახალმოდურობაა. „გამრავლებისა და შვილიერების კეთილშობილი ინსტინქტის მოდუნება ხომ არ ხდება გამდიდრების ბნელი ქვეინსტინქტების აღზევების „წყალობით“?! მაშინ ჩვენ შავი დღე მოგველის! ეს „ლამაზი მთები“ არ დაგვრჩნენ უპატრონოდ!“ (გოთუა 1974:7).

ლევან გოთუა ახალგაზრდობაზე ამყარებს იმედს, რომ მათ და უწინარესად ქალებს ეკუთვნით პირველი მამულიშვილური სიტყვა. ახალგაზრდებისადმი მისი დიდი სათქმელი - ოჯახის შექმნა და მრავალშვილიანობა იყო, მრავალშვილიან, ბედნიერ ოჯახს მტკიცე ციხეს ადარებდა და ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმედ მიაჩნდა. (ვაშაძე 1972:3).

მეორე უმთავრესი მოთხოვნა, რასაც მწერალი ახალგაზრდობას უყენებს, სწავლაა. მისთვის წარმოუდგენელია ჩამორჩენილი ახალგაზრდა - არა მხოლოდ მწიგნობრული, არამედ ზნეობრივი და კულტურული ჩამორჩენაც.

მწერლის აზრით, ახალგაზრდამ, „სანამ გულიც ერჩის და ძალაც მოსდევს“, შემეცნებითი და შინაარსიანი ცხოვრება უნდა გაატაროს. ისწავლოს, დაეუფლოს ხელოვნებას, სპორტს, მოგზაურობას, გაეცნოს ბუნებისა და კულტურის ძეგლებს, ნიჭი განავითაროს... „ერის სულისკვეთების, ჭირისა და ლხინის გაგება და... რაღა თქმა უნდა - შრომის მტკიცე ჩვევების მოპოვება, - აი, ეს უნდა ახასიათებდეს მას და არა უმიზნობა, თავუხლარობა, დარდიმანდული ზარმაცობა“ (გოთუა1974:7).

აზარტული თამაშობანი, ნარკომანია, ქალ-ვაჟური თავაშვებულება, უზრდელობა და გათავხედება ახალგაზრდობისთვის მავნე ზიანის მომტანია. თუ ახალგაზრდულ წლებს არ გამოიყენებ, ეროვნულ ენერგიას ფლანგავ: „ახალგაზრდობა ბოლოსდაბოლოს დროული უპირატესობაა და მისი არამად გაშვება ეროვნული ენერგიის საზარელ გაფლანგვას უდრის“ (გოთუა1974:7).

საქართველო ნიჭისა და სილამაზის აღიარებული ქვეყანაა. ეს ორი თვისება მან ძნელბედობის ჟამს შეინარჩუნა. თუ პოლიტიკური წინდახედულება, თავისუფლება, ერთურთის გატანა და ერთიანობის შეგნება ზოგჯერ აკლდა, „მუდამ ჰქონდა

ეროვნული სიამაყე, თავისუფლებისმოყვარეობა და ისევ სილამაზე და ნიჭი, განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდობა“ (გოთუა 1974:8).

მაგრამ არც ნიჭიერება კმარა მხოლოდ, თუ ზნეობა და მორალი არ ერთვის მას. სამწუხაროდ, ახალგაზრდობის ნაწილს „მგზნებარე პატრიოტიზმი, მუყაითი მშრომელობა, ზნეობრივი სისპეტაკე“ აკლია. სამაგიეროდ, სიმდიდრის მოხვეჭის ჟინი მძლავრობს, რომელიც სავალალო შედეგს მოიტანს: „აღარც ძველი გულწრფელობა და შემართება, აღარც პირიანობა და ზრდილი რაინდობა, მოძლიერდა ყოვლად შეუწყნარებელი მლიქვნელობა, თანაც უნდობლობა ურთიერთისა და მშობლების მიმართაც. გამეფდა რაღაც არაკეთილშობილური ჟინი გამდიდრებისა, ყოველგვარი გზით მატერიალური დოვლათის შეძენისა. ეს მტაცებლური განდიდების სურვილი ფრიად ცუდი ფესვების მქონეა და უფრო ცუდი ნაყოფისა“ (გოთუა 1974:9).

ლევან გოთუამ ახალგაზრდობის სულიერი სიჯანსაღის და ზნეობის საკითხებს რამდენიმე სტატიაში და მათ შორის საახალწლო სტატიებში - „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“, „ახალწლიური კრიალოსანი“, „ყიოდა გორგალის ხოხობი“ - განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო.

მწერლისთვის ახალგაზრდობის სულიერი ჯანმრთელობა და პატიოსნება ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ბევრად მაღლა იდგა. ამ „ავთვისებიანი და ქრონიკული სულიერი სიმსივნის“ დასაძლევად ხშირად თაობებია საჭიროო, - წერდა.

„ჩვენ შოთა რუსთაველის, თამარის, დავით აღმაშენებლის, გიორგი მთაწმინდელის, საბა-სულხანის, ერეკლესა და სხვა ზნემაღალ სახელოვანთა ერი ვართ და ვერ მოვითმენთ ამას!“ (გოთუა 1973:3).

მომავალი თაობის აღზრდაში, უწინარესად, ოჯახს და მშობლებს ეკისრებათ მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, და არა სკოლას და ინსტიტუტს... ანგარების გზით შეძენილი სიმდიდრე მომავალ თობას, მის სულისკვეთებას ასვამს დაღს, პიროვნების სულიერ დეგრადაციას უწყობს ხელს.

ლევან გოთუა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიმდიდრესა და შეგნებას შორის თანაფარდობას. თუ ეს თანაფარდობა არ იქნება დაცული, „გააზნაურებულ მდაბიოზე უარესი ვარიანტი გამოდის“. ასეთ ოჯახებში მორალურად მანკიერი ახალგაზრდობა იზრდებაო.

„უნდა გვახსოვდეს, ჩვენი ოჯახის ამოცანაა არა ფუფუნება, არა ქონებრივი ამპარტავნობა, არა ეგოისტური შეზღუდულობა, არამედ პატიოსანი, კულტურული შრომითა და ყოფით ამაღლებული ოჯახის მორალურ-მატერიალური დოვლათის დაცვა-განვითარება“ (გოთუა 1974:10).

მომავალი სწორედ ასეთ ოჯახებს აქვთ. მწერლის დასკვნით, ოჯახისა და ერის ბედნიერება უნდა ემთხვეოდეს: „..ერისა და ოჯახის ბედნიერება თითქმის თანახვედრია, ხოლო თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერი კი არა, სადღაც არ ყოფილხარ უანგარო“ (იქვე).

მწერლისთვის უმთავრესია საერთო საქმისთვის ღვწა, რაც ახალგაზრდობის მიზანი უნდა იყოს. მაგრამ როცა შრომას ეკარგება „მადლი და ღირსება“, თვითდინებას მიმყოლნი ჩნდებიან. თვითდინება კი ჭაობია. ამიტომ ახალგაზრდობის ნაწილმა დაკარგა „კდემამოსილება, თავმდაბლობა, გულფაქიზობა“, ამას მოჰყვა საზოგადოებრივი, საერთო საქმისადმი გულგრილობა და საკუთარ საქმედ მიჩნევის სურვილის გაქრობა. „მე აღარას ვამბობ იმ მცირერიცხოვანი ახალგაზრდების შესახებ, რომელთაც ჯერ საკუთარი მუცლისათვის ვერ მოუვლიათ, მუქთახორობენ, ლოთობენ, ნარკომანობენ, თავის თავსაც არცხვენენ, თავის ოჯახებსაც, თავის ერსაც. მათთვის სამშობლო ფუჭი სიტყვაა, არავითარი ცა ქუდად არ მიაჩნიათ და არავითარი მიწა – ქალამნად“ (გოთუა 1974:11).

სწორედ ასეთი ცხოვრება შობს „დანის რაინდებს“, ვინც სამომავლოდ სხვის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. „დღევანდელი დანის რაინდი ხვალინდელი დიდი ბოროტმოქმედია, ქონების დამტაცებელი, კაცთმოძულე“ (სუიცა, საქმე №331:7).

ეს არა მხოლოდ სოციალური სენია, ეროვნული სირცხვილი და ოჯახური უბედურებაა.

მწერალი უმალ გამოეხმაურა მეცნიერ ალექსანდრე გამყრელიძის მკვლელობას, რომელიც მოკლეს მხოლოდ იმის გამო, რომ „მან წესიერებისკენ მოუწოდა თავხედ ახალგაზრდებს“ (სუიცა, საქმე №355:1).

ხელნაწერთა ინსტიტუტში წარმოთქმულ სიტყვაში ლევან გოთუა მკვლელს ბერბიჭაშვილის შავი შთამომავლობის წარმომადგენელს უწოდებს. მისი აზრით, ზნეობრივი თვალსაზრისით ორი შტოა საქართველოში - ილიას შთამომავალნი ნათელ შტოდ მიაჩნია, ხოლო ბერბიჭაშვილისა - შავ შტოდ. მწერალი კითხულობს - აბა, ვის

შთამომავლად უნდა ჩავთვალოთ ბრწყინვალე მეცნიერისა და მწერლის ალექსანდრე გამყრელიძის გამხეცებული მკვლელი?

„მთელი უბედურება ისაა, რომ ეს „ურჯუკი ახალგაზრდობა“, ერის ნაძირალები არც წიგნებს კითხულობენ, არც საუბრებს ისმენენ. მათზე ჩვენი ზემოქმედება მიუწვდომელია. საჭიროა უფრო მკაცრი ზომები, მთელი ერის, სახელმწიფოს, ყველა თაობის ჩარევა“ (სუიცა, საქმე №355:4).

ლევან გოთუა დიდ იმედს ამყარებს მოწინავე ახალგაზრდებზე: „დღეს თუ ხვალ ისინი ჩაუდგებიან სათავეში ერს და გასწევენ თავის თაობის ჭაპანს“ (გოთუა 1974:11).

მხოლოდ კეთილად მოპოვებული საქმე რჩება და უკვდავებას ეზიარება: „...ჩვენი წილი შრომისა, შემოქმედებისა, სახელოვანი ოჯახის შექმნისა თუ უანგარო საზოგადო მოღვაწეობისა, ის წარუვალი უკვდავი ნაშთია, რაც ჩვენად რჩება და უერთდება ჩვენს სამშობლოს, მომავალს, მაგრამ ამას კეთილად მოპოვება უნდა“ (სუიცა, საქმე №355:12).

იგი ყველა მანკიერი საკითხის ზნეობის საზომით მიდგომას ემხრობა. იქ, სადაც არ არის მაღალი ზნეობა, ყოველგვარი კეთილი იდეაც ფარსია. „ღმერთმა ნუ ქნას უზნეოთა უკვდავება და მე ვშიშობ, რომ ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილი ფრიად დაშორდა ამ ნათელ გზას“ (იქვე).

მთავარია ტრადიციებისა და სიახლის შეჯერება - „ზნეობას ორი რამ უნდა ათანაბრებდეს - ძველი ტრადიცია და ახალი შეგნებულობა“ (გოთუა 1973:3).

უღირსებს მკაცრი ბრძოლა სწორედ ახალ წელს უნდა გამოეცხადოთ - „გვახსოვდეს, რომ ზნეობრივმა ბზარმა ჯაჭვური რეაქცია იცის“ (იქვე).

მწერალი ზნეობრივ ახალგაზრდობას, უწინარესად, ურთიერთდანდობას და კაცთმოყვარეობას უსახავდა მიზნად. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან თავის თაობაში საკუთარ თავზე გამოსცადა ღალატი და გამცემლობა. ამიტომ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ დიდი იმედები დაამყარა მომავალ თაობაზე.

„მან უნდა აღადგინოს დიდ ძვრებსა და ბრძოლებში უნებლიეთ შემკაცრებული ურთიერთ - დანდობა და განათლებული კაცთმოყვარეობა! ჩვენი დროის მოწინავე ადამიანი ყოველმხრივ შემკული უნდა იყოს და არა მარტო წიგნის მცოდნე და თუნდაც ხელმარჯვედ გამძღოლი“ (გოთუა 1965:3).

ქართველი ერი ოდითგან იყო მოაზროვნე, მაშენებელი, ჰუმანური სულისკვეთების, რომელსაც ბუნებრივი კეთილშობილება და დემოკრატიული სული გამოარჩევდა. მომავალმა თაობამ თვალისჩინივით უნდა მოუაროს მიწა-წყალსო.

„ბუნებრივი კეთილშობილება და დემოკრატიული სული ჩვენი ეროვნული ხასიათის თვისებებად ადრევე იქცა. პრინციპული კარჩაკეტილობა არასოდეს არ გვახლდა... დღეს ჩვენმა თაობამ თვალისჩინივით უნდა მოუაროს სამშობლო მიწა-წყალს, ამშვენიეროს, მომმე თუ სხვა ერთა შორის ღირსეული ადგილიც განუმტკიცოს“ (გოთუა 1973:3).

მწერალი ახალგაზრდობას მოუწოდებდა ზრდილობისკენ, რომელსაც „ახალგაზრდულ წრეებში, პირდაპირ უნდა ვთქვა, შავი დღე დაადგა. სადღა არის ღირსეული თავის დაჭერა, თავაზი, მოხუცისთვის ადგილის დათმობა, ქალისა და ბავშვის პატივი, კეთილი ქცევა, სალამი, გულითადობა“ (გოთუა1974:14).

ზრდილობის არქონა ზნეობრივ მანკიერებად მიაჩნდა, რომელიც სხვა მანკიერებებთან ერთად უნდა აღმოფხვრილიყო. ზრდილობას ოჯახში ეყრება საფუძველი, და თუ ასე არ არის, „უკვე ქუჩაში და საზოგადოებრივ ადგილებზე გამოდის და ერის თავაზსა და ღიმილს სპობს. ესეც ყოვლად დაუშვებელია“ (იქვე).

ლევან გოთუა, ძველი და ახალი თაობის შეკავშირების სურვილით გამოდის, ისტორიის ძლიერებას თაობათა უწყვეტი ჯაჭვის მჭიდროდ დაკავშირებაში ხედავდა: „უნდა მოვუსმინოთ, ვენდოთ ახალ თაობას“, რადგან უმოქმედობა დამღუპველია ახალგაზრდობისთვის.

ამავდროულად, მას აუცილებლობად მიაჩნდა, წინამორბედ თაობებს თავმობეზრებული ჭკუის დარიგების, ხელაღებით ძაგების ან დაუმსახურებელი ქების ნაცვლად, მომავალი თაობებისთვის ცოცხალი მაგალითი ეჩვენებინათ - „გამბედაობისა, გმირობისა, გამჭრიახობისა, სამართლიანობისა, ნიჭისა და გულწრფელობის დაფასებისა, მეგობრობისა და ათასი სხვისა“ (გოთუა1974:15).

და თუ უფროს თაობას „ამის საფანელი აღარ გააჩნია, ნურც უკვირს შვილთა უნდობლობა და „ხელიდან წასვლა“. მაშინ, - დასძენს ლევან გოთუა, - ახალგაზრდობამ თავად უნდა გამონახოს სამაგალითო ზნეობის საფუძვლები... ჩვენი ერის მომავალი ამას მოითხოვს (იქვე).

ზნეობის სისპეტაკე და მტკიცე სიმართლე - ლევან გოთუას მრწამსია, „ახალგაზრდა კომუნისტის“ ჟურნალისტთან ინტერვიუში იგი ამბობს, რომ ქართველები სადმე, ისტორიის წიაღში, ჩარჩებოდნენ, გმირული ზნეობა რომ არ ჰქონოდათ. სწორედ ზნეობა უნდა იყოს თაობის მებაირახტრე.

„თაობა ყოველთვის უნდა იყოს თავის სიმაღლეზე და, ჩემი ღრმა რწმენით, ყოველმა თაობამ თვითვე უნდა შვას და აუშვას ამირანი“ (ვაშაძე 1972:3).

საახალწლო მიმოხილვებში იგი, მწიგნობრობასთან და განათლებასთან ერთად, ახალგაზრდა თაობის საფუძვლიანი ესთეტიკური ზნეობრივი აღზრდა-განათლების საჭიროებასაც ხედავდა. საახალწლო თემატიკაზე შექმნილი სამივე სტატია მოახლოებული შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დღეების განწყობით დაიწერა. ამიტომ რუსთაველის საზომით მოითხოვდა საახალწლო სუფრიდან და ასევე ცხოვრებიდან ზოგიერთი მანკიერი საქციელის განდევნას, ფიქრთა გამგედ კი შოთა დავისვათო. „ეს იქნებ ერთადერთი სახელია, ახლა ყველას რომ აერთიანებს ჩვენში. ამ ნიშნით გავიკვალოთ სავალი და ახალ წელს ფეხბედნიერად შევეგებოთ!“ (იქვე).

ლევან გოთუასთვის უპირველესი საფიქრალი და „ლამაზი მთების სიმაღლის ამოცანა“ იყო ქართული ენის სიწმინდის დაცვა.

„ჩვენთვის ლამაზ მთების სიმაღლისა და მნიშვნელობის ამოცანა – ქართული ენის წმინდად და ფაქიზად დაცვაა. საოცარია, რომ ამაში თითქოს არავის არ ეპარება ეჭვი. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქართული ენა მარტო მეცნიერებათა აკადემიისა თუ მწერალთა კავშირის ენა როდია, არამედ ჩვენი ეროვნული, სახალხო და სახელმწიფო ენაა“ (გოთუა1974:12).

ხშირად მახინჯდებოდა, მისივე დახასიათებით, უძველესი, მდიდარი, მეტყველი, კეთილხმოვანი, შინაგანად მზარდი ქართული ენა, რომელსაც მწერალი მეორენაირად ჩვენი ერის დედა-მანდილსაც უწოდებდა.

მისთვის წარმოუდგენელი იყო „ენის გაჟარგონება, უცხოური სიტყვებით აჭრელება, გალაზღანდარება. ქართველებისათვის სრულიად საჭოჭმანო ენის გაბილწება და გინებით ავსება“ (იქვე). ეს ტენდენცია ყოფაში გადადის და საშიშ ხასიათს იღებს. მწერალი განსაკუთრებით ახალგაზრდობას, მოსწავლეებს, „ხვალინდელ ქართლის პატრონებს“ ახსენებდა, რომ არ დაეშვათ ენის დაბინძურება.

„ჩვენ, ქართველები, ჩვენს ენას დედა ენას ვუწოდებთ. რამდენადაც ვიცი, არც ერთ სხვა ენას ასეთი თბილი, პირდაპირ საალერსო სახელი თავისთვის არ მოუპოვებია. ახლა კი, ზოგი, სხვა ენის ცოდნის გამოსაჩენად, შეუგნებლად და უმსგავსოების მიხედვით ფარცხავს ყველაფერს“ (გოთუა1974:13).

მრავალი ენის ცოდნის წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ მშობლიურს განსაკუთრებით უსვამდა ხაზს: „რამდენ ენას ფლობ, იმდენი ხელი გაქვს, მაგრამ მშობლიური ენა თუ არ იცი, შეიძლება ბევრი ხელი გაბია და გული კი არა გქონია“ (იქვე).

ლევან გოთუა სტატიას ორი მაგალითით ამდიდრებს. ერთხელ, მოგზაურობისას, ამბროლაურის მაღაზიაში ასანთის საყიდლად შევიდა. ახალგაზრდა ქალი ვერ მიხვდა, რისი შეძენა უნდოდა მწერალს.

„- რა გნებავთ? – განმეორებით შემეკითხა.

- ასანთი-მეთქი, ასანთი, - ნაწყენად ვუპასუხე. ქალი წავიდა და სანთელი მომიტანა.

- მე ასანთი მინდა და არა სანთელი, - უკვე შევუტიე.

- ვერ გავიგე რა გნებავთ, - გულახდილად მითხრა.

- სპიჩკა, - შევძახე.

- ეგრე გეთქვათ, თორემ რუსული ქვე არ ვიცი მე – გაღიმებით მიპასუხა და ასანთი მომაწოდა“ (იქვე).

მეორე ამბავი კი მეცხვარესთან შეხვედრისას მოხდა. მას კახეთ-დაღესტანს შორის, კავკასიონის გადასავალზე შეხვდა. მეცხვარე საუბრისას რუსულ სიტყვებს: „უჟეს“ და „მინავათს“ ხმარობდა...

ლევან გოთუა აანალიზებს ამ ფაქტებს, რომ საქართველოში „სხვადასხვა ერის შვილები კეთილად ცხოვრობენ“, მრავალეროვანი მოსახლეობა კი ენის სიჭრელესაც განაპირობებს. მაგრამ „ამან არ უნდა მოგვიჩლუნგოს პასუხისმგებლობა ერისშვილობისა! აბა, რა დავარქვა ამ საქციელს, როდესაც მრავალი ახალგაზრდა და არა ახალგაზრდა მშობელი ხშირად საკმაოდ განათლებული და წარჩინებული, თავის შვილებს სხვა, არაქართულ სკოლებში აბარებს სასწავლებლად და თავიდანვე ოჯახს „იჭრელებს“? ეს საჭირბოროტო საკითხი ყველას გვეხება“ (გოთუა 1974:14).

ვფიქრობ, ეს მტკივნეული საკითხი მეოცე საუკუნის 50-60-ანი წლებში მწვავედ იდგა და, სარწმუნოებასთან ერთად, ქართული ენის მეორეხარისხოვან ენად ქცევის

საფრთხე არსებობდა. დომინანტი რუსული ენა და კომუნისტური იდეოლოგია, სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში დამყარებული დიქტატურის, ერთპარტიულობის განმტკიცებას ემსახურებოდა.

იგი ამხელდა და შეურიგებლად ებრძოდა ენის ყოველგვარ დაბინძურებას: „ჩაკნინდა და შეიმღვრა ჩვენი ერის მეტყველება - წინა დროების უძირო საგანძური ჩვენი ენისა!“ ყურადღებას ამახვილებდა პირად სახელებზე და არაქართულ მიმართვებზე - „ივანოვიჩ“, „პეტროვიჩ“, „კარპოვიჩ“, „ფეოდოროვიჩ“... და სხვა მრავალ ამგვარ გამოთქმებზე, რომელიც ამხინჯებდა ქართული ენის ბუნებას და ქართველი ერისთვის მიუღებლად მიაჩნდა. „სახელი მარტო აბრა კი არ არის - ენისა და მოქალაქეობის სხარტად ნათქვამი თავგადასავალია, ოჯახისა და მთელი ერის შინაკულტურის მაჩვენებელი!“ (გოთუა 1973:3).

შოთა რუსთაველის საიუბილეო წლის დასაწყისს მწერალი ასეთ ინიციატივას სთავაზობს ერს - „არა მარტო ვამრავლოთ შვილები, არამედ მათ ქართული, შოთას საკადრისი სახელები მივცეთ... შოთას ანკარა ენით ვიმეტყველოთ... „იჩების“ ნაკადიც ძირში მოვწყვიტოთ“ (იქვე).

ლევან გოთუა ქართული ენის სიწმინდის დაცვის მისიას ახალგაზრდობას აკისრებდა - ქართული ენის სიწმინდის დაცვა ძირითადად ახალგაზრდობამ უნდა აიღოს საკუთარ თავზეო (გოთუა 1974:14).

ლევან გოთუას პუბლიცისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია სწავლა და განსწავლულობა. ამას „არასდროს არა ჰქონია ისეთი დიდი მნიშვნელობა, როგორც ამჟამად“ (გოთუა1965:3).

ამიტომ მასწავლებლებს ახალგაზრდობის მოამაგეებს უწოდებს, ახალი წლის პირველი დღე კი, უწინარესად, ახალგაზრდობის დღედ მიაჩნია. თაობათა ერთიანობის აუცილებლობასთან და „ხელდაკაპიწებული“ შრომის სურვილთან ერთად მთავარია საერთო საქმის შეგრძნება: „...გრძნობა საერთო ნაბდისა“ (იქვე).

სხვანაირად ახალ დროებაში ახალი ნერგი ვერ იხარებს. თვითშეგნება არის, მთავარია ძველზე ახლის დამყნობა და გახარება.

„ჩვენ არა მარტო მიწა-წყალი, ერთიანი ისტორია, ენის კრიალოსანი თუ ამირანის ჯაჭვი გვაერთიანებს, არამედ ის დიდი თვითშეგნებაც, რომელიც უძველეს საფუძველზე ახალ პრინციპებს დააყრდნობს, დაამყნის და ააღორძინებს“ (იქვე).

ახალმა შემოქმედებითმა ძალამ უნდა ააღორძინოს სამომავლო ნერგი. აქ მწერალი ილიას „აჩრდილს“ ეხმიანება: „და ახალს ნერგზედ ახლად შობილი ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“ (ჭავჭავაძე 1987:189).

აყვავებაში მწერალი პატიოსან შრომას და კეთილ ნაყოფს მოიაზრებდა. ბედნიერი ახალი წელი, ლევან გოთუას აზრით, ნიშნავს, რამდენად „დიდშრომიანი, კეთილნაყოფიერი და ოფლდდაფასებული იყო ძველი განვლილი წელი თუ წლები“... (გოთუა 1965:3).

მისი დაკვირვებით, ქართველი ნიჭიერია და თუ არ იზარმაცა, არ ჩამორჩება სხვა ერებს.

მწერალი ქართველი კაცის კიდევ ერთ თვისებას გამოარჩევს - კერიისა და ფუძის, კარმიდამოს სიყვარულს: „...საკუთარ კერაში სტუმრის მიღება უფრო გვიყვარს. ვიდრე თავად სხვაგან, დიდი ხნით, თუნდაც მიწვევით წასვლა. ეს კერისა და ფუძის, სახლიკაცობისა და ოჯახის შვილობის გამახვილებული გრძნობაც ოდითგანვე გვახასიათებდა და იქნებ სწორედ ამან ყველაზე უფრო შემოგვინახა ჩვენი კერა და ფუძე“ (გოთუა 1965:3).

სწორედ ამ თვისებამ - საკუთარი მიწა-წყლის სიყვარულმა, თავდაცვით მდგომარეობაში ყოფნამ გადაარჩინა ქართველი ერი.

„ჩვენ ადგილნაცვალი ხალხი არ ვყოფილვართ, კაცობრიობის ისტორიის ჩვენი ნაწილი კავკასია - მცირე აზიის საბრუნავში გვაქვს გავლილი და ირგვლივ თავდაცვაში გადატანილი. რამდენი უშტი და რამდენი უშქარი ახალი წელი ჩვენ აქ გვითენებია და რამდენჯერ ადგილის დედა, გვარის პაპა, კარმიდამოს მფარველი ფუძის ანგელოზი გვიდიდებია. ჩვენი მიწა-წყალი ჩვენ ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი და ჩვენი ყოველწლიური განახლების ფასკუნჯს ის ასაზრდოებს!“ (გოთუა 1965:3).

საინტერესოა მწერლისეული დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ქართველი ერის დღეგრძელობას მზეს უკავშირებს. როგორც მზე არ ბერდება, ისე არ ხუცდება ქართველობა - მზის ერი, რომელსაც თავდავიწყებული აღფრთოვანების ერად მიიჩნევს.

„ჩვენ თავდავიწყებულ აღფრთოვანების ხალხი უფრო ვართ, ვიდრე თავდაკარგულ სასოწარკვეთის. ამან უთვალავჯერ გვიხსნა. დრომ მზეს შეგვაბერა, მაგრამ ვერ მოგვახუცა.... გულიც საგულესა გვაქვს, შუბლის ძარღვიც. მოყვრობა-ნათესაობაც მისხის მისხამდე ვიცით“ (სუიცა, საქმე №324:2).

აღფრთოვანებასთან ერთად ოცნება ქართველი ერის დიდი, ბუნებრივი ოპტიმიზმია. ოცნებასთან ერთად ქართველი ერი თავდავიწყებულმა აღფრთოვანებამაც გადაარჩინა. ამიტომ ის სამ დროში - აწმყოში, წარსულსა და მომავალში ცხოვრობს. „ჩვენ ერთდროულად სამივე „განზომილებით“ ვცხოვრობთ და ეს განსაკუთრებით ახალ წელს იგრძნობა ხოლმე“ (გოთუა 1965:3).

ახალი წლის განწყობას, უამრავ საჭირბოროტო საკითხთან ერთად, უცხოეთში გადახვეწილ ქართველებზე ფიქრიც მოაქვს. მწერალი იხსენებს იმ თანამემამულეებს, რომლებსაც ერისკაცობის სახელი არ შეუბღალავთ და არც სამშობლოს ივიწყებენ:

„ახალი წელი შორს წასულთა და უნებლიეთ გადახვეწილთა მოგონების დღეც არის ჩვენში... და სადაც არ უნდა იყოთ, ჩვენ ერს ერთობლივ ყველა გვახსოვს, ვინც ჩვენი ერისკაცობის სახელს ღირსეულად ატარებს და გულისყურიც სამშობლოსკენ აქვს მოპყრობილი. სამშობლოს თუ გრძნობ და გახსოვს, იგი ყველგან თან გახლავს მარად!“ (სუიცა, საქმე №324:2).

როდესაც უცხოეთში მცხოვრები ქართველობისთვის გაზეთმა „სამშობლომ“ „დედაენის“ 32 გაკვეთილი დაბეჭდა, გაზეთში გამოქვეყნდა ლევან გოთუას პატარა წერილი - „მერცხლად მოფრენილი საქართველოდან“. მწერალი აღფრთოვანებული იყო ამ წამოწყებით და შორს მყოფი თანამემამულეებისთვის სამშობლოში თავისებურ დაბრუნებად მიიჩნევს. ნებისმიერ მსურველს შეუძლია „სამშობლოს“ ნომრების შეგროვება საანბანო სახელმძღვანელოს, ანუ „მერცხალა კონის“ მისაღებად, როგორც ლევან გოთუა უწოდებს ამ ამონაჭრებს.

„ახლა იგი „ანიდან“ „ჰაემდე“ მსოფლიოს მრავალ ქვეყანას გადასწვდა, კეთილგანზრახვით ქართული ზანზალაკი აახმიანოს“ (გოთუა 1972:8).

მწერალს მიაჩნია, რომ, „დედაენის“ მსგავსად, „იაკობ გოგებაშვილის კვალით „ბუნების კარიც“ უნდა დამუშავდეს და მოჰყვეს „დედაენას“ (გოთუა 1972:8).

ვფიქრობ, საახალწლო წერილების თემატიკით და განწყობით ლევან გოთუა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ საახალწლო ნომრების პრობლემატიკას ეხმიანება, იქნება ეს ქართული ენის, ოჯახის, ახალგაზრდობის, ზნეობის, სწავლა-განათლების, მივიწყებული ტრადიციების თუ სხვა საკითხები.

იმედი და ოპტიმიზმი გაზეთ „ივერიის“ საახალწლო ნომრების თანამდევია. „ივერიის“ ავტორთა აზრით, ახალი წელი მარტო სანადიმო და დროის გასატარებელი

დღე კი არ იყო, არამედ იმედისა: „უფრო იმედისა და სასოების მომნიჭებელი დღეა, სულის აღმაფრთოვანებელი დღესასწაულია“ (ურბნელი 1889:2-4).

იმედმა და სასოებამ დაიცვა ქართველობა, ამიტომ დარჩა „მუდამ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა“ (იქვე).

„ივერიის“ სახალწლო სტატიების ავტორთა აზრით, სარწმუნოება და ზნეობა, ანუ ქრისტიანული ზნეობა არის ერის გადამრჩენი.

„სარწმუნოება და ზნეობა იყო სამკაული, დიდება და ძლიერება ქართველთა, რომელთაც ამდენი საუკუნე კისერზედ გადიგდეს და აქამომდე მოაღწიეს“ (ვინმე 1895:1).

ნიშანდობლივია, რომ ლევან გოთუას ზემოხსენებულ სტატიებში სარწმუნოება გამოკვეთილად არსად არის ნახსენები. XX საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც სანთლის დანთებაც კი იკრძალებოდა და ხალხი ჩუმად დადიოდა ეკლესიებში, მამულიშვილთა დიდი ძალისხმევა ტაძრების, როგორც ნაგებობების გადარჩენისკენ და მათი სხვადასხვა სათავსოსგან გამოთავისუფლებისკენ იყო მიმართული, საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „კომუნისტი“ ქრისტიანული მრწამსით დაწერილ სტატიებს, რა თქმა უნდა, არ დაბეჭდავდა. თორემ პიესა „ჩაძირული სოფლის“ ავტორის თვალთახედვას როგორ შეიძლებოდა, სარწმუნოებრივი არეალითაც არ მოეაზრებინა ერის ესა თუ ის მანკიერება?

სწორედ დიდი კომუნისტური წნეხით უნდა აიხსნას ეს უკმარისობა ლევან გოთუას სტატიებში. თუმცა მწერალს გაზეთ „კომუნისტისადმი“ გულგრილი დამოკიდებულება არასდროს ჰქონია. საკონცენტრაციო ბანაკებიდან და გადასახლებებიდან გამოგზავნილ წერილებში ხშირად ახსენებდა გაზეთ „კომუნისტს“ და ოჯახის წევრებს სთხოვდა, გაეგზავნათ მისი ნომრები.

1971 წელს 26 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულია ლევან გოთუას სტატია „დიდი საუკუნის ქადაგი“, რომელიც გაზეთის 50 წლის იუბილეს ეძღვნება. მწერალი ბავშვური მიამიტობით ულოცავს გაზეთს იუბილეს და მას „ყველაზე ქართულ, ყველაზე მასობრივ, ყველაზე მრავალფეროვან და ყველაზე მოქმედ დედაგაზეთად“ მოიხსენიებს (გოთუა 1971:2).

„კომუნისტის“ მეორე გვერდზე სხვა ცნობილი პიროვნებების წერილებიც არის გამოქვეყნებული, მაგრამ, მათგან განსხვავებით, ლევან გოთუა გაზეთს არც

კომუნიზმისთვის ბრძოლაში სათავეში მდგარს და არც რევოლუციური ბრძოლის ორგანიზატორს უწოდებდა, არც იმას წერდა, როგორ იკვლევდა გაზეთი მშრომელთა გულებისკენ გზას და როგორ ენდობოდა მკითხველი პარტიის მართალ სიტყვას... მის წერილში, მავანისგან განსხვავებით, არც სიტყვებს: „საბჭოთა მწერალი“ და „ქართული საბჭოთა მწერლობა“ ნახავთ... გაზეთი მისთვის ნახევარსაუკუნოვანი სარკეა, სადაც ირეკლება აღორძინებული ქალაქები და სოფლები, გაუვალ გვიმრას ჩანაცვლებული ჩაის ბუჩქები, ჭაობებს - ზვრები, ციტრუსოვანი ბაღები... განმტკიცებული ქართული ენა და შეგნება, ძველ ციხე-კოშკებთან და ტაძრებთან ერთად ცისკენ აწეული ამწეები და ცათამჯენები...

ცალკე უნდა აღინიშნოს ლევან გოთუას განსაკუთრებული დამოკიდებულება წიგნთან და მწერლებთან. ქართველი ერის წიგნიერებას უსვამდა ხაზს ჯერ კიდევ ოდითგან, როდესაც წიგნი ხელით იწერებოდა. მეოცე საუკუნეს კი წიგნის საუკუნეს უწოდებდა და დასძენდა: არცერთი საქმე უწიგნოდ აღარ გვარობსო (სუიცა, საქმე №342:1).

წიგნთან ერთად მწერლობასაც პირველ რიგში აყენებდა. მწერლობა ნელად მზარდი, მრავალწლიანი, მარადმწვანე მცენარე არ არის, „იქნებ ჩვენ ყველაზე უფრო გვესაჭიროება გადახალისება?!“ (გოთუა 1965:3).

უამრავ საახალწლო სურვილს შორის გადახალისება, ლევან გოთუას აზრით, ხალხის მაჯისცემის მოსმენას, მის გვერდით ყოფნას ნიშნავდა. მთავარი და დაუწერავი წიგნი სწორედ ეს არისო.

„ჩვენი კალმის ძარღვი ხომ ჩვენი ხალხის მაჯისცემაა. სასიხარულო. ვიხაროთ და ცუდი დავგმოთ. ხალხთან განუყრელობის გრძნობა არის, იყო და იქნება გული და ღვიძლი მწერლისა. ეს არის ჩვენი მთავარი წიგნი, ვგონებ, ჯერაც დაუწერავი... ახალ, გულგამჭრიახ წიგნებს გისურვებთ, კალმოსნებო, რუსთაველისა და ილიას შთამომავლებო!“ (გოთუა 1965:3).

მწერალი თავადაა მეკვლე და ბედნიერი სურვილებით სავსე ქართული ხურჯინით და ნათელი კელაპტრით მოდის. „...ყველას დაგივლით სამშობლოშიც და მის გარეთაც“. (გოთუა1965:3).

იგი, როგორც მეკვლე, ჰპირდება ხალხს, რომ დროების საცერში გაცრილ მადლმოსილ სიტყვას მიუტანს. „სიტყვაც ხომ ახმაურებული ენაამოდგმული მიწა-წყალია!“ (გოთუა 1965:3).

საერთოდაც, ლევან გოთუას დევიზი იყო: „წიგნმან ჩემმან გამომაჩინოს“ (გოთუა 1968:226). მისი სტატია „სარკის მერცხალა“ ახალგაზრდა მწერლებს ეძღვნება. როგორც ემზარ კვიტაიშვილი ამბობს, „სარკის მერცხალა“ მისი რჩევით დაწერა. სტატიაში სათქმელი მეტაფორულადაა გააზრებული, მერცხალი, როგორც გაზაფხულის მაცნე, ამ შემთხვევაში ალეგორიულად სიახლის სიმბოლოა, უნიჭობა სწორედ მერცხალა გუნდის წიგნებმა უნდა დაამარცხონ.

„მწერლობაში - მხდალ ნიჭს სულ უნიჭობა სჯობია! ჩვენ, მერცხალა გუნდის წიგნებს, გვიყვარს თავდაჭერილად საფიქრ-ნათქვამი, თავს ვუხრით მხოლოდ ხალასი ზნეობისა და თავგანწირული მოწოდების პირთ... სხვანი ჩამოგვეცალეთ! განა ცოტაა სამოღვაწეო ქვეყანაზე“ (გოთუა 1968:225).

„ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანაში „ცივსისხლიანი გულმათხოვარა“ წიგნები ვის რად უნდა, „წიგნი უნდა იყოს ზარშრიალა და ბასრიგულა, სახნისად რომ გამოადგეს ადგილის დედის გუთანს“ (იქვე).

და სტატიასაც სწორედ ახალი წიგნების შთაგონების და დაბადების სურვილის გრძნობა მსჭვალავს. მთავარია, ახალგაზრდებმა მერცხალა წიგნები წერონ, რომლებსაც თავისი სახე, წონა და მიზანი ექნებათ, „თავანკარა, სუფთა და უსარეველო“ სიტყვის სამზარეულოთი...

ლევან გოთუა უნიჭო მწერლების დასახასიათებლად ზუსტ, მრავლისმეტყველ მეტაფორებს და შედარებას მოიხმობს. მათ მიერ შექმნილ ერთფეროვან წიგნებს „უცხვირპირო მუნჯ წიგნებს“ უწოდებს. რომლებიც „ერთმანეთს ჰგვანან, როგორც ლაშქრის ჩექმები! უნიჭობაში ყოველთვის უფრო არის მსგავსება!“ (გოთუა 1968:228).

ასე ხატოვნად და „მოყვარეს პირში უძრახე“-ს პრინციპით გაილაშქრა ლევან გოთუამ უნიჭო მწერლების წინააღმდეგ - კალამი პატრონის ცოცხალი ნიჭითა და გულის ხორცით თუ არ იკვებება, ისე არ კალმობსო... მაგრამ აქვე იმასაც შეახსენებს მწერლებს, რომ კალამს ორი უკიდურესობა ახასიათებს, ქარქაში არ აქვთ. „კალამს ქარქაში არ გააჩნია, - იგი ან ბასრად ცხოველმყოფელია, ან გატეხილი!“ (გოთუა 1968:230).

საახალწლო თემატიკაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მეცნიერებასა და პროგრესს, კოსმოსურ სივრცეებში ადამიანის გაჭრას. მეცნიერებს ახალი კოსმოსური სივრცეების დაპყრობას უსურვებს, თავად კი აღტაცებულია, რომ ადამიანი მალე მთვარეზე დაადგამს ფეხს, რომელიც ქართულ-კავკასიური სამყაროს უძველესი, წარმართული ღვთაება იყო, შემდეგ იგი ქართულ მითოლოგიაში ყველა სტუმრისა და მოგზაურთა მფარველად დარჩა.

„ახლა, ჩვენს დროში კი, ერთ-ერთ მახლობელ ახალ წელიწადს, ჩანს, იგივე მთვარე გახდება დედამიწის კოსმონავტების პირველი კოსმოსური დიდ-მასპინძელი! რა კარგი იქნება - ჩვენებური ადამიანი სტუმრად თავის უძველეს ღმერთთან!“ (გოთუა1965:3).

ვიდრე კონკრეტულ საკითხზე ვიმსჯელებდე, საინტერესოა, საერთოდ, ლევან გოთუას მიერ დახატული, ასე ვთქვათ, პორტრეტი ქართველი ერისა.

„ჩვენი ერის უძველეს მოდგმას მუდამ ორი აკვანი ჰქონდა - შავი ზღვა და თეთრი კავკასიონი. უძველეს ღვთაებებად - მზე და მთვარე სწამდა. უდიდეს სასიყვარულოდ მშობლები და სამშობლო მიაჩნდა. ჩვენი, ყოვლად ქართული სახასიათო გმირებია - ბრძენი მინდია და მიჯაჭვული ამირანი. ქართული ენაც ხომ ჩვენი ახმაურებული მიწა-წყალია!“ (სუიცა, საქმე 324:2).

ღვთაება მთვარეს და კოსმოსურ მიღწევებს მწერალმა ცალკე სტატია მიუძღვნა და „დამთვარული ფიქრები“ უწოდა. იგი მეტაფორულად, ქვეტექსტური მნიშვნელობით და შინაგანი არსით გამოხატავს სათქმელს - მთელი არსებით მთვარის სამყაროშია, ამიტომაც ფიქრები დამთვარულია.

სტატია მწერლის გარდაცვალების შემდეგ მალევე გამოქვეყნდა ჟურნალ „დროშაში“. მას ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის ასპარეზზე აქტუალური პრობლემა გამოაქვს.

სტატიას წამძღვარებული აქვს რედაქციის წინასიტყვაობა: „ლევანი ხშირად გამოდიოდა ჩვენს პრესაში, როგორც პუბლიცისტი, ავტორი უაღრესად საინტერესო ნარკვევებისა და წერილებისა; „დამთვარული ფიქრები“, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ, ავტორმა რედაქციაში მოიტანა თავისი ავადმყოფობის წინა დღეს. ეს წერილი მას დააწერინა გაზეთებში გამოქვეყნებულმა ცნობამ მთვარემავალზე, და იმ წარმატებებზე, რასაც ადამიანმა კოსმოსის დაუფლების დარგში მიაღწია“ (გოთუა 1973:11-12).

გასული საუკუნის 60-იან წლებში მთვარეზე პირველმა ადამიანებმა დადგეს ფეხი. სტატიაში ლევან გოთუა კოსმოსის დაუფლებასა და ცისა და ვარსკვლავებისკენ უძველეს ლტოლვას შორის იდუმალი ძაფების პოვნას ცდილობს... ამ თვალსაზრისით აკვირდება იგი ქართულ მითოლოგიასაც. იგი „ქართული თვალით შეჰყურებს სამყაროს და კაცობრიობის გამარჯვებაში ქართულ წილსაც ეძებს“ (გოთუა 1973:11-12).

თუ რატომ ქართულს, თავადვე განმარტავს სტატიაში - ქართველთა უძველესი ტომების მთავარი ღვთაება მთვარეა. სტატიის თეზისიც და ამოსავალი წერტილიც ეს არის.

„აღმართულ ხელის მტევანს ვტვიფრავდით ქვაზე. ეს სიმბოლურად ნიშნავდა - ქვის ხელს, მთვარით განათებულს! რატომ მთვარით? იმიტომ, რომ ქართველ და ქართველურ ტომების მთავარი ღვთაება - მთვარე იყო! სწორედ მთვარეა ჩვენი მითოლოგიური ჭვირნიშანი, ჩვენი პირვანდელი აზროვნების გამოსავალი და მსოფლშეგრძნების ქვაკუთხედი“ (გოთუა 1973:11).

მთვარე - ღამის ხილული ღვთაება მარად ახალგაზრდაა... „ამიტომ არის, რომ არსად, არც ერთი ქართული კილოკავი, ქართული ზღაპარი არ იტყვის - „ძველი“, ან „ბებერი მთვარე“ - იტყვის „ახალი მთვარე“, „სავსე მთვარე“, ან საპირისპიროდ - „მცხრალი მთვარე“ (გოთუა 1973:11).

აქამდე ჩვენი მეცნიერების საკვლევი ობიექტი მხოლოდ დედამიწა, მისი ბუნება და ხალხი იყო, ახლა კი კოსმოსური კვლევის ახალი ჰორიზონტი გადაიშალა.

„ახლა უკვე მათ ჩვენს გაბედულობასაც კოსმოსური ჩოხა ჩააცვეს და ადამიანის სწრაფვა განუსაზღვრელ ასპარეზზე გაიყვანეს“ (გოთუა1965:3).

ლევან გოთუა ფიქრობს, რომ ამ მხრივ გაუცნობიერებელი, უმნიშვნელოვანესი მოვლენა მოხდა - „კაცობრიობისთვის „კოსმოსური გასაღები“ ჩვენი წარმართული მთვარე აღმოჩნდა, აქ რაღაც დიდი, შეიძლება, ჯერ შეუცნობი, მრავალმხრივ გაუთვალისწინებელი ამბავი მოხდა. მთვარის მიღწევამ ბევრი რამ, ახლა ხელახლა წამოაგდო, დიდ სასწორზე დასდო“ (გოთუა 1973:12).

მწერალი უმთავრესი არსის წინწამოწევით, მასზე მსჯელობით, არგუმენტირებით ამყარებს სათქმელს. იგი პარალელს ავლებს, კოსმოგონიურ სიმბოლოსთან - ამირანთან, რომელსაც აგრეთვე კავშირი აქვს ნათელთან (ცეცხლთან) და მთვარესთან („ყამარ“ მთვარეს ნიშნავს ძველ ებრაულად).

წარსულიდან მოხმობილი მაგალითების გარდა, ლევან გოთუა რიტორიკულ კითხვებს სვამს და ზუსტ აქცენტებსაც მოინიშნავს. „ნუთუ ისტორია „მიწის ძისა“ გასრულდა და იშვა „შვილი სამყაროისა?!“ ჩვენ კი ყველანი, დიდ-პატარა თანამედროვენი, გვსურს ეს თუ არა, „უწონადო“ მდგომარეობაში ვართ?“ (გოთუა 1973:12).

„ნუთუ ჩვენი დედამიწა მხოლოდ გასავლელი დერეფანია კოსმოური ადამიანისა? ჩვენი „უკვდავი დედაბერი“ მხოლოდ კოსმოდრომია და მიწის ბუნდოვანი სახე მხოლოდ მითიურ სიზმრად გაჰყვება „კოსმოადამიანს?!“ (იქვე).

ამირანი აქამდე კავკასიონის წიაღიდან უჭვრეტდა მთვარეს, „ახლა ტექნიკურ კონსტრუქციებზე ხომ არ გადაინაცვლა?“ (იქვე).

ლევან გოთუა ადამიანის მიერ მთვარეზე ფეხის დადგმას - ამ დიდ მოვლენას სულიერი შემოქმედების თვალსაზრისით აფასებს. ადამიანს, ფსიქოლოგიურად კვლავ ახალი მითოლოგიის შექნის ხანა დაუდგაო. „ეს სულიერ შემოქმედების თვალსაზრისით უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე მთვარეზე გაფრენა, როგორც ტექნიკურ-მექანიკური მიღწევა“ (იქვე).

სტატიის კულმინაციაა დასასრული, სადაც მწერალი საკუთარ ოცნებასაც ამჟღავნებს - „შესაძლოა, ქართველი კაციც ესტუმროს პირველყოფილ ღვთაებას! ეს ხომ ნიშანდობლივი საზომია კაცობრიობის კულტურული ზრდისა!“ (იქვე).

მწერალი „ხანდაზმული მთვაროსნების“ წარმომადგენლად მიიჩნევს საკუთარ თავს და XX საუკუნის მთვაროსნების მიღწევას სწორედ ამ თვალთახედვით აფასებს. ეს პროგრესი სასიხარულოა, რადგან შორეული წარსულიც და მომავლის რწმენაც ახლებური ხედვით ახსენებს ყველას თავს.

ლევან გოთუას ტექსტების უმთავრესი კომპოზიციური ელემენტია ფაქტი, რომელთა ტენდენციაც იდეასთან კონტექსტში მჟღავნდება. ტექსტის კომპოზიციურ მთლიანობას ფაქტების აზრობრივი და ლოგიკური ურთიერთმიმართება განაპირობებს. ამ მხრივ საინტერესო კომპოზიციური ქსოვილი აქვს საახალწლო მიმოხილვებს - „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“ და „ყიოდა გორგასლის ხოხობი“.

მიმოხილვაში „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“ ერთი შეხედვით ლოგიკურად დაუკავშირებელ დეტალებს ახალი წლის განწყობა აზრობრივად ამთლიანებს და თავთავის ადგილს მიუჩენს. იდეა ფორმის მთლიანობასაც უწყობს ხელს.

ზოგადსაკაცობრიო ჭრილში დანახული პრობლემის ფონზე იკვეთება ეროვნული მახასიათებლები. ახალ წელს ეს ტენდენცია განსაკუთრებით ვლინდება, რადგან თავს უყრის ერის ავ-კარგს და დაფიქრების ჟამი დგება.

სათაურში ხაზგასმული „ჩვენი საუკუნე“ ქვეცნობიერად „ჩვენს ერსაც“ მოიაზრებს, რომელიც თავისი დამახასიათებელი თვისებებით და მისწრაფებებით გამოირჩევა სხვა ერებისგან, უწინარესად, საკუთარი მიწა-წყლის სიყვარულით, ადგილის დედის, კერისა და ფუძის სიმყარით. ტექსტის შინაარსობლივ მხარეს სხვა მახასიათებლებიც განსაზღვრავს, საერთო პრობლემის, იგივე „საერთო ნაბდის“ გრძნობა, ნამუსის „შუბლის ძარღვი“, მიწა-წყლისა და ერთიანი ისტორია, ენის კრიალოსანი, ამირანის ჯაჭვი...

თუმცა ახალ საუკუნეში აუცილებელია „ის დიდი თვითშეგნებაც, რომელიც უძველეს საფუძველზე, ახალ პრინციპებს დააყრდნობს, დაამყნის და ააღორძინებს“ (გოთუა 1965:3).

ფაქტობრივად, მიმოხილვის სიუჟეტური ღერძი ამ იდეაზეა აგებული, რომლის ქვეტექსტსაც უხილავად სათაური მოიაზრებს - ახალ წელს ახალი თვითშეგნების საუკუნე მოდის.

ამ იდეას კომპოზიციურად აერთიანებს დასასრული, რომელიც მთვარეზე ახალ კოსმოსურ მიღწევებს ქართულ წარმართულ ღვთაებასთან კავშირში წარმოაჩენს. ავტორის დამოკიდებულება - ტენდენცია მჟღავნდება არა მხოლოდ მსჯელობის დროს, არამედ ეპითეტ-მეტაფორებში ჩაქსოვილი აზრითაც. უხვი მეტაფორებით დახუნძლული დასასრული პუბლიცისტური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშია.

„არმაზის თავზე მზე ამოდის და ცთომილების ზეციური შარიშური... კავკასიონის მწვერვალებიც გაქვავებულ თარიღებად, საუკუნეებად, მრავალწლედებად დგანან. ახალწლის მთვარეც გაბადრულა, ხალიბურ სახნისივით ჩაუვლის ღრუბლებს, ბუნების უმზრახ ოსტატს ვარსკვლავების ლალიონი მოუბნევია... ცთომილების მიკერძოებას ნურვინ დაგვწამებს... ამ მსოფლიოს საწირეში ჩვენ ჩვენი ძველი, კერძო წილიც და ვითარებაც გაგვაჩნია“ (გოთუა 1965:3).

არაორდინალური კომპოზიციური სიუჟეტით გამოირჩევა მიმოხილვა „ყიოდა გორგასლის ხოხობი (ახალი წლის პარადოქსები)“. იდეა იკვეთება სინამდვილის ფაქტების ურთიერთშეპირისპირებით - ძველი წლის და ახალი წლის მიჯნის „გაყრაზე“

პაექრობით. ახალი წელი დადგა და გორგასლის უბანში, მეტეხსა და შურის ციხეს შუა გორგასლის ხოხობი მესამედ აყივლდა. ავტორი ცდილობს, ამაფორიაქებელი სათაურით - „ყიოდა გორგასლის ხოხობი“ ფსიქოლოგიურად შეამზადოს მკითხველი მწვავე საზოგადოებრივი ჟღერადობის პრობლემებზე სამსჯელოდ. ეს მიმოხილვაც, ზემოხსენებულის მსგავსად, ჟანრობრივი თვალსაზრისით და, უწინარესად, ეროვნული პრობლემატიკის წინ წამოწევით ილია ჭავჭავაძის საახალწლო თემატიკაზე შექმნილ „შინაურ მიმოხილვებთან“ ყველაზე ახლოს დგას. გასათვალისწინებელია, როგორც ნოდარ ტაბიძე იტყოდა, ფაქტთა შერჩევის მეთოდი და „მათი დიფერენციაცია - კლასიფიკაცია“ (ტაბიძე 2008:99). საახალწლო მიმოხილვაში ფაქტების სისტემა იდეასთან მჭიდრო კონტექსტით დამაჯერებელ პუბლიცისტურ ჟღერადობას იძენს.

ლევან გოთუა შინაგანი ლოგიკით და მოვლენის არსში ღრმად წვდომით აანალიზებს წარსული წლის მოვლენებს და უწყვეტ კოსმოსურ მოძრაობაში მას აინტერესებს თავისი ქვეყანა - საქართველო, რომლის „ბედსაბრუნავიც ამ საერთო მოძრაობაშია“ (გოთუა 1973:3).

დიალოგის ფორმა არა მხოლოდ ტექსტის სტრუქტურის გამოკვეთას, არამედ ნაწარმოების იდეის ორიგინალურ კომპოზიციურ გადაწყვეტას ემსახურება. ამავდროულად, ტექსტის კომპოზიციური მხარე რიტორიკული შეძახილით და რიტორიკული შეკითხვით მდიდრდება.

„- ჩვენ ამ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას ვიღებთ პირობითად...

- მწვერვალი მუდამ ნიადაგიც არის და თვალსაზრისიც!

- აბა მწვერვალებს რა გამოლევს ჩვენს მხარეში? ჩვენს ერს არც ყოვლისგამჭვრეტი თვალი დააკლდება! ჰოდა, ასეთი მაღალი თხემი რომ მოინახოს, საიდანაც საქართველო ჩანს... და გამჭრიახი თვალით ყოველ ოჯახში შევიხედოთ, ჩვენი სამშობლო ამ დღეს ალბათ ერთიან სუფრად გადაგეშლებათ.

დაე, მას „ქართლის ცხოვრების“ ბედნიერი სუფრა ვუწოდოთ!.. მაგრამ ყოველ ერს თავის გულსაზრუნავთან ერთად ნაკლთსაფარავიც აქვს. ზოგი ხალიჩებით ფარავს თავის ხარვეზებს, ზოგი რეკლამით თუ პლაკატებით, ზოგი გარებრჭყვიალით. ჩვენი „ერთიანი სუფრის“ უკან ბევრი სიკეთეც, მაგრამ ნაკლიც იჩქმალება, და ვგონებ ვერც იფარება!“ (გოთუა1973:3).

ავტორი ძველი და ახალი წლის პაექრობის უშუალო მონაწილეა, და რადგანაც შოთა რუსთაველის საიუბილეო - 1966 წელი მოდის, სათქმელის ამოსავალი წერტილიც შოთაა, მისი თვალსაზრისით უნდა „დავჩხრიკოთ ჩვენი ერის ზოგი რამ ჩრდილდაკრული ხელმოცარვანი“ (გოთუა1973:3).

მიმოხილვის საფუძველიც ფაქტთა და მოვლენათა სწორედ ასეთი „ხელმოცარვანია“, რომელიც სამომავლოდ უნდა გაითვალისწინოს დამდეგმა წელმა. ამიტომ ამბობს ავტორი, ფიქრიანად და იმედიანად, ჩემი ხონჩა ფეხშემოდგმულ გაისს მივართვიო. ნიშანდობლივია, რომ აქ უკვე ავტორისეული მოსაზრებაც ტექსტის შინაარსობრივ ელემენტად გვევლინება. ხოლო დასასრულს, ავტორისეული თხრობა კულმინაციას აღწევს და ნაწარმოების იდეას სიუჟეტურად ამთლიანებს. გორგასლის უბანში ხოხბის მესამე ყივილი მზის პირველამოსვლის ჟამის დადგომას მოასწავებს. ავტორი „შოთას ჭაშნიკის ღვინით“ მთელი საქართველოს მეკვლეობას თავობს. ტენდენცია სიმბოლიზებული ქვეტექსტით, მაგრამ ხაზგასმით მჟღავნდება, სათქმელი მეტაფორულად, დახვეწილი ესთეტიზმით, მომავლის მოიმედეობითაა გადმოცემული.

„გორგალის უბანში მესამედ იყივლა ხოხობმა... ჩვენი მზის პირველმოსვლის ჟამია! მეც ჩემს საახალწლო ხონჩაზე ავანთე კეთილი სურვილების წმინდა სანთელი, შოთას ჭაშნიკის ღვინოც შემოვდგი, დავახვავე ქართული პური და მჭადი, ზეთისხილი, თბილიკვერი, ჩურჩხელები, ღვეზელი, ქადა... მთელ საქართველოს იმედის მეკვლედ მივუვალ“ (გოთუა 1973:3).

„მთელ საქართველოს იმედის მეკვლედ მიუვალ“ - ამ ფრაზამ და მიმოხილვის სათაურმა „ყიოდა გორგასლის ხოხობი“ გაამყარეს იდეა, ტექსტი შეიკრა და სათქმელი ემოციურად კიდევ უფრო დამუხტა.

აქვე ორიოდე სიტყვით აუცილებლად უნდა აღინიშნოს ლევან გოთუას სტატია „ფრიად მომწიფებული საკითხი“, რომელიც 1960 წელს „ცისკარში“ გამოქვეყნდა და ქართული ზეპირად თვლის ათობით სისტემას ეძღვნება. მწერალი ახალ დროში ქართული ზეპირი და დაწერილი თვლის შეუსაბამობაზე ამახვილებს ყურადღებას და მოითხოვს ქართული ზეპირი თვლის „კანონზომიერ გათანადროულებას“. მაგალითად, 75-ის - „სამოცდათხუთმეტის“ გამარტივებული ფორმა, მწერლის შემოთავაზებით, იქნება „შვიდათხუთი“, ორმოცის - „ოთხათი“, ორმოცდაათის - „ხუთათი“... და სხვ. მწერალი არგუმენტირებულად ასაბუთებს ნათქვამს და შიშობს, რომ რუსული ენის

მასობრივი შეჭრა ყოველდღიურობაში ქართულ ზეპირად და დაწერილად თვლას საფრთხეს უქმნის და საჭიროა თვლის სისტემა, სათანადო ორგანოებმა ქართული კულტურის დაცვა-განვითარების თვალსაზრისით განიხილონ. ლევან გოთუა საკითხზე სპეციალური კომისიის შექმნას მოითხოვს.

საინტერესოა ლევან გოთუას რეცენზიაც 1965 წელს გამოცემულ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ უკანასკნელ ბოლო ტომზე. რეცენზიაში „ბურჯი მშობლიური ენისა“ მწერალი, უამრავი მოხმობილი მაგალითისა და მსჯელობის საფუძველზე, ლექსიკონის გამოსვლას დიდ კულტურულ-მეცნიერულ მოვლენად მიიჩნევს (გოთუა 1965:2).

ასე რომ, ლევან გოთუას სტატიები და მიმოხილვები პუბლიცისტური დისკურსის გამორჩეული ნიმუშებია. აქტუალური თემატიკა და ორიგინალური ჟანრობრივი მახასიათებლები, სათქმელზე მორგებული ზუსტი ფორმა, პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობლივი დეტალების ლოგიკური ურთიერთმიმართება, მოვლენების ღრმა ანალიზი, არგუმენტაცია, ტენდენციის ექსპრესიულად გამოხატვა არა მხოლოდ იდეის სრულყოფას, მკითხველზე ზემოქმედების მიზანსაც ემსახურება.

თავი III. პუბლიცისტური სტილი და მხატვრულ-ესთეტიკური კონტექსტი

პუბლიცისტიკა მრავალ ჟანრს მოიცავს, ბუნებრივია, ტენდენციაც ყველა ჟანრის ნაწარმოებში თავისებურად ვლინდება. ტენდენციის გამოვლენის ფორმებს განსაზღვრავს არა მხოლოდ ავტორის ჩანაფიქრი, „ფაქტთა შერჩევის მეთოდიც“ (ტაბიძე 2011:16).

ლევან გოთუას დიდი ერუდიცია და განათლება მის პუბლიცისტურ ნაწარმოებებზეც აისახა - თემის განსაზღვრა, ფაქტების შერჩევა, მსჯელობა, განზოგადება, დასკვნები... ეს ყველაფერი საგულდაგულოდ განფენილია მის პუბლიცისტიკაში, ტენდენციაც ასევე საინტერესოდ, სხვადასხვა გზით მჟღავნდება.

პუბლიცისტური ნარკვევისთვის - „ფიქრები თოკის კიბეზე“ მწერალს ქვესათაური - „ლეჩხუმური პარადოქსები“ და ვახუშტის სიტყვები წაუმძღვარებია: „არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული... და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი“ (გოთუა 1968: 177).

მსგავსი სტრუქტურა აქვს ლევან გოთუას სხვა ნარკვევებსაც. შესაპირისპირებლად შევარჩიე მხოლოდ ერთი, „ვაჟას სამყაროში“, რომელიც მწვერვალ ვაჟა-ფშაველას აღმოჩენას ეძღვნება და რომლის ქვესათაურია „მთამსვლელის დღიურიდან“. ეპიგრაფად კი ხალხური ლექსი აქვს წამძღვარებული: „ხევსურეთს ცანი დაიცნენ, არხვატს - ნაპირი ცისანი“ (გოთუა1960:202).

ვინაიდან ლევან გოთუას სამგზავრო ნარკვევები შემეცნებითი ინტერესით, პულიცისტური სტილით, პათოსით, არქიტექტონიკით თითქმის ჰგავს ერთმანეთს, გადავწყვიტე, ორ ნარკვევს დავკვირვებოდი და მემსჯელა ლევან გოთუას პუბლიცისტური სტილის ზოგიერთ თავისებურებაზე ამ ჟანრის ნაწარმოებებში.

ორივე ნარკვევი - „ფიქრები თოკის კიბეზე“ და „ვაჟას სამყაროში“ პატარ-პატარა, დღიურის ფორმის ჩანაწერებისგან შედგება, სხვა მგზავრული ნარკვევების მსგავსად, ამბავი გადმოცემულია თავისუფალი თხრობით და ვიწრო ჟანრული სპეციფიკა არ შემოსაზღვრავს. ორივე ნარკვევს სათაურთან ერთად წამძღვარებული აქვს ქვესათაური და ეპიგრაფი. „ფიქრები თოკის კიბეზე“ - პირველი ნარკვევის დამაინტრიგებელ

სათაურს ქვესათაური „ლეჩხუმური პარადოქსები“ დამატებით ინტერესს აღუძრავს მკითხველს და ცნობისმოყვარეობას ზრდის - რა პარადოქსებზეა საუბარი? თუმცა ეპიგრაფად მოტანილი ვახუშტის ციტატა ნაწილობრივ ხსნის კითხვის ნიშნებს. „მთითა და კლდითა ფრიად მაგარი“... ადგილი თუა, თოკის კიბეც თუა, ესე იგი, მთამსვლელების თავგადასავალი გველის წინ.

ლევან გოთუა თხრობის დასაწყისიდან უკვე ამზადებს მკითხველს და მთავარი თემისთვის განაწყობს. ეს არის ორპირის მიუვალი ქვაბული და ლაჯანურის ჰიდროელექტროსადგური. პრიორიტეტულია თემის არჩევანი და მწერლის ჩანაფიქრი - გვიჩვენოს ძველი და ახალი ლეჩხუმი, თუმცა სამსჯელო ობიექტის მიხედვით, თავიდანვე მჟღავდება ტენდენცია - კაშხალი, წყალსაცავი, გვირაბი, ბუნების ისეთივე განუყოფელი ნაწილი გამხდარა, როგორც ციხე, საყდარი, გამოქვაბული...

კონკრეტული სათქმელი განზოგადებულია, თანაც ოსტატური ხატოვანი თხრობით, და აქვე ვხვდებით, რომ ლევან გოთუას ვახუშტის ციტატა შემთხვევით არ წაუმძღვარებია ნარკვევისთვის.

მწერალი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს არა მხოლოდ ლაჯანურის წყალსაცავის, არამედ კიდევ ხუთი წყალსაცავისადმი, ესენია: რიონჰესის, გუმათის, ტყიბულის, შაორის, ცაგერის წყალსაცავები... „მათ ფრიად შესცვალეს მხარის საერთო პირხატულობა, სოფლების იერი და დოვლათიანობა... და, რაღა თქმა უნდა, მის მცხოვრებთა შუბლი და ღიმილი.

არსად ისე არ მოძველებულა დიდებული ვახუშტის აღწერა „სამეფოსა საქართველოსა“, როგორც ლეჩხუმში და მის ახლო-ირგვლივ. აქ გამოცვლილა ადგილის დვრიტა და დედაც. შეცვლილა მდინარეთა მიმართულება (გოთუა1968: 177).

იმდენად გულწრფელია თხრობა, მასში ორგანულ ნაწილად ჯდება ახალი მიღწევები, მწერალი აქვე, ხატოვნად ორპირის ქვაბულსაც აღწერს და ძველ ადგილის დედასაც გვიჩვენებს.

„ქვევით - ჩახეულ ჩოხი კალთასავით ტყე. ზევით - უკარება პიტალოდ აღმართული სამოცდაათმეტრიანი კლდე, სულ ცოტა ოცდაათმეტრიან თაღად გადმოსული, ეხის ღრმა უბეში... დიდი ძელებისაგან კუთხურად შეკრული რაღაც შრამელი. მის გვერდით კი კირითა და დუღაბით ნაშენი ქვაბის პირის კედელი, ვინ

უწყის, რომელ საუკუნეში მზირალი კარით... აი ძველი ადგილის დედა“ (გოთუა 1968: 178).

ქვაბულთან იგი წინაპართა ნაკვალევის ძალას და სურნელს გრძნობს, რომელიც მუდამ იზიდავდა, მაგრამ ლაჯანურჰესთან, როგორც თავად უწოდებს, ადგილის ახალ დედასთან, სულ სხვანაირი სურათი იხილა. „ფრიად მნიშვნელოვანი ყოფილა მათი ახალი ნაშრომი და ნაღვაწი ზღვები, კაშხლები, გვირაბები და მთავრად კი ქვაბულოვანი ლაჯანჰესი - ლეჩხუმის ახალი ადგილის დედა“ (გოთუა 1968:179).

ნიშანდობლივია, რომ ავტორისეული განცდები და ფიქრები გადმოცემულია ანალიტიკურ-შემეცნებითი თვალთახედვით, ასოციაციებით, ემოციური წიაღსვლებით... მკითხველის თვალწინ, ერთი მხრივ, ლაჯანურჰესის სილამაზე და მნიშვნელობა წარმოჩინდება და მეორე მხრივ, ჩვენ თვალწინ უძველესი გამოქვაბულის სურათები და მასზე ასვლის პერიპეტიები იშლება.

ნარკვევის სათაურიც - „ფიქრები თოკის კიბეზე“ მრავლისდამტევია. თოკის კიბე ორპირის გამოქვაბულსა და ლაჯანურის კაშხალს შორისაა გაჭიმული. როგორც თავად მთხრობელი ამბობს, „დროის ნიშნებს“ შორის ჰკიდია ამ კიბეზე. ძველი ქვაბების სამყაროდან სხვა თვალით და განცდით იშლება ლეჩხუმის გარემომცველი ბუნება: „ჯერ თოკის კიბეზე ვარ, მზისა და კლდის გულზე გაკიდებული. იქნებ სწორედ ამიტომ გამჭვირვალეა გარემო. ყოველი ფიქრი და მოგონება თვალწინ ცხოველობს, ყველაფერს ვხედავ, იმასაც კი, რაც სხვა დროს არა ჩანს“ (გოთუა 1968:157).

მიდამო მწერლისთვის მნიშვნელოვანი კომპონენტია, ძველისა და ახლის კონტრასტის ფონზე ფიქრის შეჯერებაში ეხმარება. თხრობას ლაიტმოტივად მიჰყვება თოკის კიბეზეა ჩამოკიდებული მწერალი-მთამსვლელის განსაჯა:

„აქ ხომ მრავალ დროსა და ხანას გაუვლია! თავისი ნალექი, ნაშრევი და ნიშანი დაუტოვებია... საერთოდ - ყოველ ხანას ხომ თავისი უტყუარი ნიშანი აქვს, მაგრამ აქ კიდევ ერთი ლეჩხუმური და ლაჯანური პარადოქსია: დროც ყირაზეა შემდგარი. უძველესი ნიშანი სულ ზევით არის - კლდესა და მზეზე - სახიზარი და სალოცავი... უახლესი სულ ქვევით - კლდის სიღრმესა და ბნელ ჯურღმულში... წყალსადინარი გვირაბი და დიდი ელექტროსადგური!“ (გოთუა 1968:195).

მარადი და თავისებურია აქ „დროის ნიშანთა“ შორის ბუნება, ვეფხის ნატორს ჰგავს: „შემშვენებულა მარადი ბუნება... ვეფხის ნატორივით ქედები, ხეობები, ტყეები“ (გოთუა 1968:195).

პეიზაჟი, ამ შემთხვევაში, ნარკვევის იდეის წინწამოწევას და ხაზგასმას ემსახურება. შემთხვევითი არ არის, რომ ლევან გოთუა ლეჩხუმის გარემოს ვეფხვს ადარებს. ვეფხი მოხდენილი მეტაფორული სახე-სიმბოლოა. ის საკრალური ცხოველია, რომელსაც კონტრასტულობა ახასიათებს, სიცოცხლის და სიკვდილის, სიკეთის და ბოროტების ერთდროულად გამომხატველია. მის მშვენიერ და ამაღლებულ ხატებას „ბედთან ჭიდილის, წინააღმდეგობის, ამბოხის სიმბოლურ გამოხატულებად“ მიიჩნევენ. (ხვედელიანი 2008:180).

მეორე ადგილას კი პეიზაჟი კომპოზიციის ხატოვანი ელემენტია. „დრო კი ვიდოდა. მზემ ლაჯანურის ვიწრობი დიდი ხანია ჩაათავა. მხოლოდ გაღმა მთაზე დევს კიდევ მისი ნასხივი. მალე ისიც გაჰქრა. ზევიდან კი ჩამიჩუმი არ ისმის“ (გოთუა 1968:183).

თოკის კიბეზე საკრალურია განცდა, სევდა, წუხილი... მწერალი ასოციაციურად წარსულის სურათებსაც ხედავს და თხრობაში რეფლექსიური ინფორმაცია შემოდის:

„კლდის შუროებში ორპირის ბერები თუ ხიზნები მოჩვენებებად დაძრწიან... მათ აღარც შიათ, აღარც სწყურიათ... მხოლოდ თავის დაფანტულ ძვლებს დაეძებენ... მაგრამ სიკვდილის შემდეგ ვის უპოვია თავისი ძვლები?.. ძებნაც და პოვნაც მხოლოდ ცოცხლების უპირატესობაა. მაგრამ სიმშილიც და წყურვილიც მათივე ბედისწერაა!.. მაინც წყურვილი“ (გოთუა 1968:189).

ანდა: „მესამე თოკსაც რომ ვწვდი, მაშინ კი ზეცაზე ამავალი სამრეკლოს მნათე-მეზარედ წარმოვიდგინე თავი... მითუფრო, რომ ზუზუნა ქვებიც ზარის ხმაზე ჩამოდიოდნენ“ (გოთუა 1968:187).

განსაკუთრებულად შთაბეჭდავად გადმოსცემს ლევან გოთუა ქვისცვენის სცენას, რომელსაც წინწასული მთამსვლელი ატე ნემსიწვერაძე იწვევდა და რომლის მიხედვითაც ქვემოთ მყოფები ხვდებოდნენ მის ადგილმდებარეობას. მას ხან ქვის „დეპეშა“, ხან ქვის „ამანათი“, ხანაც „ატეს მეტეორიტები“ ჰქვია. მოხდენილი მეტაფორები თხრობას სიმძაფრეს და თავისებურ ემოციასა და ხიბლს ჰმატებენ:

„უეცრად პირველი დეპეშა მოგვივიდა... სწორედ მორზეს ანბანის ხმაზე ზუზუნებდა... პატარა ქვის სახით თავზე გადაგვიარა და ფეხზე წამოგვახტუნა, ფოსტის მოხელეებმა გვაპატიონ და თავის სისწრაფით, სიზუსტით და მისამართის უმცდარობით ჩვენი „ქვის“ დეპეშა არც ერთ ქაღალდის დეპეშას არ ჩამორჩებოდა. პირველს ზედიზედ მოჰყვა მთელი რიგი „დეპეშებისა“. აი კიდევ ერთი აზრშეცვლილი სიტყვა... რაღა თქმა უნდა, ყველაფერი უმცდარად „ამოვიკითხეთ“... და ახალი ხარისხი ვუპოვეთ „სიტყვას“ - ატეს „მეტეორიტები“ იყო“ (გოთუა 1968:184).

ნარკვევი მხატვრულ საშუალებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა, მრავლად გვხვდება მსგავსი მეტაფორები, ეპითეტები, ორიგინალური შედარებები, რომლებიც ტექსტის გააზრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს:

„...ეს ვეება კლდე-კედელი თითქოს უშველებელი კედლის საათია და თოკზე დაკიდებული ადამიანი კი არ არის, არამედ დროის ქანქარა! და თითქოს მას - ძე-ხორციელს - მიწის მიმზიდველობა და ხორციელი შიში დაკარგული აქვს! ახლა იგი სხვა ცთომილიდამ მოფრენილ არსებას უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს“ (გოთუა 1968:192).

აი, ტროპების სიუხვით გამორჩეული კიდევ ერთი ადგილი, სადაც გაპიროვნების ხერხი თავისებურ საკრალურ ელფერს ჰმატებს სურათს: „ბოლოს ერთ არეზე მოდგა სინათლე... და ჩაფანტულ შუქში კლდის კუთხედები და თოკის ლარები სივრცეების საოცარ ქიმერებს ჰქმნიან; ხან მიჯაჭვული ამირანის ჩანგია, ხან დევების საქანელა, ხან ზღაპრული სამრეკლო“ (გოთუა 1968:188).

ლევან გოთუა ნარკვევში მთამსვლელს „არწივ-კაცსაც“ უწოდებს. ზოგჯერ კი მის ასვლას კლდისა და ვეფხის შერკინებასაც ადარებს.

ნაწარმოებს ლაიტმოტივად გასდევს მწერლის ფიქრები, რიტორიკული კითხვები: „ქართველი - კლდის ნაშიერია, მისივე წილი... ამიტომ იზიდავს კლდე... არა და - რა წარმოუდგენელმა გასაჭირმა ამოიყვანა ჩვენი წინაპართაგანი ორპირის უწყლო და უმოწყალო გამოქვაბულში?“ (გოთუა 1968:194).

მწერლის ფრაგმენტული აზრები შინაგანი თავისუფლებისა და სილაღის ნიმუშია, გულწრფელობისა და მწერლის შინაგანი მრწამსის, სამყაროს გამომხატველია. მას უყვარს ადამიანი მოქმედი, საქმით მეტყველი: „კეთილ ინებეთ - მომყევით სამოქმედო კლდეებზედაც და ფიქრის ჯურღმულებშიც! მე - ქვეყნად მწამს ადამიანი, მათ შორის

ჩემი თავი ცოცხლად და მოქმედად, და არა თავის გუბეში მჯდარ ცივსისხლა მჭვრეტელად, „სულერთია კაცად“... გინდ მკითხველი იყოს იგი, გინდ მწერალი!“ (გოთუა 1968:180).

შეხმიანება მკითხველთან ნარკვევის ინტონაციას სხვა ელფერს, უფრო მეტყველსა და შეუვალს ანიჭებს. აქ ლევან გოთუას ილია ჭავჭავაძის ლაიტმოტივი შემოაქვს: „ეს ყველაფერი სიტყვებია და შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს?“ (ჭავჭავაძე 1988:14). ლევან გოთუასთვის სიტყვა და საქმე ერთია, განუყოფელია.

ნარკვევის არქიტექტონიკა, კომპოზიციური წყობა ეფუძნება როგორც მწერლის გულღია ჩანაწერებს, ისე ანალიტიკურ განსჯას, რეპორტაჟულ ფრაგმენტებს, შთაბეჭდილებებს... ავტორი, როგორც პერსონაჟი აქტიურია და იმდენად დიდია თანამონაწილეობის ეფექტი, რომ მისი თვალით დანახული სურათები, თავგადასავლები ახალ-ახალ საფიქრალს აღძრავს. აქ სწორედ მძლავრად იგრძნობა ავტორისეული თვითგამოხატვა, იგი, როგორც მთავარი გმირი, წარსულისა და თანამედროვეობის დამაკავშირებელია.

„...ჰოი, რა დიდი გზა ბრძოლისა კლდესთან, იძულებით უწყლობასთან, ბედისწერასთან გაუვლია ერს ორპირის მიუვალი გამოქვაბულიდან ქვაბულოვან ჰიდროსადგურამდე! წყაროდან - ხელოვნურ ზღვამდე! ორპირს ერთი პირი ძველი აქვს, მეორე - ახალი... ასე გაიბა ფიქრის თოკი და კიბე ძველი სახიზრიდან - ახალ სადგურამდე... და არის აქ დიდი კანონზომიერება ეროვნული შემოქმედების ხასიათისა“ (გოთუა 1968:199).

მწერლის ჩანაფიქრი, მიუვალი ქვაბების ფონზე თანამედროვე ლეჩხუმის ჩვენება, ორგანულად განფენილია ნაწარმოებში და იდეური ჩანაფიქრიც დასასრულში ცხადად გამოიკვეთება - პროგრესი და აღმშენებლობა, რომელიც მწერლისთვის ახლობელია:

„ვინც ორპირის მიუვალი ქვაბი ამოაშენა, ქართული ბუნება და კლდე შემოქმედურად გამოიყენა, დუხჭირს გაუძლო. რაღა თქმა უნდა, მისი უფრო ბედნიერი და ცოდნით აღჭურვილი შთამომავლობა არაერთ ზღვასაც დააგუბებდა და ლაჯანჰესსაც ააშენებდა! კიდევაც მრავალს ააშენებს და დაამშვენებს“ (გოთუა 1968:199).

პუბლიცისტიკის ჟანრობრივ-გამომსახველი საშუალებებით მდიდარია ნარკვევი „ვაჟას სამყაროშიც“, რომელიც ნარკვევისგან „ფიქრები თოკის კიბეზე“, უწინარესად, არქიტექტონიკით განსხვავდება. თუ პირველ ნარკვევში თავისუფალი ჩანაწერებით

გადმოიცემოდა თხრობა, ამჯერად ლევან გოთუა დღიურის ფორმით გადმოსცემს შთაბეჭდილებებს, „ვაჟას სამყაროში“ - სათაური მიანიშნებს, რომ რაღაც უნდა მოხდეს ვაჟა-ფშაველას სამყაროში, რასაც ქვესათაური „მთამსვლელის დღიურიდან“ აკონკრეტებს. ხოლო ეპიგრაფად მოტანილი ხალხური ლექსი: „ხევსურეთს ცანი დაიცნენ, არხვატს - ნაპირი ცისანი“ - პოეტურ განწყობას ქმნის და შემზადებაა მკითხველისთვის, რომ პირდაპირ არხოტში გადაიყვანოს, სადაც მთამსვლელები იმყოფებიან.

დასაწყისში კინოკადრივით გაიელვებს სურათები, ჯერ დელგმის, შემდეგ კი უეცარი გამოდარების. სხარტ მეტაფორებს, გაპიროვნებას და გასულიერებულ ბუნებას მკითხველი არხოტის სამყაროში შეჰყავს:

„...ყველგან ღვარია და ჩვენც ღვარების დავლურს მივყვებით. თოფის გავარდნასავით უეცრივ გამოიდარა. ახლა მზის ალმური დააცხრა მიწას. ნაკადულებს მოუწყვიტა ფესვი. ნისლიც ნათოფარი ჯიხვივით გადაიჩეხა, გაუჩინარდა. ჩვენ ფერხთით გადაიშალა არხოტი - ხევსურეთის ერთ-ერთი ბიამანი და განაპირა ხეობა“ (გოთუა 1960:202).

ნარკვევის კომპოზიციურ სტრუქტურას თავისებურ ეგზოტიკას ჰმატებენ ადამიანები. აი, როგორ აღწერს ლევან გოთუა არხოტის სოფლის საბჭოს მდივანს, პოეტ გაბრიელ ჯაბუშანურს, რომელიც ერთი შეხედვითაც იგრძნობა, რომ გარემომცველი ბუნების შვილია: „ეს უკანასკნელი მგოსანია, ლექსთა კრებულის „არაგვიანის“ ავტორი. გამაცნეს, თორემ სხვა ხევსურებში ვერაფრით გავარჩევდი. სამოსი ხომ თავით ფეხამდე ხევსურული აქვს: ფერადი პაჭიჭები, საკმაოდ გაცვეთილი ჩოხა, მოქარგული გულისპირი... და თავზე თეთრი ქეჩის ქუდი“ (გოთუა 1960:203).

ავტორისეულ განსჯას ზოგჯერ მსუბუქი იუმორი და კრიტიკა დაჰკრავს: „წავყევით, ხოლო ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეკლესიაში შეგვიყვანეს და იქ „მოგვასვენეს“. ხატის მიწაზე ფეხის დადგმაც საძრახისია, ხოლო ეკლესიაში დაბანაკებაც არაფერს ნიშნავს. ასეთია ხევსურის „წარმართული ქრისტიანობა“ (გოთუა 1960:203).

ნარკვევს თავიდან ბოლომდე გასდევს ფაქტებისა და მოვლენებისადმი სიახლის თვალით ჭვრეტა და შემეცნებითი ინტერესი. კითხულობ და გახსენდება ილია ერენბურგის ინდოეთში მოგზაურობის ჩანაწერები,- აღარ გახსოვს არც ცოდნა, არც

გამოცდილება და პროპორციის განცდა. ამ მოგზაურობას აქვს მხოლოდ ერთი უპირატესობა - სიახლის აღქმა (Эренбург).

ლევან გოთუას დაკვირვებანიც არსებითია. მისი გულისყური მიმართულია ვაჟას სამყაროსკენ, იგი დასამახსოვრებელ მხატვრულ-პუბლიცისტურ სამოსელს არგებს სათქმელს. ამაღელვებელი მხატვრულ-ესთეტიკური კონტექსტი მიიღწევა კომპლექსური მხატვრული ხერხებით, შთამბეჭდავი სახეებით.

მაგალითად: „...სხივი ცეცხლმოდებული არწივის ფრთასავით გადაშლილა ჩამღას დაკბილულ კლდეებზე. საყელოსავით ჩაჰყოლია ვიწრო ხრიოკებს“ (გოთუა 1960:204), ანდა: „ვერცხლად დაღვრილა არხოტის წყალი“ (იქვე).

შემეცნებითი ინტერესი კულმინაციას აღწევს ბოლო, უსახელო მწვერვალის დაპყრობისას, არანაკლებ საინტერესოდ გადმოსცემს მწერალი სახელის დარქმევის პროცესს: „და აქ - უსახელო მწვერვალის შუბლზე - 4300 მეტრის სიმაღლეზე, ევროპისა და აზიის ზღვარზე დაიწყო „თორმეტი ნათლიის დიდი თათბირი“. დადგენილება უთუოდ უნდა ერთხმა იყოს.

- ვაჟა, ვაჟა-ფშაველა! - თითქოს ჩემი ფიქრი ამჟღავნა ერთმა. მიამა, შევხედე: ოთარ გიგინეიშვილია. ვაჟასი და მთის დიდმოსიყვარულე“ (გოთუა 1960:207).

ერთხმად გადაწყდა - დაიდგა „ვაჟას ბუნებისთვის ყველაზე უფრო „ბუნებრივი“ ძეგლი. დავწერეთ ნათლობის სიგელი. ხელი მოვაწერეთ ყველამ“ (იქვე).

რეპორტაჟული სტილი, დასწრების ეფექტი თხრობას დამაჯერებლობას პათოსს ჰმატებს და მკითხველზე ზემოქმედებასაც ერთიორად ზრდის. მწერალს ასოციაციურად ვაჟას სამყარო და მისი პერსონაჟები ახსენდება... „ყველანი წავიდნენ, ნისლს ჩაეფარნენ. მეც ჩავღუნე თავი და წავედი ვაჟას სამყაროში ბედის საძიებლად“ (გოთუა 1968:208).

თხრობის არეალი უფრო მეტად იშლება, რადგან მწვერვალის დაპყრობის ეპიზოდს ჩარგლის ეპიზოდი ორგანულად აგრძელებს. ვაჟას მწვერვალის აღმოჩენის შემდეგ ლევან გოთუა ახლა ჩარგალშია. ვაჟას ღარიბულ ქოხში ავტორის მზერა ძველ უისრო საათზე ჩერდება.

„18 აგვისტო, 1943 წ. მიწური იატაკი და ძველი, შეკეთებული ჭერი. აი, მისი ნაქონი ქუდი, ახლა ირმის რქაზე ჩამოკიდებული. მისი ნაქონი თოფი. ყანწი. მის ნაქონ ფანდურს კი ვერა ვხედავ. აგერ საათი, ძველი, უისრო, თუმც მარადისობაში გადასულს ისრები რაღად სჭირია!“ - ასკვნის მწერალი (გოთუა 1968:208).

უისრო საათი სახე-სიმბოლოა, რომელიც ვაჟას უკვდავების მიმანიშნებელია.

მსგავსი სახე-სიმბოლოები მრავლადაა ნარკვევში - „კავკასიონის „ილიადა“, რომელშიც ლევან გოთუამ გადმოსცა ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 და მისი მკვლელობის 50 წლისთავთან დაკავშირებული მსვლელობის შთაბეჭდილებები. მან ახალგაზრდა მწერლები ილიას გზით ატარა.

როდესაც ბაზალეთის ლაჟვარდი გამოჩნდა, შორიდან ტბა თითქოს აკვანივით ირწეოდა. „ნიჩბებმა ბაზალეთის სარკის პირი რომ შეატოკეს, ლაჟვარდი ბადახშად იქცა. მერმე კი თითქოს ყოველ ნიჩაბს სიღრმიდან ცისარტყელა ამოენასკვა. ოდნავი ჭავლი ილიას ფიქრიან ღიმილს გვაგონებდა“ (გოთუა 1960:212).

ხოლო როდესაც ვაზისა და კაკლის ფოთლებისგან დაწნული გვირგვინები ტბაში ჩაუშვეს, შორიდან გვირგვინიც ამოტივტივებულ აკვანს ჰგავდა.

ლევან გოთუა არა მხოლოდ სიტყვის დიდი ოსტატია, ის მგრძნობიარე ესთეტიცაა. ამ პატარა ნაწყვეტში ორი სახე-სიმბოლოა: ილიას სახელის განუყრელი თანამდევი - აკვანი (ბაზალეთის ტბის ძირას ოქროს აკვნის ასოციაციით) და ცისარტყელა („აჩრდილის“ დასასრულის ასოციაციით). ამ სიმბოლოებით ავტორი არა მხოლოდ აცოცხლებს ილიას სამყაროს, არამედ რწმენასაც გამოხატავს, რომ ილიას ოცნება სამომავლოდ მაინც ახდება.

ხსენებული ნარკვევი რეფლექსიურ ინფორმაციასაც შეიცავს. საინტერესოა ილიას გზით მსვლელობის დროს ფასანაურ-მლეთასთან ისტორიიდან გაცოცხლებული ფაქტი.

„ახლა მხოლოდ სამი ფერია - მწვანე, ლურჯი და თეთრი. სწორედ ასი წლის წინათ ურთიერთს შეხვდა ორი ქართველი... რუსეთიდან მომავალი გრიგოლ ორბელიანი და რუსეთისკენ მიმავალი ილია ჭავჭავაძე. და აქვე, ამის შესახებ, მწერლებისა და მწვერვალების თანდასწრებით, ახალგაზრდა მწერალმა რევაზ ინანიშვილმა წაგვიკითხა ახალი მოთხრობა“ (გოთუა 1960:214).

თხრობა აქ არ მთავრდება. ლევან გოთუა წარმოსახვით აცოცხლებს ერთმანეთის პირისპირ მდგარ ორ ეტლს და კითხვას სვამს, ნეტავ თუ იცოდნენ, რომ მათ ამ ადგილას შთამომავალნი გაიხსენებდნენო.

„თითქოს ჩვენი მანქანა გაჰქრა... გზაზე მხოლოდ პირისპირ მდგარი ორი ეტლია... ერთში მხცოვანი ზის, მეორეში კი ახალგაზრდა. ნეტავ საოცნებოდა თუ ჰქონდათ მაინც,

რომ ერთი საუკუნის შემდეგ მათი შთამომავალნი - ოცი მწერალი ერთად, მათ აქ შეხვედრას აღფრთოვანებული გულითა და მხატვრულ სიტყვით მოიგონებდა?!

ნეტავ რა შეყრა მოხდება აქ, კიდევ ასი წლის შემდეგ?“ (გოთუა 1960:214).

მწერლის რიტორიკული კითხვა - „ნეტავ რა შეყრა მოხდება აქ, კიდევ ასი წლის შემდეგ“, - ემოციურ და მრავლისმთქმელ ქვეტექსტს მოიაზრებს.

პროფესორი დიანა ტყებუჩავა პუბლიცისტური ტექსტის ესთეტიკურ მთლიანობაზე საუბრისას, აღნიშნავს, რომ „პუბლიცისტური ტექსტის დროსა და სივრცეში განფენილობა გულისხმობს მასზე ტექსტსგარეთა ფაქტორების: კონტექსტისა და ქვეტექსტის უეჭველ ზემოქმედებას. ტექსტის ესთეტიკური მთლიანობა მხოლოდ კონტექსტსა და ქვეტექსტთან ერთიანობაში მიიღწევა“ (ტყებუჩავა 2011:63).

ვფიქრობ, თუ ხსენებულს ამავდროულად რეფლექსიური ინფორმაციაც ერთვის, მაშინ ორმაგად იზრდება ტექსტის მკითხველზე ზემოქმედება. აი, ეს ნაწყვეტი:

„ჩვენ მივწვდით საწადელს - ბეთლემის ჯაჭვს, ერთად ვარხევთ და ვაჩხრიალებთ! განსაკუთრებით ის გვამხნევებს, რომ ჩვენ აქ განდეგილებად კი არ მოვსულვართ, არამედ ხალხის შვილებად, ილიას შვილებად, მისი კალმისა და საქმის მემკვიდრეებად. ბეთლემის ჯაჭვიც ახლა წასულსა და აწმყოს აკავშირებს. ამ ჯაჭვის ჩხრიალშია ამირანის ბრძოლაც, წიწამურის ტკივილიც, ხალხთან განუყრელობის გრძნობაც, აწმყოსა და მომავლის რწმენაც!

აქ, დღეს ჩვენთან ერთად თვით დიდი ილიას მებრძოლი, უკვდავი სულიც ამობრძანდა და ცხოვრებას კიდევ ერთხელ გაამარჯვებინა! უფრო ხმიანად აჟღერდა ჯაჭვი! ყველამ გაიგოს საქართველოს კიდით კიდემდე!“ (გოთუა 1995:217).

ერთი დეტალი - ბეთლემის ჯაჭვის ჩხრიალი სიმბოლურად ერის ისტორიას და მის სამივე დროს იტევს, საპროგრამო თეზისადაც მოიაზრება და არა მხოლოდ ნაწარმოების იდეას ხსნის, არამედ ლევან გოთუას ცხოვრებისეულ და შემოქმედებით მრწამსსაც გამოხატავს - ილიას შვილია, მისი გზისა და იდეალების გამგრძელებელი.

ლევან გოთუა პუბლიცისტურ სათქმელს სხვადასხვა ჟანრით გადმოსცემს, იქნება ეს შენიშვნა, კორესპონდენცია, სტატია, წერილი, ნარკვევი, მიმოხილვა... თემატურ, გეოგრაფიულ, ჟანრობრივ მრავალფეროვნებას ერთვის არგუმენტაციის ორიგინალური ხერხები და მეთოდები, ამა თუ იმ იდეის ძირითადი თავისებურებების აქცენტირება.

ერთი დამახასიათებელი ნიუანსი, რაც ლევან გოთუას პუბლიცისტიკას გამოარჩევს, ესაა მკვეთრად გამოხატული მძლავრი ავტორისეული „მე“, როცა ავტორი პუბლიცისტური გმირია. იგი ფაქტების უბრალო აღწერით კი არ შემოიფარგლება, არამედ ასოციაციურად აგებს ნაწარმოებს, უშუალოდ მონაწილეობს მოვლენებში, მიმართავს ანალოგია-პარალელებს, ლირიკულ გადახვევებს, მსჯელობა-არგუმენტაციას...

ლევან გოთუა მრავალ პუბლიცისტურ ნაწარმოებში უხვად იყენებს ტროპის სახეებს, შედარებებს, ეპითეტებს, მეტაფორებს, გაპიროვნებას, ტექსტის კომპოზიციის აუცილებელ კომპონენტებს, „რიტორიკულ ფიგურებს“, ქმნის ლექსიკურ ერთეულებს, სიტყვათქმნადობის ახალ ნიმუშებს... მხატვრულ ელემენტთა სიუხვე მის პუბლიცისტიკაში უბრალო განყენებული ფონი როდია, არამედ ხშირად ახალი აზრობრივი და ფუნქციონალური დატვირთვა ენიჭება.

მინდა ხაზგასმით გამოვყო ლევან გოთუას სიტყვათქმნადობის ნიმუშები, რომლებიც მისი წერილებიდან ამოვკრიბე. მისი პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა მდიდარია ასეთი დამოუკიდებელი ერთეულებით.

აი, როგორ ახასიათებდა აკაკი ბაქრაძე მის ენას: „მისი სამწერლო ქართული ენის დედაბოძი ერთობილი სალიტერატურო ქართულია, უხვად გამდიდრებული და ეშხიანად შეზავებული ძველი ქართულისა და ყოველი ქართული დიალექტიდან ამოკრებილი ლექსიკური მასალით“ (ბაქრაძე 1982:12).

თავად უთქვამს ლევან გოთუას: „ბუნებრივად მახასიათებს ენათქმედობა, კომპოზიტები და ნეოლოგიზმები. მე კი არ ვქმნი, ისინი თავისთავად იღვრებიან და მე მათ ვცხრილავ“ (ბაქრაძე 1982:13).

ვფიქრობ, ლევან გოთუას სიტყვათწარმოების თავისებურებანი ენათმეცნიერთა მიერ საგულდაგულო შესასწავლია.

მწერლის ახალწარმონაქმნებიდან აღსანიშნავია ერთნაირფუძიანი და ნაირფუძიანი კომპოზიტები, რომლებიც ინდივიდუალობით და ღრმა აზრით გამოირჩევა.

ერთნაირფუძიანი კომპოზიტებია: გველხვეული, გულსაზრუნავი, გულბოყვი, გულმეცნიერი, დევყელი, ნაკლთსაფარავი, ლექსამოუთქვამი, სახელუცნობი, ძირუჩინარი, ძეგლთმფარველობა, გულძუნწობა, ნიშანხატული, ჰაერხაზი,

ჯაგრცხილა, აღმამანძილი, თბილგულიანი, ფრთებმოწურული, მკურნალთუხუცესი, დოვლათყანიანი, ზვარბაღნარიანი, ტანსარო, ნეკისსისხო, ბედხასიათი, ფაქიზჩუქურთმიანი, ბერმწიგნობრები, მუხლზვიადი, არეარეები, ხელკეთილი, ხელჩვეული...

ფუძეგაორკეცებული კომპოზიტებია: ფენა-ფენა, ბღუჯა-ბღუჯა, კიბე-კიბე, მწიფე-მწიფე, ბჭეთა-ბჭეები, ახლო-ახლო, გუნდ-გუნდად, მარყუჟ-მარყუჟებად...

ნაირფუძიანი ორცნებიანი კომპოზიტებია: არე-ასპარეზი, ძე-ადამიანი, ცხენ-ბედაური, პურ-წყალი, მწერალ-მოგზაურთა, სურო-კრიკინები, წყარო-საცივები, ტყე-ჯავარები, ვაი-მსროლელი, ქვა-ფურცელი, ჩავძვერ-ჩავწექით, აკიბულ-ჩაკიბული, დავა-კამათი, კაბა-კალთა, დილა-ბინდი, თარო-თაღი, ბინა-სავანე, მეკობრე-მებუფეტე, მნათე-მეზარე, თვალ-სარკმელი, მოღვაწე-მოამაგე, მეფე-მგოსნები, მეცნიერ-მწერლები, მწიგნობარ-მეხოტბენი, ნისლა-ბურად, ამზომ-დამზომა, ლომის-პაპა...

მიმღეობიანი კომპოზიტები: ცრემლიან-ღიმილიანი, სუროაფოთლილი, მხარჩამოშლილი, ტყეშემოკრული, ბადალუპოვარი, მხარჯავარი, წარბგაშლილი, ხერხემალმაგარი, ჯიქურბორიალი...

ქვა და ქვაბი-სგან წარმოებული კომპოზიტები: ქვაბ-სახიზრები, ქვაბ-ქალაქები, ქვაბ-ციხენი, ქვა-კაჟი, ქვა-ყუთი, ქვაკაცა, ქვაბ-სასახლენი, ქვაბ-სენაკები, ქვაბ-ტაძრები, ქვაბ-საგანძურნი, ქვაანაბეჭდი, ქვაყრილი, ქვა-კამარა...

დედა - არსებითი სახელისგან წამოებული კომპოზიტები: დედა-ქვა, დედა-ტაძრები, დედა-მანდილი...

დევი - არსებითი სახელისგან მიღებული კომპოზიტები - დევ-მანქანები, დევ-მუხები, დევკაკლები...

კეთილი - ზედსართავი სახელის ფუძისგან წარმოებული კომპოზიტები: კეთილნაღვაწობა, კეთილქართული, კეთილმებრძოლნი, კეთილსაოცრება კეთილნარუქი, კეთილდასტაქრობა, კეთილმოქალაქეობა, კეთილგანცდები, კეთილხმოვანი, კეთილნაჭედი...

კლდე - ფუძედ არსებითი სახელია: კლდე-დარბაზი, კლდე-ჭერი, კლდე-ფრიალო, კლდე-კედელი, კლდე-ფიქალი...

ა-სუფიქსით წარმოებული ნაირფუძიანი კომპოზიტები: მკერდმაღალა, რბილოდრიკალა, ჯუჯაგულობა, თვალკიაფა, მრავალფურცელა, ზარშრიალა, ბასრიგულა...

არსებითი და ზედსართავი სახელის შეერთებით მიღებული კომპოზიტები: დიდ-მასპინძელი, ბებერ-ცაცხვი, ბრძენ-პაპა, გმირი-კოშკები, ძველ-ძელი...

მსაზღვრელ-საზღვრულის პრინციპით მიღებული სიტყვაწარმოქმნის ნიმუშები. საზღვრულია „კაცი“: ატე-კაცი, არწივ-კაცი, ფრინველ-კაცი, ნადირ-კაცი...

ყოველ კომპოზიტს მნიშვნელოვანი დატვირთვა ეკისრება, ჩანს ავტორის დამოკიდებულება როგორც რაიმე მოვლენისა თუ გარემოს, ასევე პერსონაჟის მიმართ. მაგალითად: „წყალი კეთილნატიფ სახეზე რბილ მარგალიტებად ჩამოგდიოდა“ (გოთუა 1968:207)... ამ შემთხვევაში კომპოზიტ „კეთილნატიფს“ უშუალოდ უკავშირდება მეტაფორა „რბილი მარგალიტები“, მთლიანობაში კი შთამბეჭდავი მხატვრული სახე იხატება.

მდინარის სანაპიროზე ბუნების სურათს მწერალი ასე გადმოსცემს: „სანაპიროთა ჩოხა-კაბა“... ხოლო შაშვებს „შავახალუხა მგალობლებს“ უწოდებს (გოთუა 1968:201). წვიმას შავი კაბაც აცვია: „შავკაბა წვიმა“ (გოთუა 1960:19).

მხატვრული სახეებით დატვირთულია წინადადება: „წითელმესტება კაკბები დიდგუნდურად მოგოგმანობენ“ (გოთუა 1968:201). ორი კომპოზიტი - „წითელმესტება“ და „დიდგუნდური“ გაპიროვნებასთან ერთად გამორჩეულ მხატვრულ სახეს ქმნის.

მეორე მაგალითი: „აქა-იქ ბუზანკლებივით ჩამოსხდნენ ჩიტნიშნები, მარყუჟები, ბრჭყალები და კაუჭები“ (გოთუა1968:227). ეს გაპიროვნებაზე აწყობილი წინადადება „სარკის მერცხალადან“ არის, სადაც ლევან გოთუა წიგნებზე, მწერლებზე და შემოქმედებაზე მსჯელობს. კომპოზიტი „ჩიტნიშნები“ „ბრჭყალებთან და კაუჭებთან“ ერთად თავისებურ განწყობას ქმნის.

მწერალი ასწლოვან მუხებს ასე ახასიათებს - „პაპამზე მუხები“ (გოთუა1967:3). არსებით სახელს „მუხები“ საზღვრავს ორცნებიანი კომპოზიტი „პაპამზე“ და მდიდრული მხატვრული სახე იქმნება.

ალაგ-ალაგ სიტყვათა თამაშიც გვხვდება - ლაჯანურჰესთან მდინარე ცხენისწყლით მოხიბლული მწერალი იხსენებს ფასის მთას, სადაც ცხენისწყალი იბადება და ამ პროცესს „კვიცობას“ უწოდებს, მაგრამ, ლეჩხუმში, ლაჯანურჰესთან,

ცხენისწყალი ხელახლა „დაიბადა“ - ცხენის წყალი ცხენის ძალაში გადავიდა და მისი „ცხენკეთილობაც“ იხილა (გოთუა1968:197).

სიტყვათა მსგავს თამაშს მთამსვლელ ატე ნემსიწვერაძის გვარის ხსენებისას მიმართავს - ნემსიწვერაძე „ნემსიწვერობს“.

საინტერესო კომპოზიტს ქმნის თბილისის დაარსების განუყრელი სიმბოლო-ფრინველის - ხოხბის დასახასიათებლად: „თბილისის სახე-ხატი ხოხობი“ (გოთუა 1968:203).

ცალკე სამსჯელოა სიტყვები, რომლებიც ლევან გოთუას გამორჩეულად უყვარს და უცხო სიტყვის ხმარების ნაცვლად, თავის მიერ შექმნილ სიტყვებს ამკვიდრებს.

ისტორიულ ძეგლებს ის არ უწოდებს „ძეგლის კომპლექსს“, არამედ ყველგან უწერია: „ძეგლის ნაერთი“. დავით-გარეჯს ასე მოიხსენიებს: „დავით-გარეჯის ვეებერთელა მრავალნაერთი“ (გოთუა 1962:25).

მწერლის საყვარელი სიტყვაა „აბჯარი“, რომელსაც სხვადასხვა სახელს უსადაგებს. ტყე არის მწვანე აბჯარი - „დიახ, ტყე არაერთგზის აბჯრად დადგა!“ (გოთუა 1970:2), „მზისა და სილის აბჯარი“ (გოთუა1968:209). კულტურულ ძეგლებს „ჩუქურთმიან აბჯარს“ უწოდებს. ლევან გოთუასთვის მდინარე ალაზანიც აბჯარია: „აბჯრად ჩაიცვით ალაზანი“ (გოთუა1960:42). ძეგლები, ციხეები, ტაძრები „საბრძოლო-თავდაცვითი აბჯარია“ (გოთუა 1959:3). „ამ ნაერთმა აბჯარმა დღემდე შეინახა და დაიცვა ჩვენი სამშობლო“ (იქვე).

ტყე იგულისხმება, როცა ამბობს: „ბუნებრივი ფარი და აბჯარი“ (გოთუა 1970:2), ბაგრატის ახალი იერსახე კი ასე იხატება - ბაგრატი ძველ აბჯარში აღდგება...

ნიშანდობლივია, რომ მწერალი ძეგლების აღდგენაზე საუბრისას არსად იყენებს დღეს დამკვიდრებულ უცხო სიტყვას „რეაბილიტაციას“, არამედ, ყველგან წერს: „ძეგლების მოვლა“, „აღდგენილ-შეკეთებულ-შემაგრებული ძეგლები“, „დაცვა-შეკეთება“, „დაცვა-პატრონობა“, „დაცვა-რესტავრაცია“...

განახლებულ ბაგრატის ტაძარს ასე აფასებს: „ეს ბრწყინვალე მეცნიერულ-აღდგენითი მიღწევაა“ (გოთუა 1965:2). აქვე მას ახალი კომპოზიტი „მეცნიერულ-აღდგენითი“ შემოაქვს. ლევან გოთუას უყვარს სიტყვა „კედელხატული“, ფრესკულ მხატვრობას სწორედ „კედელხატულობად“ მოიხსენიებს.

შემთხვევითი არ არის, რომ წერილების უმრავლესობა პირველ პირშია დაწერილი. ამას მოწმობს სათაურები: „დავიფაროთ ჩვენი „სასწაული“, „ჩვენი ერის მწვანე აბჯარი“, „ჩვენი მოვალეობა“, „ჩვენი ჩუქურთმიანი დედა“, „ჩვენი მუდმივი უძველესი თანამგზავრები“, „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“, „ჩვენი ძეგლების მინდია“, „ღვიძლი შვილი ჩვენი ხალხისა“, „ჩვენი წარსულის ხატოვანი ქვა-ფურცელი“... კრებითი ნაცვალსახელი „ჩვენ“ ხშირად გამოიყენება ლევან გოთუას წერილებში, რითაც მკითხველის თანამონაწილეობას უსვამს ხაზს, მკითხველი ამ ისტორიული მოგზაურობის თანამდევია, რომელიც, ავტორის თქმით, უნდა იყოს „დიდი შეგნებული მოვალეობა სამშობლოს ყოველ შვილისა“ (გოთუა 1964:22)

თავი IV. ეპისტოლარული მემკვიდრეობა - „უბედური თავისუფლების“ რაინდი

ლევან გოთუას ეპისტოლარული მემკვიდრეობა მოიცავს 22-წლიანი გადასახლება-პატიმრობის დროინდელ წერილებს, რომლებიც, უმთავრესად, ოჯახის წევრების და მეგობრების სახელზე იგზავნებოდა. მართალია წერილები გზაში ხშირად იკარგებოდა, ან ნადგურდებოდა, მაგრამ რაც შემორჩა - მისი ეპისტოლარული ნაზრევი, საკმარის წარმოდგენას გვიქმნის მწერლის ნაფიქრ-განცდილით სამშობლოსგან შორს მყოფი პიროვნების მრწამსის შესაცნობად.

ფსიქოლოგიურად იოლი არ იყო 20 წლის ლევან გოთუასთვის, სამშობლოს მტრის იარლიყით ციხის საკანში გამომწყვდევა, დამოუკიდებლობისა და საქართველოს უკეთესი მომავლის სურვილის გამო უმკაცრესად დასჯა (გოთუა.. 1995:48).

„ლევან გოთუა, კაცი, რომელმაც ცხოვრების ერთი მესამედი - 66 წლიდან 22 წელი სამშობლოს მიღმა საკონცენტრაციო ბანაკებსა და კატორღაში გაატარა. ბოლო წლებში გადასახლების ფორმა - „თავისუფალი გადასახლება“ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ ბევრი ეწერა, შეენარჩუნებინა ადამიანობა, არ დაეკარგა სულიერი სიფაქიზე და სიკეთის რწმენა, რომელიც კარგად ჩანს მის ნაწარმოებებში“ (გიგაშვილი 2006:241).

მართლაც, მწერლის ეპისტოლარულ წერილებში სარკესავით არეკლილია მისი მსოფლმხედველობრივი თავისებურებანი, საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ნანახსა და განცდილზე დამყარებული თავგადასავალი, რომელიც სამომავლო მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოების მასალადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. ზოგიერთი პირადი წერილი კი, სიუჟეტური განვითარებისა და კომპოზიციური სრულყოფით, დამოუკიდებელი პუბლიცისტური ნაწარმოებია.

ლევან გოთუას პირადი წერილები, ჩანაწერები, მოგონებები და-ძმა თამარ და ალექსანდრე გოთუებმა შეკრიბეს და მწერლის ცხოვრების ეს უმძიმესი მონაკვეთი ცალკე წიგნად გამოსცეს სათაურით - „თავგადასავალი ლევან გოთუასი“ .

პირველი განსაცდელი ახალგაზრდა მწერალს სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში ელოდა, რომელიც შიმშილის, წამებისა და სიკვდილის კუნძულად იყო მიჩნეული. საშინელ კლიმატურ პირობებს ერთვოდა პატიმრებისადმი არაადამიანური

მოპყრობის ფაქტები. საბჭოთა ხელისუფლებამ სოლოვეცკის მონასტერი პოლიტიკური პატიმრების საპყრობილედ აქცია.

„აქ აწამებდნენ პატიმრებს მორალურად თუ ფიზიკურად. სოლოვეცკის მონასტრიდან თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი იყო. აქედან გაქცევის ცდაც თვითმკვლელობას ნიშნავდა. ვინ იცის, რამდენმა სასიქადულო ადამიანმა ჰპოვა ამ მიწაში თავისი სამუდამო განსასვენებელი“ (გოთუა... 1995:53).

იქ ჩასვლისთანავე ქართველი პატიმრები „ბნელ, ნესტიან, მუხლებამდე ჩამყაყებულ წყლით სავსე საშინელსუნიან და ანტისანიტარულ სარდაფში“ (გოთუა... 1995:69) მოათავსეს. ისინი უამრავი შიშველი კაცის გარემოცვაში აღმოჩნდნენ, რომელთა უმრავლესობას სხეულზე ნაწიბურები ეტყობოდა. პატიმრები თურმე გატეხილ ალუმინის კოვზებს ყლაპავდნენ, კუჭის ურთულეს ოპერაციას იკეთებდნენ, რომ თავი დაეღწიათ გაუსაძლისი პირობებისთვის და ცოტა ხნით მაინც საავადმყოფოში მოხვედილიყვნენ.

თავად მწერალი ასე აღწერდა იქ გამეფებულ რეჟიმს: „ყოფილი უძველესი მონასტერი ძირფესვიანად გაჟღენთილია რუსული ავი სულით. ახლანდელი საკონცენტრაციო ბანაკები ისეთი აღარ არის, რაც სხვა მთავრობის დროს იყო. ეს განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, სადაც მოქმედებს სისასტიკისა და ულმობლობის კანონები. აქ ადამიანთა სიკვდილი მძვინვარებს, როგორც სრულიად ჩვეულებრივი, უბრალო ამბავი“ (გოთუა... 1995:69).

ქართველი პატიმრები კანონიერ ქურდებთან, მკვლელებთან, ბანდიტებთან მოათავსეს. „ატამანები“ ცდილობდნენ პოლიტიკური პატიმრების მორჯულებას თავიანთ წესებზე. სრული დამორჩილება ან სიკვდილი, - ასეთი იყო მათი მრწამსი.

„ქართველი ბიჭები, მათ შორის ლევანიც თავზეხელაღებულ ბრბოს, რომელიც მათ დასარბევად დაესია, არ დაემორჩილნენ. მართალია, ბევრი ფიზიკური შეურაცხყოფა აიტანეს, მაგრამ ბანაკის ადმინისტრაციის, ვიგინდარების, „ატამანის“ და ზოგიერთი პიროვნებდაკარგული პატიმრის გასაკვირად, იძულებული გახდნენ, უკიდურესი ღონისძიებისთვის მიემართათ - პროტესტის ნიშნად მათ შიმშილობა გამოაცხადეს“ (გოთუა... 1995:71).

ისინი მოითხოვდნენ ამ საშინელი სარდაფიდან პოლიტიკურ პატიმრებთან გადასვლას. 30 დღის შემდეგ, როგორც იქნა, მიაღწიეს მიზანს, მაგრამ დიდი

მსხვერპლის ფასად. მხოლოდ ქართველების მცირე ჯგუფი გადაურჩა სიკვდილს და მათ შორის ამტანობით და ფიზიკური სიძლიერით გამორჩეული ლევან გოთუა.

რევაზ ინანიშვილმა, ლევან გოთუას მონათხრობის მიხედვით, მოგვიანებით მხატვრულ-დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუში „წყალობა“ შექმნა. წყალობა ერქვა ლევან გოთუასთან ერთად ბანაკში მოხვედრილ ყანდაურელს. აუღელვებლად ვერ წაიკითხავთ ყანდაურელის ამბავს, რომელმაც მწერლის თხოვნა უსიტყვოდ შეასრულა და სწორედ ერთ-ერთ ასეთ „ატამანს“ თავისი ადგილი მიუჩინა (ინანიშვილი 2008:353).

ლევან გოთუამ შიმშილს გაუძლო, მაგრამ 5-6 თვე მაინც დასჭირდა გამოსაჯანმრთელებლად. ეს ამბები მას ოჯახისთვის არ შეუტყობინებია, პირიქით, მშობლებს აწყნარებდა, ჯანმრთელად და მხნედ ვარ, არ მინდა სულით დავეცეო, მაგრამ სინამდვილეში „საშინელი რეჟიმის ქვეყანაში“ ახალგაზრდული ოცნებები მას და მის მსგავს ახალგაზრდებს ყინულეთში ფრთებშეჭრილი რჩებოდათ, ადამიანებად აღარ გვთვლიან, ცოცხლად გვკლავენო, - იწერებოდა...

„არასოდეს აზრად არ მომსვლია, როდისმე ასე მძიმედ განწირულად ყოფნა და სამშობლოზე ოცნება დამჭირდებოდა. ეშმაკმა დალახვროს, ბოლოს და ბოლოს ჩემთვის თუ ჩემისთანებისათვის როდისღა დადგება ნამდვილი სასიკეთო გაზაფხული? მომავალზე ოცნება კი ცივ ყინულეთში და საშიშ სამყაროში ფრთებშეჭრილი გვრჩება“ (გოთუა... 1995:67).

მას გული სწყდებოდა, რომ ფარსად ქცეული თავისუფალი გადასახლების რეჟიმიც კი მახრჩობელა გველივით თანდათანობით აცლიდა სისხლს მასაც და სხვა ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდებსაც.

„რამდენმა ჩვენნაირმა ახალგაზრდამ ისე გაათავა თავისი სიცოცხლე და ცხოვრება, რომ არსებითად ჯერ არც კი დაეწყო. რამდენი სამშობლოსთვის კარგი საქმე გაუმჟღავნებული დარჩათ, ვინ მოთვლის“ (გოთუა...1995:140).

თავადაც ოცნებად დარჩა მომავალზე ეფიქრა, თავისუფალ გადასახლებში მყოფი ყიზლარის სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლევან გოთუა მამასთან ერთად გეგმას სახავდა, რომ სარატოვში გადავიდოდა სწავლის გასაგრძელებლად. მამასთან გაგზავნილი ბარათიდან ვიგებთ, რომ იგი ყოყმანობს ამ ნაბიჯის გადადგმაზე, რადგან ქართულ საქმეს ემსახურება და სკოლისთვის ადვილი არ

იქნებოდა სხვა მასწავლებლის შოვნა. მამას სწერდა, რომ მხოლოდ სწავლის დამთავრების შემდეგ იფიქრებდა უმაღლესში მოწყობაზე.

„ერთგვარ მორალურ კმაყოფილებას ვგრძნობ, რომ ამ ქართველ ხალხს შეძლებისდაგვარად ვიცავ გადაგვარებისგან. ადვილი რომ იყოს სხვა მასწავლებლის შოვნა ხომ, რა თქმა უნდა, ლაპარაკიც ზედმეტი იქნებოდა. თან - რაღაც 9 თვე დარჩა სწავლის დამთავრებამდე“ (გოთუა... 1995:103).

როდესაც ჩეკამ ქალაქიდან ქალაქში გადასვლაზე უარი უთხრა. მამისადმი გაგზავნილ ბარათში სინანულით ამბობს, რომ მის ცხოვრებაში სინამდვილე და ოცნება, აწმყო და მომავალი ძალიან დასცილდა ერთმანეთს. „ჩვენ ღირსეული მამულიშვილები გვინდოდა ვყოფილიყავით სამშობლოში. ამის საშუალება კი ჩეკამ ყოველმხრივ დაგვიხშო, დავიბენით, როგორ მოვიქცეთ შემდგომში, არ ვიცით“ (გოთუა... 1995:110).

კიდევ უფრო მძიმე ფიქრებს შეუპყრია ნარიმის საკონცენტრაციო ბანაკში. „ვგრძნობ, მე ბუნებრივ სიკვდილზე უფრო ადრე გათავებული კაცი ვარ. არც მკვდრებში ვწერივარ და არც ცოცხლებში“ (გოთუა.... 1995:133).

ლევან გოთუა ბუნებით მეოცნებე და ოპტიმისტი იყო, მაგრამ, ვფიქრობ, ზედიზედ იმედების გაცრუებამ 27 წლის ახალგაზრდას მაინც ამოათქმევინა ეს სასოწარკვეთილი სიტყვები. ერთადერთი იმედი მასთან სამშობლოდან გაგზავნილ ბარათებს მიჰქონდა: „თქვენგან ჩამოქროლილ ნიავს ვოცნებობ, რომელიც მეტყვის მშობლიურ ამბებს და მე, როგორც ბრმა მეოცნებეს, ფრთაშენაყარს, თვალებს ამიხელს. მე მხოლოდ სითბო მინდა, მშობლიური სითბო, ამბორი და კეთილდღეობა საქართველოსი“ (გოთუა... 1995:124).

ეროვნულ ფესვებთან შესისხლხორცებული მწერლისთვის სულიერი საზრდო თბილისიდან გაგზავნილი წიგნები და ქართული გაზეთები იყო. აქ მარტო ამით ვცოცხლობ, იმედია, ასეთ სულიერ საზრდოს კიდევ მომაწვდითო, - იწერებოდა....

ოჯახის წევრებსაც მუდამ მზად ჰქონდათ ლევანისთვის გასაგზავნი წიგნები, რვეულები და ჟურნალ-გაზეთები. უბრალო, ცალხაზიანი მოწაფის რვეულებს ითხოვდა, რომელსაც წინდაში დამალავდა. ასეთი რვეულები ადვილად გამოსატანი იყო ციხიდან.

მართალია, მალულად უწევდა წერა, მაგრამ მაინც ახერხებდა შემოქმედებით მუშაობას და კმაყოფილი იყო, თავს კარგად გრძნობდა.

„მალულად და საიდუმლოდ, ხან ლექსებს, ხან პროზას ვწერ და ვხევ, გულს ვაყოლებ. თუ შეამჩნიეს, წამართმევენ და დამსჯიან კიდეც“ (გოთუა... 1995:125).

კარგად აცნობიერებდა, რომ წერის გარეშე სიცოცხლეც დაკარგავდა ფასს: „მე თუ წერა ვერ შევძელი, ისე არც ჯანმრთელობა მინდა და არც სიცოცხლე“ (გოთუა... 1995:324).

ვადა კი მიიზლაზნებოდა და „ტკივილის ხნულს“ ტოვებდა (გოთუა... 1995:126), ცა შავი ღრუბლებით იყო მოჭედილი, მაინც ელოდა გამოდარებას... ციმბირში ნარიმის შავი ღრუბლები სამშობლოზე ფიქრს აღუძრავდა: „შევცქერი შავი ღრუბლით მოჭედილ ჩრდილოეთის ცას. ძლიერ შორს, ღრმა ნისლის უკან ჩემი სანუკვარი სამშობლოა. ვოცნებობ: უეცრად ნისლის საბურველი ჩაიცრიცება და სამშობლოს ერთბაშად დავინახავ. როდის გამოიდარებს, მაგრამ მაინც არის ლოდინი“ (გოთუა... 1995:142).

სადღაც, ციმბირში, სამშობლოს მძაფრი განცდით დაღდასმული ნებისმიერი პატიმარი, ბუნებრივია, გაქცევის შანსს არ გაუშვებდა ხელიდან. მაგრამ ლევან გოთუამ ეს შანსი ამჯერად არ გამოიყენა. ნარიმიდან გამოგზავნილ ბარათში დაწვრილებითაა აღწერილი, როგორ მისცეს პატიმრებს მდინარე ობზე საბანაოდ ნება.

ლევანი წყალმა გაალაღა, მხნეობა შეემატა. „დრო ვერ განვსაზღვრე, წყალში რამდენ ხანს ვიყავი, ვილაღე, ცურვით გული რომ მოვიჯერე, ნაპირს გავხედე, იქნებ ბანაკში დაბრუნების დროც მოვიდა-მეთქი“ (გოთუა... 1995:144).

ნაპირი აღარ ჩანდა, სამარისებურ სიჩუმეში წამიერად ისიც კი გაიფიქრა, გაქცეულიყო, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ვეღარ მიიღო. როგორც თავად წერს, თვალწინ ოჯახი წარმოუდგა და მიხვდა, რომ მათ აწიოკებას ვეღარ გადაიტანდა.

„იმ წუთშივე წარმოვიდგინე სამუდამოდ სამშობლოს დაკარგვა, თქვენი ღალატი, მუდმივად შიშის ქვეშ ყოფნა, არალეგალურად სადმე ღრმა რუსეთში სხვისი საბუთებით და სახელით ცხოვრება და არსებობა ბედის წყალობით. ასეთი გამწარებული ცხოვრების ისევ თავიდან დაწყებას უკვე ვეღარ ავიტანდი. თვალწინ წარმომიდგა ისევ თქვენი აწიოკება, ოჯახის მთლიანი განადგურება“ (გოთუა... 1995:145).

და ლევან გოთუა უკან, ბანაკში დაბრუნდა. მაგრამ მისდა გასაკვირად, ბანაკის კართან თოფიანმა დარაჯმა ციხეში არ შეუშვა, სანამ უფროსი არ მივიდა.

„განა შენ ობში არ დაიხრჩე? ასე გვითხრეს პატიმრებმა. ჩვენ ამ ბანაკიდან ჩამოგწერეთ და ახლა მკვდარი სული ხარ, შენი ტანსაცმელი სხვას ჩავაცვით. რაღა გიყოთ? ბანაკისთვის მკვდარი სული ხარ, იქიდან როგორ გამოცურე“ (გოთუა... 1995:146).

ეს „მკვდარი სული“ ურჩი პატიმარი ერთი კვირით იზოლატორში ჩააგდეს, ტანსაცმელიც პატარა ზომის, ნახმარი და დასვრილი მისცეს.

წერილების უმრავლესობა ვორკუტის შრომა-გასწორებითი ბანაკიდან არის გამოგზავნილი, ეს ბუნებრივიცაა, ვორკუტაში, 1946 წლიდან 1955 წლამდე, ყველაზე დიდ გადასახლებაში იმყოფებოდა.

1941 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების, ასპირანტებისა და სტუდენტების ჯგუფმა საიდუმლო ორგანიზაცია, „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი“ შექმნა, რომელსაც მწერალი ლევან გოთუა ხელმძღვანელობდა. როგორც რევაზ კვერენჩხილაძე აღნიშნავს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილმა წევრებმა ომის დაწყებასთან ერთად გააქტიურეს არალეგალური ანტისაბჭოთა საქმიანობა, ხელმძღვანელი ბირთვი „საქართველოს ეროვნული თავდაცვის კომიტეტი“ იქნებოდა.

ისინი უნივერსიტეტის შეკრებებზე საქართველოს მომავალზე მსჯელობდნენ და ცდილობდნენ, ომით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები ქვეყნისთვის თავიდან აეცილებინათ. 1942 წელს, თუ გერმანელები თბილისში შემოვიდოდნენ, „საქართველოს საბჭოთა იმპერიის შემადგენლობიდან გასვლა რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლის და ქაოსის გარეშე უნდა მომხდარიყო (არველაძე 2012:249).

საზღვარგარეთ გაქცევის მცდელობის „ბრალდებასთან“ ერთად, ლევან გოთუას ნაცნობ-მეგობრებისგან რაზმების მომზადება დაბრალდა (არველაძე 2012: 249).

თავად ლევან გოთუა ოჯახის წევრებს გზიდან გაგზავნილ ბარათში ასე სწერდა: „რატომ, მე თვითონაც მიკვირს. 58-ე მუხლი გათვალისწინებულია მძიმე დანაშაულისთვის, გულისხმობს სამშობლოს ღალატს, სამხედრო ძლიერების შერყევას და ბევრ ამისთანა დანაშაულს“ (გოთუა... 1995:272).

„მოკლედ, ჩემ მიმართ შეთხზეს დიდი საქმე, მაგრამ ვერაფერი დამიმტკიცეს და ვერც ვერავინ ვერ დამიპირისპირეს“ (გოთუა... 1995: 273).

„მე ამ წყობის მოწინააღმდეგე ვარ და ყოველთვის ვიქნები, მაგრამ, საიდან სადაო, სად ჩემი დაპატიმრება, ბრალდება, დაუმტკიცებელი სულისკვეთება და სად მოსკოვის ვიღაც სამეული, რისთვის??“ (გოთუა... 1995:274).

„ჩემი დარდი ნუ გექნებათ, ვნანობ, რამდენი წიგნი დამრჩა დასაწერი, რამდენი მიზანი და საშვილიშვილო საქმე შეუსრულებელი. ვის დასჭირდა ჩემი გაძევება ან რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ გამაშორებს საყვარელ სამშობლო-საქართველოს. ძნელია ეტაპით წასვლა, მაგრამ, რა ვიზმთ? ისეთ საშინელ გარემოცვაში ვართ, სადაც სიმართლე არ ფასობს!“ (იქვე).

ლევან გოთუა ბარათში დაწვრილებით ატყობინებდა ოჯახის წევრებს, როგორ უნდა ეპატრონათ მისი ხელნაწერებისთვის და საიდან რამდენი თანხა უნდა აეღო.

„ჩემს უჯრაში შემნახველი სალაროს წიგნაკია, იქ 5000 მანეთი მაქვს, ბათუმის ხელოვნების სამმართველოდან მისაღები მქონდა 6000 მანეთი, „უძლეველნის“ ანგარიშზე.

ჩემი დრამები - 10 ფორმა არის „საბჭოთა წიგნის“ გამომცემლობაში, 3 ფორმა - გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის გამომცემლობაში, გამოიტანეთ და შეინახეთ. ჩემი წიგნი „გაუვალ ჭალებში“ არის „საბლიტგამში“, ისიც გამოართვით. კინოსაც მიაკითხეთ, იქ სცენარია „უშბის სიმღერა“. სადღეისოდ ალბათ საეჭვოა ამ სცენარის ბედიც.

რაც შეეხება ლიბრეტოს „არმაზის ციხე“, მუსიკის ავტორს ალეკო მაჭავარიანს, როგორც უნდა, ისე დაარქვას, გადააკეთოს და თავისი სახელით გაუშვას. ჩემი სამცხე-ჯავახეთის შთაბეჭდილებები - ეს მასალა მომავალი წიგნი იყო. იქნებ რვეული არ დაიკარგოს. დაპატიმრების დროს ჩამომართვეს“ (გოთუა... 1995: 274).

როგორც თამარ და ალექსანდრე გოთუების წიგნში „თავგადასავალი ლევან გოთუასი“ აღნიშნულია, ლევანის დაპატიმრების შემდეგ ოჯახს მატერიალურად ძალიან გაუჭირდა, ვერც ნივთები გაჰქონდათ გასაყიდად, რადგან დამტვრეული და გამოსადეგად უვარგისი იყო. ვიგებთ იმასაც, რომ ლევან გოთუას ძალიან ბევრი თანხა უნდა მიეღო სხვადასხვა დაწესებულებისგან, მაგრამ მისი დაპატიმრების გამო ოჯახის წევრები ყველა ადგილიდან უარით გამოისტუმრეს. არც ციხეში ლევანის მიერ მათთვის დატოვებული მინდობილობა მისცეს. სამცხე-ჯავახეთის შესახებ ჩანაწერები კი გაანადგურეს.

(თავად ლევანის არქივის გადარჩენა კი უშიშროების გენერალ რუხაძის სახელს უკავშირდება. თამარ გოთუასთან ფრონტული ნაცნობობის წყალობით გენერალმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა და ლევან გოთუას არქივი მწერალთა სახლის სარდაფში გადაამალინა, არქივი მწერალთა კავშირის არქივის გამგეს ნინო კლდიაშვილს ებარა, მხოლოდ 10 წლის შემდეგ, ვორკუტის გადასახლებიდან დაბრუნებულმა მწერალმა მოახერხა ამ უვნებლად გადარჩენილი არქივის დაბრუნება).

ასე რომ, დაპატიმრებას, როგორც იმ ავბედით წლებში ხდებოდა ხოლმე, თან დაერთო ლევან გოთუას ირგვლივ ხმების გავრცელება, მისი კრიტიკა უკვე საკავშირო მთავრობის ტრიბუნიდანაც ისმოდა.

„ლევან გოთუასა და ოთარ ჩხეიძეს - კონსტანტინე გამსახურდიასთან ერთად - ნაციონალისტებად და საქართველოს ისტორიის გამაიდეალებლებად მოიხსენიებდნენ საკავშირო ტრიბუნიდან, რაც 1947 წელს უმძიმეს საბედისწერო ბრალდებად გაისმოდა“ (ჩხეიძე 2016:10).

ასეთ ვითარებაში მოდის ვორკუტიდან ლევანის პირველი წერილი, სადაც იგი ისევ და ისევ ფიქრებით სამშობლოს თავისუფლებას დასტრიალებს. უკუღმა დატრიალებულმა ცხოვრების ბორბალმა ისევ შორეული მხარე და მარტოობა განუმზადა... თითქოს განგებ ხდებოდა ეს ყველაფერი.

„სადღაც გზაში გავათენეთ ვაი ახალი წელიწადი. ფიქრებში ჩამომაწვა საახალწლო კრიალოსანი. გამახსენდა სახლი. მახლობელთ შორის ჟამი სასიკეთო. ურთიერთ მილოცვა, სამშობლოს მომავლის საუკეთესო სურვილები, ოდესმე გამეგონოს თავისუფლება“ (გოთუა... 1995:281).

ყველაზე მეტად ის აწუხებდა, დატუსაღებული კალმის გამო შემოქმედებითი მუშაობა რომ ეზღუდებოდა.

„ჟამმა კალამი დამიტუსაღა,

გულზე დამეცა ლოდად და შამბად“ (გოთუა... 1995:275).

მე თუ წერა ვერ შევძელ, არც ჯანმრთელობა მინდა და არც სიცოცხლეო... ახლო მომავალშიც კარგს ვერაფერს ხედავდა, თუმცა იმედს არ კარგავდა: „ჩვენი ოჯახისა არ იყოს, სამშობლო გულმოკლულია წარსულითა და აწმყოთი. იმედის თვალით შესცქერის მომავალს. მეც მომავლით ვცხოვრობ, მაგრამ ახლო მომავალში არაფერს კარგს ვერ ვხედავ ამ კომუნისტების ხელში“ (იქვე).

ამ განცდებით დამძიმებული აღებს ვორკუტის ბანაკის კარს, რომელსაც სამწყება მავთულხართი ერტყა და პატიმრებს გაუსაძლის პირობებში უმოწყალოდ ამუშავებდნენ. „ათასობით ადამიანის სიცოცხლე ჩაიფერფლა და ჩაიყინა. აქ ასე ამბობენ, ყოვლი შპალი ადამიანის ძვლებით არის გამაგრებულიო“ (გოთუა... 1995:287).

ადამიანის სიკვდილი ძალიან გაიოლებული იყო ჩრდილოეთში, ბანაკში არაადამიანურ პირობებში ჰყავდათ პატიმრები. ანადგურებდნენ მორალურად და ფიზიკურად. ქრონიკული უჭმელობა თავის დაღს ასვამდა თითოეულს. ამას ემატებოდა ჭაობის ერთფეროვნება, ბევრი ავადდებოდა და იღუპებოდა. ბევრიც ბანაკის ადმინისტრაციის მიერ გამოგონილი ახალ-ახალი შეზღუდვების გამო თვითმკვლელობამდე მიდიოდა.

„ანდა იმდენად გლახაკდება, გამყიდველად ყალიბდება. მე არ ვეპუები ამას, თითქოს, მაგრამ წლებსა და გარემოს თავისი მაინც მიაქვს. სულიც მიაქვს რაღაცა და მე საბოლოოდ არ ვიცი, რაღა დამრჩება. ესეც საფიქრებელი და სადარდებელია“ (გოთუა... 1995:309).

მწერალი პარალელს ავლებდა საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოზე ტოტალურად თავსდატეხილ განსაცდელთან. ვერ წარმოედგინა, მომავალში როგორ უნდა შევსებულიყო და აღმდგარიყო ეს დანაკლისი - კულტურისა და განათლების დონე. „ეს უსათუოდ უარყოფითად იმოქმედებს მომავალ თაობაზე“ (გოთუა... 1995:381).

ამას ემატებოდა ისიც, რომ ლევან გოთუა და მისი მეგობრები - ეგრეთ წოდებული პოლიტპატიმრები ბანაკში მკვლელებთან, ქურდებთან, თავზეხელაღებულ ხალხთან ერთად მოათავსეს: „ერთ ტაფაში ვიწვებით. კატორღელებიც აქ არიან. ვის არ შეხვდებით აქ“ (იქვე). ამიტომაც იწერებოდა, ბანაკში ჩვენ არ ვითვლებით ადამიანებად. ბარბაროსების ხელში ვართო.

თავადაც დანომრილ კატორღელს მკლავებზე და მუხლებზე ტანისამოსი ნომრით აჭრელებული ჰქონდა. „ალბათ ეშინიათ, რომ არ დავიკარგოთ. აბა, აქედან სად წავალთ, თუ თვითონ არ გაგვაცურეს სამუდამოდ. მე თითქმის ჯანმრთელობაც გამომიკეთდა. ჭაღარას ყურადღებას არ ვაქცევ, თუმცა აქ დიდი ხანია, ყველანი „ბატიას “, „პაპაშას“ მეძახიან“ (გოთუა... 1995:348).

ლევან გოთუა სიამაყით აღნიშნავდა, რომ მძიმე პირობების მიუხედავად, ქართველების მოსყიდვა ვერ შეძლეს. აქ მარტო ქართველებს აქვთ შემორჩენილი

საკუთარი ღირსების გრძნობა და თავმოყვარეობა. ქართველი კაცი ისე არ გათახსირდება, რომ ჯაშუში გახდეს, რაც მე ძალიან მახარებსო.

„ჩვენ, ქართველებს, მე ვგონებ, სხვა ეროვნებებთან შედარებით უფრო დიდი შეგუების ძალა და უნარი შეგვწევს. ჩვენში მომავლის სულისკვეთების ზღურბლი უსასრულობამდე აღწევს. სიცოცხლეს მაგრად ვებღაუჭებით, იმედის უმნიშვნელო ნაპერწკალს მბჟუტავი სანთელივით უბეში მალულად ვინახავთ. ეს იმიტომ, რომ ჩვენ სამშობლო გვაქვს, ჩვენი მიწა, ჩვენი აკვანი. ეს ძლიერი გრძნობა კი ჰფარავს ყველა სიძნელეებს“ (გოთუა... 1995:261).

იგი ვერ ეგუებოდა სიზარმაცეს, „ერის დამაქცეველია და ეს ზღურბლი დაწყებისთანავე უნდა გადავლახოთ, თორემ უქნარები და მოხეტიალე უსაქმურები ძლიერი ერის გამტეხიცაა“ (გოთუა...1995:378).

მას ერთი მცირე კეთილი ქოხი ათ ბროლის სასახლეს ერჩია, სულიერ სიმდიდრეს აგური ვერ ამოავსებდა.

„მაშ შენდება თბილისი? კარგია, კარგი, მაგრამ სულიერი სიცარიელის ამოვსება აგურით ვერასდროს მოხერხებულა! და ერთი მცირე, მაგრამ კეთილი ქოხი ათ ბროლის სასახლეს მაინც სჯობია“ (გოთუა... 1995:391).

მისთვის პატიოსნება იყო უმთავრესი საზომი. ამიტომაც სწერდა ოჯახის წევრებს, პატიოსანი მოღვაწეები და სწავლული ხალხი ამ ბანაკებში უფრო მეტია, ვიდრე მანდ დარჩა. ჩვენი სავალიც ეკლიანიაო.

„ყველას, როგორც მე, ჩვენი კლდოვანი და ეკლიანი სავალი გაგვაჩნია, ან პირნათლად მოვალთ მანდ, პატიოსნად შევცვლით გარემოცვას, ანდა პატიოსან გზაზე დავრჩებით მოუსვლელად. ესაა და ეს“ (გოთუა... 1995:381).

ლევან გოთუას პირად წერილებში მოზაიკურად არეკლილია მისი სურვილები, ფიქრები. მას აინტერესებდა ყველაფერი, რაც სამშობლოში ხდებოდა.

„წავიკითხე გაზეთში, საბა-სულხანის ლექსიკონი გამოსულა. ჩემი საყვარელი წიგნია და ნუ მომაკლებთ. მოუთმენლად ველი ვახუშტის „გეოგრაფიას“, აქ ყოველი ქართული წიგნი... ქართული მიწის ნაჭერია და უფრო მეტიც - ქართული სულის ნაჭერი“ (გოთუა... 1995:328).

ოჯახის წევრებს სთხოვდა, დაწვრილებით მიეწერათ რუსთაველის თეატრის ხანძარზე, ქართველ ფეხბურთელებზე, მთამსვლელებზე, თეატრის ამბებზე... უშბა-

შხელდის ტრავერსის შესრულების გამო აღფრთოვანება ვერ დამალა - „მეტად მეამა, ვაშა მათ! ხელახლა განვიცადე ალიოშას საოცარი ცხოვრების ზრახვანი და ტრაგიკული დასასრული“ (გოთუა...1995:334).

დაღუპული მთამსვლელის ბედს შენატრის და თავის ცხოვრებასთან ავლებს პარალელს, რომელმაც თითქოს გაუყინა სიცოცხლე, მაგრამ უფრო მტკივნეულად გაუშიშვლა გულში ჭრილობა. თუმცა დაღმართიც აღარ აშინებს: „მეც მთამსვლელი ვარ, აღმართს მიჩვეული - გავუძლე და დავძლიე, დაღმართიც აღარ მაშინებს, საკმარისად კარგად მივეჩვიე. „ოჰ! მომავალო, ხელი მომიმართე“ (გოთუა... 1995:311).

ოჯახის წევრებს სთხოვს, ხშირად გაუგზავნონ ქართული გაზეთები, გაზეთი „კომუნისტი“ გამოუწერონ პირდაპირ რედაქციიდან ბანაკის მისამართზე: „როდესაც აქ ქართულ გაზეთებს ვკითხულობ, წარსული ზღაპარი მგონია. რაც დრო გადის, საქართველო უფრო მშორდება, რეალურ სახეს კარგავს, ღვთაებად მექცევა“ (გოთუა...1995:377).

მისი ყველა წერილი სწორედ სამშობლოს დიდი მონატრების განცდითაა დაღდასმული. გამუდმებით სურდა, გულით შეეგრძნო ქართული მზე, ხალხი, სამშობლოს ყოველი კუნჭული: „მივეგებო მას, მივეხმარო, ჩავწვდე სულში და გულში, მივესიყვარულო. ოცნებამ ისევ ფრთები გაშალა. მე სულ ვკეცავ და ვკეცავ ამ ოცნების ფრთებს“ (გოთუა....1995:334).

მშობლიურ სანახებს მოწყვეტილს თავადაც უჭირდა გაგება, ასეთი რა იყო ეს მწველი განცდა, რომელიც სულ თან დაჰყვებოდა და მოსვენებას უკარგავდა: „ვერ ამიხსნია, ვერ გამიგია: სამშობლო იმიტომ მიყვარს ასე ძალიან, რომ ასე შორსა ვარ, თუ ასე შორსა ვარ იმიტომ, რომ სამშობლო ასე ძალიან მიყვარს?!“ (გოთუა....1995:308).

ძალიან განიცდიდა, თუ გაზეთებში ძველი მეგობრების გარდაცვალების ცნობას წაიკითხავდა... „მოვიგლოვ მათ შორიდან - მარტოხელად, თავშეუხსენებელი, რამეთუ აქედან საიქიოც უკეთ ჩანს და უფრო ახლო“ (გოთუა...1995: 328).

ლევან გოთუას აზრით, შალვა ღამბაშიძის დაკარგვა არა მხოლოდ თეატრისთვის, საქართველოსთვისაც დიდი დანაკლისია. არა მხოლოდ პიესების გმირი, ერთგული მეგობარი და საიმედო ქართველი იყო. „შალვა ღამბაშიძის და ლევან ასათიანის სიკვდილი მეტად მეწყინა. შალვას შესახებ თეატრსა და მის ოჯახს ერთად მივწერე სამძიმარი, ალბათ მიღებული ექნებათ“ (გოთუა...1995:428).

იქვე ლადო ასათიანის მეუღლეს-ანიკო ვაჩნაძესაც უგზავნის მოკითხვას და დას - თინას სთხოვს, მისგან თანაგრძნობა გადასცეს: „ლ. ასათიანის მეუღლე, თინა, თუ ნახოთ, ჩემი ღრმა თანაგრძნობა და გულისტკივილი გადაეცით პატიოსანთა - უპატიოსნესი, ქართველთა - უქართველესი, მწერალთა - მწერლის გარდაცვალების გამო“ (გოთუა...1995:428).

უზომოდ აინტერესებდა, რა იყო ახალი ქართულ ლიტერატურაში, კითხულობდა: ნუთუ სულ „დამუნჯდნენო“.

„ყველა რაღაცას აკეთებს, ამ მწერლებს რაღა მოუვიდათ, ვატყობ, ჩვენი მწერლობა ახლა იმაზე უფრო ჩალიჩობს და მუშაობს, რამ თუ არის ძველი... ნაწერები რუსულად თარგმნონ, ვიდრე ახალი ქართულად დაწერონ“ (გოთუა....1995:359).

ლევან გოთუა იმ პერიოდში გამეფებულ ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს და ლოზუნგომანიასაც გამოეხმაურა; „სავალალოდ, მწერლობაშიც თითქოსდა წერით იძღებენ თავმოყვარეობის უმაძღარ ჭიას. ეს ჭეშმარიტი მწერლობა არ არის. ვინც მხატვრულ სიტყვაში რაიმე სისტემას ეძებს, ის ვერასოდეს ქართულ ჭეშმარიტ მწერლობას ვერ მიაღწევს. მწერლობის განვითარება ბრძანებითა და ლოზუნგებით სავალალო და მომაკვდინებელია. მწერალს თავისი მეობა, სახე და ხასიათი უნდა გააჩნდეს, გარდა ბუნებით მინიჭებული ნიჭისა“ (გოთუა... 1995:380).

მისი აზრით, საქართველოში ჯერ ისევ იყვნენ ნამდვილი მწერლები, მაგრამ, ამავდროულად, უნიჭობაც ზეობდა: „საქართველოში ყოველთვის იყვნენ და ახლაც არიან ჭეშმარიტი მწერლები, რომლებსაც კარგად უჭრით კალამი. მიტმასნილ, უნიჭო მწერლებს კი კალმის მაგივრად კბილი და ვერაგობა უჭრით“ (გოთუა...1995:380).

მას არც ლიტერატურული სიახლეები გამორჩებოდა ხოლმე თვალთახედვის არედან. აქვე ვხვდებით ლევან გოთუას შთაბეჭდილებას კონსტანტინე გამსახურდიას რომანზე „ვაზის ყვავილობა“.

„რამდენიმე „მნათობში“ წავიკითხე „ვაზის ყვავილობა“ - არ მომეწონა. ასეთ დიდ მწერალს, შესანიშნავი ნაწარმოებების ავტორს, ეს არ გამოუვიდა. შესაძლებელია ეს კანონზომიერიც იყო. ყოველთვის შედევრების წერა შეუძლებელია. ქართული პროზა და პოეზია, მე ვფიქრობ, მცირედი ხარვეზებით მაინც თავის სიმაღლეზე დგას და იფურჩქნება“ (გოთუა... 1995:393).

წერილსა და წერილს შორის კრთება ვედრება: „მომაწოდეთ მასალები საქართველოზე, ნუ მომწყვეტავთ მას. მე მისი ყველაფერი მაინტერესებს - წარსული, აწმყო და მომავალი. მე ამით ვსაზრდოობ, ამით ვცოცხლობ“ (გოთუა... 1995:310).

„გმირთა ვარამის“ პირველი ტომი უკვე გაგზავნილი აქვს საქართველოში და მეორე წიგნს ამთავრებს... ისიც კი აფიქრებს, ვის ხელში მოხვდება ნაწერი. „ცუდ მემანქანეს არ მისცეთ. ცუდი ჩემი ხელიც მეყოფა!“ (გოთუა... 1995:333).

ახალი ხელობა აქვს. ელექტროსადგურში მაღალი ძაბვის მონტიორად მუშაობს. ეს სულისმოსათქმელი ადგილია, სადაც მისი სამყაროა და სადაც მეორე წიგნზე გამალებით მუშაობს „და თუ ბეჯითობა და გამძელობა არ ამიხირდნენ, იქნებ კიდევ ერთი ხურჯინი ავავსო. აქ არის ჩემთან ვახუშტი, ჯავახიშვილი... ბელოკუროვის მასალები... ცაგარელი, პირდაპირ დღეობაა“ (გოთუა... 1995:345).

კარებზე დიდი დაფაა წარწერით: „სასიკვდილოა“, რომელიც განსაკუთრებით ზედამხედველებს შიშის ზარს სცემს და იქ ვერ შედიან. წერის დროს ხელს არავინ უშლის. ნაწერებიც ერთ-ერთ დანადგართან, მიწაში ღრმად ამოთხრილ ნიშაში დაუმალავს. ზემოდან ისეთივე შესაშინებელი აბრა ჰკიდია.

„მე ფიქრებში და ხელნაწერებში უგზო ქარავანივით დავეხეტები. იქნებ არავის არ სჭირდება, მით უფრო ძველ-ძველი ისტორიის ჯურღმულებში ჩაფლული და ჩაკარგული „გმირთა ვარამი“, მაგრამ მე მაინც შევტოპე და მივილტვი იქით, ნახეთ, თუ ბოლოს კარგი საქმე არ გაკეთდეს!

მეტად გვიან, მეტად შორს, მეტად უცნაურ პირობებში, მეტად გრძელი ამბავი წამოვიწყე. უსათუოდ დავასრულებ კიდეც, თუ მე აქ მანამდე არ დამასრულეს. მე თუ წერას ვერ შევძლებ, არც ჯანმრთელობა მინდა და არც სიცოცხლე“ (იქვე).

მთელი არსებით ჩაფლულია საქართველოს ისტორიის მასალებში. ოთხი ტომის დაწერა განუზრახავს, და თუ ეს აქ შევძელი, ჩემი „თავისუფლებაც“ ეს იქნებაო. არც ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, არც თავს ახსენებს არავის.

„თვითონ ჩვენს მთავრობაში და შინსახკომშიც კარგად იციან ჩემი ნამდვილი ამბავი და რა გამოვიდა. ჩემი ცხოვრება ისევ ისე მავთულხართებში მიიკეცა. უცვლელად, უღიმღამოდ. სიცივეებს მივეჩვიე, ქარბუქს კარგად ვუძლებ. ჰოდა, მეც რაღა მინდა, მოთმინება, მოთმინება, მოთმინება და რვეულები“ (გოთუა... 1995:322).

ამასობაში, „გმირთა ვარამის“ სამი ტომი იწერება... ხელნაწერები და გმირები საქართველოს გზას მიუყვებიან...

„მე თავიდანვე ასე მჭირდა: ჩემი გმირები ყოველთვის ჩემზე ბედნიერები იყვნენ. დაე იყვნენ, მე მათი არა მშურს. რა ვქნათ ახლა, მანდ დრონი მეფობენ, ჩვენი დარდი ვისა აქვს? ჩვენ კი აქ, საქართველოს ნამდვილი კეთილმოსურნენი, სიყვარულით და ზრუნვით ასე მძიმედ ვიწვებით და ვიფერფლებით“ (გოთუა... 1995:367).

„გმირთა ვარამის“ შექმნის ისტორიას შესანიშნავად გადმოსცემს სოლომონ ხუციშვილი: „ლევანს უყვარდა თავისი ქვეყანა, შეუპოვრად უყვარდა. ის ბოლო გადასახლება მაინც მწარე იყო, მეტისმეტად მტკივნეული იყო. სწორედ ბოლო გადასახლებაში დაწერა თავისი უზარამზარი ისტორიული რომანი. მერე რომ გზავნიდა ამ რომანს, რა ხერხებით? ხელნაწერს გზავნიდა, მისი დები მანქანაზე ბეჭდავდნენ, ერთ ცალს თვითონ ინახავდნენ და ერთ ცალს უკან უგზავნიდნენ, რომ იქ შეესწორებინა და ჩაემატებინა, რაც საჭირო იყო“ (კიკილაშვილი 2012:89).

სოლომონ ხუციშვილი იმასაც დასძენს, რომ მხოლოდ ლევან გოთუას შეეძლო, ძალა, ღონე და უნარი შეენარჩუნებინა, რომ „იმ საშინელებაში ამხელა რომანი დაეწერა“ (იქვე).

საინტერესოა, რომ თავად ლევან გოთუაც გაოცებულია, თავს გადახდენილი ამბების შემდეგ, ჯერ კიდევ უჭრის კალამი და ვერ მოახერხეს მისი დაბლაგვება.

„დეე, მათ სინდისზე იყოს, ვინც მე კალამი ხელში შემატეხა, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, ბოლოს წერაც მოვახერხე. ვხარობ, კიდევ არ დამჩლუნგებია კალამი“ (გოთუა... 1995:309).

საკონცენტრაციო ბანაკში ერთადერთი „მიჯაჭვული კალამიღა“ ასაზრდოებს: „ეს ერთიღა მიჯაჭვული კალამი დამრჩა და ნაზამთრალი დათვისა არ იყოს, თათის მაგივრობას ის მიწევს, იმას ვლოკავ და ვსაზრდოობ“ (გოთუა... 1995:362).

ლევან გოთუას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ მთავრობა მისი სახით, საშიშ, ძლიერ მოწინააღმდეგეს ხედავდა. ამიტომ იყო, რომ მისი ცხოვრება მუდამ უკუღმა ტრიალებდა და დიდ უსამართლობასაც წააწყდა „დროის სამკვდრო-სასიცოცხლო სასწორზე“.

წერილებში იგი იმ მეგობრებსაც იხსენებს, ვინც მის გამო დააპატიმრეს და და გააუბედურეს: „ჩემს სახელთან დაკავშირებით რამდენიმე კეთილ-პატიოსანი

პიროვნება, ერთ საქმეში გაგვხვიეს, დაღუპეს და გააუბედურეს უდანაშაულო ხალხი და მათი ოჯახები“ (გოთუა... 1995:354).

მათ სამშობლოს დიდ მოამაგეებს და საქართველოსთვის ერთგულ ხალხს უწოდებს: „საწყალი მანდილოსნებისგან რაღა უნდოდათ, მაგ ურჯულოებს. მარტო იმისთვის, რომ წარსულში მე შემხვდა გადასახლებაში, როგორ დატანჯეს, გაამწარეს და უმოწყალოდ დაღუპეს დიდებული ქართველი პატრიოტი ქალი მაყვალა რამიშვილი, აწვალეს ნინო ყარანგოზაშვილი? რისთვის“ (გოთუა... 1995:354).

როგორც ლევან გოთუას წერილებიდან ჩანს, მას ძალიან გვიან გაუგია მათი დაპატიმრების შესახებ და მტკივნეულად განიცდის ამ ფაქტს: „მარტო ამდენი ხალხის ტყუილად ტანჯვისათვის მოსასპობია ეს უზნეო მთავრობა, დიდად სავალალოა, რომ მათ „კეთილ საქმიანობას“ დიდი ზიანი მოაქვს საქართველოს აწმყოსა და მომავლისთვის. ნუთუ საშველი არ არის?“ (გოთუა... 1995:355).

ლევან გოთუას პირად წერილებში ხშირად ისმის მსგავსი ტრაგიკული შეძახილი, სინანული იმის გამო, რომ ვერ მოასწრო საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის აქტიური ფორმით გამოხატვა: „მე ამ წყობის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, მაგრამ ვერასოდეს ვერ მოვასწარი და მოვახერხე ამის აქტიური მოქმედება და გამოხატვა. ყოველთვის ჩეკამ დამასწრო, ჩემი გუმანისა და ოცნების მსხვერპლად მხდიდა. ყოველთვის ჩემ მიმართ წინდახედულობას იჩენდა“ (გოთუა... 1995:379).

ვორკუტიდან ოჯახის წევრებსაც აფრთხილებდა, ფრთხილად ყოფილიყვნენ, რადგან „კაცუნები მეფობენ“ (გოთუა... 1995:377).

ამის მიუხედავად, იმედი არასოდეს დაუკარგავს, სჯეროდა, რომ ბორბალი წაღმაც დატრიალდებოდა და ცისარტყელაც გამოანათებდა: „რომ იცოდეთ, როგორ მომენატრეთ სუყველა, ჩემი სამშობლო, თბილისი. დრო მიიზლაზნება, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავ, უსათუოდ წაღმა დატრიალდება ჩემი ბედის ბორბალი. ჩემს კისერზე იმდენი ორომტრიალი ამოგორდა და გადაიყარა. რომ მჯერა ცისარტყელაც დამხედავს“ (გოთუა...1995: 323).

სტალინის სიკვდილის ცნობამ მთელი ბანაკი შეძრა. ლევან გოთუა ასე გამოეხმაურა ამ ფაქტს: „ჰეი! საუკუნის სამრეკლოს ჩამოსცილდება მძიმე ტირანია... იქნებ გვეშველოს რამე“ (გოთუა... 1995:386).

ამასობაში მას პატიმრობის ვადაც დაუმთავრდა და ბანაკის დატოვება გამოუცხადეს. თუმცა საქართველოში დაბრუნების უფლება არ ჰქონდა, ისევ ციმბირში უნდა დარჩენილიყო და იქ დასაქმებულიყო, მაგრამ ასეთ განთავისუფლებაზე უარი განაცხადა. შეკვეცილი თავისუფლება არ მინდა, ჩემთვის თავისუფლება სამშობლოში დაბრუნებას ნიშნავს, და თუ მაინც ვორკუტაში უნდა ვიცხოვრო, სულერთია სად ვიქნებიო. მას მრავალი თანამოაზრე გამოუჩნდა. მწერალმა ნებაყოფლობითი პატიმრობა არჩია უსაქართველოდ ცხოვრებას.

როგორც ლევან გოთუას ვორკუტელი მეგობარი რევაზ ტყავაძე იხსენებდა, საბჭოთა რეჟიმის პირობებში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა – „ვორკუტლაგის“ ყველა ბანაკი გაიფიცა! შეიქმნა ცენტრალური საგაფიცვო კომიტეტი. კომიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, უკრაინელმა იგორ დობროშტანმა მთავრობის კომისიის წევრებს გადასცა მემორანდუმი, რომლის ერთ-ერთ პუნქტად შეტანილი იყო ლევან გოთუას განთავისუფლების მოთხოვნა. „ეს იმის დასტურია, თუ როგორ პატივს მიაგებდნენ ბატონ ლევანს, რა ავტორიტეტით სარგებლობდა“ (ჯიშკარიანი 2017:339).

სანდრო ჩიკოიძე ასე აღწერს ლევან გოთუას გარეგნობას: იგი ძალიან კოლორიტული ფიგურა იყო. მაღალი, მსხვილი აღნაგობით. ჭაღარაშერეულს ამშვენებდა აწეწილი ხუჭუჭა თმა და დაბურული წარბები, საიდანაც იცქირებოდნენ კეთილი და ოდნავ მომღირმარი თვალები. „მის გარეგნობაში იყო რაღაც აინშტაინისეული და ამასთან განსაკუთრებით ახლობელი“ (გოთუა... 1995:449).

ერთმა არაქართველმა კატორღელმა კი ლევანი ასე დაახასიათა: „ეს ის ადამიანია, ვისაც სინდისი ცრემლზე უფრო სუფთა აქვს“ (გოთუა... 1995:451).

ამიტომაც ენდობოდნენ და იგი, როგორც საგაფიცვო კომიტეტის ერთ-ერთი თავკაცი, მოვლენების შუაგულში ტრიალებდა. მაგრამ სანდრო ჩიკოიძის თქმით, „გაფიცვა სისხლით, სროლით, მსხვერპლით დასრულდა“ (შაიშმელაშვილი 2000:16). ბანაკის ადმინისტრაციამ პატიმრებს ტყვიამფრქვევები და ავტომატები დაუშინა. ლევან გოთუამ ჩეკისტების და დამცველი ჯარის ეს საქციელი ბარბაროსულ ქცევას შეადარა, „სულ უბრალო ადამიანური უფლების კანონიერი მოთხოვნის გამო ტყვიამფრქვევები და ავტომატები დაგვიშინეს და გაგვანადგურეს“ (გოთუა... 1995:394).

ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრის, ექიმ დავით კვიტაიშვილის შვილი, პოეტი ემზარ კვიტაიშვილი, მოგვიანებით, უკვე სამშობლოში დაბრუნებული

მწერლის ნაამბობს გაიხსენებს: „ლევან გოთუამ თავის დროზე მიამბო, ჩემი ხელით გამოვიყვანე მრავალი დაჭრილი. ამ ამბების მერე რეჟიმი ცოტა შერბილდაო“ (შაიშმელაშვილი 2018:6-7).

როგორც ვორკუტელი პატიმარი და ლევან გოთუას მეგობარი შოთა შავგულიძე აღნიშნავს, მოსკოვი დარწმუნდა, რომ ვორკუტის პატიმარ-მეშახტეთა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვის ჩაქრობა ადგილობრივი ძალებით შეუძლებელი იქნებოდა და წავიდა დათმობაზე. ვორკუტაში მიავლინეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე რუდენკო.

„კომისიის წინაშე წარვდექი საშინლად აღელვებული, აფორიაქებული და აღშფოთებული, - წერდა ლევან გოთუა ოჯახს, - ძლივს მოვთოკე ჩემი თავი. დავწყნარდი. რუდენკოსა და ჩემმა საუბარმა ორ საათს გასტანა. ვისაუბრეთ საბჭოთა კავშირის არასწორ პოლიტიკაზე პოლიტმატიმრების მიმართ, კერძოდ, უდანაშაულო პოლიტპატიმრებზე, ემიგრანტებზე, ბანაკებში არაადამიანური რეჟიმის არსებობაზე, სისასტიკეზე, ჩეკისტების თვითნებობაზე, უდანაშაულო მსხვერპლზე, და ბოლოს ისიც დავაყოლე - ურიცხვი გამშრალი, გაშიშვლებული, კახექსიური, დაკნინებული და მეობადაკარგული ადამიანი ისეთივე მძიმე სანახავია, როგორც წალეკილი და გაოხრებული სამყარო. რუდენკო ძალიან ყურადღებით მისმენდა და ჩემი ყოველი სიტყვა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე“ (გოთუა... 1990: 98).

მართლაც, რუდენკოსთან შესვლამ შედეგი გამოიღო და მან იქვე მოაწერა ხელი ლევან გოთუას სამშობლოში დაბრუნების ბრძანებას. მწერალი დავით კვიტაიშვილზე ერთი წლით ადრე, 1955 წლის გაზაფხულზე გამოვიდა ვორკუტიდან, 1955 წლის 14 აგვისტოს, გზიდან, აფხაზეთიდან ღია ბარათი გაუგზავნა მეგობარს, უკვე საქართველოს მიწა-წყალზე ვარო.

„შევდგი ფეხი ვაზისა და ციტრუსების ქვეყანაში. კენჭიც ავიღე სამახსოვროდ. ირგვლივ ყველაფერი ზღაპარსა ჰგავს და მეც მივიზღაპრები ამ მზისა, მთისა და ზღვის შეუდარებელ ნარევში“ (ჯიშკარიანი 2017:260).

მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობაც, პუბლიცისტური ნაწერების მსგავსად, ძვირფასი და კამერტონულია. თითოეულ სტრიქონს დაჰყვება: „ფართო საზოგადოებრივი ინტერესები, შემართება, შინაგანი გზნება, ლირიზმით გამთბარი ღრმა ტრაგიკულობის მძაფრი განცდა“ (ლომთაძე 2017:20).

არ შემიძლია, ლევან გოთუას პირადი წერილების ენაზე და სტილზე არ გავამახვილო ყურადღება. მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა დიდი ერუდიციით, შეუდარებელი მხატვრული აზროვნებითა და შინაგანი ინტელექტით საზრდოობს. თავისუფლად შეგვიძლია მხატვრულ-დოკუმენტური პროზაული თხზულების ფრაგმენტებადაც მივიჩნიოთ.

როგორც გრიგოლ აბაშიძე იტყოდა, მას რომ ბოლომდე გაჰყვა ქართული სიტყვის მიმართ რაღაც განსაკუთრებული კდემამოსილი ტრფიალება. მეტაფორები, ეპითეტები, მოულოდნელი შედარებები, გაპიროვნების შთამბეჭდავი მაგალითები უხვადაა მწერლის პირად წერილებშიც.

რამდენიმე მაგალითს მოვიყვან:

„...ქარმა ისინი ზევით ზეცისკენ აიტაცა და რკინის მავთულხლართებს იქით გააფრინა. ჩემმა ხელნაწერებმა თვითონ უშველა თავს, თვითონ მოიპოვა თავისუფლება და ბანაკის მიღმა ტუნდრაში მიმოიფანტა“ (გოთუა... 1995:384).

„აქეთ ხელახლა თოვლია. სადღაც, მავთულს იქით გაზაფხული მოცოცავს, თუ არ გაიხლართა“ (გოთუა....1995:324).

„ჩემი ამჟამინდელი სამყოფელი, ჯერ კიდევ ყინულის ჩოხაშია ჩამჯდარი“ (გოთუა...1995:207).

„ჩემი ცხოვრება ცხენზე გადაკიდებულ ხურჯინსა ჰგავს, ხან ერთ მხარეს გადაძლევს, ხან - მეორე“ (გოთუა...1995:206).

„ეჰ, სულ ერთია - ჩემი აქაური სამწერლო მუშაობა სახრჩობელაზე ჩამოკიდებული კაცის სიმღერასა ჰგავს. მაგრამ ამ ყოველივეს დაძაბუნების კილოდ ნუ ჩამითვლით. არა და არა!“(გოთუა... 1995:312).

„ეს ცივი მაჯლაჯუნა - აქაური ზამთარი მოვჩიხეთ, სული მოვითქვით. ყველანი კარგად ვართ“ (გოთუა...1995:350).

„მე სულ ძველებურად ვცხოვრობ, ვმუშაობ, ვადას ვღრღნი, მივეჩვიე მავთულსაც და ყინვასაც“... (გოთუა... 1995:334).

„ესეც ჩემი ბედ-იღბლის კუდის მოქნევა და დაცინვაც იყო“ (გოთუა...1990: 98).

ლევან გოთუას ვორკუტის ჩანაწერების მიხედვით პუბლიცისტური ნაწარმოების დაწერა ჰქონდა განზრახული.

„მინახავს ერთი შეკვრა რეზინშემოჭერილი ვორკუტული ჩანაწერებისა. ერთგან თვალი ჩავკარი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, დაუბოლოებელი წინადადებები და ცალკეული წერტილდასმული სიტყვები ეწერა, ბანაკი იყო ნახსენები. ამ ჩანაწერების გაშლას ლევან გოთუა სამომავლოდ აპირებდა, მაგრამ ეს ჟამი აღარ დაუდგა“ (შავგულიძე 2017:138).

ანდა, იქნებ შეგნებულადაც აღარ დაწერა? აღარ მოუნდა იმ საშინელი პერიოდის გახსენება. არც კომუნისტური პარტიის რიგებში შესულა და გადასახლებიდან დაბრუნებულმა მთელი ენერგია საზოგადოებრივი მოღვაწეობისკენ მიმართა, „თანდაყოლილ კეთილშობილებად ჰქონდა ზრუნვა საზოგადო საქმისთვის“ (ჭილაია 1973:3). ახალგაზრდობის ეროვნული გამოღვიძება უფრო დიდ საქმედ მიაჩნდა... ემზარ კვიტაიშვილის წიგნზე წაუწერია: „წარსულის გამომზევება - მომავლის საიმედოდ - აი ჩვენი სულისკვეთება“ (კვიტაიშვილი 1973:3).

მართლაც, ამ სულისკვეთებით ცხოვრობდა, თუმცა არასოდეს ავიწყდებოდა და ამბობდა: „ბედნიერ მონობას უბედური თავისუფლება გერჩიოს!.. მაინც გერჩიოს!“. (გურგენიძე 1990:4). თავადაც, ამ „უბედური თავისუფლების“ რაინდად დარჩა...

დასკვნა

მოძიებული და შესწავლილი მასალის საფუძველზე **მკაფიოდ იკვეთება ლევან გოთუას პუბლიცისტური თემატიკის მრავალფეროვნება და მასშტაბურობა**, რაც ეროვნული სულისკვეთებითაა ნასაზრდოები, მაგრამ იგი მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში განიხილება. განა მსოფლიო ცივილიზაციის თვალსაზრისით არ უნდა მივუდგეთ განათლებასა და კულტურას, მწერლობასა და მეცნიერებას, ისტორიული ძეგლებისა თუ ბუნების დაცვის პრობლემებს, ეროვნული თვითშეგნების საკითხებს, ოჯახის სიმტკიცისა და ახალგაზრდობის აღზრდის ზნეობრივ-მორალურ პრინციპებს, დემოგრაფიულ პროცესებს?!

ლევან გოთუას თვალსაწიერი ფართოა და მრავლის მომცველი, ქვეყნის ეროვნულ მაჯისცემაში სულ უმნიშვნელო, თითქოს მიძინებულ პულსაციასაც კი გრძნობს და არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა ერისა და ქვეყნის ცხოვრებაში, რასაც მწერალი მყისიერად არ ეხმაურებოდეს, საზოგადოების სამსჯავროზე არ გამოჰქონდეს, რითაც ხელს უწყობს საზოგადოების მობილიზაციას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გასაგებად, გასათავისებლად და მოსაგვარებლად.

ლევან გოთუა ყველგან იყო, სადაც ეროვნული მაჯისცემა იგრძნობოდა, მისი პუბლიცისტიკის თვალთახედვის არეალი მასშტაბურობით გამოირჩევა, უბრალო ადამიანებიდან დაწყებული ეროვნული საქმისთვის მოღვაწე ცნობილი პიროვნებებით დასრულებული.

მართებულად შენიშნავდა გრიგოლ აბაშიძე: „იგი გატაცებული ალპინისტიც იყო და სიძველეთა თავგამოდებული დამცველიც. ქართველთა მოდგმის გამრავლების პრობლემაზეც ისევე ზრუნვით ფიქრობდა, როგორც სწავლისა და განათლების დონის ამაღლებაზე“ (აბაშიძე 1973:3).

მოღვაწეობის არეალის მრავალფეროვანი სპექტრი ლევან გოთუას პუბლიცისტური მემკვიდრეობის თემატიკას განსაზღვრავდა. მისმა ფართო თვალსაწიერმა იმ პერიოდის ყველა საკითხი გაითავისა: ისტორიული ძეგლებისა და ბუნების დაცვის, ქართული ენის სიწმინდის, ოჯახის და ახალგაზრდობის, დემოგრაფიული, თეატრის პრობლემები... გამორჩეულია ნარკვევების ციკლი „მგზავრული კრიალოსანი“, რეცენზიები ფილმებსა და ლექსიკონებზე, პორტრეტების გალერეა...

ლევან გოთუას პუბლიცისტიკის შესწავლა-ანალიზი მკაფიოდ წარმოაჩენს ავტორის აზროვნების მასშტაბურობას და მის მიერ გაანალიზებულ საკითხებში სიღრმისეული წვდომის საოცარ უნარს, რაც მხოლოდ არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული უნიკალური პიროვნებების ხვედრია.

ამ თვალსაზრისით ლევან გოთუას პუბლიცისტური შემოქმედება სამაგალითო და მისაბაძია, ხოლო თუ იმ ჯოჯოხეთურ პირობებებსაც გავითვალისწინებთ, სადაც მას ცხოვრება და შრომა უხდებოდა, მაშინ მისი გმირული სულისკვეთებაც თვალსაჩინოდ იკვეთება. ამის ნათელი დასტურია 1927 წლის გადასახლებიდან მისი მიმოწერა ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან, რომელიც იმ დროს 27 წლის ახალგაზრდა მეცნიერი იყო, ლევან გოთუა კი სრულიად ყმაწვილი - 22 წლისა.

პირველი პუბლიკაცია ვლადიკავკაზის თავისუფალი გადასახლებიდან გამოგზავნილი წერილია, რომელსაც 1927 წლის 28 აგვისტოს გაზეთმა „კომუნისტმა“ ლ. გ-ა.,-ს ფსევდონიმით გამოქვეყნა. პუბლიკაცია ვლადიკავკაზის ქართული სკოლისა და ქართული სათვისტომოს ცხოვრება-მოღვაწეობის, იქაური აღზრდა-განათლების პრობლემებს ასახავს.

გამუდმებული თვალთვალის პირობებში თავისუფლება და სილაღე მთებში ჰპოვა... 1937 წელს გადაიკვეთება ლევან გოთუასა და ალიოშა ჯაფარიძის გზები. მთებში მოგზაურობამ სხვა ენერგია და ძალა შეჰმატა, სამშობლოს განცდა გაუმძაფრა. „ხდედალეულნი“ მთაზე ასვლისა და მწვერვალის დაპყრობის შთაბეჭდილებებს გადმოსცემს, რომელსაც სხვა ნარკვევები მოჰყვა... **ლევან გოთუა მწერლობაში სწორედ მთამსვლელობიდან მოვიდა.** ამაში დიდი როლი მიუძღვით მთამსვლელ ჯაფარიძეებს და, უწინარესად, ალიოშა ჯაფარიძეს, ვისთან ერთადაც მრავალი მწვერვალი დალაშქრა და ვის სახე-სიმბოლოშიც დიდ წინაპრებს, მესვეტეებსა თუ ძეგლების მაშენებლებს ხედავდა.

თავად ასე ჩაწერს რვეულში: „1938 წელს ალიოშა ჯაფარიძის ჯგუფთან ერთად კავკასიონის მწვერვალებზე ვილაშქრეთ... ფასის მთის ძირში ვიყავი. უკვე მწერლობაში ვიდექ... დაფანტული ხილვები ერთდებოდნენ. სახეს იღებდნენ. სამყაროს უკვე მწერლის თვალით ვუჭვრეტდი“ (სუიცა, საქმე №342:8).

ლევან გოთუამ გადმოსცა „მთამსვლელის სული ესთეტიკურ სახეებში“, **მან პირველმა გახსნა მინდიასთან წილნაყარი ქართველი მთამსვლელის ბუნება და სულიერი სამყარო**, მთამსვლელისა, რომელიც ამირანისეულ შურისგებასაც ატარებდა საკუთარ თავში. მისი სამოგზაურო ნარკვევები ეროვნული მუხტით და ენერგიით გამოირჩევა. ნარკვევში „კავკასიონის „ილიადა“ იგი ილიას შვილებად, მისი კალმისა და საქმის მემკვიდრეებად აცხადებს თავს. ილიას საქმით მეტყველი სული მისი პუბლიცისტიკის ქვაკუთხედია.

პუბლიცისტის მახვილი თვალით „სამშობლო ქვეყნის ფხიზელი და ერთგული“ დარაჯობა სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა. მის პუბლიცისტიკას, ძირითადად, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ბუნების დაცვის სულისკვეთება წარმართავს. საბჭოთა ტოტალური კონტროლის პერიოდში აუცილებელი იყო ეროვნული მეხსიერების გაღვიძება. ეს მიზანი ამოძრავებდათ მას და მის თანამოაზრეებს, რომლებმაც დააარსეს **ძეგლთა დაცვის ნებაყოფლობითი საზოგადოება. ლევან გოთუა ამ საზოგადოების ჩამოყალიბების სათავეებთან იდგა**, საზოგადოების პრეზიდიუმის უცვლელი წევრი იყო და ყველა მტკივნეულ საკითხს პრესის ფურცლებიდან ეხმაურებოდა. იგი კულტურის ძეგლების დაცვის ახალ მასობრივ ფორმებს ეძიებდა. მისი სტატიები და წერილები გამსჭვალულია ერთი საფიქრალით - მოსახლეობა, საზოგადოებრიობა ძეგლების აღდგენის საქმეში ჩართულიყო, მათი შეგნებული მფარველი და მოამაგე გამხდარიყო.

ამის დასტურია ნარკვევი „ჩვენი მუდმივი ჩუქურთმიანი თანამგზავრები“, სადაც ლევან გოთუამ ვრცლად და არგუმენტირებულად გააანალიზა კულტურულ-ისტორიული ძეგლების მდგომარეობა კაცობრიობის ერთიან სულიერ საგანძურში შეტანილი წვლილით - მისი აზრით, თუ უწინ ძეგლების აგება ქართველობისთვის ბრძოლასაც ნიშნავდა, ახალ ხანაში ტაძრებმა, ციხეებმა, ძველმა სასახლეებმა ახალი მეცნიერულ-ესთეტიკური ღირებულება მოიპოვეს - თითოეული მათგანი ქართული ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების დიდ ზეიმად, დიდი კვლევისა და შესწავლის, დაცვისა და თვითშემეცნების უკეთილშობილეს ასპარეზად იქცა. ამიტომაც, - როგორც ლევან გოთუა წერდა, - ძეგლები ღირსეულად წარმოაჩენენ ჩვენი ერის კულტურულ როლსა და წვლილს კაცობრიობის ერთიან სულიერ საგანძურში.

ლევან გოთუამ მრავალი ისტორიული ძეგლი გადაარჩინა დანგრევას. მას ძეგლები „ქართლის ცხოვრების“ ცოცხალ მონაწილეებად და ცოცხალ წინაპრებად მიაჩნდა - ქვით და ჩუქურთმით „დაწერილ“„ქართლის ცხოვრებად“, მათ პატრონობას კი მხოლოდ ის შეძლებდა, ვისაც წარსულის ძეგლები მთელი არსებით უყვარდა. ლევან გოთუასთვის ისტორიული ძეგლები საქართველოს კულტურულ-მეცნიერული და საბრძოლო-თავდაცვითი აბჯარი იყო, ამ „ნაერთმა აბჯარმა“ შეინახა და დაიცვა სამშობლო.

ახალ ხანაში ძეგლებმა ახალი შინაარსი და მორალურ-საზოგადოებრივი ფუნქცია შეიძინეს, ერის სულიერი ყოფის განუყოფელ ნაწილად იქცნენ - ეს „უფრო მაღალი, სრულყოფილი ხარისხი და საფეხურია. ეს კულტურულად და იდეურად გაზრდილი თაობის სულიერი ივერიუმია!“ - წერდა მწერალი (გოთუა 1964:22).

იგი ამ ცნებაში მაღალ ეროვნულ თვითშეგნებას და ზნეობას გულისხმობდა - სულიერად და ზნეობრივად განწმენდილ თაობას. სწორედ **სულიერი ივერიუმის სიმაღლეზე** მყოფ თაობას ეკისრებოდა არა მარტო ისტორიული ძეგლების გადარჩენა, არამედ ქვეყნის მომავალზე ზრუნვაც.

ლევან გოთუამ დაამკვიდრა ქართულ ენაში თავის მიერ შექმნილი კომპოზიტი **„ძეგლთმფარველობა“.** ძეგლთმფარველობის იდეისა და პრაქტიკის მასობრივად დასანერგად ყველა თანამედროვე საშუალებას - კინოს, ტელევიზიას, რადიოს, ლექციებს, მასობრივ ექსკურსიებს იყენებდა.

წუთითაც არ მიუყურადებია საქართველოს დამოუკიდებლობაზე ფიქრისთვის. შემთხვევითი არ არის, რომ ფილმის „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება“ რეცენზიაში მწერალი გადამღებ ჯგუფს დიდ წინაპრებს ადარებს, უწინ გაშლილი დროშით რომ შედიოდნენ იერუსალიმში... მისი იდეალი ძლიერი, ერთიანი საქართველო იყო. **საბჭოთა რეჟიმის პირობებში მხოლოდ კარგად გააზრებულ კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობაში ხედავდა მწერალი დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ რეალურ გზას.** ლევან გოთუასთვის ხსენებული დატვირთვა ისტორიულ-კულტურული საქმიანობის აღორძინებამ შეიძინა. „სდექ მტკიცედ და ურყევად!“ - ეს სიტყვები მწერლის უპირველეს დევიზად იქცა ანტირელიგიური დევნისა და რუსიფიკაციის პერიოდში, როცა ქართული ენა და საქართველოს ისტორია უმთავრეს სამიზნეებად იყო ქცეული. მისი ინიციატივა -

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის შექმნაც, ამ მიზანს ემსახურებოდა.

იგი ეხმიანებოდა გერონტი ქიქოძის „ჩაქუჩიანი მამაკაცის“ იდეას, როგორც „ძველი საქართველოს ნათელი სიმბოლოს“ თანამედროვეობაში გაცოცხლებას. კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაცვა-აღდგენას დიდი მიზანი ჰქონდა - დაპყრობილ ტოტალიტარულ ქვეყანაში ეროვნული ენერგია უნდა მოემძლავრებინა.

ლევან გოთუა იყო ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“ დამაარსებელი, მისი სახელის შემრქმევი და პირველი რედაქტორი.

ჟურნალის დაარსებიდან (1964 წელი) გარდაცვალებამდე (1973 წელი), ათი წლის განმავლობაში, მისი სული და გული იყო, დიდი წვლილი შეჰქონდა ყველა ნომრის სარედაქციო საქმიანობაში, გულდასმით და ბევრს მუშაობდა მასალებზე, გარეკანის გაფორმებაზეც თავად ფიქრობდა.

ერის სულიერი საცხოვრისის სიმბოლოდ აღმართულიყო სვეტიცხოველი და მთელი არსებით მის სამყაროში იყო, შოთა რუსთაველი კი ამ სამყაროს სულიერი არსისა და მისწრაფებების ყველაზე უფრო სრულად და ხატოვნად გამომხატველად ესახებოდა... „ვეფხისტყაოსანი“ ქართველობის იდეურ, ზნეობრივ და ესთეტიკურ საზომად, ქართული ენის უპირველეს წიგნად მიაჩნდა.

შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილეს ლევან გოთუა გამოეხმაურა სტატიით - „ვეფხის ტყავი და სვეტიცხოვლის სამყარო“, სადაც ხაზგასმულია, რომ ჯერ სვეტიცხოველი იყო და მერე „ვეფხისტყაოსანი“. სტატია დიდი თარიღის მნიშვნელობასთან ერთად ხაზს უსვამს „ვეფხისტყაოსნისა“ და რუსთაველური რენესანსის წინმსწრები მძლავრი ხუროთმოძღვრული აღმავლობის განსაკუთრებულობას, **შოთა რუსთაველის პოემის სასიცოცხლო მნიშვნელობას** ქართული სულიერი სამყაროს თავისთავადობისა და უნიკალურობისთვის.

დიდგორის ბრძოლის 850 წლისთავზე, ლევან გოთუა საქართველოს ძველი ძლევამოსილების სახედ და სიმბოლოდ წარმოსახავს დიდგორს, რომელიც „ყოვლად აუცილებელ ქვაკუთხედად დგას შემდგომი არსებობისა და განვითარების ჭიდილში“ (გოთუა 1971:4). სტატიაში „ჩვენი ისტორიის დიდგორი“ მწერალი **დიდგორის სამახსოვრო ობელისკის აღმართვის წინადადებით გამოვიდა.** მისმა ამ იდეამ შთააგონა

დიდი ქართველი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, შეექმნა დიდგორის უკვდავი მემორიალი.

საქართველოზე ფანატიკურად შეყვარებულ ლევან გოთუას ერისა და სამშობლოს წინაშე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა არასოდეს გაჰნელებია, მისთვის კულტურის ძეგლები და საქართველოს სიძველენი ფასდაუდებელი განძი იყო, რომელსაც სათანადო პატრონობა სჭირდებოდა და ცდილობდა, ეს უანგარობა და სიყვარული სხვებისთვისაც გადაედო.

მსგავსი სიყვარულით ზრუნავდა ბუნებაზე, **მინდიას გულთამხილავობით** ჭვრეტდა ბუნებას და მის ყოველ მოვლენას. ძეგლების მსგავსად, ბუნების დიდ მისიაზეც ამახვილებდა ყურადღებას. იგი მხოლოდ ბიოლოგიური საფარველი კი არ იყო, ერის მწვანე აბჯრად მიაჩნდა, რომელმაც მიწა-წყალი შემოინახა: „...ტყე არაერთგზის აბჯრად დადგა!“ (გოთუა 1970:2).

ისტორიულმა გარემომ და გამუდმებულმა თავდაცვითმა ბრძოლებმა, ბოლოს კი ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსიამ, რომლის მწარე შედეგებიც საკუთარ თავზე იწვნია, ლევან გოთუას სხვა თვალთახედვა ჩამოუყალიბა - ირგვლივ გოჯი მიწაც კი გასაფრთხილებელი გახდა. საქართველო მარტო მთის კი არა, ტყის ქვეყნადაც მიაჩნდა, ქართველობის ყოფის თითქმის ყოველი დარგის ანაბანა ტყიდან იწყებოდა, იქნებოდა ეს - საცხოვრისი, დედაბოძი, ურმის თვალი, გუთნის ფრთა თუ კევრი... ტყე იყო აბჯარიც და ფარიც. გამოქცეული მინდიაც ტყემ შეიფარა, ილია ჭავჭავაძისთვისაც მამულის აყვავების ნატვრა „ტყემ მოისხა ფოთოლით“ იწყებოდა.

ბუნების დაცვის თემაზე დაწერილი სტატიებში - „ჩვენი ერის მწვანე აბჯარი“ და „დავიფაროთ ჩვენი „სასწაული“ მწერალი ერის გამძლეობას ბუნების მადლისა და წილის შედეგად მიიჩნევს. ტყე სულიერი და ფიზიკური არსებობის უმთავრესი ფორპოსტია. „ჩვენი ერის გამძლეობა და უკვდავება, ჩვენი ბუნებრივი სამყოფელის მადლი და წილია“ (გოთუა1972:3).

ლევან გოთუა პირველი და ერთადერთია, ვინც საქართველო სამი „მარადობის“ ქვეყნად გამოაცხადა: მარადმწვანის (სუბტროპიკული მცენარეული), მარად თეთრის (თოვლიანი მწვერვალები), მარად ლაჟვარდის (ზღვა). ერის გამძლეობა და უკვდავება სამი „მარადობის“ ქვეყნის თანამგზავრია.

ლევან გოთუა კულტურის ძეგლებისა და ბუნების ნორჩ მეგობრებს მთელი არსებით გვერდით ედგა, იგი მოქალაქეობისა და მამულიშვილობის დიდ გამოცდად მიიჩნევს ბუნებისა და ძეგლთა პატრონობის საქმეს.

ბუნების ქომაგი და მესაიდუმლე მწერალი **ბუნებას ხმალამოღებული იცავდა და მუდამ ილაშქრებდა „ბუნების შავი მეკობრეების წინააღმდეგ“**, ყველას მოუწოდებდა მასზე მზრუნველობისკენ. მის პუბლიცისტიკაშიც პრობლემის სიმწვავით და ოსტატურად გადმოცემული სათქმელით გამოირჩევა კორესპონდენცია „ბუნების შავი მეკობრე“, რომლითაც მან ბრაკონიერ-მებუფეტეების წინააღმდეგ გაილაშქრა.

მთასა და ბარში მოგზაურობის დიდმა აზარტმა, სიძველეების მონახულების მუდმივმა ჟინმა არა მხოლოდ გაამდიდრა მისი ფანტაზია და შემოქმედება ასაზრდოვა, საზოგადოებრივ საქმიანობასაც განუყრელად გადაეჯაჭვა - ბუნება პუბლიცისტური მოღვაწეობის განუყრელ ატრიბურად იქცა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ლევან გოთუას პორტრეტების გალერეა, მისი გმირები არიან მწერლები, მეცნიერები, მსახიობები, მოჭადრაკეები, მთამსვლელები, ძეგლის მცველები, მხატვრები, პედაგოგები... ყველა ის პიროვნება, ვინც არა მხოლოდ თავისი საქმითაა წარმატებული, არამედ ეროვნული მოღვაწეობითაც, პიროვნული თვისებებით და, უწინარესად, ზნემაღლობით გამოირჩევიან.

ლევან გოთუასთვის **პიროვნების სულიერი სიმაღლე ეროვნულობით იზომება.** ეს შტრიხი ყველაზე თვალსაჩინოდ და მხატვრულ-პუბლიცისტური ოსტატობით გიორგი ლეონიძისა და გიორგი შატბერაშვილის პორტრეტების შექმნისას გამოიკვეთა.

გიორგი ლეონიძის გარდაცვალებას მწერალმა მიუძღვნა წერილი-ჩანახატი „ლექსად მოსული ქართული მიწა“, ხოლო გიორგი შატბერაშვილის პორტრეტს ხატავს ნარკვევი „თეთრი ცეცხლი“, სადაც მკითხველი მხოლოდ ლევან გოთუას ჯავარიან ქართულს კი არ ეზიარება, არამედ - მშობლიურ წიაღში განმარტოებული ორი დიდი მწერლის სულისკვეთებას და გარესამყაროზე, ბუნებაზე, საქართველოზე, შემოქმედებაზე მათ დამოკიდებულებას შეიმეცნებს. ამიტომაც უპრიანი იქნება, მისი სასწავლო სახელმძღვანელოში შეტანა.

საინტერესოა, რომ ლევან გოთუა **ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიულობის იდეით გამოდის**, რომ ისინი ერთი მთლიანობაა და რომ ადამიანსა და ბუნებას შორის არ უნდა ჩადგეს არც ბუნება და არც ტექნიკა. თუ ბუნებას დაუმეგობრდები და ახლობლად

მიიღებ, „გულშიშველი“ ხდები, ანუ ყველა ბიწი და ცოდვა გცილდება და მის ნამდვილ შვილად იქცევი - კეთილ, გრძნეულ, მისი ენის მცოდნედ და გულთმისნად. ასეთ ადამიანს ლევან გოთუა გულშიშველს უწოდებს. იქნებ ასეთია ვაჟას მინდიაც და მწერალმა მისი მსგავსი თანამედროვე ადამიანის სახე თავისებური მეტაფორით გამოხატა?

ლევან გოთუას სავალდებულოდ მიაჩნდა, ერს დაეფასებინა თავისი შვილები. მისი მრწამსი ასეთი იყო: „ბედნიერია ერი, რომელიც აფასებს და ახსოვს თავისი კეთილი შვილები. ერს თუ მეხსიერება არ აქვს, არც ისტორია ექნება და არც მწერლობა. ვინც თავის წინ თაობების კეთილ მოღვაწეებს ივიწყებს, ის თავისთავს ძარცვავს“ (სუიცა, საქმე №357:1).

ეროვნული მსოფლშეგნებითა და მორალურ-დამრიგებლური პუბლიცისტური პათოსით გამოირჩევა ლევან გოთუას სტატიები და მიმოხილვები. თითქოს მისმა წამებულმა ცხოვრებამ განაპირობა კიდეც, სამშობლოსთვის მზრუნველ-მოამაგის თვალით ეცქირა. „პურადი და გულადი“, თავისუფლებისმოყვარე ერის კეთილი მომავალი, ადამიანი და მისი ბედი მწერლის ფიქრის უმთავრესი წახნაგებია.

სტატიაში „ერისშვილობის პასუხისმგებლობა“, იგი აყალიბებს იმ უმთავრეს პოსტულატებს, რომლებიც აუცილებელია ერის მომავლისთვის. ეს, უწინარესად, ოჯახია, რომლის გრძნობაც ერისა და სამშობლოს გრძნობისგან განუყოფელია. ლევან გოთუას აზრით, მომავალი მხოლოდ ისეთ ოჯახებს აქვთ, რომელთა ამოცანაც ფუფუნება და ქონებრივი ამპარტავნება, ეგოიზმი კი არ არის, არამედ პატიოსანი შრომით შექმნილი „მორალურ-მატერიალური დოვლათის დაცვა-განვითარება“. მომავალი სწორედ ასეთ ოჯახებს აქვთ. მწერლის დასკვნით, ოჯახისა და ერის ბედნიერება უნდა ემთხვეოდეს: **„..ერისა და ოჯახის ბედნიერება თითქმის თანხვედრია, ხოლო თუ შენი ოჯახი ბედნიერია და ერი კი არა, სადღაც არ ყოფილხარ უანგარო“** (გოთუა 1974:10).

ლევან გოთუა ერთ-ერთი პირველთაგანია მწერალთა შორის, ვინც **ოჯახისა და ერის ბედნიერების თანხვედრა მკაფიოდ გამოკვეთა და ერის წინაშე ოჯახის ვალდებულებას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი**.

მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის განსწავლულობის, წიგნიერების, სულიერი სიჯანსაღის და ზნეობის საკითხებს

რამდენიმე სტატიაში და, მათ შორის, საახალწლო სტატიებში - „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“, „ახალწლიური კრიალოსანი“,, „ყიოდა გორგალის ხოხობი“.

იგი ყველა მანკიერი საკითხის ზნეობის საზომით მიდგომას ემხრობა. იქ, სადაც არ არის მაღალი ზნეობა, ყოველგვარი კეთილი იდეაც ფარსია. მთავარია ტრადიციებისა და სიახლის შეჯერება - „ზნეობას ორი რამ უნდა ათანაბრებდეს - ძველი ტრადიცია და ახალი შეგნებულობა“ (გოთუა 1973:3).

ლევან გოთუასთვის უპირველესი საფიქრალი და „ლამაზი მთების სიმაღლის ამოცანა“ იყო ქართული ენის სიწმინდის დაცვა და ამ მისიას ახალგაზრდობას აკისრებდა.

საახალწლო მიმოხილვების თემატიკით და განწყობით ლევან გოთუა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ საახალწლო ნომრების პრობლემატიკას ეხმიანება, იქნება ეს ქართული ენის, ოჯახის, ახალგაზრდობის, ზნეობის, სწავლა-განათლების, მივიწყებული ტრადიციების თუ სხვა საკითხები.

ღვთაება მთვარეს და კოსმოსურ მიღწევებს მწერალმა ცალკე სტატია მიუძღვნა და „დამთვარული ფიქრები“ უწოდა. სტატია მწერლის გარდაცვალების შემდეგ მალევე გამოქვეყნდა ჟურნალ „დროშაში“. მან ფართო საზოგადოებრივი მსჯელობის ასპარეზზე აქტუალური პრობლემა გამოიტანა - მთვარეზე პირველმა ადამიანებმა დადგეს ფეხი. სტატიაში ლევან გოთუა კოსმოსის დაუფლებასა და ცისა და ვარსკვლავებისკენ უძველეს ლტოლვას შორის იდუმალი ძაფების პოვნას ცდილობს... ამ თვალსაზრისით აკვირდება იგი ქართულ მითოლოგიასაც. იგი „ქართული თვალით შეჰყურებს სამყაროს და კაცობრიობის გამარჯვებაში ქართულ წილსაც ეძებს“ (გოთუა1973:11-12).

თუ რატომ ქართულს, თავადვე განმარტავს სტატიაში - ქართველთა უძველესი ტომების მთავარი ღვთაება მთვარეა. სტატიის თეზისიც და ამოსავალი წერტილიც ეს არის.

„აღმართულ ხელის მტევანს ვტვიფრავდით ქვაზე. ეს სიმბოლურად ნიშნავდა - ქვის ხელს, მთვარით განათებულს! რატომ მთვარით? იმიტომ, რომ ქართველ და ქართველურ ტომების მთავარი ღვთაება - მთვარე იყო! სწორედ მთვარეა ჩვენი მითოლოგიური ჭვირნიშანი, ჩვენი პირვანდელი აზროვნების გამოსავალი და მსოფლშეგრძნების ქვაკუთხედი“ (იქვე).

მწერალი „ხანდაზმული მთვაროსნების“ წარმომადგენლად მიიჩნევს საკუთარ თავს და XX საუკუნის მთვაროსნების მიღწევას სწორედ ამ თვალთახედვით აფასებს. ეს პროგრესი სასიხარულოა, რადგან შორეული წარსულიც და მომავლის რწმენაც ახლებური ხედვით ახსენებს ყველას თავს.

ასე რომ, ლევან გოთუას სტატიები და მიმოხილვები პუბლიცისტური დისკურსის გამორჩეული ნიმუშებია. აქტუალური თემატიკა და ორიგინალური ჟანრობრივი მახასიათებლები, სათქმელზე მორგებული ზუსტი ფორმა, პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივი დეტალების ლოგიკური ურთიერთმიმართება, მოვლენების ღრმა ანალიზი, არგუმენტაცია, ტენდენციის ექსპრესიულად გამოხატვა არა მხოლოდ იდეის სრულყოფას, მკითხველზე ზემოქმედების მიზანსაც ემსახურება.

ცალკე სამსჯელოა ლევან გოთუას **ეპისტოლარული მემკვიდრეობა**, რომელიც მოიცავს 22-წლიანი გადასახლება-პატიმრობისდროინდელ წერილებს, მართალია წერილები გზაში ხშირად იკარგებოდა, ან ნადგურდებოდა, მაგრამ რაც შემორჩა - **მისი ეპისტოლარული ნააზრევი, საკმარის წარმოდგენას ქმნის მწერლის ნაფიქრ-განცდილით სამშობლოსგან შორს მყოფი პიროვნების მრწამსის შესაცნობად.**

ლევან გოთუას ვორკუტის ჩანაწერების მიხედვით პუბლიცისტური ნაწარმოების დაწერა ჰქონდა განზრახული, დაუბოლოებელი წინადადებებით და ცალკეული წერტილდასმული სიტყვებით შედგენილი ვორკუტული ჩანაწერები სამშობლოში ჩამოიტანა კიდეც, მაგრამ მას ვორკუტის ამბებზე არაფერი დაუწერია.

ანდა, იქნებ შესაძლოა, შეგნებულადაც აღარ დაწერა? აღარ სურდა იმ საშინელი პერიოდის გახსენება. არც კომუნისტური პარტიის რიგებში შესულა და გადასახლებიდან დაბრუნებულმა მთელი ენერგია საზოგადოებრივი მოღვაწეობისკენ მიმართა, ემზარ კვიტაიშვილის წიგნს წააწერა: „წარსულის გამომზევება - მომავლის საიმედოდ - აი ჩვენი სულისკვეთება“ (კვიტაიშვილი 1973:3).

ამ სულისკვეთებით იცხოვრა და მუდამ მოუწოდებდა თანამემამულეთ: „ბედნიერ მონობას უბედური თავისუფლება გერჩიოსო!.. თავადაც ამ ,,უბედური თავისუფლების” რაინდად დარჩა და, ჩვენდა საბედნიეროდ, დაგვიტოვა **ზნეობრივი პუბლიცისტიკა და ეპოქის შესაფასებლად ფასდაუდებელი განძი - ეპისტოლარული მემკვიდრეობა...**

ბიბლიოგრაფია

1. აბაშიძე 1973: აბაშიძე გრ,. „დიდი შემოქმედი“, გაზეთი. „კომუნისტი“, №30, 1973.

2. აბაშიძე 1995: აბაშიძე ე., „სიხარულით ვიგონებ“, ერთჯერადი გაზეთი. „ლევან გოთუა - 90“, 1995.

3. ამირეჯიბი 2001: ამირეჯიბი ქ., „ლევანი სიკეთით აღსავსე ადამიანი იყო“, გაზეთი. „ახალი ეპოქა“, 2001, N7, https://burusi.wordpress.com/2010/03/11/levan-gotua-5/

4. არველაძე 2012: არველაძე ბ., „როცა დუმილი ღალატის ტოლფასია“, თბილისი, 2012.

5. ასანიძე 2000: ასანიძე მ., „რატომ ვივიწყებთ?“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, საბჭოთა საქართველო“, 2000, №4.

6. ბაგაური 2012: ბაგაური ი., „ბაგრატის ტაძარი - ასლი თუ ორიგინალი“, 2012, 25 ივნისი, http://www.tabula.ge/ge/story/60302-bagratis-tadzari-asli-tu-originali

7. ბარდაველიძე 2006: ბარდაველიძე ნ., „ეკუმენიზმის საზღვრები“, აღმოსავლურ–დასავლური ქრისტიანული ჟურნალი. „დიალოგი“, სულხან–საბა ორბელიანის სახ. თეოლოგიის, ფილოსოფიის, კულტურისა და ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა, №1–2, 2006.

8. ბაქრაძე 1981: ბაქრაძე აკ., „პილპილმოყრილი მადლი“, „მერანი“, თბილისი, 1981.

9. გამსახურდია 1959: გამსახურდია კ., „დიდოსტატის მარჯვენა“, რჩეული თხზულებანი, ტ. 1, „საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1959.

10. გიგაშვილი 2006: გიგაშვილი მ., „ლევან გოთუა ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში“, „წერილები XX საუკუნის ქართულ მწერლობაზე“: დამხმარე სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, „მერანი“, თბილისი, 2006.

11. გიგინეიშვილი 1995: გიგინეიშვილი ო., „მწერალი და მთამსვლელი“, ერთჯერადი გაზეთი. „ლევან გოთუა - 90“, 1995.

12. გოზალიშვილი 1995: გოზალიშვილი დ., ერთჯერადი გაზეთი. „ლევან გოთუა - 90“, 1995.

13. გოთუა 1940: გოთუა ლ., „ხდედალეულნი“, „საქართველოს ალპური კლუბი“, 1940.

14. გოთუა 1957: გოთუა ლ., „მართალი ლეგენდა“, გაზეთი. „ლიტერატურული გაზეთი“, 1957, №86.

15. გოთუა 1958: გოთუა ლ., „ჩვენი მოვალეობა“, გაზეთი. „ლიტერატურული გაზეთი“, №28.

16. გოთუა 1959: გოთუა ლ., „ჩვენი ჩუქურთმიანი დედა“, გაზეთი. „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, №2.

17. გოთუა 1960: გოთუა ლ., „მგზავრული კრიალოსანი“, „ნაკადული“, თბილისი, 1960.

18. გოთუა 1960: გოთუა ლ., გაუვალ ჭალებში“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

19. გოთუა 1960: გოთუა ლ., „ვაჟას სამყაროში“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

20. გოთუა 1960: გოთუა ლ., „კავკასიონის „ილიადა“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

21.გოთუა 1960: გოთუა ლ., თეთრი სავალი“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

22. გოთუა 1960: გოთუა ლ., კაცხის სვეტის საიდუმლო“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

23. გოთუა 1960: გოთუა ლ., „საოცარი მოგზაურობა მეთერთმეტე საუკუნეში“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

24. გოთუა 1960: გოთუა ლ., „ხვამლის ციხე-ქვაბული“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

25. გოთუა 1960: გოთუა ლ., „წერილები ქობთავის ქვაბებიდან“, „მგზავრული კრიალოსანი“. „ნაკადული“, თბილისი, 1960.

26. გოთუა 1960: გოთუა ლ., „ძახილი რკონის გამოქვაბულიდან“, „საქართველოს ბუნება“, 1960, №4.

27. გოთუა 1962: გოთუა ლ., „ჩვენი მუდმივი უძველესი თანამგზავრები“, გაზეთი. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1962, №112.

28. გოთუა 1962: გოთუა ლ., „ჩვენი ჩუქურთმიანი თანამგზავრები“, „ნაკადული“, 1962.

29. გოთუა 1963: გოთუა ლ., „დიდი მწერალი“, გაზეთი. „თბილისი“, 1963, №304.

30. გოთუა 1963: გოთუა ლ., „მეცნიერული ჟურნალის არამეცნიერული რეცენზიის გამო“, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 1963, №40.

31. გოთუა 1963: გოთუა ლ., „მთასვლური თოკი და გზა მეგობრობისა“, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 1963, №44.

32, გოთუა 1963: გოთუა ლ., „ოქრონიშის გასაჭირი“, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, №26.

33. გოთუა 1964: გოთუა ლ., „ძეგლთა სამყაროში“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1964, №1.

34. გოთუა 1965: გოთუა ლ., „ახალი წელი და ჩვენი საუკუნე“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1965, №1.

35. გოთუა 1965: გოთუა ლ., „ბურჯი მშობლიური ენისა“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1965, №76.

36. გოთუა 1965: გოთუა ლ., „უფრო დიდი ამოცანების წინაშე“, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, №27.

37. გოთუა 1965: გოთუა ლ., „ჩვენი ძეგლების მინდია“, გაზეთი. „თბილისი“, 1965, №273.

38. გოთუა 1965; გოთუა ლ., „ლიტერატურული საქართველო“, 1965, თბ, №1.

39. გოთუა 1967; გოთუა ლ., „სიტყვიერი სამყაროს კაცი“, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, №28.

40. გოთუა 1967: გოთუა ლ., „ჩვენი წარსულის ხატოვანი ქვაფურცელი“, გაზეთი. „ნორჩი ლენინელი“, 1967, №19.

41. გოთუა 1968: გოთუა ლ., „გრემ-ქალაქის ახალი სიცოცხლე“, „მატიანური“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1968.

42. გოთუა 1968: გოთუა ლ., „ვეფხის ტყავი და სვეტიცხოვლის სამყარო“, „მატიანური“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1968.

43. გოთუა 1968: გოთუა ლ., „ირმის კვალი“, „მატიანური“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1968.

44. გოთუა 1968: გოთუა ლ., „ბუნების შავი მეკობრე“, „მატიანური“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1968.

45. გოთუა 1968: „სარკის მერცხალა“, „მატიანური“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1968.

46. გოთუა 1968: გოთუა ლ., „ფიქრები თოკის კიბეზე“, „მატიანური“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1968.

47. გოთუა 1968: გოთუა ლ., „ჩემი უსტარაული“, „მატიანური“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბილისი, 1968.

48. გოთუა 1968: გოთუა ლ., „ღვიძლი შვილი ჩვენი ხალხისა“, გაზეთი. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1968, №31.

49. გოთუა 1969: გოთუა ლ, „ძეგლის ცხოვრება“ (ფიქრები და ფაქტები)“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1969, №19.

50. გოთუა 1970: გოთუა ლ., „თეთრი ცეცხლი“, ჟურნალი. „ცისკარი“, 1970, №6.

51. გოთუა 1970: გოთუა ლ., „ლამისყანის წყარო“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1970, №82.

52. გოთუა 1970: გოთუა ლ., „ჩვენი ერის მწვანე აბჯარი“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1970, №236.

53. გოთუა 1971: გოთუა ლ., „დიდი საუკუნის ქადაგი“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1971, №299.

54. გოთუა 1971: გოთუა ლ., „კაცი ერისა“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1971, №89.

55. გოთუა 1971: „თიღვას კეთილი მცველი“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1971, №27-28.

56. გოთუა 1971: გოთუა ლ., „ჩვენი ისტორიის დიდგორი“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1971, №177.

57. გოთუა 1971: გოთუა ლ., „ჭადრაკის დედოფალი“, გაზეთი. „სოფლის ცხოვრება“, 1971, №111.

58. გოთუა 1971: ლ., „ღვიძლი შვილი ჩვენი ერისა“, გაზეთი. „სამშობლო“, თბ.,1972, №21,

59. გოთუა 1972: გოთუა ლ., „დავიფაროთ ჩვენი „სასწაული“, ჟურნალი. „საქართველოს ბუნება“, 1972, №7.

60. გოთუა 1973: გოთუა ლ., „დამთვარული ფიქრები“, ჟურნალი. „დროშა“, 1973, №3.

61. გოთუა 1973: გოთუა ლ., „ყიოდა გორგასლის ხოხობი“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1973, №30.

62. გოთუა 1974: გოთუა ლ, „საუბრები ახალგაზრდობასთან“, „თბ. სსრ საზ. „ცოდნა“,1974.

63. გოთუა 1975: გოთუა ლ., „ხოხბის ფრთაზე იყო გადახატული“, გაზეთი. „ლელო“,1975, №48.

64. გოთუა... 1990: გოთუა თ, გოთუა ალ., „თავგადასავალი ლევან გოთუასი“, ჟურნალი. „მნათობი“, 1990, №9.

65. გოთუა... 1995: გოთუა თ., გოთუა ალ., „თავგადასავალი ლევან გოთუასი“, თარხანი, თბილისი, 1995.

66. გოთუა 1999: გოთუა ლ., „სიტყვათქმანი“, თბილისი, 1999.

67. გოთუა 2005: გოთუა ლ., „ლექსად მოსული ქართული მიწა!“ გაზეთი. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 2005, №292-293.

68. გოთუა 2015: გოთუა გ., „ყოველთვის მაკვირვებდა ლევან გოთუას ნიჭი და ინტერესების მრავალფეროვნება“, ჟურნალი. „გურია“, 2015, №3.

69. გოთუა 2017: რადიო „თავისუფლება“, „მაია გოთუა – ექიმი-ალერგოლოგი“, 2017, 13 აგვისტო, https://www.radiotavisupleba.ge/a/liberty-diaries-maia-gotua/28674289.html

70. გურგენიძე 1990: გურგენიძე ვ., „ლევან გოთუას გახსენება მისი ერთი მოთხრობის მიხედვით“, გაზეთი. „სამშობლო“, 1990, №16.

71. ენციკლოპედია „საქართველო“, http://georgianencyclopedia.ge/index.php/%E1%83%92%E1%83%9D%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%90

72. ვარდოსანიძე 2017: ვარდოსანიძე ს., „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ II (1960-1972 წ.წ.)“, 2017, https://sangu.ge/templates/Gemini/images/efremII.pdf

73. ვინმე 1895: ვინმე, „ივერია“, 1895, №10.

74. ზვიადაძე 2016: ზვიადაძე თ., „ქვა“ სიტყვის სემანტიკურ-კონოტაციური პოტენციალი ლევან გოთუას მოთხრობებში“, „კლასიკოსთა გაკვეთილები“, ლევან გოთუასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2016.

75. თომაძე 1969: თომაძე ა., ვინ დააშრო გურამიშვილის წყარო?“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1969, №227.

76. ივანიაძე ნ., მთა - პიროვნული ზეცნობიერების სახე-სიმბოლო ვაჟა-ფშაველას „მთათა ერთობის“ მიხედვით, http://www.dzeglebi.ge/statiebi/sxva/mta_pirovnuli_zecnobierebis.html

77. ინანიშვილი 2008: ინანიშვილი რ ., „ორტომეული“, ტ. 2, გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 2008.

78. ინანიშვილი 2011: ინანიშვილი რ., „სამაგიდო რვეულებიდან“, ტ. 6, „საქართველოს მაცნე“, 2011.

79. იოსელიანი 1995: იოსელიანი ო., „ლევან გოთუა დეპუტატი?!“ გაზეთი. „ლევან გოთუა 90“, 1995, თბილისი.

80. კალანდაძე 1973: კალანდაძე ლ., „თავის წიგნებში იცოცხლებს“, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, №5.

81. კანდელაკი 1967: კანდელაკი თ., „სახელმწიფოებრივი ზრუნვით გარემოცულნი“, ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1967, №13.

82. კერესელიძე 2015: კერესელიძე ლ., „რუსიფიკაციის მორიგი მცდელობები საქართველოში“, 2015, 27 აგვისტო, http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.1&d=HASH04923b732f2162448ff505.9&gt=1.

83. კეცხოველი 1965: კეცხოველი ნ., „თვალისჩინივით მოვუაროთ წარსულის დიდ მემკვიდრეობას“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965, №5.

84. კვერენჩხილაძე 2014: კვერენჩხილაძე რ, .„წამების გზა“, წიგნი I, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2014.

85. კობიაშვილი 1996: კობიაშვილი შ., „არა მარტო დაბადებითა და სიტყვით“, ალმანახი. „მწიგნობარი“, თბილისი, 1996, №95-96.

86. კიკილაშვილი 2012: კიკილაშვილი ლ., „ჩემი წუთისუფელი - პროფესორ სოლომონ ხუციშვილის ნაამბობი“, ჟურნალი. „ქართველოლოგია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012.

87. ლ. გ.-ა. 1927: ლ. გ.-ა., გაზეთი. „კომუნისტი“, თბილისი, №195, 1927.

88. „ლევან გოთუა“ 1973: „ლევან გოთუა“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1973, №31-32.

89. ლომთაძე... 2016: ლომთაძე თ., გოგოლაშვილი გ., „ლევან გოთუას პირადი წერილების ენის საკითხისათვის“, „კლასიკოსთა გაკვეთილები“, ლევან გოთუასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2016.

90. მაღრაძე 1985: მაღრაძე ე., „სრბოლა ცხოვრებისა“, „ნაკადული“, თბილისი, 1985.

91. მირიანაშვილი 1984: მირიანაშვილი ა., „ლევან გოთუა“, „მეცნიერება“, თბილისი, 1984.

92. მიშველაძე 1965: მიშველაძე რ., „ლევან გოთუა“, გაზეთი. „ლიტერატურული საქართველო“, 1965, №1.

93. ნორაკიძე 1976: ნორაკიძე ვლ., „ლევან გოთუა“, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1976.

94. „ნორჩ პიონერთა ლაშქრობა“ 1967: „ნორჩ პიონერთა ლაშქრობა“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1967, №12.

95. რობაქიძე 2009: რობაქიძე გრ., „ვაჟა-ფშაველა“, 2009, 30 მაისი, https://burusi.wordpress.com/2009/05/30/grigol-robakidze-vaja-pshavela/

96. სალაღაია 2010: სალაღაია ე., „ვინ ადასტურებდა, რომ კონსტანტინე გამსახურდია ფაშისტურ იდეებს იზიარებდა და ვინ გადაარჩინა ის“, 2010, 18 ნოემბერი, http://tbiliselebi.ge/index.php?newsid=6568

97. სახლთხუციშვილი 2015: სახლთხუციშვილი უ., „ქართველური ონომასტიკა“. „უნივერსალი“, 2015, №7.

98. სიგუა 2003: სიგუა ს., „მარტვილი და ალამდარი“, ტ.1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2003.

99. სირაძე 1982: სირაძე რ,. „სახისმეტყველება“, „ნაკადული“, 1982.

100. სუიცა, საქმე №201: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

101. სუიცა, საქმე №220: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

102. სუიცა, საქმე №285: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

103. სუიცა, საქმე №299: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

104. სუიცა, საქმე №304: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

105. სუიცა, საქმე №313: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

106. სუიცა, საქმე №315: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

107. სუიცა, საქმე №316: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

108. სუიცა, საქმე №322: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

109. სუიცა, საქმე №325: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

110. სუიცა, საქმე №328: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

111. სუიცა, საქმე №331: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

112. სუიცა, საქმე №332: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

113. სუიცა, საქმე №336: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

114. სუიცა, საქმე №341: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

115. სუიცა, საქმე №342: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

116. სუიცა,საქმე №351: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

117. სუიცა, საქმე №353: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

118. სუიცა, საქმე №354: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

119. სუიცა, საქმე № 355: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

120. სუიცა, საქმე №356: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

121. სუიცა, საქმე №357: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

122. სუიცა, საქმე №378: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

123. სუიცა, საქმე №381: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

124. სუიცა, საქმე №412: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

125. სუიცა, საქმე №467: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

126. სუიცა, საქმე №499: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

127. სუიცა, საქმე №500: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

128. სუიცა, საქმე №501: საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 125, აღწერა 1.

129. ტაბიძე 2011: ტაბიძე ნ., „პუბლიცისტიკის საკითხები“, წიგნი 1, „უნივერსალი“, თბილისი, 2011.

130. ტაბიძე 2008: ტაბიძე ნ., „ჟურნალისტური ძიებანი“, ტ. XI, პროფ. ნოდარ ტაბიძის რედაქციით, „უნივერსალი“, თბილისი, 2008.

131. ტყებუჩავა დ., „ჟურნალისტიკამცოდნეობა მომიჯნავე დისციპლინათა ჭრილში“, „უნივერსალი“, 2011.

132. ურბნელი 1889: ნ. ურბნელი, „საახალწლოდ“, გაზეთი. „ივერია“, 1889, №1.

133. ფოფხაძე 1987: ფოფხაძე ნ., „გურამ თიკანაძე“, „ხელოვნება“, თბილისი, 1987.

134. ფრუიძე 1995: ფრუიძე ლ., „მუზეუმის მოამაგე“, ერთჯერადი გაზეთი. „ლევან გოთუა - 90“, 1995.

135. ქადაგიძე 2018: „სტალინის „დიდი ტერორი“. ყველაზე მარტივი კითხვები 1937 წელზე“, 2018, 31 ოქტომბერი, https://jam-news.net/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%98%E1%83%93%E1%83%98-

%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94/?lang=ka

136. „ქართული პოეზია“ 2010: „ქართული პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი“, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბილისი, 2010.

137. ქიქოძე 1919: ქიქოძე გ., „ჩაქუჩიანი მამაკაცი“, „ეროვნული ენერგია“, მთავრობის სტამბა, 1919.

138. ქუთათელაძე 2005: ქუთათელაძე ნ., „ბრძენთა ვარამი“, „საბჭოთა საქართველო“, 1976.

139. ყიფიანი 1957: ყიფიანი ე., „მთაწმინდიდან მყინვარწვერამდე“, ჟურნალი. „ცისკარი“,1957, №5.

140. შავგულიძე 2017; შავგულიძე შ., „ერთი რწმენით გავლილი ფაშისტური და კომუნისტური დილეგები“, თბილისი, 2017.

141. შაიშმელაშვილი 2000: შაიშმელაშვილი თ., „ლევან გოთუასთან ერთად ვორკუტის საპყრობილეში“. გაზეთი. „არგო“, ბათუმი, 2000, №41.

142. შაიშმელაშვილი 2018: შაიშმელაშვილი თ., „გზა, რომელიც ახალ საუკუნეში გადმოვიდა“, გაზეთი. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2018, №49.

143. ხვედელიანი 2008: ხვედელიანი თ., ჟურნალი. „ქართული ფოლკლორი“, თბილისი, 2008, №4 (XX).

144. ხორგუაშვილი 1978: ხორგუაშვილი გ., „ქვის წიგნების მოჭირნახულე“, გაზეთი. „განთიადი“,1978, №107.

145. „ძეგლის მეგობარი“ 1967: „ძეგლის ყველა მეგობარს!“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1967, №10- 11.

146. ხუციშვილი 1976: ხუციშვილი ს., „ლევან გოთუა, ბიოგრაფიული ნარკვევი“, ბიობიბლიოგრაფია, შედგ. კ. რამიშვილისა და რ. მეგრელიძის მიერ. „საბჭოთა ხელოვნება“, თბილისი, 1976.

147. ჩანგაშვილი...1972: ჩანგაშვილი გ., გოთუა ლ., „ამართულა“ - „იაღლუჯას“ ნაცვლად“, გაზეთი. „სოციალისტური რუსთავი“, 1972, №16.

148. ჩერქეზია 2015: ჩერქეზია მ., „როგორ „გაყიდა“ ბავშვობის მეგობარმა ლევან გოთუა“ (სტატია მომზადებულია საბჭოთა უშიშროების არქივში დაცული მასალების

მიხედვით), 2015, 13 ივლისი, https://www.kvirispalitra.ge/history/25779-rogor-qgayidaq-bavshvobis-megobarma-levan-gothua.html

149. ჩხეიძე 1997: ჩხეიძე რ., „სახება რწმენისა და „მითრიდატე“, „მზის ამოსვლის წინ“, „ლომისი“, თბილისი, 1997.

150. ჩხეიძე 2016: ჩხეიძე რ., „ლევან გოთუა და ოთარ ჩხეიძე“, „კლასიკოსთა გაკვეთილები“, ლევან გოთუასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2016.

151. ჩხიკვიშვილი... 1958: ჩხიკვიშვილი დ., ბოჭორიშვილი ა., ლორთქიფანიძე ბ., მირიანაშვილი შ., ჩუბინაშვილი გ., სოხაძე კ., გოთუა ლ., „ქვით და ჩუქურთმით დაწერილი „ქართლის ცხოვრების“ დასაცავად“, გაზეთი. „კომუნისტი“, 1958, №249.

152. ცომაია თ., „პუბლიცისტური ტექსტის შინაარსობრივ ელემენტთა კომპოზიციური ურთიერთგანპირობებულობა“ http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0periodika--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--11-en-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL2.14&d=HASH01e1a8b7f1f7bae17e742ec6.2.2&gt=1

153. ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ილ., თხზულებანი, ტ.1, „ბაზალეთის ტბა“, „მეცნიერება“ „საბჭოთა საქართველო“, 1987.

154. ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძე ილ., თხზულებანი, ტ.2, „მგზავრის წერილები“, „მეცნიერება“ „საბჭოთა საქართველო“, 1988.

155. ჭილაია 1973: ჭილაია ს., „მარად მოსაგონარი“, „ლიტერატურული საქართველო“, 1973, №5.

156. ჭილაია 1986: ჭილაია ს., „ოცწლეული“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1986.

157. „ძეგლის მეგობარი“ 1973: „ლევან გოთუა“, ჟურნალი. „ძეგლის მეგობარი“, „საბჭოთა საქართველო“, 1973, №31-32.

158. „ძველი აღთქმა. ფსალმუნნი“: ფსალმუნი 23, http://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/fsalmunni/fsalmunni-23.htm

159. ჯავრიშვილი 1965: ჯავრიშვილი კ., „დაუწერელი წიგნი“, „მთა და მოყმე“, „ნაკადული“, თბილისი, 1965.

160. ჯაფარიძე 2014: ჯაფარიძე ა., „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, 2014, 3 მარტი, ნაწილი IV, http://meufeanania.info/საქართველოს-სამოციქულო-4/,

161. ჯაფარიძე 2015: ჯაფარიძე ივ., „სამშობლოს სიყვარულისთვის ბრალდებული მწერალი – ლევან გოთუა 110“, 2015, 7 მარტი, http://old.radio1.ge/ge/videos/view/140284.html 2015-03-07

162. ჯაფარიძე 2005: ჯაფარიძე ივ., „მწერლობაში მთამსვლელობიდან მოვიდა“, გაზეთი. „ლელო“, 2005, №49.

163. ჯაფარიძე 1995: ჯაფარიძე ივ., გაზეთი. „ლევან გოთუა 90“, თბილისი, 1995.

164. ჯაფარიძე, არქივი: ჯაფარიძე ივ., არქივი.

165. ჯაფარიძე, არქივი: ჯაფარიძე ივ., არქივი, აუდიოჩანაწერი.

166. ჯაფარიძე 2013: ჯაფარიძე ივ., „ლევან გოთუას უცნობი ჩანაწერი“, ჟურნალი. „ანეული“, 2013, №3.

167. ჯაფარიძე 2008: ჯაფარიძე ივ., „დილეტანტიზმი, უვიცობა, მიზანმიმართული სიცრუე თუ ყველაფერი ერთად“, გაზეთი. „მწერლის გაზეთი“, 2008, N14.

168. ჯაფარიძე 2004: ჯაფარიძე ივ., „ლევან გოთუა და მთამსვლელი ჯაფარიძეები“, გაზეთი. „მახარია“, 2004, N4 (43).

169. ჯაფარიძე 2005: ჯაფარიძე ივ., „მწერლობაში მთამსვლელობიდან მოვიდა“, გაზეთი. „ლელო“, N50, 2005.

170. ჯიყაშვილი ლ., „ლევან გოთუა-ბიბლიური კაცი“, 2009, 28 სექტემბერი, https://www.kvirispalitra.ge/history/702-levan-gothua-bibliuri-kaci.html?device=xhtml.

171. ჯიშკარიანი 2016: ჯიშკარიანი ჯ., „დიდი მწერალი“, ჟურნალი. „ანეული“, 2016, №1.

172. ჯიშკარიანი 2015: ჯიშკარიანი „სათქმელი უთქმელი არ მწამს“, ჟურნალი. „ანეული“, 4, 2015.

173. ჯიშკარიანი 2017: ჯიშკარიანი ჯ., „შურსა და ცილზე ამაღლებული“, თბილისი, 2017.

174. ჯიშკარიანი 2017: ჯიშკარიანი ჯ., „...შურსა და ცილზე ამაღლებული“, ჟურნალი. „გურია“, 2017, №22.

175. Джапаридзе 1943: Джапаридзе Ал., „Альпинисты Грузий в дни войны“, газета. „Красный спорт“, №47, 1943.

176. Ким 2011:Ким М. Н.. „Основы творческой деятельности журналиста“, СПб.: **„Питер“,** 2011, https://knigi.link/tvorcheskoy-deyatelnosti-osnovyi/statya-osnovnyie-harakteristiki-38692.html

177. Эренбург: Эренбург И.Г. „Путевые записи. Япония, Греция, Индия“ http://nippon-history.ru/books/item/f00/s00/z0000016/st003.shtml?fbclid=IwAR0S4bxzl8K81Sl3zz4aucSXtJr9xfrxL3ONy2afyYW3-Wc-VJ3aNiAcdcc